ᲛᲬᲘᲗᲜᲝᲑᲐᲠᲘ

1610/09
2014

09

’14



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწიგნობარი
'14

საქართველოს
ილია ჭავჭავაძის
სახელობის
მწიგნობართა
ასოციაციის
ყოველწლიური
ორგანო

გამოდის
1980 წლიდან

თბილისი
2014

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალმანახი „მწიგნობარი“ მოგვითხრობს წიგნებსა და წიგნის შემქმნელებზე, ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოფილებზე, ძიებებზე წიგნის სამყაროში, სხვადასხვა ქვეყნისა და მხარის მწიგნობრებზე.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ტაბიძე

სარედაქციო საბჭო:
ლალი ავალიანი
რევაზ ბალანჩივაძე
შოთა კობიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი)
ალექსანდრე ლორია
ლადო მინაშვილი
ლია ნადარეიშვილი
მიხეილ ქავთარია
პელო ღლეყვა
როსტომ ჩხეიძე
ზურაბ ჭუმბურიძე
იოსებ ჭუმბურიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე)

მხატვარი
ანზორ თორდია

გარეკანზე დიმიტრი ყიფიანის ფოტო.

©საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია. თბილისი, 2014.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ჯოლოგუა

დიმიტრი ყიფიანი — შტრიხები პორტრეტისათვის

„როდესაც ზედმიწევნით გავეცნობით დიმიტრის აზროვნების ხასიათს, მის სოციალ-პოლიტიკურ სიმპატიებს და ლტოლვილებას, დავრწმუნდებით, რომ ამ ადამიანის დასაფასებლად არ გამოდგება ჩვეულებრივი საზომი, რომლითაც ვზომავთ ინტელიგენტ-მოღვაწის ფიზიონომიას... თავი და თავი ნამდვილი დიმიტრის აღმოჩენაა... და თუ ეს მოვახერხეთ, მაშინ ჩვენ არაფრის უნდა გვეშინოდეს, რადგან ყოველი ნაკლი და აზრის შეცდომა დაიფარება იმ დიადის სულის სანახაობით, რომელიც გადიშლება ჩვენს თვალწინ".

არჩილ ჯორჯაძე

„ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც კი ჰგრძნობს, თუმცა არა ჰხედავს".

ილია ჭავჭავაძე

ცხოვრება დიმიტრი ყიფიანისა იყო უაღრესად საინტერესო, საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტებით მდიდარი, ამასთანავე — მძიმე და ტრაგიკული. მან გამოსცადა ხელისუფლების აღიარებაცა და დევნა-შევიწროებაც, სამი შვილისა და შვილიშვილის დაღუპვის სიმწარე, განუწყვეტელი ხელმოკლეობა, ორჯერ იწვნია სამშობლოდან გადასახლების სუსხი... და, მიუხედავად ამისა, მისი ნება და სტოიკური ხასიათი ერთხელაც არ შერყეულა. მას არასოდეს უღალატია ყმაწვილობაშივე გულში ამოჭრილი მრწამსისათვის: **„კა-**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისა ყოველივე სამშობლოს უნდა შეეწიროს“. საქვეყნო საქმიანობა გადაგებული, საქვეყნო საქმეებშივე პოვებდა სულიერ საყრდენსა და წონასწორობას. „თუკი ჩემი სამსახური სასარგებლო იქნება, პირველ რიგში იგი სასარგებლო უნდა იყოს ჩემი სამშობლოსათვის“ — სწერს 1860-იან წლებში ცარსკოე-სელოდან დიმიტრი თავის მეუღლეს, ნინო ჭილაშვილს. სამშობლოსათვის იღვწოდა, მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის იბრძოდა დიმიტრი ყიფიანი მთელი სიცოცხლე; მასვე შესწირა ნიჭი, შრომა, სამსახურებრივი კარიერა, ოჯახური სიმშვიდე და კეთილდღეობა და, ბოლოს, სიცოცხლეც.

დიმიტრი ყიფიანს საზოგადოებრივ საჭიროებათა შეგრძნების განსაცვიფრებელი უნარი ჰქონდა — XIX საუკუნის 30-80 წლების საქართველოში იშვიათია ეროვნული მიზანდასახულობის რამდენადმე მნიშვნელოვანი წამოწყება, რომლის ინიციატორი, ორგანიზატორი ან აქტიური მონაწილე იგი არ ყოფილიყო: საბიბლიოთეკო საქმის აღორძინება და პროფესიული ქართული თეატრის დაარსება, ეროვნული ჟურნალისტიკის ჩამოყალიბება, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაფუძნება და ა. შ. ამიტომაც უწოდებდნენ დიმიტრი ყიფიანს „ჩვენს ხუროთმოძღვარს“ (ი. ჭავჭავაძე), „მაღლით ცხებულ და ქვეყნისადმი მიჩენილ მადლიან არსებას... ჩვენს დიდებულ მოძღვარს“ (ა. წერეთელი), „მედგარს, ენერგიულს და პატიოსნების იშვიათ განსახიერებას, მეტისმეტად დიდი ჭკუის, განუზომელი უნარის პატრონს... ერთ მთლიან ნატურას, ურყევს პირველი დღეებიდანვე უკანასკნელ დღემდე“ (ნ. ნიკოლაძე), „მოღვაწეს, რომლის სახელი აღბეჭდილია ქართულ ეროვნულ შემეცნების ისტორიაში“ (ა. ჯორჯაძე), „უაღრეს პატრიოტს... ფხიან მუშაკს და მეთაურს ქართული საქმეებისა“ (ე. თაყაიშვილი) და ა. შ.

თანამედროვენი დიმიტრი ყიფიანს მიიჩნევდნენ არა მარტო დიდ მოღვაწედ და მამულიშვილად, არამედ შეუდრეკელი რწმენისა და კრისტალური პატიოსნების მაგალითადაც („კაცი ჯერ პატიოსანი უნდა იყოს და მერე ამ გრძნობას დაუმორჩილოს ყველა თავისი ადამიანური მოვალეობა“ — წერს ერთგან თვითონ დიმ. ყიფიანი).

ეროვნული მნიშვნელობის პირველი საქმე, რომელშიც დიმ. ყიფიანს ვხედავთ, არის 1832 წლის შეთქმულება. უკანასკნელი დროის კვლევებმა დაადასტურა, რომ იგი შეთქმულების რიგითი წევრი ან შეთქმულთა მხოლოდ „ლიტერატურული ჯგუფის“ წევრი კი არ იყო, როგორც ეს ადრე მიიჩნეოდა, არამედ მონაწილეობდა მომავალ აჯანყებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა არსებითი საკითხის განხილვა-გადაწყვეტაში და ენერგიულად უჭერდა მხარს სახელმწიფოებრიობის აღდგენას შეიარაღებული აჯანყების გზით; ამასთანავე, ქმედითად იყო ჩართული 1820—1830 წლების მიჯნის იმ კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესში, რომელიც მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ქართული კულტურის გამოცოცხლებასა და აღორძინებას, ხოლო მეორე მხრივ, აჯანყებისათვის იდეოლოგიური ნიადაგის მომზადებას.

ავლაბრის სამხედრო ყაზარმებში პატიმრობის შემდეგ, 1834 წლის თებერვალში, სამხედრო სასამართლომ დიმ. ყიფიანს მიუსაჯა გადასახლება რუსეთში, ქალაქ ვოლოგდაში, საიდანაც იგი სამშობლოში 1837 წელს დაბრუნდა; დაბრუნდა სავსებით დარწმუნებული იმაში, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს იმპერიასთან ღია დაპირისპირება, — მით უმეტეს, იარაღის ენით საუბარი, — არა მარტო უპერსპექტივო საქმე, არამედ დამღუპველიც იქნებოდა საქართველოს მომავლისათვის.

გადასახლებაში ყოფნისას დიმ. ყიფიანმა, ჩანს, საფუძვლიანად გააანალიზა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ტრაგიკულ შედეგებთან ერთად (სახელმწიფოებრიობის მოსპობა, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმება, ეროვნული ინსტიტუტების შევიწროება-აღმოფხვრა, ოფიციალურ ენად რუსულის დამკვიდრება და ა. შ.) პოზიტიური ელემენტები და ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაციის მეშვეობით რეალურად შესაძლებელი სასიკეთო პერსპექტივებიც დაინახა: გადაულახავი, თავისი ხასიათით დამანგრეველი პარტიკულარული მისწრაფებების აღმოფხვრა და ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გაერთიანება, ამ გზით საუკუნეთა განმავლობაში დაშლილი საერთო-ეროვნული თვითშეგნების აღ-

დგენა, გარეშე მტერთა თარეშისა და სისხლიანი შინააშლილობების აღკვეთა, მშვიდობიან პირობებში კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების აღორძინება და განვითარება, აგრესიულად განწყობილი მაჰმადიანური გარემოცვის გარღვევა და ევროპულ სამყაროსთან კონტაქტების აღდგენა, შესაბამისად, რამდენიმე საუკუნოვანი იზოლაციისაგან თავის დაღწევა და საზოგადოებრივ-კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების ევროპეიზაცია, დაკარგული ისტორიული ტერიტორიების რუსული იარაღით შემოერთების პერსპექტივა... ამიტომაც გადასახლებიდან დაბრუნებული ახალგაზრდა დიმიტრი ყიფიანი სახელმწიფო სამსახურში ჩადგა და არაჩვეულებრივი გონიერების, გამჭრიახობისა და შრომისმოყვარეობის წყალობით იმდენად დაწინაურდა, რომ 1850-იან წლებში მეფისნაცვლის საბჭოს წევრი გახდა, ანუ იგი შედიოდა იმ მმართველობით ელიტაში, რომელიც კავკასიას განაგებდა.

დიმიტრი ყიფიანის „ფსიხიკაში და აზროვნებაში ძველი ტიპის მამულიშვილის მოტივები სჭარბობდნენ“ (ა. ჯორჯაძე). დიმიტრი მონარქისტი იყო და მის შეგნებას განსაზღვრავდა „ძველი ტიპის მამულიშვილის“ სახელმძღვანელო პრინციპი: ღმერთი, ხელმწიფე, მამული. „ხალხს, რომელსაც აქვს მრავალსაუკუნოვანი სასახელო ისტორია, შეუძლებელია მოვთხოვოთ მისი დავიწყება, ხოლო ჩვენი წინაპრებისა და ჩვენი ისტორიის ანდერძია: ღვთის რწმენა, ხელმწიფის ერთგულ-ქვეშევრდომობა და მამულისათვის თავდადება“, — ასე მეტყველებს დიმიტრი ყიფიანი 1880-იან წლებშიც კი, როცა საბედისწერო ბრძოლა აქვს გაჩაღებული რუსეთის მონარქიის ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ; იმ პოლიტიკისა, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნული თვითარსებობის დათრგუნვისაკენ იყო მიმართული.

ბოლოს და ბოლოს, დიმიტრი ყიფიანმა ჩამოაყალიბა შეხედულება: იმ უკუღმართობებში, რომლებიც საქართველოში ხდება და მიმართულია ქართველი ერის ნაციონალური თვითარსებობის წინააღმდეგ, დამნაშავეა არა ღვთივკურთხეული მონარქი, რომელიც შეუძლებელია უსამართლო იყოს, არამედ მისი გარემოცვა, საქართველოში კი დამნაშავე ადგილობივი ბიუროკრატიაა. დიმი-

ტრი ყიფიანი თავის მახვილს უყოყმანოდ მიმართავს სწორედ ადგილობრივი, არსებითად, რუსული ბიუროკრატიის წინააღმდეგ და ამით თავგანწირვით იცავს როგორც საკუთარ სამშობლოს, ისე, სხვათა შორის, ღირსებას „მოტყუებული“ მონარქისას, რომელიც, თავის მხრივ, — როგორც ეს მის ხელმწიფურ დიდებას შეშვენის, — თანაბრად ზრუნავს იმპერიაში შემავალ ყველა, მათ შორის, ქართველ ხალხზე. ეს იყო მძაფრი ტრაგიზმით აღბეჭდილი მსოფლმხედველობრივი ჩიხი და ისე ჩავიდა (ჩაიყვანეს) საფლავში, რომ ამ ჩიხიდან გამოსვლა ვერ შეძლო.

დიმიტრი ყიფიანის ნააზრევსა და ნამოღვაწარზე მსჯელობისას საგანგებო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს **ეროვნული ხსნის პროგრამას**, რომელიც მან ჩამოაყალიბა 1840-იანი წლების დასაწყისში — ჩვენი ისტორიის ამ უმძიმეს მონაკვეთში, როცა საქართველოს „პოლიტიკურად დასნეულებული სხეული დასნეულდა ზნეობრივად და გონებრივადაც. ორმოციან წლებში უკვე დასრულებული იყო დეზორგანიზაცია ეროვნულ ცხოვრებისა“ (ა. ჯორჯაძე).

ეროვნული ხსნის დიმიტრი ყიფიანისეულ პროგრამას საფუძვლად ედო თავადაზნაურულ-ლიბერალური განმანათლებლობის იდეოლოგია, რომელსაც თანამიმდევრულად ავითარებდა იგი და ნერგავდა კიდევაც პრაქტიკული მოღვაწეობით.

დიმიტრი ყიფიანის შეხედულებით, არსებულ ვითარებაში საჭირო იყო **პოლიტიკური სისტემის ფარგლებშივე** ინტენსიური და მიზანმიმართული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლა და ამ გზით ქართველი ხალხის საერთო-ეროვნული თვითშეგნების აღდგენა და განვითარება. „განათლებაღა არის ჩვენი ფეხზედ დამაყენებელი იმედი“, — ამ სიტყვებით „გაფორმდა“ მოგვიანებით ის უნივერსალური მოდელი, რომელიც 1840-იან წლებშივე დაუდო საფუძვლად დიმიტრი ყიფიანმა თავის სამოქმედო პროგრამას და რომელშიც, თავის მხრივ, ზედმიწევნით იყო გათვალისწინებული იმდროინდელი პოლიტიკური რეალობა (მიხ. გაფრინდაშვილის შეხედულებით, XIX საუკუნეში დიმიტრი ყიფიანი „იყო ქართული პოლიტიკური რომანტიზმის უკანასკნელი იდეოლოგი და პოლიტიკური რეალიზმის უპირველესი დამფუძნებელი“). აქვე ხაზ-

გასმით უნდა ითქვას, რომ დიმ. ყიფიანის ლოიალობა პოლიტიკური სისტემის მიმართ არ ყოფილა უპირობო: „ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომნი ვართ და ამავე დროს ქართველნი, – ჰფიქრობდა ყიფიანი. — ქართველობით გვინდა გამოვიდეთ კულტურულ ასპარეზზე. მაგრამ იცოდეთ კარგად, რომ „ქართველობა“ მოითხოვს ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა არსებობას, ქართული ენის უზრუნველყოფას სკოლებსა და ეკლესიაში. თუ ამას არ გვანებებთ, ჩვენი ქართველობა შეილახება და თუ შეილახება ჩვენი ქართველობა, შეილახება ჩვენი ერთგულების გრძნობაცაო. იმ ხანებში უფრო ფართოდ საკითხის დაყენება შეუძლებელი იყო...“ (ა. ჯორჯაძე).

განსაკუთრებით ხელსაყრელი ვითარება დიმ. ყიფიანის პროგრამის პრაქტიკული ხორცშესხმისათვის შეიქმნა კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მმართველობის პერიოდში (1844-1854). ბრიტანულ დიპლომატიაზე აღზრდილი, ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი მ. ვორონცოვი მიიჩნევდა, რომ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება წყარო იყო იმპერიის ძლიერებისა და არა მისი სისუსტის მაჩვენებელი. იგი საქართველოში ფართო რეფორმისტული გეგმით ჩამოვიდა და ამ გეგმაში შედიოდა, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიაში საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური შერწყმა-ასიმილაცია, ხოლო მეორე მხრივ, ქართული კულტურისათვის ხელის შეწყობა. ამასთანავე, მ. ვორონცოვი, თავისი წინამორბედებისა თუ მემკვიდრეებისაგან განსხვავებით, ხაზგასმით გამოხატავდა პატივისცემას ქართული ენის, ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურის, ადათ-წესებისა თუ ზნე-ჩვეულებების მიმართ (რითაც, სხვათა შორის, სამუდამოდ მოინადირა ქართველი არისტოკრატიის გული). მ. ვორონცოვმა თავის უახლოეს თანამშრომლად შეარჩია დიმიტრი ყიფიანი — ახალგაზრდა, მაგრამ დიდად ნიჭიერი და უნარიანი სახელმწიფო მოხელე. ვინაიდან ახალი მეფისნაცვლის პოლიტიკა იძლეოდა საამისო საშუალებას, დიმიტრი ყიფიანმა შესანიშნავად ისარგებლა შექმნილი ვითარებით და ენერგიულად შეუდგა საკუთარი პროგრამის განხორციელებას — აღნიშნულ პერიოდში იგი ზრუნავდა საზოგადოებაში მწიგნობრული ინტერესების გაღვივებაზე, ეროვნული

ჟურნალისტიკის აღორძინებაზე, პროფესიული ქართული თეატრის დაარსებაზე, განათლების სისტემის მოწესრიგებასა და გაუმჯობესებაზე, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაზე, მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბებაზე, იცავდა ქართული ენის, — ეროვნული თვითშეგნების ამ საფუძველთა საფუძვლის, — ინტერესებს, იღვწოდა ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციისათვის, თარგმნიდა დასავლეთევროპულ მხატვრულ ლიტერატურას და ა. შ.

ერთი სიტყვით, 1840-1850 წლებში დიმიტრი ყიფიანმა, როგორც სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ, იდეურად და პრაქტიკული საქმიანობით, განმსაზღვრელი როლი შეასრულა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ეროვნული მიმართულებით წარმართვაში, მის ევროპეიზაციაში. დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ დიმიტრი ყიფიანი ღირსეული მემკვიდრე იყო სოლომონ დოდაშვილისა (კერძოდ, დოდაშვილის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკისა) და წინამორბედი ილია ჭავჭავაძისა ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიმიტრი ყიფიანის აზროვნება, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხასიათი და მიზანდასახულობა წარმოადგენს პოლიტიკურად ტრანსფორმირებულ, მაგრამ საზოგადოებრივ-კულტურული თვალსაზრისით შემაკავშირებელ ეტაპს, ამასთანავე, მსოფლმხედველობრივ და იდეოლოგიურ „ხიდს“ „ოცდათორმეტიანელებსა“ და „თერგდალეულებს“ შორის.

დიდად საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე და მესვეური საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა, როგორც ახალი, უფრო პროგრესული (ლიბერალურ-დემოკრატიული) მსოფლმხედველობისა და ეროვნული იდეოლოგიის დამფუძნებელი, 1860-იანი წლების დასაწყისში მოევლინა ქვეყანას — ამ დროის საქართველოში უკვე წარსულს ბარდებოდა ვორონცოვის მიერ გატარებული რბილი და ლოიალური, სამოქალაქო და კულტურული ცხოვრების აღმავლობაზე ორიენტირებული პოლიტიკური კურსი და იწყებოდა ღია რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელება. ამგვარ პირობებში კი მეტისმეტად ძნელი (არ-

სებითად შეუძლებელი) იქნებოდა კულტურულ-იდეოლოგიური აღმშენებლობის გაგრძელება ვორონცოვისდროინდელი მეთოდებითა და ინტელექტუალური „რესურსებით“. ასე რომ, ერის ნებამ და ენერგიამ, რომელიც იმ დროისათვის, საბედნიეროდ, სიცოცხლისა და მოქმედებისუნარიანი აღმოჩნდა, ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა მაშინ წარმოშვა, როცა ამის აუცილებლობა შეიქმნა და ის, რასაც ილია ზოგადად ამბობდა, — გენიოსი „ნაყოფია თავის დროებისაო“, — თვითონ ამ სიტყვების ავტორზეც შეიძლება გავრცელდეს — ილია ჭავჭავაძე ნაყოფია „თავის დროებისა“. ხოლო ამგვარი „დროების“ მომზადებაში დიმიტრი ყიფიანის, როგორც 1840-1850 წლების ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მეთაურის, წვლილი განმსაზღვრელი მნიშვნელობისაა. უფრო მეტიც, ილია ჭავჭავაძის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკა, არსებითად, დიმიტრი ყიფიანის მიერ შემუშავებული და პრაქტიკულად დანერგილი პროგრამის ორგანული გაგრძელება, მისი განვითარებული და სრულყოფილი ფორმაა.

დიმიტრი ყიფიანის აზროვნება, მისი პოლიტიკური, საზოგადოებრივ-კულტურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობის ხასიათი, მიმართულება და შედეგები არათუ შეესაბამება XIX საუკუნის ფუნდამენტურ ეროვნულ იდეას, — ქართველი ხალხის ნაციონალურ, სოციალურ და კულტურულ კონსოლიდაციას, — არამედ თვითონვე წარმოგვიდგება ამ სასიცოცხლო იდეის ერთ-ერთ დამფუძნებლად. „თერგდალეულთა“ გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე ყიფიანისეული პროგრამის უდავო გამარჯვება იყო და ამიტომაც მისი ავტორი მაშინვე „ჩაირიცხა ახალ მოღვაწეებში, სიტყვით, კალმით, საქმით, სულით და გულით მათთან იყო“ (ა. წერეთელი).

სამეგრელოს სამთავრო სახლის ინტერესების დაცვისათვის დიმიტრი ყიფიანი 1862 წელს დაითხოვეს სახელმწიფო სამსახურიდან, მაგრამ იგი, ცხადია, არ ჩამოსცილებია საზოგადოებრივ ასპარეზს: იყო თბილისისა (1864—1870) და ქუთაისის (1885—1886) გუბერნიების თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“), თბილისის ქალაქის თავი (1875—1879) და სხვ.

სხვადასხვა წლებში მონაწილეობდა როგორც საიმპერიო, ისე კავკასიური მასშტაბით მოქმედ კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობაში: 1851 წლიდან იყო „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ წევრი (1856 წლიდან — განმკარგულებელი კომიტეტის წევრი), „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ ჯერ მმართველი საბჭოს წევრი (1850 წლიდან), შემდეგ კი (1860-იან წ.წ.) ამ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებელი, „კავკასიის სამედიცინო საზოგადოების“ წევრი (1864 წლიდან), „თბილისის მუსიკალური საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, „კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი კავკასიის საზოგადოების“ მმართველობის დამფუძნებელი წევრი (1877 წლიდან) და სხვ.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის თხოვნით დიმიტრი ყიფიანმა შეადგინა საგლეხო რეფორმის პროექტი, რომლის საფუძველზეც იმპერატორმა ალექსანდრე II-მ 1864 წელს ბატონყმობა გააუქმა აღმოსავლეთ საქართველოში.

ეროვნული მიზანდასახულობისა და მნიშვნელობის პირველი წამოწყება, რომელსაც უშუალოდ დიმიტრი ყიფიანმა ჩაუყარა საფუძველი, იყო **„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“** (1842—1848). დიმიტრი იყო „ბიბლიოთეკის“ დაარსების ინიციატორიც, ორგანიზატორიც, უშუალო ხელმძღვანელიც, ხოლო ამ საქმეში მისი თანამდგომნი (დამფუძნებელი წევრები) იყვნენ: ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ელიზბ. ერისთავი, მიხ. თუმანიშვილი, ზ. ფალავანდიშვილი და სხვ.; „ბიბლიოთეკა“ დაკომპლექტებული იყო რუსეთიდან გამოწერილი, საქართველოშივე მოპოვებული თუ შემოწირულობებით მიღებული ქართული, რუსული, დასავლეთევროპული (ძირითადად, ფრანგული) წიგნებითა და პერიოდული გამოცემებით. როგორც ბიბლიოთეკის წესდების ზოგიერთი პუნქტის, აგრეთვე, წევრთა მიმოწერიდან ირკვევა, დიმიტრი ყიფიანსა და მის თანამოაზრეებს საბიბლიოთეკო ცენტრის დაარსებაზე უფრო დიდი და შორს გამიზნული ამოცანები ჰქონიათ დასახული: ძველი ქართული ხელნაწერების მოძიება, თავმოყრა

და დაცვა, მათი შესწავლა და პუბლიკაცია, პერიოდული ორგანოს დაარსება, მთარგმნელობითი და საკვლევაძიებო საქმიანობისათვის ხელის შეწყობა და სხვ. ერთი სიტყვით, ჩაფიქრებული იყო ფართო პროფილის კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სალიტერატურო კერის ჩამოყალიბება.

სამწუხაროდ, კარგად დაწყებულმა საქმემ შესაფერისი განვითარება ვერ პოვა: ვერ მოხერხდა „ბიბლიოთეკის“ საქმიანობით საზოგადოების ფართო ფენების დაინტერესება, „ბიბლიოთეკის“ არაერთი წევრი სამსახურებრივმა ვალდებულებამ აიძულა, დაეტოვებინა თბილისი და სხვ.

მართალია, მაშინ ვერ მოხერხდა თბილისში საზოგადოებრივ-კულტურული ცენტრის შენარჩუნება, რისი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ საზოგადოება მოუმზადებელი აღმოჩნდა ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაციისა და ეროვნული იდეოლოგიის შესაქმნელად მიზანმიმართული საქმიანობისათვის, მაგრამ დიმიტრი ყიფიანის ამ მცდელობას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია — „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“ XIX საუკუნის საქართველოში პირველი ცდაა **საზოგადოებრივ ინიციატივაზე** დაფუძნებული ეროვნული მიზანდასახულობისა და მნიშვნელობის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის დაარსებისა და ამ მხრივ იგი წინამორბედია ქართული თეატრისა, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკისა, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“, „ქართული დრამატიული საზოგადოებისა“ და სხვ.

დიმიტრი ყიფიანი **თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის** დაარსების ინიციატორია. 1864 წელს საქართველოში საგლეხო რეფორმასთან (ბატონყმობის გაუქმებასთან) დაკავშირებით მან სპეციალურად მიმართა ქართველ თავადაზნაურობას და სთხოვა, იმ ფულიდან, რომელსაც თავადები და აზნაურები ყმების გათავისუფლების საკომპენსაციოდ მიიღებდნენ, მეხუთედი სათავადაზნაურო ბანკის დასაარსებლად გადაედოთ:

„ყოველთავე თავად-აზნაურთ მოგმართავთ ჩვენის საზოგადოობის წევრთა, რომელთაც შეგიძლიანთ ნათელის გონიერებითაც ცხადად დაინახოთ და გაბწმენდილის გულითაც კარგათ ასწონოთ,

ვის რა ვალდებულება გაძევსთ წინაშე ღვთისა, ან რა პასუხის გამცემნი უნდა იყვნეთ თქვენის შვილებისა, თქვენის საზოგადოობისა და ქვეყნის წინაშე, თუ დღევანდელი ნიჭი უნაყოფოთ მოიხმარეთ... თუ ბანკის შემოსავლისა რომელიმე ნაწილი ჩვენის შვილებისა და შთამომავლობის აღსაზრდელად გადავსდეთ, მაშინ, — გთხოვთ კარგად დაუფიქრდეთ ამას, — რაოდენ შეიმსუბუქებთ თქვენს მამობრივს ვალდებულებასა და რაოდენ ხელს მოუმართავთ მრთელის საზოგადოობის განათლებასა! ხომ კარგათ იცით, რომ დღეიდამ განათლებაღა არის ჩვენი ფეხზედ დამაყენებელი იმედი!.."

თავიდან დიმიტრი ყიფიანი თავადაზნაურობის ერთი ნაწილის წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინ მან „აიღო ხელში ყავარჯენი, ფეხთ ჩაიცვა, როგორც ჩვენი ხალხი იტყვის, რკინის ქალამნები, და ასე per pedes apostolorum (ფეხით, მოციქულთა მსგავსად) გაუდგა გზას. გადადიოდა სოფლიდან სოფელში, როგორც ძველ დროს ბერები დადიოდნენ სოფელ-სოფელ კალმასობაზე" (ი. მანსვეტაშვილი).

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ დიმიტრი ყიფიანის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ბანკის წესდება, რომელიც რუსეთის ფინანსთა სამინისტრომ არ დაამტკიცა. 1870-იანი წლებიდან კი ბანკის დაარსების საქმეს სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა, ურთულესი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ წარმატებით დააგვირგვინა იგი და საბოლოოდ სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი ფართო დიაპაზონის საკრედიტო და საქველმოქმედო დაწესებულებად გადააქცია — ათეული წლების განმავლობაში ბანკი აფინანსებდა ქართულ გიმნაზიას, სკოლებს, ქართულ თეატრს, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას", რუსეთისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტობას და ა. შ.

სრულიად განსაკუთრებულია დიმიტრი ყიფიანის დამსახურება **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების"** დაარსებაში. თავდაპირველად ამ ტიპის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების შექმნის იდეა დაიბადა თვალსაჩინო ქართველი მოღვაწის, იოსებ მამაცაშვილის, ოჯახში, სადაც იკრიბებოდნენ და ქვეყნის ბედსა და მომავალზე მსჯელობდნენ

იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ვახტანგ თულაშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ნიკო ცხვედაძე, მარიამ ჯავახიშვილი, დიმიტრი და ანა მუსხელიშვილები და სხვები. საბოლოოდ ამ ჯგუფმა საქმის ორგანიზება დიმიტრი ყიფიანს სთხოვა და მასვე ჩააბარა მეთაურობა. და მანაც ჩვეული მიზანდასახულობითა და ენერგიულობით უხელმძღვანელა ამ საქმეს, თანამოაზრეებთან ერთად გადალახა ხელისუფლების წინააღმდეგობა, 1879 წლის 31 მარტს დაამტკიცებინა წესდება, ხოლო იმავე წლის 15 მაისს შედგა დამფუძნებელი სხდომა, რომელმაც „ქშწ-კგ საზოგადოების" თავმჯდომარედ დიმიტრი ყიფიანი, ხოლო მის ამხანაგად (მოადგილედ) ილია ჭავჭავაძე აირჩია.

დიმიტრი ყიფიანი „საზოგადოებას" თავმჯდომარეობდა 1879—1882 წლებში. შემდეგ იგი შეცვალა ივანე მუხრანბატონმა, 1885 წლიდან კი „საზოგადოებას" სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე, რომლის ხელშიც იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა უპირველეს ეროვნულ დაწესებულებად, „ჩვენს ეროვნულ თავშესაფრად", როგორც მას ილია უწოდებდა — „ქშწ-კგ საზოგადოება" აარსებდა ქართულ სკოლებს (საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ: ვლადიკავკაზში, მოზდოკში, ბაქოში და სხვ.), აფუძნებდა ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს, იდეურად და მატერიალურად ეხმარებოდა ქართულ თეატრს, ბეჭდავდა სხვადასხვა ხასიათის წიგნებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებს, ზრუნავდა ქართული მწერლობისა და მეცნიერების განვითარებაზე, ხელს უწყობდა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებასა და პუბლიკაციას, ქომაგობდა ქართული მუსიკისა და მხატვრობის განვითარებას, აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წიგნებს, იცავდა მატერიალური კულტურის ძეგლებს, სტიპენდიებს უნიშნავდა რუსეთსა და ევროპაში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას და ა. შ.

ფასდაუდებელია დიმიტრი ყიფიანის წვლილი **ქართული თეატრის** აღორძინებასა და განვითარებაში. იგი იყო გიორგი ერისთავის პროფესიული თეატრის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, მან გამოსთხოვა მეფისნაცვალ ვორონცოვს თეატრის ჩამოყალიბების ნებართვა, მისი ინიციატივით ჩაუყენეს ამ საქმეს სათავეში გიორ-

გი ერისთავი. ამას გარდა, დიმიტრი ყიფიანმა უთარგმნა მეფის ნაცვალს რუსულ ენაზე გ. ერისთავის „გაყრა“ და ითამაშა კიდევაც (ივანეს როლი) 1850 წლის 2(14) იანვრის ისტორიულ წარმოდგენაში.

1860-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ხელისუფლების მიერ ქართული თეატრი უკვე გაუქმებული იყო, დიმიტრი ყიფიანი სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა წრეს და თბილისში რამდენიმე სპექტაკლი წარმოადგინა („ჩვენი გამოუცდელი ბიჭუნებისაგან დიმიტრი ყიფიანმა ნამდვილი მსახიობები შექმნა“, — წერდა მოგვიანებით ერთ-ერთი წევრი ამ წრისა ანტონ ფურცელაძე). 1867 წლიდან დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა ნიკო ავალიშვილი, ხოლო 1871 წლიდან ინიციატივა ისევ დიმიტრიმ აიღო და ი. მამაცაშვილთან ერთად თბილისის თეატრალურ ცხოვრებას მეტნაკლებად სისტემური სახე მისცა. იგი სათავეში ედგა იმ მოძრაობას, რომელიც 1881 წელს „ქართული დრამატიული საზოგადოების“ შექმნით დაგვირგვინდა; „საზოგადოებისა“, რომელიც დაარსების დღიდანვე ეროვნული თეატრალური ხელოვნებისა და ზოგადად საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მძლავრ კერად იქცა.

დიმიტრი ყიფიანი თვითონაც გამოდიოდა სცენაზე, დგამდა სპექტაკლებს (შექსპირი, მოლიერი და სხვ.), რეპეტიციების ჩასატარებლად თავის საცხოვრებელს უთმობდა უბინაოდ დარჩენილ დასს, დეკლამაციით გამოდიოდა სალიტერატურო თუ თეატრალიზებულ საღამოებზე, სცენაზე გამოჰყავდა საკუთარი ოჯახის წევრები (მეუღლე, შვილები), ნათესავები და ა. შ.

მისი განუწყვეტელი ზრუნვის საგანი იყო **სასკოლო განათლება**. 1840-იან წლებში არსებითი ხასიათის მონაწილეობა მიიღო წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის დაარსებაში, 1840-1850 წლებში სახელმწიფო თანამდებობების პარალელურად იყო კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოს წევრი და „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების“ თავმჯდომარე. უნდა ითქვას, რომ 1850—1860 წლებში თბილისის გიმნაზიაში ქართული ენა დიმიტრი ყიფიანის მიერ შედგენილი პროგრამით ისწავლებოდა და ამ პროგრამაში მკაფიოდ იყო ასახული შემდგენლის სურვილი — მოსწავ-

ლეები ღრმად და საფუძვლიანად დაუფლებოდნენ ქართული ენის საფუძვლებს, ბუნებასა და ისტორიას. დიმიტრი ყიფიანი ზრუნავდა ქართული სახელმძღვანელოებისა და ქრესტომათიების შედგენაზე, სასწავლებელთა ბიბლიოთეკების ქართული წიგნებით დაკომპლექტებაზე, 1851-1864 წლებში საზოგადოების მიერ ზედიზედ ოთხჯერ იყო არჩეული თბილისის გიმნაზიის საპატიო მზრუნველად, თუმცა ხელისუფლებამ, რომელიც, სხვათა შორის, დიმიტრი ყიფიანს „ავტონომიურ საქართველოზე მეოცნებედ“ მიიჩნევდა, შემდეგ იგი საერთოდ ჩამოაშორა სასკოლო-საგანმანათლებლო საქმეს.

დიმიტრი ყიფიანი თვალსაჩინო ფიგურაა **ქართული ჟურნალისტიკის** ისტორიაში. მანანა ორბელიანის სალონის წევრთა თხოვნით მან გამოსთხოვა მეფისნაცვალ მ. ვორონცოვს გიორგი ერისთავის ჟურნალ „ცისკრის“ (1852-1853) გამოცემის ნებართვა, მასვე ეკუთვნის ივანე კერესელიძის „ცისკრის“ (1857-1875) უაღრესად საინტერესო და მკაფიო ეროვნული მიზანდასახულობის პროგრამა, რომლის პრაქტიკული ხორცშესხმა ვერ მოხერხდა და სხვ.

დიმიტრი ყიფიანის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებით საინტერესოა პოლემიკური ხასიათის წერილები, რომლებშიც ავტორი ებრძოდა ხელისუფლების რუსიფიკატორულ პოლიტიკასა და ამ პოლიტიკის რეალიზატორებს (მ. კატკოვი, კ. იანოვსკი...), იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებსა და ისტორიულ უფლებას საკუთარ სამშობლოში. ამასთანავე, საგანგებოდ აღნიშნავდა ქართული სახელმწიფოს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიულ დამსახურებებს და ჩვენი ნაციონალური თვითმყოფობის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებს მიიჩნევდა დანაშაულად არა მხოლოდ საკუთრივ ქართველი ერის, არამედ მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ.

დიმიტრი ყიფიანს ნაკლები დრო და ენერგია რჩებოდა **ლიტერატურული საქმიანობისათვის**, თუმცა მან ამ სფეროშიც დატოვა სასიკეთო კვალი — აქვეყნებდა მხატვრულ ნაწარმოებებს, სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომებს, მემუარებს, თარგმნიდა უცხოურ ლიტერატურას... მისი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თარგ-

მანები (შექსპირი, მოლიერი, ბომარშე და სხვ.). დიმიტრი ყიფიანი შექსპირის პირველი („რომეო და ჯულიეტა", 1841 წ.) და მოლიერის ერთ-ერთი პირველი („ცოლის შერთვევინება", 1861 წ.) მთარგმნელია ქართულ ენაზე.

მართალია, დიმიტრი ყიფიანის თარგმანებს დღეს უფრო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ლიტერატურული, თუმცა უდავო ფაქტია — ამ თარგმანებმა თავის დროზე თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების აღორძინებაში, იმდროინდელი საზოგადოების ლიტერატურული ორიენტაციის, ინტერესებისა და გემოვნების ჩამოყალიბებაში, ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში, თეატრალური რეპერტუარის გამდიდრებაში. ამასთანავე, დიმიტრი ყიფიანი ძირითადად თარგმნიდა დასავლეთევროპელ ავტორებს, რითაც ხელს უწყობდა ქართული ლიტერატურული აზროვნების ევროპეიზაციას...

დიმიტრი ყიფიანი საინტერესო ფიგურაა **ქართულ ისტორიოგრაფიაში**. მის სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის საისტორიო ნაშრომებში, რომლებიც ძირითადად რუსულენოვან გამოცემებშია გამოქვეყნებული, დამუშავებულია ქართველთა ეთნოგენეზისის, სახელმწიფოებრიობის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, ქართული ენის, ქართველთა აღმსარებლობის, დამწერლობის, ლიტერატურის, განათლებისა და სხვა საკითხები. გარდა მეცნიერული ინტერესებისა, ამ ნაშრომებს მკაფიოდ გამოკვეთილი პატრიოტული მიზანდასახულობაც ჰქონდა; ერთი მხრივ, ავტორი რუს სახელმწიფო-ადმინისტრაციულ მოხელეებს, საერთოდ, რუსულენოვან მკითხველს (აქაც და რუსეთშიც), — უსაბუთებდა, რომ მათ საქმე ჰქონდათ არა უწარსულო და უმომავლო, გაუნათლებელ და უკულტურო ხალხთან (ქართველთა მიმართ სწორედ ამგვარ თვალსაზრისს ნერგავდა ოფიციალურ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიაცა და ამ იდეოლოგიით ნაკვები რუსული მეცნიერება-პუბლიცისტიკაც), არამედ ხალხთან, რომელსაც, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, XIX საუკუნის დამდეგისათვის სახელმწიფოებრიობის ოცდაერთსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა. მეორე მხრივ, ისტორიული წარსულის შესწავლა-პოპ-

საქართველოს პარლამენტის

ულარიზაციით ავტორი ცდილობდა იმ დროის საქართველოში ფეხმოკიდებული ეროვნული ნიჰილიზმის აღმოფხვრას, თანამემამულეების დარწმუნებას, რომ ისინი შთამბეჭდავი პოლიტიკური, რელიგიური, კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მემკვიდრეები იყვნენ. დიმიტრი ყიფიანის აზრით, ეს იყო ეფექტური საშუალება ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლებისა და ამოძრავებისათვის.

მშობლიურ ენას დიმიტრი ყიფიანი ადამიანის თვითშეგნების განმსაზღვრელ ფაქტორად და ეროვნული კულტურის საძირკვლად, ხოლო საკუთრივ **ქართულ ენას ქართველი ერის ნაციონალური თვითარსებობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარებისა და კულტურულ-იდეოლოგიური აღორძინების უმთავრეს საშუალებად მიიჩნევდა.** მისი შეხედულებით, უსათუოდ გადაგვარდება, ღმერთიც ხელს ააღებს და საკაცობრიო ცხოვრების ასპარეზიდან პირწმინდად აღიგვება ხალხი, „რომელიც თავისის ენისათვის არასა ჰზრუნავს“.

დიმიტრი ყიფიანი თანამედროვეებს თვითონვე აძლევდა „ენისათვის ზრუნვის“ საუკეთესო მაგალითს: იკვლევდა ქართული ენისა და დამწერლობის გენეზისს, სალიტერატურო ქართულის დემოკრატიზაციისა და სხვა კარდინალურ საკითხებს. ცალკე უნდა აღინიშნოს მისი ნაწერები ქართული გრამატიკის საკითხებზე. ამ სფეროში მრავალწლიანი შრომა დიმიტრი ყიფიანმა დააგვირგვინა 1882 წელს გამოცემული წიგნით — „ახალი ქართული გრამმატიკა“, რომელიც „ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წყალობით წინანდელ გრამატიკებზე მაღლა დგას“ (ა. შანიძე) და „ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც კი დაწერილა ამ დარგში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში“ (არნ. ჩიქობავა).

ჯერ კიდევ 1840-1850 წლებიდან დიმიტრი ყიფიანი პრაქტიკულად ამკვიდრებდა (თარგმანები) და თეორიულადაც ასაბუთებდა ქართული სალიტერატურო ენის ხალხის მეტყველებასთან დაახლოების აუცილებლობას და ამ მხრივ იგი დგას იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის ენობრივი რეფორმის, — სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის, — სათავეებთან, რომლის გაფართოე-

ბა, მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნება და სამწერლობო პრაქტიკაში დამკვიდრება 1860-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული.

1870-1880 წლების მიჯნაზე სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში დაუფარავი, უკიდურესი შოვინიზმით აღბეჭდილი პოლიტიკის განხორციელება ახალ ფაზაში შევიდა, ხოლო 1882 წლიდან, — კავკასიის მთავარმართებლად ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნის შემდეგ, — ამ პოლიტიკამ საქართველოში „ნაციონალისტურ კაციჭამიობის“ (ა. ჯორჯაძე) სახე მიიღო.

80-იანი წლების პოლიტიკური რეაქცია თანამიმდევრულად ამსხვრევდა რამდენიმე თაობის ბრძოლითა და შრომით მოპოვებულ ეროვნულ-კულტურულ მონაპოვრებს და, ამასთანავე, ამსხვრევდა თვითონ დიმ. ყიფიანის მრწამსსაც — საჭიროა ლოიალობა პოლიტიკური სისტემის მიმართ, რადგანაც შესაძლებელია „ჩვენი ხალხოსნობის“ შენარჩუნება და განვითარება ამ სისტემის ფარგლებშივე. ისეთი მთლიანი, მტკიცე ნების პიროვნებისათვის, როგორიც დიმ. ყიფიანი იყო, ამგვარი მსოფლმხედველობრივი ჩიხი განსაკუთრებით მძიმე და ტრაგიკული აღმოჩნდა და მოქმედების ჟინით შეპყრობილმა მოღვაწემ ეროვნული ინტერესების დასაცავად და საკუთარი მრწამსის გადასარჩენად უყოყმანოდ დატოვა თავდაცვითი პოზიცია, რომელზეც იგი 1860-1870 წლებში იდგა და, ერთადერთმა მაშინდელ საქართველოში, ბრძოლის ასპარეზი პრესის ფურცლებიდან ადმინისტრაციულ სფეროებში გადაიტანა. კერძოდ, რადიკალურად დაუპირისპირდა საქართველოში ასიმილაციური პოლიტიკის სამ ბურჯს: მთავარმართებელ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვს, ეგზარქოს პავლესა და განათლების მესვეურ კ. იანოვსკის.

ამ ყოვლად უთანასწორო და ტრაგიკული თავგანწირულებით აღბეჭდილი ბრძოლის გადამწყვეტი მომენტი მაშინ დადგა, როდესაც საქართველოში მოხდა გაუგონარი ამბავი — მწყემსმთავარმა დასწყევლა თავისი სამწყსო.

1886 წლის 24 მაისს თბილისის სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლაღიაშვილმა შურისძიების ნიადაგზე ხანჯლით მოკლა სემინარი-

ის რექტორი პავლე ჩუდეცკი. მოკლულის პანაშვიდზე, თბილისში ხალხით გაჭედილ ალექსანდრე ნეველის ტაძარში ეგზარქოსმა პავლემ (ლებედევი) მკრეხელური სიტყვები წარმოთქვა: „დაიწყევლოს სამუდამოდ შენი მკვლელიცა და ის ოჯახიც, რომელმაც შობა იგი; დაიწყევლოს ის წრე და ის ერი, რომელმაც დაბადა და ის ქვეყანა, რომელმაც გამოზარდა შენი მკვლელი“.

საქართველოში ავის მომასწავლებელი სიჩუმე ჩამოწვა და ამ სიჩუმეში გაისმა დიმიტრი ყიფიანის ხმა — მან ქვიშხეთიდან წერილი მისწერა ეგზარქოსს და მოსთხოვა მას საქართველოს დატოვება („თუ ეს ყოველივე მართალია, მეუფეო, თქვენი წოდებრივი ღირსების გადარჩენა ამასღა შეუძლია — შეურაცხმყოფელი დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს შეურაცხყოფილი ქვეყნიდან“).

ხელისუფლება აქამდე იძულებული იყო, ანგარიში გაეწია იმ გარემოებისათვის, რომ დიმიტრი ყიფიანი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობას წინამძღოლად ჰყავდა არჩეული; ანგარიში გაეწია აგრეთვე საზოგადოებაში დიმიტრი ყიფიანის სახელისა და ურყევი ავტორიტეტისათვის. ახლა კი ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა „მეამბოხისათვის“ ანგარიშის გასასწორებლად. ალ. დონდუკოვ-კორსაკოვმა კონფიდენციალური წერილით მიმართა იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრს: „წლებმა და გამოცდილებამ ვერ დააცხრო ყიფიანის ავადმყოფური ლტოლვა — გაითამაშოს ქართული ნაციონალიზმის მოწინავე ქომაგის როლი და ამგვარი პირფერობით მოიხვეჭოს პოპულარობა ადგილობრივი თავადაზნაურობის ფრონდირებულ ნაწილში... ამ ბოლო დროს მან უკვე მეტისმეტად აშკარად და მკვეთრად გააძლიერა აგიტაცია ამჟამად აქ მოქმედი საგანმგებლო სისტემისა და, განსაკუთრებით, სასწავლო უწყების წინაშე დასახული ამოცანების წინააღმდეგ... ეს ყოველივე მაყენებს სამწუხარო აუცილებლობის წინაშე, განვაცხადო: მართებლობისათვის საზიანოდ მიმაჩნია ყიფიანის დატოვება არა მარტო თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობაზე, არამედ საერთოდ იმ მოსახლეობაში, რომელიც მიჩვეულია, მის პიროვნებაში ხედავდეს ხალხის ყალბად გაგებულ ინტერესებზე მზრუნველს. მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო თქვენს ბრწყინვალებას,

მოახსენოს ეს ყოველივე ხელმწიფე-იმპერატორს და გამოითხოვოს უზენაესი ნებართვა, რომ ყიფიანი დათხოვნილ იქნეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობიდან და საცხოვრებლად მიეჩინოს ქალაქი სტავროპოლ-კავკაზსკი. მისთვის უცხო და უცნობ ეროვნულ გარემოში ყიფიანი მოკლებული იქნება საშუალებას, გააგრძელოს თავისი საძრახისი საქმიანობა".

იმპერატორ ალექსანდრე III-ის ბრძანებით დიმიტრი ყიფიანი გადააყენეს წინამძღოლობიდან, აჰყარეს მოქალაქეობრივი უფლებები და მხცოვანი მოღვაწე სტავროპოლში გადაასახლეს.

სტავროპოლში დიმიტრი ყიფიანი თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ სამშობლო ქვეყნის ინტერესთა დაცვა მისგან მაინცადამაინც სიცოცხლის გაღებას მოითხოვდა. და, მიუხედავად ამისა, იგი ოჯახის წევრებს კატეგორიული ტონით სწერდა: „იმის იმედი მაინც მაქვს, რომ შეწყალებაზე არსად, არასოდეს არავითარი ლაპარაკი არ იქნება, რამდენადაც შეწყალებას, — გარდა ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა-ვედრებისა, — მხოლოდ დამნაშავეები ითხოვენ".

მოხუცებულსა და ავადმყოფ დიმიტრი ყიფიანს არც სტავროპოლში დაუყრია ფარ-ხმალი: „მე თვითონ უნდა ავხადო სიმართლეს ფარდა, — სწერს იგი სტავროპოლიდან მეუღლეს, — მე თვითონ უნდა ვთქვა სიმართლე, რაც არ უნდა მწარე იყოს იგი! ახლა ჩემს გარდა ეს არავის ძალუძს!"

„მწარე სიმართლის" სათქმელად დიმიტრი ყიფიანმა რუსეთის იმპერატორთან შეხვედრა გადაწყვიტა. მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა საიმპერატორო ოჯახის წევრთან, დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძესთან, რომლის მეშვეობითაც მოიპოვა ალექსანდრე მესამესთან აუდიენციის უფლება. თავის მხრივ, კავკასიის ხელისუფლებამაც იგრძნო საშიშროება და გადაწყვიტა, ხიფათისათვის სასწრაფოდ დაესვა წერტილი — 1887 წლის 25 ოქტომბრის დილას დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლშივე, საკუთარ საწოლში იპოვეს ხელფეხშეკრული და ტვინდანთხეული...

„ივერიაში" ზედიზედ გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის წერილები, რომლებშიც ავტორმა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების წესსა და მის

ნამოღვაწარზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა ზოგადი ტიპი დიდბუნებოვანი, ურყევი პრინციპებისა („ხასიათიანი“) და მადლისმქმნელი მამულიშვილისა:

„რომ მე მართლადა ჭეშმარიტად ბედნიერი ვიყო, საჭიროა ყველა სხვა სულიერნიც ბედნიერნი იყვნენო“, — ამბობს ერთი მეცნიერი. მადლის მოედანი და სარბიელი ეს არის. ყოველი კაცი ბედნიერებისათვის იღვწის, მაგრამ ყოველს კაცს მიჩნეული არა აქვს თავის საკუთარ ბედნიერებად სხვისი ბედნიერება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თავისი საკუთარი ბედნიერება სხვის ბედნიერებასთან განუყოფელად ყოველს კაცს ვერ გაუერთებია. ამ გაერთებისათვის დიდის ხიდის გადებაა საჭირო და ამას დიდი ღონე უნდა სულისა, დიდი შეძლება გულისა, და ყველა კაცს არ მოეკითხება. ვისაც კი ეგ ღონე და შეძლება აქვს, იგი მით ნაწილია ყველასი, — ჩემიც, თქვენიც და სხვისაც, იმიტომ, რომ იგი ჩემს, თქვენს და სხვის ბედნიერებაში ეძებს მხოლოდ და ჰპოულობს თავს საკუთარ ბედნიერებას და, მაშასადამე, იმისი ბედნიერება და უბედურება — ჩემი, თქვენი და სხვისი ბედნიერება და უბედურება უნდა იყოს. ეს ისეთი ძნელად გასადები ხიდია, ეს ისეთი მძიმე და ეკლიანი გზაა, რომ თვითეული ბიჯი ღვაწლია და მსხვერპლი, და რადგანაც ღვაწლია, რადგანაც მსხვერპლია, ამიტომ მადლია, და რადგანაც მადლია, ამიტომ გულთა მიმზიდველია, გამმსჭვალავია გაოცებამდე, გაკვირვებამდე. ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც კი ჰგრძნობს, თუმცა არა ჰხედავს“.

სტავროპოლიდან ვლადიკავკაზის გზით წამოსვენებული ცხედარი დიმიტრი ყიფიანისა რამდენიმე დღე მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში იყო დასვენებული. ხელისუფლების კატეგორიული მოთხოვნა იყო ცხედრის მცხეთიდან ქვიშხეთში გადასვენება (თბილისში შეუსვლელად) და იქ დასაფლავება, საზოგადოება კი ასევე კატეგორიულად მოითხოვდა მიცვალებულის დაკრძალვას თბილისში, მთაწმინდის ეკლესიის გალავანში, ხოლო საბაბად იმ ფაქტს ასახელებდა, რომ იქ დიმიტრის ორი მცირეწლოვანი შვილი იყო დასაფლავებული.

საბოლოოდ ხალხმა მაინც თავისი გაიტანა და დიმიტრი ყიფიანის ცხედარი თბილისისაკენ წამოასვენა. საბურთალოსთან კუბო

ბალდახინიდან ჩამოიღეს და მგალობელთა წინამძღოლობით გაა-გრძელეს გზა. მრავალრიცხოვან პროცესიას, რომელთა შორის იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვალერიან გუნია და სხვები, წინ მიუძღოდა ქართველი სამღვდელოება ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის მეთაურობით. სამგლოვიარო მსვლელობა თანდათანობით მძლავრი საპროტესტო გამოსვლის სახეს იღებდა. მაშინ ხელისუფლებამ ქალაქში პოლიცია და ჟანდარმერია გამოიყვანა და სასწრაფოდ გოლოვინის (ამჟამად — რუსთაველის) პროსპექტზე გზა შეკრა.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა და შეტაკებაც თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ამ დროს სასიქადულო თავგამოდება გამოიჩინა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, რომელმაც ჯვარი ზეაღმართა და შეძახილით — „გზა მიეცით ჯვარს!“ — პოლიციის რიგებში ჯიქურ შევიდა. პოლიციამ მღვდელმთავრის შეჩერება ვეღარ გაბედა და ძალაუნებურად უკან დაიხია. ხალხმა ამით ისარგებლა, გაარღვია პოლიციისა და ჟანდარმერიის რაზმები და გოლოვინის პროსპექტზე გაიშალა. კუბო ცოტა ხნით მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვის სასახლის წინ დაასვენეს, იქ მიცვალებულს პანაშვიდი გადაუხადეს, ამის შემდეგ სოლოლაკის გზით ცხედარი მამადავითზე აასვენეს და მთაწმინდის მიწას მიაბარეს.

დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა „ქართულ ეროვნულ თვითშემეცნების ისტორიაში ისტორიულ დღედ დარჩება... ერთი საფეხურით წინ წავდექით, ჩვენდა მოულოდნელად ერთად ვიგრძენით ჩვენი თავი, თვით-შემცნე და თვით-შემგნე ერად. ეს სასწაული დიდის ხნობით მზადდებოდა... ილიას, აკაკის და სხვათა ძახილზე ვიღაცის მოლოდინში გაოცებულის სიხარულით გავყურებდით ამ ჩვენ დამშვენებულ ქვეყანას და ახლა იმ მოხუცის წყალობით, მთაწმინდაზე რომ მიწას აბარია, გადაჭრით და სამუდამოდ გამოვერკვიეთ ძილისა და ბურანისაგან“ (ა. ჯორჯაძე).

1899 წლის 24 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა დიმიტრი ყიფიანს საფლავზე ძეგლი დაუდგა (მოქანდაკე — ფელიქს ხოდოროვიჩი). ძეგლი აკურთხა იმჟამად ალავერდის ეპისკოპოსმა, შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ.

2007 წლის 26 აპრილს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით დიმიტრი ყიფიანი შეირაცხა წმინდანთა დასში და ეწოდა „წმინდა დიმიტრი (ყიფიანი) — სამშობლოსათვის წამებული“.

დასასრულ, შემოკლებულად დავიმოწმებთ თვალსაჩინო ქართველი მოაზროვნის, კიტა აბაშიძის (1870-1917), წერილს „გმირი — პროტესტანტი“:

„ჩვენი ერის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ მეობას ამშვენებს სახელები, რომლის წინაშე ყოველი ქართველი დიდის სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით ქედს უნდა ჰხრიდეს.

მეცხრამეტე საუკუნე ქართველი ერის არსებობაში დიდ პიროვნებათა, დიდ ადამიანთა ეპოქათ უნდა ჩაითვალოს. დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე — ეს ორი ბურჯი ჩვენი ეროვნებისა — ამაყად გამოიყურებიან მეცხრამეტე საუკუნის უიმედო და უნუგეშო სინამდვილიდან...

ხმის ამაღლება, სადაც ეს საჭიროა და აუცილებელი, გულის წყრომის გამომჟღავნება, როდესაც ამას მოითხოვს ერის ინტერესები, გმირული იქნება ყოველთვის. დიმიტრი პირველი ქართველი პროტესტანტია, რომელმაც ხმა აღიმაღლა მაშინ, როდესაც გარეშემო დუმილით იყო მოცული. ამ საშინელ თავდამცირების ხანაში ყიფიანის სიტყვა მკვეთრი იყო, ვით მოღერებული ხმალი და თავზარდამცემი, როგორც მოულოდნელი თავდასხმა.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ყოველთვის შეუძლიან იამაყოს დიმიტრი ყიფიანის გმირული თავდადებით. და ჩვენც, თანამედროვე ქართველნი, ღრმა პატივისცემით მოვიხსენიებთ იმას, ვინც ერის ტკივილებს განიცდიდა, ხალხის საიდუმლო ზრახვას გრძნობდა.

დღეს, როდესაც საქართველოს ასე ესაჭიროება განწირული სიტყვა და ღრმა აზრი; დღეს, როდესაც ყოველი ჩვენთაგანი გრძნობს სიცარიელეს და უდიდეს სულიერ კარჩაკეტილობას განიცდის, აუცილებლივ საჭიროა მოგონება და პატივისცემა ადამიანისა, რომელიც, თავგაჩეხილი, სწორედ ამ გაბედულ სიტყვისთვის მსხვერპლად შეეწირა ჩვენი ერის უფლებების და თავმოყვარეობის დაცვის საქმეს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იგი იყო კაცი ხასიათისა“

„არიან ბევრნი დიდ-ხარისხოვანიცა, მეცნიერიც, მოღვაწენიცა, მწერალნიცა და არ არიან მხოლოდ ხასიათის კაცნი, კაცნი გულთა სრულნი...“

ილია ჭავჭავაძე

„ოთხმოციანი წლები მძიმე მოსაგონია ქართველი კაცისათვის მძიმე, მძიმე მოსაგონია ოთხმოციანი წლები, ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების დღიურში იგი შავი ზოლივით არის ჩაკრული“ — შენიშნავდა ცნობილი ქართველი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე ია (ილია) კარგარეთელი XIX საუკუნის 80-იანი წლების შესახებ.[1]

იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების, დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობისა და მისი ტრაგიკულად დაღუპვის შესახებ საინტერესო დოკუმენტებია დაცული საქართველოს ეროვნული არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში. ეს დოკუმენტები ხელნაწერების სახით ინახება სილოვან ხუნდაძის, ანა ხახუტაშვილის, ია კარგარეთელის, აკაკი შანიძის, დოდო ანთაძის, ვახტანგ გურგენიძის პირად ფონდებსა და სხვადასხვა კოლექციებში. მათი გაცნობა საშუალებას გვაძლევს, კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების იმ პერიოდზე, რომელსაც ილია ფერაძემ თავის ერთ ჩანაწერში **„დონდუკოვის ჟამი“** უწოდა და გავითვალისწინოთ არაერთგზის მიღებული მწარე გაკვეთილი.

დიმიტრი ყიფიანი, თავადაზნაურთა წინამძღოლი, ვისაც კარგა ხანს სჯეროდა, რომ **„თავადაზნაურთა ღირსებას უძრახველი სამსახური შეადგენს რუსეთის ტახტისადმი“**, თავისი უღალატო ხასიათის მსხვერპლად იქცა, რადგან მისი პრინციპები: ერთგული

1 ია კარგარეთელის მოგონება, პ. ფ. 329, ა. 1, ს. 21 ხელნაწერი.

სამსახური ტახტისადმი და თავგანწირული ბრძოლა ეროვნული ღირსების შენარჩუნებისათვის, ხშირად იწვევდა კონფლიქტს. რამდენადაც რუსულ მონარქიზმსა და ქართულ ნაციონალიზმს შორის ჰარმონია ვერ დამყარდებოდა, იმდენად მოუგვარებელი იყო ეს კონფლიქტი.

ჩანახატი ანა ხახუტაშვილის დღიურიდან:

„იმ საღამოს დიმიტრი მეტად დაფიქრებული იყო, მის ჭკვიან თვალებში სევდა იწვა, რომელიც სიტყვებზე უკეთესად ღაღადებდა ... თავჩაღუნული დიდხანს დუმილით ბოლთას სცემდა აღმოსავლეთის მხრივ ფართო აივანზე. სახლში რომ შენიშნეს მისი უგუნებობა, ფიცხლავ ყველა მიწყნარდა. სტუმრები ქვემოთ, დიდ ბაღში გასულიყვნენ სასეირნოდ... მეუღლე მისი, ნინო, ჩალის სავარძელში ჩამჯდარიყო და მოუსვენარი გრძნობით თვალს ადევნებდა, თან გაზეთში იყურებოდა, რომ დიმიტრის არაფერი შეემჩნია. შუა ოთახიდან როიალის ხმა ისმოდა. ეს მისი შვილი, ელენე უკრავდა მამის საყვარელ სონატას, რომ მძიმე ფიქრები სათაყვანებელ მამისა მუსიკით მაინც შეენელებინა. მიზეზი ამგვარ სულიერი განწყობილებისა არც თვითონ მოხუცმა იცოდა. იგი გულის სიღრმეში რაღაც მოუსვენრობას გრძნობდა და უგუნებობას აწერდა. თუმცა, სადილის დროს რუსეთის მოხელეთა საქციელზე რომ ლაპარაკობდნენ, დიმიტრიმ თავის წარსულს თვალი ერთი წუთით გადაავლო და თითქმის გაიოცა, რომ უმაღლეს მთავრობის და მეფის მოქმედების მთავარ და ნამდვილ მიზეზს ღრმა მოხუცებულობამდე ვერ მიმხვდარიყო. ერთგულ და ჭეშმარიტ რუსეთის ხელმწიფის მოხელეს მთელი თავისი უღრმესი სიწრფელით სწამდა, ყოველგვარ სახელმწიფო საქმიანობას დიდ ღვაწლს იმისთვის სდებდა, რომ იგი დარწმუნებული იყო, ამით სამშობლოს პრესტიჟს მაღლა სწევდა: რომ, დარბაისელი და გონებანათელი ქართველი, თავისი ქვეყნის საქმესაც თავისი გავლენით და გამჭრიახობით გამოადგებოდა“.[1]

---

1 ანა ხახუტაშვილის ჩანაწერები, ფ. 29, ა. 1, ს. 77, გვ. 52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„1882 წელს საქართველოს მოევლინა სამება: მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი, ეგზარხოსი პავლე და ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი დეკანოზი პავლე ჩუდეცკი, რომელთაც თავისი მოღვაწეობის დროშაზე ეწერათ „ქართველთა გარუსება“.

80-იან წლებში ქართული დრამატული საზოგადოების დაარსებამ, ქართული მწერლობის გაჩაღებამ და, საზოგადოდ, ქართველი ერის მოწინავეთა სიფხიზლემ, ძილი დაუფრთხო რუსეთის ბიუროკრატიას, რომელსაც ეს ერი უკვე მკვდარი ეგონა... მათი მთავარი ყურადღება მიექცა ტფილისის სასულიერო სემინარიას, რომლის კედლებშიც თავმოყრილნი იყვნენ მთელი საქართველოს ტომთა შვილები... ყოველი საუკეთესო, პროგრესული მოვლენა გამოძახილს ჰპოულობდა სემინარიის ნიჭიერ მოწაფეთა შორის: აქ სცემდა თითქოს მთელი ქართველი ერის მაჯა... სემინარიის რექტორი ჩუდეცკი სდევნიდა მოწაფეთა შორის ყოველივე ცოცხალ აზრს... იგი იყო საღი გონებრივი განვითარების ინკვიზიტორი. ბევრი მოწაფე დაითხოვა სემინარიიდან უბრალო მიზეზის გამო....

ეგზარხოსი პავლე, რექტორის ცოლის მიჯნური, მისი მფარველი იყო. ეს დრო მეტად საყურადღებო დროა სემინარიის მატეანეში... ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც ეგზარხოსი პავლეები უმტკიცებდნენ რუსეთის მთავრობას, რომ ქართველი ჭაბუკის ტვინი ვერ შეითვისებს ფილოსოფიას... მართლაც, ამ მტკიცების შედეგი იყო ის, რომ სინოდმა მოსპო ფილოსოფიის სწავლება სემინარიაში და მით ძალზე დააქვეითა მოწაფეთა განვითარების საქმე. რაც მეტს სდევნიდნენ მოწაფეებს, მით უფრო ღვივდებოდა მათში რექტორისადმი მტრობა... ის გახდა კოლექტიური შურისძიების გრძნობად, რომლის აღსრულება თავს იდო მესამე კლასის მოწაფემ იოსებ ლაღიაშვილმა, ცალი თვალით ბრმამ. 1886 წლის 24 მაისს, დილის 11 საათზე, იოსებ ლაღიაშვილმა ხანჯლით მოკლა ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, დეკანოზი პავლე ჩუდეცკი იმ დროს, როდესაც მოწაფეები საეგზამენო თხზულებას სწერდნენ კლასებში“.[1]

---

1 ილია ფერაძის მოგონება, ფ. 29, ა. 1, ს. 71, გვ. 1. ხელნაწერი.

„დოკტორ ჩუდეცკის მკვლელობამ მთელი ქვეყანა შეარყია. სასულიერო პიროვნების უმაგალითო მკვლელობა, ...და იმიც მოუსვენარ და აბეზარ საქართველოში — მეხივით გავარდა ჯერ ჩვენს ქვეყანაში და შემდეგ სანქტ-პეტერბურგში, უწმინდეს სინოდის ყველა კუთხეში შორეულ გამოძახილად დაიგუგუნა. ...ატყდა საშინელი განგაში, ჩურჩული და მითქმა-მოთქმა... საქართველოში თავადაზნაურთა დიდმა ნაწილმა ხმამაღლა დაჰგმო და იუდას კერძათ აღიარა „გარეწარი ლაღიაშვილი“. შიშით შეპყრობილმა საზოგადოების პატარა ჯგუფმა ფართოდ გაახილა თვალები და ოდნავ აჩურჩულდა. მხოლოდ პატარა ნაწილმა ქართველ საზოგადოებისამ თავს იდო ხალხის გულის გამაგრება და უშიშრად ყველგან ღაღადებდა იმას, რომ გამწარებულმა რომაელებმაც მხოლოდ მაშინ მოახერხეს ხანჯლის კეისრის გულში ჩაცემა, როცა თავისუფლად სულის ამოთქმა აღარ შეიძლებოდა. დღევანდელმა მდგომარეობამ კაცთმოყვარე, სათნოებით სავსე ლაღიაშვილს ხანჯალი ხელში იმიტომ ააღებინა, რომ ეს ბინძური მსხვერპლი მომავლის შურისსაძიებელ ქვაკუთხედად დაედოვო“.[1]

„ჩუდეცკი დამარხეს ტფილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში. მწარედ იყო აღელვებული რექტორის მოკვლით ეგზარხოსი პავლე. მან ვერ შეიმაგრა თავი და დასწყევლა წირვის დროს საქართველო, როგორც სამშობლო ლაღიაშვილისა და მისი მსგავსი ბოროტმოქმედებისა ...“

„ჩემი ნავი ნაღვლის ზღვასა შევაცურე სარგებელად,
ან დავინთქმი, ან მარგალიტს ამოვიღებ, ვიგდებ ხელად“.[2]

დიმიტრი ყიფიანი აღაშფოთა ქართველი ხალხის შეურაცხყოფამ, მან თავს იდო ეროვნული ღირსების დაცვა, ამხილა და დაუპირისპირდა ეკლესიას ამოფარებულ რეაქციულ ძალას. **„მტრის ურჩი რაინდი“, „მაღალსამღვდელოების მორჩილი მსახურის“** სახელით ცდილობს **„თავიდან ააცილოს ქვეყანას რაიმე ახალი დიდი შეცოდება“**, მის მიერ ეგზარქოს პავლე ლებედე-

---

1 ანა ხახუტაშვილის ჩანაწერები, ხელნაწერი. ფ. 29, ა. 1, ს. №77, გვ. 39.

2 ილია ჭავჭავაძე, გაზ. „ივერია“, 1887წ. 31 ოქტომბერი: „მეთაური წერილი“.

ვისადმი 1886 წლის 8 ივნისს, სადგურ მიხაილოვიდან (ახლანდელი ხაშური) მიწერილი წერილი ამის ნათელი დასტურია. გონიერმა მამულიშვილმა, ერთი მხრივ, მისცა შესაძლებლობა მაწყევარ ეგზარქოსს ნათქვამის უარყოფისა, მეორე მხრივ, დაემუქრა, ან ბოდიში მოეხადა სამწყსოს წინაშე უცოდვილესი სიტყვების გამო, ან „შეურაცხმყოფელი დაუყონებლივ ყოფილიყო შეურაცხყოფილი ქვეყნიდან გაყვანილი".

აღმოჩნდა, რომ ეგზარქოსი არაფრის უარყოფას და, მით უმეტეს, ბოდიშის მოხდას არ აპირებდა, მან დიმიტრის მოკლედ უპასუხა: „ჩემი სიტყვა, როგორც მითხრეს, „კავკაზში" არის დაბეჭდილიო..."

„მალე საქართველოში ჩამოვიდა ხელმწიფის ყოფილი მოადგილე, მიხეილ ნიკოლოზის ძე ცოლითურთ. დიმიტრი ყიფიანმა მიიწვია სტუმრები ქუთაისში, რადგან ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურების წინამძღოლი იყო. მას გულახდილი და თამამი საუბარი ჰქონდა მათთან — „დღეს ჩვენს სამშობლო ენას არაფრად აგდებენ, სასწავლებლებში ჩვენს შვილებს არ ასწავლიან ქართულ ენას" — სჩიოდა დიმიტრი სტუმართა წინაშე. სტუმრებმა დაარწმუნეს დიმიტრი, რომ ყოველივე ეს ადგილობრივი მოხელეების ბრალია... ამ დროს სწორედ მთავარმართებლად იყო დონდუკოვ-კორსაკოვი, რომლის დაბეზღებითაც მიხეილ ნიკოლოზის ძე იქმნა ხელმწიფის მოადგილეობიდან გადაყენებული".[1]

ერის ღირსების დაცვა დიმიტრი ყიფიანს სიცოცხლის ფასად დაუჯდა, **„მავნებლური მოღვაწეობისა"** და ხალხის დამცველის როლის თამაშის **„ავადმყოფური მისწრაფების"** გამო ჯერ თანამდებობა დაატოვებინეს, შემდეგ სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც ვერაგულად მოკლეს.

მწერლის დღიურიდან:

„... სავალალო მდგომარეობა საქართველოსი მოხუცს გულს უღრღნიდა. უკანასკნელი მისი ძალ-ღონე იქით იყო მიმართული, რომ ფხიზელი გონებით განეჭვრიტა ის დუხჭირი გარემოება, რაც

1 ილია ფერაძის მოგონება დ. ყიფიანზე. ფ. 29, ა. 1, ს. 71.

საქართველოს ირგვლივ ტრიალებდა. ის იმედი, რომ დიდი ხელმწიფე-იმპერატორი მისი ქვეყნის მფარველი იყო — სიზმარივით გაქრა, დონდუკოვ-კორსაკოვი მეფეს ატყობინებდა — ეს მოხუცი მეამბოხე ჩვენი გეზის გატარების წინააღმდეგი არის და ჩვენი ზრახვების დამაბრკოლებელიო. ამ ამბავმა ის გამოიწვია, რასაც რუსის ტახტის ერთგული მსახური, მეფის დიდი მღაღადებელი, მოხუცი დიმიტრი, არასოდეს არ მოელოდა, მეფემ დონდუკოვ-კორსაკოვის დაბეზღება სამართლიანად მიითვალა და დიმიტრის ჯერ სასტიკი შენიშვნა გამოუცხადეს, მერე კი სამსახურიდან დაითხოვეს. თვალები მხოლოდ მაშინ აეხილა, როცა 67 წელი დაუღალავი ენერგიით, დიდი ერთგულებით შესწირა იმპერატორის მრავალ საქმიანობას, დიდად განათლებულმა, მთელი ახალგაზრდული გონებრივი და ფიზიკური ძალა მსხვერპლად იმისთვის დაუდო თვითმპყრობელი მეფის საქმიანობას, რომ თავისი ქვეყნის საქმეც წინ წაეწია..."[1]

კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელმა, დონდუკოვ-კორსაკოვმა, შინაგან საქმეთა მინისტრს, დიმიტრი ტოლსტოის შეატყობინა:

„ბ-ნ ყიფიანს სხვანაირად ესმის თავისი როლი, რასაც ამტკიცებს მისი ახალი გამოსვლა დიდად პატივცემული რუსი მწყემსმთავრის, პავლეს წინააღმდეგ... წლებმა და წარსულმა გამოცდილებამ ვერ შეანელა ბ-ნ ყიფიანის ავადმყოფური მისწრაფება, ითამაშოს როლი ქართველი ხალხის მოწინავე დამცველისა და მოიპოვოს პოპულარობა ადგილობრივი თავადაზნაურობის ოპოზიციურად განწყობილ ნაწილში... ბ-ნ ყიფიანის უკანასკნელი საქციელი კი, რომელიც მიმართულია ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენლის გავლენის შესუსტებისაკენ, მაიძულებს მე განვაცხადო, რომ ბ-ნ ყიფიანის არამც თუ კვლავ დატოვება თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობაზე, არამედ იმ მოსახლეობაშიც კი, რომელიც მას უყურებს როგორც თავის, ყალბად გაგებულ, ინტერესების დამცველს, მე მიმაჩნია საზიანოდ მთავრობის მიზნებისთვის. ზემოხსენებულის შესახებ, პატივი მაქვს, უმორჩილესად ვთხოვო თქვენს ბრწყინვალებას, მოახსენოთ იმპერატორს და გამოითხოვოთ უმაღ-

---

1 ანა ხახუტაშვილის ჩანაწერები, ფ. 29, ა. 1, ს. - 77, გვ. 49. ხელნაწერი.

ლესი თანხმობა ბ.ყიფიანის ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლის თანამდებობიდან გადაყენებაზე და სტავროპოლში გადასახლებაზე, სადაც ბ.ყიფიანი მოკლებული იქნება საშუალებას განაგრძოს თავისი მავნებლური მოღვაწეობა". [1]

„მან 1886 წელს შეაგროვა მასალა, სხვათა შორის დეპეშაც, დიმიტრის წინააღმდეგ და დასწამა მას აგიტაციის გაწევა რუსეთის ბატონობის დასამხობად საქართველოში. მისი დაბეზღებით დიმიტრი გადაყენებული იქნა თანამდებობიდან და საცხოვრებელ ადგილად დაენიშნა სტავროპოლი..."[2]

1986 წელსვე, 22 აგვისტოს მთავარმართებელმა ა.მ. დონდუკოვ-კორსაკოვმა მიმართა ქუთაისის სამხედრო გუბრნატორს (წერილი №7916): „По поводу речи, произнесенной минувшего Мая высокопреосвященным Экзархом Грузии при погребении покойного Ректора Тифлисской Духовной Семинарии, Протоеирея Чудецкого, злодейски убитого однимъ изъ бывшихъ воспитанниковъ этого заведения, Кутайский Губернский Предводитель Дворянства Кипиани, по ложнымъ дошедшимъ до него слухамъ, позволиль себе обратиться къ Экзарху с письмом крайне неумствнаго, даже оскорбительнаго и угрожающаго содержания и написанном при том на официальном бланке Кутаисскаго Губернскаго Предводителя дворянство Г.Кипиани в этом письме, очевидно, желал разыграть роль ревностнаго грузина патриота, виступаиушчаго на защиту оскробленной будто-бы чести родины, и тем придать себе особое значение в глазах своих сопломенников. Это усматривается между прочим, , и из того что Г. Кипиани постарался распространить среди Грузинскаго Общества списки с своего письма к Экзарху, как он это сделал в прошлом году с записанным им разгавором с ВЕЛИКИМ КНЯЗЕМ МИХАИЛОМ НИКОЛАЕВИЧЕМ. По сообщении мне этого письма высокопреосвященным Павлом, я счелъ домом довести о нем через Министра Внутренних дел, до О сведения. По всеподанеихшему докладу Министром Внутренних

---

1 ცსა, ფ. 12/33, ს. 457, გვ. 32-34.

2 ილია ფერაძის მოგონება დ.ყიფიანზე. ფ.29, ა.1, ს.71.

Дел обстоятельств сего дела, ГОСУДАРЬ ИМПЕРАТОР, в 4 день сего Августа, ВИСОЧАИШЕ повелеть соизволил : уволить Действительнаго Статскаго Советника Кипиани от должности Кутаисскаго Губернскаго Предводителя Дворянство и назначить ему местом жительства город Ставрополь Кавказский. О таковом ВИСОЧАИХШЕ поволении имею честь сообщить Вашему Превосходительству, для зависящих распоряжения и обявления Г. Кипиани.

подписал: Генерал-адиутант князь Дондуков-корсаков.

Директор Канцелярии Генерал-Майор Щепелев".[1]

„ამრიგად, დონდუკოვ-კორსაკოვმა უმაღლეს გამარჯვებას მიაღწია... მან ყოველ ფრონტზე და ყოველ საკითხში დაამარცხა „თავხედი ყიფიანი",...იგი წინასწარ ამზადებს ნიადაგს დ.ყიფიანის გადასახლების შესახებ".[2]

მწერლის დღიურიდან:

აკაკის შეხედულება:[3]

„ერთხელ ქუთაისს მივდიოდი, მესამე კლასში გავიარე და დ.ყიფიანი შემხვდა. გვერდით მივუჯექი. მეტად დაღონებული იყო. ბევრი რამ შემომჩივლა და სხვათა შორის, მითხრა: „ვფართხალობ, მაგრამ ფართხალსაც ძალა უნდა და მე კი შემომაკლდაო. ქუთაისის გუბერნიის მარშლობა შევთავაზე, — რატომ არაო, მაგრამ ხელმოკლეობა მიშლის ხელსაო. — საშუალება რომ გამოგიჩინოთ-მეთქი? — მაშინ დიდი სიამოვნებითო.

დიმიტრი ჩავიდა ქუთაისში. ამოირჩიეს მარშლად დიდი თანაგრძნობით და აღტაცებით. მთელი დღე ლიტანიობდნენ, სხვათა შორის, ჩასვეს ფაიტონში, თვითონაც ჩასხდნენ ფაიტონებში, „ვაშას" ძახილით ბულვარი სამჯერ შემოატარეს, მთელი ქუთაისი იქ მოზღვავდა საცქერლად, ამან გაამხნევა მოხუცი, გაუახლა ყმაწვილური ოცნებები და ბევრს რამესაც უქადდა იმერეთს, მაგრამ ეს სოფელი განა დიდხანს ვინმეს ახარებს? მის გადასახლებამდე რამდენიმე

---

1 ფ. 29, ა. 1, ს. 6, გვ. 10-11.

2 ს.ხუნდაძე.

3 იგულისხმება აკაკი წერეთელი.

დღის წინათ ქვიშხეთში მიველ, ვნახე და მისმა მხიარულმა სახემ გამაოცა. — „ერთი ამ თავითო და მეორე იმ თავითო“ — სიცილით შემომეხმაურა გაკვირვებულს: — პატიმრობით დავიწყე ცხოვრება და პატიმრობითვე ვათავებო. დაღრეჯილობა რომ შემატყო, სიცილით მითხრა: „ ნუ გშურს ჩემთვის ეს ღვთის წყალობაო! უკეთესს ჯილდოს მე ვერც კი მოვიფიქრებდიო. ეს ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდკაცობისთვის იგზავნებიან ციმბირში და ჯერ იდეურად არავინ დასჯილაო და დეე პირველი მერცხალიც მე ვიყოო... მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაჰკრავს და გაზაფხულს ვეღარ ესწრება, მაგრამ მაინც პირველი მახარობელია და გაზაფხული მაინც მოვაო“.[1]

ჩანახატი:

„ხაშურისკენ მიმავალ გზატკეცილზე სწრაფად მიმავალ ეტლს დაინახავს... სულ 25 წუთი არ გაივლის, რომ ეტლი დიმიტრის დიდ ბაღთან შედგა... ეტლში მჯდომი სამხედრო პირი მაზრის უფროსი შალიგინი აღმოჩნდა... დიმიტრი მიხვდა, რომ რაღაც მძიმე დავალებით იყო სტუმარი გარჯილი და სახლში მაინც ღიმილით და თავაზიანად შემოიპატიჟა. მაზრის უფროსმა უბიდან დაკეცილი ქაღალდი გამოიღო და მიაწოდა. დიმიტრიმ დახედა და სახეზე მწარე ღიმილმა გადაჰკრა. - ნუ ჩტო ჟ - **от веление судьбы никуда не уедешь**, - წარმოსთქვა დიმიტრიმ და სტუმარი განმეორებით მიიპატიჟა. გაკვირვებულმა მაზრის უფროსმა უხერხულად იგრძნო თავი და სრულყოფით სავსე მოხუცს უარი ვერ გაუბედა. თავდახრილი რუსი გაჰყვა. სადილი... ბაასი... უფროსის წასვლა და დიმიტრის მიერ ღიმილით გამოცხადება, რომ უნდა შეამზადონ წასასვლელად. ტირილი სახლში და მისი გაცილება მცხეთამდე“.[2]

1886 წლის 27 ოქტომბერს დ.ყიფიანი „ნებაყოფლობით“ გაემგზავრა გადასახლების ადგილას...

„დიმიტრის ცოლ-შვილი სთხოვდა მის დაბრუნებას დიდ მთავარს, მიხეილ ნიკოლოზის ძეს, რომელიც ბორჯომში იმყოფებოდა... სამეგრელოს პრინცესა სალომე მიურატიც ამასვე

---

1 ანა ხახუტაშვილის ჩანაწერები, ფ. 29, ა. 1, ს. 77 ხელნაწერი, გვ. 20.

2 ანა ხახუტაშვილის ჩანაწერები, ფ. 29, ა. 1, ს. 77, გვ. 10.

სთხოვდა... დაპირებისამებრ ნიკოლოზ მიხეილის ძემ იწყო დგომლა ხელმწიფის წინაშე დიმიტრი ყიფიანის სტავროპოლიდან საქართველოში დაბრუნების შესახებ. დონდუკოვის ჟამი იყო. ის სწერდა მთავრობას: „რადგან კავკასიაში გაგვყავს ჯარისკაცები... დიმიტრი ყიფიანის დაბრუნება დაბრკოლებას მოგვცემსო, სანამ ჯარისკაცების გაყვანა არ დამთავრდება, სჯობს, დარჩეს სტავროპოლშიო... ამისდამიუხედავად გადაწყდა პეტრეს ქალაქში დიმიტრის გათავისუფლება. ამას ზედ დაერთო დონდუკოვისა და პავლე ექსარხოსის გადაყვანა, რომელთა მტარვალური პოლიტიკა აღელვებდა ხალხსა...

მოვიდა დიმიტრის გათავისუფლების ამბავი ტფილისში, მაგრამ ამ ამბის მოსვლის წინ, შაბათს ღამით, 1887 წლის 25 ღვინობისთვეს ვიღაც უცნობის უღვთო ხელმა თავში მძიმე გირის დარტყმით სიცოცხლე მოუსპო მრავალნაყოფიერ მუშაკს — დიმიტრი ყიფიანს, რომელსაც, როგორც ექიმებს დაემტკიცებინათ, შეეძლო კიდევ დიდხანს სიცოცხლე:

„ქვა\დაჰკრა,\თავი\გაუპო,
დაიმორჩილა საწყალი
და სულთამბრძოლი რომ ნახა,
სიამით იწყო ხარხარი“ (აკაკი).

ხალხის ხმა მკვლელობის ჩადენას დონდუკოვისა და პავლე ექსარხოსის მომხრეებს აბრალებდა...“ [1]

დიმიტრი ყიფიანის ცხედარი საქართველოში ჩამოასვენეს 4 ნოემბერს, დაკრძალეს 8 ნოემბერს მთაწმინდაზე.

„ყველაზე ძლიერ დიმიტრის მოწამებრივი სიკვდილი ეწყინა ქართველ ახალ თაობას, რომლისთვის იგი ზრუნავდა მთელი თავისი არსებით... სამგლოვიარო პროცესიას წინ მიუძღვოდა ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, კუბოს გარშემო იყვნენ ჩვენი დამსახურებულ მწერლები. პროცესიას სურდა მთელი გოლოვინის პროსპექტით გაეტარებინა მიცვალებული და მცირე პანაშვიდი გადაეხადათ ხელმწიფის მოადგილის სასახლის წინ, სადაც იმ დროს

1 ილია ფერაძის მოგონება დ.ყიფიანზე. ფ. 29, ა. 1, ს. 71.

იმყოფებოდა დონდუკოვ-კორსაკოვი... პოლიცია წინ გადაეღობა, მაგრამ პროცესიამ განაგრძო მსვლელობა და აღასრულა თავისი სურვილი: პანაშვიდი სასახლის წინ გადაუხადეს... შემდეგ პეტრე დიდის ქუჩით აასვენეს მიცვალებული და გულდახურულთა მეგობრის, მთაწმინდის წიაღში მიაბარეს მიწას".[1]

დიმიტრი ყიფიანი იყო მსხვერპლი, რომელმაც შეძლო „ნაღვლის ზღვიდან მარგალიტების ამოღება", მისმა ვერაგულად სიკვდილმა ქართველი ხალხი არა მარტო გამოაფხიზლა, არამედ ერთიან ეროვნულ ძალად შეკრა. მისი დაკრძალვა დიდ მანიფესტაციაში გადაიზარდა, რომელიც იმპერიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ია კარგარეთელი, რომელიც მონაწილე იყო მანიფესტაციისა, ამ ამბავს ასე გადმოგვცემს (სტილი დაცულია):

„ოთხმოცდახუთში შესდგა ქართული მომღერალთა გუნდი ლადო აღნიაშვილის მეთაურობით. სწორედ ამ წლებში მოხდა დიდი, შეიძლება ითქვას, ისტორიული აქტი, რომელმაც მიძინებული საზოგადოება ფეხზედ დააყენა, ეს იყო დიმიტრი ყიფიანის მოკვლა ჩრდილო კავკასიაში, პიატიგორსკში, ვიღაც თავზეხელაღებულის მიერ. ამ კაცის ვერაგულად სიკვდილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან დიმიტრი ყიფიანი ჩვენი საზოგადოებისათვის დიდი და პატივსაცემი კაცი იყო. ცხედრის აქ გადმოსვენებამ და მისმა დაკრძალვამ მამა დავითში, დიდი გამოფხიზლება შეიტანა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, იმ დროის გაზეთებში აღწერილია ამ მოღვაწის დაკრძალვა, ხოლო მე, როგორც დამსწრემ და მონაწილემ ამ ამბისა, უნდა ვსთქვა, რომ აღელვებამ იმ მომენტში უაღრესობამდე მიაღწია, საიდან არ იყო წარმოდგენილი გვირგვინით და სიტყვით, მე როგორც მონაწილე აღნიაშვილის გუნდში, ეხლაც თვალწინ მიდგას ეს ზღვა ხალხი და ეს აღელვება. სამღვდელოება დიდძალი დაესწრო, სათავეში იდგა ალექსანდრე ეპისკოპოზი, ქართული გუნდი ქულაჯებში გამოწყობილ პროცესიას წინ მიუძღვოდა, გუნდის მონაწილეთ მკლავზედ შემოხვეული ჰქონდათ შავი ლეჩაქის ლენტი, ცის-

1 იქვე. (წერილს აქვს მინაწერი არჩილ ჯორჯაძის საბუთიანად შედგენილი მონოგრაფია დიმიტრი ყიფიანის შესახებ გაზეთში დაბეჭდილი ფელეტონებად, საჭიროა აღიბეჭდოს ცალკე წიგნად).

ფერ პერანგზე აკრული ჰქონდათ შავი ლეჩაქის ნაჭერი. ყველას საკინძე ჩამოშვებული, ჩამოგლეჯილი ჰქონდა. ამრიგად დაუხვდა გუნდი ცხედარს ჯვართან. აქედან ზღვა ხალხი, სამღვდელოება გუნდის წინ, გამოემართა პროსპექტისკენ... აქ პროცესიას წინ გადაეღობა პოლიცია, მაშინ პოლიციას სათავეში ედგა კოვალიოვი; შეიქნა ერთი ამბავი, არ გვიშვებდნენ პროსპექტზედ, ჩვენ კიდევ არ გვინდოდა გრიბოედოვის ქუჩითა და დავითის ქუჩით წასვლა მამადავითისკენ. კარგა ხანი შეგვაჩერეს. თვითონ პოლიცმეისტერი კოვალიოვი მოწიწებით ეხვეწებოდა და სთხოვდა მიბრძანებულიყო გრიბოედოვის ქუჩით. მოთმინებიდან გამოსულმა ალექსანდრემ აიმაღლა ხმა განრისხებით, აიღო ჯვარი მაღლა და წინ ჩამდგარ გოროდოვოებს შეუყვირა: „ვის აქვს ნება ჯვარს გადაეღობოს, გზა გახსენით“, ამით მაშინ გაგულისებულნი, მიაწვა ხალხის გუნდი, გაარღვია პოლიციელების წრე და წამოვიდა პროსპექტზე. გამოვიარეთ პროსპექტი, გამოვიარეთ სასახლე, რას ნახავ, — სასახლის ფანჯრებს მთლად ფარდები ჰქონდა ჩამოშვებული. ჯიბრზე აქ ყველაზე მძიმე ნაბიჯით მოვდიოდით. მაშინ საქართველოში მეფის მოადგილედ იყო დონდუკოვ-კორსაკოვი. ამ ამბავმა დიდი აღშფოთება გამოიწვია თავადაზნაურთა შორის. საერთოდ დიმიტრი ყიფიანის გარშემო შექმნილმა ამბავმა ერთნაირი სიფხიზლე შეიტანა ჩვენს ხალხში, მეფის მოხელეებისადმი სიძულვილმა, ზიზღმა უმაღლესამდე მიაღწია. მეფის მოხელეს ყველა უყურებდა, როგორც ერთნაირი დავალებით წარმოგზავნილს, რომელსაც ქართველი კაცის კეთილდღეობის განადგურების, განიავების გარდა, უნდა მიწასთან გაესწორებინა მისი ვინაობა, პირადი ღირსება, ნაციონალური შეგნება, მისი კაცობა, ადამიანობა, ერთის სიტყვით, ფეხქვეშ უნდა გაეთელა ყველაფერი... ამისთანა შეგნების შეჭრას ხალხში დიდი მსხვერპლი სდომია და აკი ეს სიფხიზლე საზოგადოებისა ერთ-ერთი საუკეთესო წევრის სიკვდილზე აღორძინდა. თურმე დიდი მუჯლუგუნი უნდა, დიდი შერყევა, შეჯანჯრარება, რომ ხალხი აქ გონებაში ჩააგდო და რამე აგრძნობინო“.[1]

---

1 ია კარგარეთელის პ. ფ. 329, ა. 1, ს. 21. ხელნაწერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1887 წლის 31 ოქტომბერს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ „მეთაურ წერილში“ ი. ჭავჭავაძე დ. ყიფიანის გარდაცვალების შესახებ შენიშნავდა: „... ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს, ყველა მისტირის უკან დიმიტრი ყიფიანსა, დიდი თუ პატარა, ყრმა თუ ხნიერი, სწავლული თუ უსწავლელი, მაღალი თუ მდაბალი, ნაცნობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული, — ყველანი ერთად და თითოეული ცალ-ცალკე ჰგრძნობს, რომ რაღაც დააკლდა, რაღაც დაეკარგა, რაღაც ძარღვი ჩასწყდა გულში... რით აიხსნება იგი საიდუმლოება, რომ ჩვენი სული და გული ჰკვნესის და იხუთება დიმიტრი ყიფიანის დაკარგვის გამო?... ერთმა ჩვენმა მეგობარმა გვითხრა: „იგი იყო კაციო, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა „ჰოს“, როცა მისი გული ამბობდაო „არას“. ძნელია უკეთესად გამოთქმა ადამიანის ღირსებისა; დიახ, დიმიტრი ყიფიანი იყო მართალი კაცი, იმიტომ, რომ მართალი მარტო ის არის, რომ „ჰო“ არა სთქვას, როცა გული „არას“ ამბობს...

ცხადია, რა კაცი იყო დიმიტრი ყიფიანი. იგი იყო გულთა-სრული კაცი... იგი იყო კაცი ხასიათისა... ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დიდი და ძვირფასი სიკეთე მარტო ჩვენს ძველებსღა მოსდევთ და აი, რას მივტირით, როცა იგინი მიდიან...“[1]

დიდი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური დიმიტრი ყიფიანი 2007 წელს ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და უწოდა „წმინდა დიმიტრი ყიფიანი, სამშობლოსთვის ნამებული“.

---

1 ი. ჭავჭავაძე, გაზ. „ივერია“, 1887 წ. 31 ოქტომბერი: „მეთაური წერილი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამაგალითო ენით მწერალი და დახელოვნებული მთარგმნელი შექსპირისა“

საარქივო მასალაში სხვა ხელნაწერებთან ერთად დაცულია დოკუმენტები დიმიტრი ყიფიანის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ. ცნობილია, რომ იგი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სამსახურის პარალელურად აქტიურ და მეტად სასარგებლო ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა , თეატრისათვის ქმნიდა თავის თარგმანებს და მიზნად ისახავდა, რაც შეიძლება ზუსტად გადმოეცა უილიამ შექსპირის ცოცხალი და ხალხური ენა. მის მიერ ილია ჭავჭავაძისადმი მიწერილი წერილი ცხადყოფს, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დიმიტრი ყიფიანი მთარგმნელობით და თეატრალურ მოღვაწეობას.

როგორც ვიცით, 1873 წლის ზაფხულიდან 1874 წლის გაზაფხულამდე ილია ქართული ბანკის დაარსების ნებართვისათვის მთელი წელი იმყოფებოდა პეტერბურგში, სადაც გაიცნო ინგლისურის საუცხოოდ მცოდნე სტუდენტი ივანე მაჩაბელი და მასთან ერთად თარგმნა „მეფე ლირი“. შემდგომში ილიას „მეფე ლირის“ დიდ სცენაზე დადგმა განუზრახავს, თავად კენტის როლი აურჩევია და ლირის როლის განსახიერება დიმიტრი ყიფიანისთვის შეუთავაზებია.

დიმიტრი ყიფიანის წერილი ილია ჭავჭავაძისადმი

„თქვენ, რომ (20 ამ თვეს) ლირის როლი შემომიკვეთეთ, მე მოგახსენეთ, გადავიკითხამ და მაშინ გეტყვით, ვიკისრებ თუ ვერა-მეთქი.

გადავიკითხე, მაგრამ როგორ?

წინ გადავიშალე ექვსი წიგნი:

1. ნამდვილი შექსპირი, ტაუხნიცის გამოცემული 1868-ში
2. რაუტლეჯის — ბევრით უფრო ადრე
3. ბენჟამენ ლაროშის ნათარგმნი ფრანცუზულად 1852-ში
4. ფრანსუა ვიქტორ ჰიუგოს 1861-ში

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. თქვენი ნათარგმნი ქართულად — 1877-ში

6. სადლერის ლექსიკონი ანგლიურ ფრანცუზული და Fr. — ანგლიური .

შემოვიწყე ეს წიგნები და მოვუჯექ თქვენს თარგმანს. კვალში ჩავუდექ მედგრად, შეუპოვრად, დაუღალავად. 23-ში დავიწყე და წიგნები გუშინ დავჰკეცე. რათა ვისიც პატივისცემა მაქვს დანერგილი გულში და არა მარტო ენაზედ და, მაშასადამე, ვინც მიყვარს — მინდა, რომ იმას წუნი არ ჰქონდეს და თუ მე ვიპოვე რამე, პირდაპირ უნდა ვუთხრა ცალკე, საშინაოდ, მეგობრულად.

მაგრამ თქვენმა თარგმანმა სასიქადულოდ გადივლო თავს ამგვარი კრიტიკა, კრიტიკა მიუკარებელი, შეუბრალებელი. შრომა გაგიწევიათ დიდი, ნიჭი გიხმარიათ შესანიშნავი. ერთი შეცდომაა, მხოლოდ ერთადერთი: კილო.

შექსპირის თხზულებაში, რომელიც კარგა ძველია, — ლექსიც ბევრი იპოვება, დაძველებული, რომელსაც დიდი ხანია აღარა ხმარობენ, — მაგრამ კილო არის სასაუბრო, რომლითაც საპატიო ყრილობაში ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ.

თქვენ უფრო სამწიგნობრო კილოზედ გადადიხართ.

მშვენიერება არის თქვენი თარგმანი. ეს ყოვლად უეჭველია, მაგრამ ამ კილოზედ არც სად ულაპარაკნიათ, არც სად ლაპარაკობენ. სათქმელი თუ არის რამე თქვენს თარგმანზედ, ეს არის, სხვა სრულებით არაფერი.

სრულებით არაფერი-მეთქი, რომ ვამბობ, იმას აღარა ვთვლი, რაც უთანხმოება გამოდის აქა-იქ ნამდვილსა და თარგმანს შუა. მაგრამ ღმერთო ჩემო! თქვენ რა დაგეძრახებათ, როდესაც ნებსით თუ უნებლიეთ, უფრო უნებლიეთ რასაკვირველია, — ისეთი, ჩვენთვის მიუწვდომელი მთხზველებიც შემცდარან, როგორიც, მაგალითად, ზემოხსენებული ფრანსუა ვიქტორ ჰიუგოა.

ლირი ერთს ადგილს ამბობს მსაჯულისას: — შენ მსაჯულად მოსილო კაცო!

მთარგმნელი ამბობს: — შენ მწერალო, მჯღაბავო..

— ამისთანები არის აქა იქა.

თქვენს თარგმანშიც არის ზოგიერთი ამისთანა შეცდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიუგოს თარგმანში უფრო ბევრია.

ლაროშისას აღარას ვიტყვი: სავსეა ამისთანებით.

ახლა მე, რადგან ერთიც ნახული მაქვს და მეორეცა, იქნება მე უფრო გაფრთხილებული გამოვიდე და გთხოვთ: თუ გნებავთ, რომ ლირი მე წარმოვადგინო, ნება მომეცით, რომ ეს როლი თვითონ ვსთარგმნო, ჩემებურათ, — მარტო ეს როლი.

ბევრჯერ მომხდარა, რომ ერთი როლი ერთს ენაზედ წარმოუდგენიათ და სხვა როლები სულ სხვა ენაზედ.

აქ ამისთანა არა გამოვა რა: მთელი წარმოდგენა ქართულს ენაზედ იქნება: ზოგი სასაუბროზედ, ზოგი სამწიგნობროზედ. აგრე იყოს-თქო,თუ მეტყვით, საქმეს შევუდგები".[1]

დიმიტრი ყიფიანი, როგორც გრამატიკოსი

XIX საუკუნის 50-იან წლებში ქართული გრამატიკის შესახებ გაიმართა პოლემიკა პროფ. დ. ჩუბინაშვილსა და დ.ყიფიანს შორის, დ.ყიფიანმა საფუძვლიანად გააკრიტიკა პროფ. დ. ჩუბინაშვილის ზოგიერთი გრამატიკული მოსაზრება.

მოგვიანებით, სიმონ ხუნდაძის თხოვნით, ამ პოლემიკას გამოეხმაურა ქართული ენის მკვლევარი აკაკი შანიძე ნარკვევით „დიმიტრი ყიფიანი, როგორც გრამატიკოსი". მცირე ნაწილი ამ ნარკვევისა შესულია სიმონ ხუნდაძის მონოგრაფიაში „დიმიტრი ყიფიანი" (1936 წლის გამოცემა), ხოლო ხელნაწერი, დედნის სახით, დაცულია აკაკი შანიძის პირად ფონდში. ნარკვევს აქვს მინაწერი: გადავეცი ს.ხუნდაძეს. 1930 წ.

ნარკვევში ვკითხულობთ:

„დიმიტრი ყიფიანი ცნობილია აგრეთვე, როგორც გრამატიკოსი. იგი სპეციალურად ქართულ ენას ეხებოდა. მისი გრამატიკული აზროვნების დასახასიათებლად მოიპოვება ორი რამ:

1) კრიტიკა დ.ჩუბინაშვილის ქართული გრამატიკისა, რომელიც დაწერილია 1853 წელს და

1 დ. ანთაძის პ. ფ. 245. ა. 1, ს. 433.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანა სახუტაშვილის ჩანაწერი უბის წიგნაკიდან. „მწერლის დღიურები“ ფ. №29. ნაწ. I, საქმე 77.

2) საკუთარი, — „ახალი ქართული გრამატიკა“, რომელიც დაიბეჭდა 1882 წელს.

კრიტიკა დ.ჩუბინაშვილის ქართული გრამატიკისა გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: ორმოცდაათიან წლებში ტფილისში არსებობდა „Комитет начертания учебных пособий“, რომელსაც განყოფილებანი ჰქონდა და სხვათა შორის, ქართული ენისაც. ამ განყოფილების თავმჯდომარე იყო დ.ყიფიანი, ხოლო წევრები იყვნენ: პლ.იოსელიანი, ზ.ყორღანაშვილი, მღვდ.ეფრემ ალექსიშვილი(ალექსეევი), ივ.თურქესთანიშვილი და მღვდ.ზაქ. მოლოდინაშვილი. ამათგან თავმჯდომარე დ.ყიფიანი და წევრი პლ.იოსელიანი კომიტეტის წევრებადაც ითვლებოდნენ. 1852 წლის დამლევს კომიტეტში შევიდა განსახილველად პეტერბ. უნივერსიტეტის ადიუნქტ-პროფესორის დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი — ა) ქართული გრამატიკა და ბ) რუსულ — ქართული ლექსიკონი, რომლებიც სახელმძღვანელოდ იყო წარმოდგენილი აქაური სკოლებისათვის. კომიტეტმა აღნიშნული წიგნები ქართული ენის კომისიას გადასცა მსჯავრის დასადებად, ხოლო განყო-

ფილებამ რეცენზიის დაწერა თავმჯდომარეს მიანდო. დ.ყიფიანმა ჩუბინაშვილის გრამატიკა საფუძვლიანად გააკრიტიკა, ხოლო ლექსიკონს გაკვრით შეეხო. ეს კრიტიკული მიმოხილვა ჩუბინაშვილის გრამატიკისა და ლექსიკონისა მთლიანად გამოქვეყნებული აქვს ა.ცაგარელს (сведения,I. вып.3 . 1894, გვ. 54-78). კრიტიკამ გამოიწვია ავტორის პასუხი 1853 წლის 5 აგვისტოთი დათარიღებული (იქვე, გვ.79-96), ხოლო მას მოჰყვა დ.ყიფიანის მიმართვა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, ბარონ ნიკოლაისადმი (იქვე, გვ. 96-101). მთელი ეს მასალა ძალიან დამახასიათებელია იმდროინდელი ქართული გრამატიკული აზროვნებისათვის და ააშკარავებს დ.ყიფიანის საღ გრამატიკულ ალღოს ბევრ საკითხში. დ. ყიფიანს ნათლად აქვს წარმოდგენილი გრამატიკის დანიშნულება, ცოცხალ ენას თავზე კი არ ახვევენ კანონებს, არამედ თვით იგი იძლევა კანონებს. მკვლევრის საქმეა, გამოარკვიოს ეს კანონები და არ უარყოს იგი (გვ. 60). რაც შეეხება გრამატიკის სხვადასხვა საკითხს, უნდა აღვნიშნოთ, რომ დ.ყიფიანი კარგად ერკვევა ხმარებიდან გამოსული ასოების გამოთქმაში (გვ.54-55), უარყოფს განსხვავებას არსებით სახელებსა და ზედსართავებს შორის. ზედსართავი, როგორც განსაკუთრებული ნაწილი მეტყველებისა, მისი აზრით, ქართულში არ არსებობს (გვ. 55). ქართ. „თანდებული“ რუსულად უფრო „прилог“ იქნება, ვიდრე „предлог“. განსაკუთრებით შეუდარებელია დ. ყიფიანი, როგორც მოსარჩლე მოთხრობითი ბრუნვისა, იმ ბრუნვისა, რომელიც ძველ ქართულში -მან ნაწილაკით იყო ნაწარმოები (მაგ.კაცმან, დედამან და მისთ.), ახალ ქართულში კი — -მა ან -მ ნაწილაკით (მაგ. კაც-მა, დედა-მ და მისთ.). ქართ. გრამატიკის ავტორების მიერ ეს ფორმები ბრუნვის ფორმებად იყო და ახლაც არის მიჩნეული, მაგრამ დ. ჩუბინაშვილი ამ ბრუნვას უარჰყოფდა და არ შეჰქონდა იგი თავის გრამატიკაში. ამ ბრუნვის უარყოფა მომდინარეობს ვენის პროფესორის ლტერისგან, რომელმაც ჯერ კიდევ 1798 წელს გამოსცა წიგნი ამ სათაურით: “ტბერ ეორგისცჰე იტერატურ“ (ქართული ლიტერატურის შესახებ), სადაც იგი ბიბლიის ქართული ვერსიის ენას ეხება და კაც მან ფორმა ისე აქვს გაგებული, როგორც ბერძნული ἄνθρωπος

ე.ი. -მან დაბოლოვება ნაწევრად (ე.ი არტიკლად) აქვს მიჩნეული. შემდეგ ეს აზრი ბროსეს მიერაა სასტიკად გატარებული მის გრამატიკაში. ბროსეს გავლენით კი დ. ჩუბინაშვილიც არ სცნობდა მას, როგორც ბრუნვას. დ. ყიფიანი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეგ ბრუნვა რომ არა, ბევრ შემთხვევაში აზრი გაუგებარი იქნებოდაო. სხვათა შორის, თავისი შეხედულების დასაცავად დიმიტრი იმოწმებს ბროსე-ფალავანდიშვილ-ჩუბინაშვილის მიერ 1841 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის იმ ადგილს, სადაც მიძღვნილობის ტექსტია მოყვანილი: „მათს უგანათლებულესობას პატივისცემის ნიშნად შევსწირეთ დამბეჭდელნი ბროსეტ, ფალავანდიშვილი, ჩუბინოვი". დ.ყიფიანი ამბობს, აქ გაუგებრობაა, რადგანაც ისე გამოდის, თითქოს ბროსე, ფალავანდიშვილი და ჩუბინაშვილი შეწირულები იყვნენ და არა შემწირველებიო. ეს გაუგებრობა ნაყოფია მოთხრობითი ბრუნვის უარყოფისაო.

დიდი ნაწილი დ. ყიფიანის შენიშვნებისა დ. ჩუბინაშვილმა გაიზიარა, მაგრამ მოთხრობითის საკითხში თავისი პოზიცია არ დათმო. ამან აიძულა დ. ყიფიანი განცხადებით წარსდგომოდა ბარონ ნიკოლაის და აღენიშნა, რომ მოთხრობითი ბრუნვის ფორმები უდავო კუთვნილებაა ქართ. ენისა და ამ ბრუნვის შეტანა აუცილებელია გრამატიკაში, რომელსაც სასწავლო მიზნები აქვსო. ამის გავლენით დ. ჩუბინაშვილი იძულებული გახდა, მართლაც შეეტანა მოთხრობითი ბრუნვა თავის გრამატიკაში, თუმცა აღნიშნავს, რომ ე.წ. მოთხრობითი ბრუნვა, არსებითად თუ შევხედავთ საქმეს, არა არის რა, თუ არა იგივე სახელობითი ბრუნვა და თუ ჩემს გრამატიკაში შემომაქვს იგი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მიღებულია ცნობილი ქართველი გრამატიკოსების მიერო.

„ახალი ქართული გრამატიკა" დ. ყიფიანმა დაბეჭდა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სტამბაში 1882 წელს. იგი მიძღვნილია დამსახურებულ პროფესორ დ.ჩუბინაშვილისადმი, რომელთანაც იმავე ყიფიანს კამათი ჰქონდა გრამატიკულ საკითხებზე ორმოცდაათიან წლებში. ჩუბინაშვილისადმი მიმართული სიტყვებიდან ჩანს, რომ გრამატიკის შედგენისათვის დ.ყიფიანს ხელი მიუყვია იმიტომ, რომ ამჟამად არც ჩუბინაშვილის გრამატიკა

იშოვება და არც სხვისი და საქმე ისე გაგვიძნელდა, რომ დედა-ენის სწავლებას ვეღარ ვახერხებთო. ამიტომ მეტი ღონე აღარ იყო, ჩემი შვილებისათვის მეცე უნდა შემედგინა გრამატიკა, როგორც მომეხერხებოდაო.

გრამატიკაში, დ. ყიფიანის აზრით, შემოდის არა მარტო მორფოლოგია და სინტაქსი, არამედ ორთოგრაფიაც,.. (ამ ნაწილთაგან მას გამოქვეყნებული აქვს მარტო „ეტიმოლოგია“). უნდა ითქვას, რომ ავტორი რიგიანად ერკვევა მორფოლოგიურ საკითხებში, განსაკუთრებით სახელთა ბრუნება აქვს კარგად დამუშავებული... დ.ყიფიანისათვის დამახასიათებელია, რომ იგი ზოგიერთ საკითხს რიტორიულად არჩევს, მოჰყავს სხვათა აზრი და თავის გაგებას უპირისპირებს. ამასთანავე იგი ზოგჯერ ქართული ენის გრამატიკულ ფორმებს ადარებს ევროპული ენების ფორმებთან (რუსულთან, ფრანგულთან, გერმანულთან, ინგლისურთან, ლათინურთან). ამ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წყალობით მისი გრამატიკა წინანდელ გრამატიკებზე უფრო მაღლა დგას და მათ შორის დ. ჩუბინაშვილისაზედაც. ზმნებში განსაკუთრებით კარგად აქვს დამუშავებული საკითხი ასპექტის შესახებ, რაც წარმოდგენილია გრამატიკის ბოლოს დართულს ტაბულაში.

დ. ყიფიანს, როგორც ჩანს, ქართული ლექსიკაც აინტერესებდა. გრამატიკის ბოლოს (გვ. 139-147) მას დაურთავს „ლექსიკონი ისეთი სიტყვებისა, რომლებიც ან იშვიათად იხმარება ქართულ ენაში, ან რომლებიც უცხო ენებიდან არის შემოსული“.

18.02.1930 წ., ა. შანიძე“(ა.შანიძის პ.ფ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი

დიდი მწიგნობარი და მოღვაწე

XIX საუკინის ქართული საზოგადოებრივი აზრის საინტერესო მეისტორიემ იაკობ მანსვეტაშვილმა რაფიელ ერისთავის პიროვნების გაცნობიერების თვალსაზრისით ერთი უაღრესად საინტერესო ფაქტი შემოგვინახა:

ილია ჭავჭავაძემ, საკუთარი ტრადიციისამებრ, თავისი ახალი ქმნილება „ოთარაანთ ქვრივი" პირველად ახლო მეგობრებს გააცნო. პრეზენტაცია ქართველი მეცენატის დავით სარაჯიშვილის სახლში შედგა. წარდგენა ვახშამით დასრულდა, რომელსაც რაფიელ ერისთავი თამადობდა. ი. მანსვეტაშვილის მოწმობით ვახშამს „ლაზათი დასდო სუფრის თამადამ, მოხუცმა რაფიელ ერისთავმა, რომელიც განთქმული იყო, როგორც ჩვენი მწერლობის **პატრიარქი**" (ხაზგასმა ჩვენია – თ. ჯ.) (ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936, გვ. 116). რ. ერისთავი მხოლოდ ქართული მწერლობის პატრიარქი არ ყოფილა თუნდაც XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა თვალთახდვით. იგი ქართული ეროვნულობის, მენტალობის, კულტურის, საზოგადოებრივი აზრის დაუცხრომელი ჭირისუფალი იყო, წიგნიერებითა და წიგნით ერთგული მსახური თავისი ერისა და ქვეყნისა. ამ აზრის სისწორეს საუცხოოდ ცხადყოფს რ. ერისთავის პიროვნებისა და ნაღვაწის

გაცნობიერებისა და დაფასების უჩვეულოდ არაჩვეულებრივი აღიარების ფაქტი.

ქართველმა საზოგადებამ ისეთი გრანდიოზული ზეიმით აღნიშნა 1895 წლის 22 ოქტომბერს რ. ერისთავის საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი, რომ საერთო სახალხო დღესასწაულში გადაზარდა. საქართველოს ისტორიაში ეს იუბილე საზოგადო მოღვაწისათვის გადახდილი პირველი იუბილე იყო და ქართველებმა, ერთი მხრივ, აღიარებული მოღვაწის დაფასების უნარი გამოაჟღავნეს, მეორე მხრივ, სამერმისო ხედვის უნარი უთავბოლო დრო-ჟამში.ამ იუბილეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისიც ცხადყოფს, რომ იუბილედან 4 წლის შემდეგ, 1899 წელს, საიუბილეო მასალებს, პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს, სტატიებს იუბილეზე წარდგენილ ადრესებს, მისალოც დეპეშებს ერთად მოუყარეს თავი და ცალკე წიგნად გამოსცეს, სათაურით „საერო დღესასწაული რ. ერისთავის იუბილეს გამო".

ამის შემდეგ დიდმა ხანმა განვლო. დრო-ჟამმა თავისებურად უცვალა ფერი რაფიელ ერისთავის ნაღვაწ-ნაამაგარს, მთელი მისი ბრწყინვალება მყარად მიაბა თავის დროჟამულ სივრცეს — XIX საუკუნეს. თუმცა ამით მაინც არ დაუმცრობია (დაუკარგავს) მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის საერო მნიშვნელობა. დროითმა მანძილმა ცხადყო, რომ სწორედ რ. ერისთავმა შექმნა XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და კულტურის ტრადიციათა წანამძღვრები, მოხაზა ქართული მწერლობის პრობლემურ-თემატური წრე, გამოკვეთა ქართული კულტურული ცნობიერების საფუძვლები და მისი რაობის განმსაზღვრელი ფაქტორები. მან დაძებნა ქართველად მყოფობის ეთნიკური, ფსიქიკური და ზნეობრივი მარკერები და დაადგინა ეროვნული ცნობიერების შინაარსის ენობრივი და კულტურული მდგენელები.

რაფიელ ერისთავმა ახალგაზრდობიდანვე ყურადღება მიიქცია არამხოლოდ პოეზიით, არამედ ფართოდ გაშლილი მეცნიერულ-პუბლიცისტური მოღვაწეობით, რაც მის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულსა და ენათმეცნიერულ, ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიულ ძიებებში გამოვლინდა. ამ ძიებებს მწყობრი, სისტემური და, რაც მთავარია, კონცეპტუალური შინაარსი ჰქონდა. თავისი დროის ეპო-

ქალურ გამოწვევებს, რუსიფიკაციის რისკებს რ. ერისთავმა ჩვენი ხალხის ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება დაუპირისპირა, ამ მიზნით კი იმის რკვევა შესთავაზა, ვინ ვართ და რანი ვართ? რა აპირობებს „ცხოვრების ქართული წესის" შინაარსს? რაში და როგორ ვლინდება ეს შინაარსი? რა არის ქართველი კაცის ცხოვრების მიზანი? ამ ინტერესებით განისაზღვრა რ. ერისთავის სულიერი ცხოვრება და გარეგანი დაკვირვებებიდან ქართული ცნობიერების ღრმა შრეების წარმოჩენა-გამომზეურების ცდებში გადაიზარდა.

ცნობილია, რომ მან ქართველი კაცის სულიერი ცხოვრების შინაარსად **მამულიშვილობა** გამოაცხადა, ხოლო უმაღლესი ღირებულება სამშობლოს **„ტრფიალებასა"** და **„თაყვანისცემაში"** ამოიკითხა, მის ყოფით გამოვლენად კი სამშობლოს **„სხვათა სამოთხეზე გაუცვლელობა", „დედის ძუძუსავით ერთადერთობა"** მიიჩნია. ამასთან არა ინტუიციის, არამედ ეპოქის გამოწვევათა შინაგანი ხედვითა და გაცნობიერებით ქართველობის ეროვნულობის საფუძვლად **დედა ენა** გამოაცხადა და, რაც მთავარია, მისადმი გულგრილობასა და ენობრივი ცნობიერების რღვევაში დაინახა ეროვნული ცნობიერებისა და სახიერების დაკარგვის საფრთხე. ამიტომაც მისი თანამედროვე ქართველის უზენაეს მიზნად დედა ენის შენარჩუნებაა და მისი სიწმინდის დაცვა გამოაცხადა. როგორც ცნობილია, რ. ერისთავი პრაქტიკულად აქტიურად ჩაერთო XIX ს. 60-იანი წლებიდან გაშლილ საეროვნო მოძრაობაში და ამიტომ სამოქალაქო ცხოვრების პრაქტიკული გამიზნულობა, მიზანსწრაფვა, იდეალები ჩაენაცვლა პოეტური წარმოსახვის ნაყოფს – მძაფრი სოციალური პათოსის ლირიკულ შედევრებს, თანაც ისე მძლავრად, რომ აქტიურმა საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ ერთგვარად დაჩრდილა მისი პოეტური „მეს" სათქმელი და უფრო აკადემიური ფორმა შესძინა.

რ. ერისთავის მეცნიერულ-პუბლიცისტურ ძიებებში, აღნიშნულის გამო, უპირველესად ქართული ენა და მსოფლიო ლინგვისტურ სივრცეში მისი ადგილისა და როლის რკვევა მოექცა. ამის მძლავრ იმპულსად 1881-1885 წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის მიერ ქართული სკოლის გარუსების გააქტიურება იქცა. ცნობილია, რომ რუსულ ენაზე სწავლების აუცილებლობა

საბუთდებოდა ქართული ენის ვითომც მწირი ლექსიკური შესაძლებლობებით, თანამედროვე ცივილიზაციის ლექსიკა-ფარზეოლოგიისა და ცნება-ტერმინოლოგიის უქონლობით. რაფ. ერისთავმა სასტიკად გაილაშქრა ამგვარი თვალსაზრისის წინააღმდეგ და ლინგვისტიკური, ლექსიკოლოგიური, ლექსიკოგრაფიული, ტერმინოლოგიური ძიებებით ქართული ენის რეაბილიტება დაისახა მიზნად. მაგალითად, 1880 წელს „დროებაში“ (212) გამოაქვეყნა სტატია „რამდენად მართალია, რომ ქართულს ენას სიღარიბე დასწამეს“. აქ ყველაზე მკაფიოდ, თანმიმდევრულად და სისტემურად გაცხადდა რ. ერისთავის ლინგვისტური ხედვა, მისი თანამედროვე ენათმეცნიერულ თეორიათა და მიმდინარეობათა ცოდნა.

ქართული ენა რ. ერისთავისათვის თვითმყოფადი ენაა. მისი ფიქრით, ჩვენი ენა განცალკევებით დგას სხვა ენებისაგან და ენათა ნათესაობის დასადგენად წარმართული შედარებითი ენათმეცნიერების კომპარატივისტული ძიებებით ქართული ენის ბუნების კვლევა შედეგის მომტანი ვერ იქნება. რ. ერისთავი დარწმუნებული იყო, რომ „რამდენიმე ათეულის, ანუ ასეულის სიტყვის ფესვის მოძებნით სანსკრიტულში, ვერც ინგლისელი მიაგნებს პირველ ენას და ვერც სხვა”. წმინდად მეცნიერული ლინგვისტიკური პრობლემა რ. ერისთავმა აზრიანად და კონცეპტუალურად გადაზარდა მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობის პრობლემაში. მთავარ არგუმენტად მან წარმოადგინა ქართული ენის ლექსიკის სიუხვე და მრავალფეროვნება. ქართული ენა ამ თვალსაზრისით არასოდეს დაკმაყოფილებულა კომუნიკაციური ფუნქციით. იგი უძველესი კულტურის ენა იყო იმთავითვე და სრულფასოვნად ემსახურებოდა ეროვნული კულტურისა და განათლების სფეროებს, ადეკვატურად გამოხატავდა ნებისმიერი სირთულის აბსტრაქტულ-თეორიულ აზრს. და ამ მხრივ არა თუ ტოლს არ უდებდა თანამედროვე ცივილიზებულ ენებს, არამედ კიდევაც აღემატებოდა მათ გარკვეულწილად. რ. ერისთავი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ჯერ კიდევ „მაშინდელი ქართული თხზულებანი რომ შეადარო ამავე დროის ევროპულის ლიტერატურის ნაწარმოებებს, მრავალზე უკეთესი თუ არ აღმოჩნდება, უკან მაინც არ ჩამორჩებიან“. მართალია, თან-

ამედროვე ცივილიზაციის მოტანილი ლექსიკა-ფრაზეოლოგია ჯერ არ დამკვიდრებულა, მაგრამ ქართულს ისევე თავისუფლად შეუძლია აწარმოოს ნეოლოგიზმები, ტერმინები, „როგორც მიიღეს სხვადასხვა განათლებული ქვეყნის მცხოვრებლებმა და ზოგი, შეიძლება ადვილად დაასახელონ თავიანთებურ სახელწოდებითაც“. რ. ერისთავისათვის ეს ფაქტი იყო განათლების მშობლიურ ენაზე მიღების შესაძლებლობის დასტური და ამის მტკიცების პლანში გაშალა მან უაღრესად საჭირო, საინტერესო და მრავალფეროვანი მწიგნობრული მოღვაწეობა, ლინგვისტური, ლექსიკოლოგიური და ლექსიგრაფიული ძიებები, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა.

რ. ერისთავმა შეადგინა არითმეტიკის, გეომეტრიის, ფიზიკის, ასტრონომიის, სამხედრო, „ზღვისა და შიგ ცურვის“ ტერმინოლოგიური სიტყვები, რომლებიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რ. ერისთავის საარქივო ფონდში. ამ ფონდში, ამას გარდა, დაცულია მასალები დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონებისათვის, კერძოდ, ირკვევა, რომ ქუთაისსა და ზუგდიდში სახელმწიფო სამსახურში მყოფობის დროს რ. ერისთავი აგროვებდა მასალას ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონისათვის; შეუდგენია ქართულ-იმერული დიალექტების შედარებითი ლექსიკონი; შეუკრებია მასალები მეგრულ-სვანური და იმერულ-ქართლურ-რუსული ლექსიკონისათვის; ასევე შეუკრებია ლექსიკური მასალა გეოგრაფიულ სახელთა, მედიცინის, მეტროლოგიის, სამჭედლო და სადურგლო საქმეთა, ქიმიის, რუსულ-ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონებისათვის. მის ნაწერებში გვხვდება მასალები რუსულ-ქართული ანტონიმების ლექსიკონისათვის, ქართულ საკუთარი სახელების, თვეებისა და ზოდიაქოს სახელების განმარტებითი ლექსიკონებისათვის. განსაკუთრებით საინტერესო იყო დიდი რუსულ-ქართული ლექსიკონის შექმნის მცდელობა. ამ ლექსიკონის შედგენის იდეა რ. ერისთავმა ქართველ საზოგადოებას პრესითაც გააცნო. ამ ლექსიკონის გეგმა გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა (1880, 144). 1875 წელს რ. ერისთავმა განახორციელა პირველი სერიოზული ლექსიკოლოგიური პროექტი — გამოსცა სამენოვანი „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენა-

რეთა ლექსიკონი“, რომელიც 1000-ზე მეტ სალექსიკონო სიტყვა-ფორმას შეიცავს.

1884 წელი საოცრად უხვი გამოდგა რაფ. ერითავისთვის. ამ წელს გამოსცა „ლათინურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოდან”. ამავე პერიოდში რ. ერისთვამ ყურადღება მიიქცია სარედაქტორო-საგამომცემლო საქმიანობითაც. 1884 წელს რედაქცია გაუკეთა და საკუთარი წინასიტყვაობით გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“, ხოლო მომდევნო წელს ასევე საკუთარი რედაქციითა და წინასიტყვაობით დაბეჭდა ანტონ კათალიკოსის „ქართული გრამატიკა“.

ცხადია, რომ ქართველი ერის კულტუროსნობის მტკიცების მიზნით, როგორც გონიერი მოღვაწე, კვალს ჩვენს ისტორიულ წარსულში ეძებდა; მიზნობრივად ამზეურებდა და პრაქტიკულ მიმოქცევაში ჩართავდა მათ. მეორე მხრივ, დროის მოთხოვნათა სულისკვეთებიდან გამომდინარე, თვითონ, საკუთარი კვლევებით ცდილობდა ჩავარდნების შევსებას. ამგვარი გამიზნულობა გამოსჭვივის არა მხოლოდ მის ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიულ ძიებებში, არამედ სასწავლო-მეთოდური საქმიანობის სფეროშიც. მაგალითად, 1880-იან წლებში სცადა იმ ნაკლის გამოსწორება, რაც ქართული ენის სახელმძღვანელოების მხრივ არსებობდა და გამოსცა საკუთარი სახელმძღვანელოები „მოკლე სქემა პირველისა ნაწილისა ღრამატიკისა“ და „ქართული ენის გრამატიკა ყრმათათვის“ (1880).

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან რ. ერისთავი თითქმის ყველა საეროვნო საქმის სათავეებთან იდგა — ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ეხმაურებოდა, აზრს გამოთქვამდა, წერდა, წერდა ბევრს, — წერდა მეცნიერულ ნაშრომებს ცოდნის სხვადასხვა დარგში — ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ისტორიის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის საკითხებზე; ქმნიდა ლირიკულ პოეტურ შედევრებს თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რ. ერისთავის მეცნიერულ-პუბლიცისტურ თანამშრომლობას რუსულ სამეცნიერო საზოგადოებასთან ქართველ ერსა და მის კულტურაზე პირუთვნელი, ობიექტური ინფორმაციის უცხოელებისათვის გაცნობის თვალსაზრისით. კერძოდ, რ. ერისთავი ნარკვევებს, სტა-

ტიებს აქვეყნებდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების, რუსეთის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საზოგადოების, სოფლის მეურნეობის მოსკოვის საზოგადოების მეაბრეშუმეობის კომიტეტის, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების სამეცნიერო კრებულებში. მაგალითად, კავკასიის სამეურნეო ჟურნალში დასტამბა ვრცელი ნაშრომი „ღვინის მოყვანისა და გასაღების მდგომარეობა ჩვენში“; „ნარკვევი იმერეთზე სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით“; შექმნა ნაშრომები მევენახეობის, მეთამბაქოების, მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის დარგებში და სხვა. წლების მანძილზე კითხულობდა საჯარო ლექციებს ქართული ენის წარმომავლობის პრობლემებზე, ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებზე. განსაკუთრებით ბევრს წერდა ბავშვებისათვის. იგი იმდენად ღრმად ჩაწვდა ბავშვის სამყაროს, რომ 80-იანი წლებიდან თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთი („ნობათი“, „საბავშვო კალენდარი“, „ჯეჯილი“ და სხვა) მისი საბავშვო ლექსებით იხსნებოდა.

1889 წელს ლევან მელიქიშვილის შუამდგომლობით რ. ერისთავი ქართული ენის ცენზორად დაინიშნა კავკასიის საცენზურო კომიტეტში. საცენზურო რეჟიმის სიმკაცრის მიუხედავად, მან არაერთი საეროვნო საქმის განხორციელება შეძლო. მაგალითად, დიდი რისკის ფასად გასცა ალ. ყაზბეგის აკრძალული 4 ტომის დაბეჭდვის ნებართვა. ასევე მოექცა მამია გურიელის ლექსების კრებულის დასტამბვას. შეძლებისადგვარად შეღავათებს აძლევდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. ქართველ მოღვაწეებს სთხოვდა: „მე არ ვიცი, ცენზორი როდემდე ვიქნები. თუ საეჭვო რამე გაქვთ დასაბეჭდი ცენზურის მხრივ, საჩქაროდ წარმოადგინეთ ცენზურაში, სანამ იქა ვარ“ (ალ. ჯაბადარი, „მნათობი“, 1-2, გვ. 273).

XIX საუკუნის 70-იან წლებში ფართოდ გაიშალა მოძრაობა ქართული ხალხური სიტყვიერების შესაკრებად. რ. ერისთავი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ამ საეროვნო საქმეს, 1873 წელს გამოაქვეყნა 1852 წ. შეკრებილი ხალხური ლექსები (ჟ. „კრებული“); 1879 წელს ცალკე წიგნად გამოსცა „ქართული გამოცანები“ და სხვა.

ამავე წლებში დიდი მოძრაობა დაიწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დასაარსებლად. რ. ერისთავი ამ საზოგადოების დამფუძნებელი წევრი იყო და წლების განმავლობაში უძღვებოდა ამ ორგანიზაციის ფინანსურ საქმიანობას.

1879 წელს აღდგა ქართული პროფესიული თეატრი. რ. ერისთავი აქაც ერთ-ერთი მესაძირკვლედ მოევლინა ქართველ საზოგადოებას. 1884-1886 წლებში იყო თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე. ამასთან წერდა პიესებს, თეატრალურ რეცენზიებს, მსახიობობდა, ქუთაისში სახელმწიფო სამსახურში ყოფნის პერიოდში ჩამოაყალიბა ქუთაისის სცენისმოყვარეთა წრე. მისი პიესები „ადვოკატები", „ბიძიასთან გამოხუმრება", „პარიკმახერისას", „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩეოდნენ არა მხოლოდ თავის დროზე, არამედ XX საუკუნეშიც.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართველი საზოგადოება დაინტერესდა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენით. ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიის მიერ შეჯერებული ტექსტის გამოცემიდან (1712) დიდი დრო იყო გასული და XIX საუკუნეში ცნობილ ძირითად (22) ხელნაწერთან მიმართებაში ეს ტექსტი აშკარად სხვაობდა. გასარკვევი ბევრი დაგროვდა. ამიტომ 70-იან წლებში შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისია. ამ კომისიამ 1881 წლის 6 თებერვალს დაიწყო მუშაობა. კომისიის 22 წევრს პოემის 22 ხელნაწერი დაურიგდა. პოემის ტექსტის საპილოტე წაკითხვა რ. ერისთავს მიენდო. ცნობილია, რომ იმ დროს განხორციელდა „ვეფხისტყაოსნის" ყველაზე შთამბეჭდავი — მდიდრული გამოცემა, რომელიც ქართველიშვილისეულით არის ცნობილი. რ. ერისთავი იყო სწორედ ამ გამოცემის ორგანიზატორი.

1885 წელს გაცხადდა ქართული საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების იდეა. ამ საეროვნო საქმის ინიციატორიც რ. ერისთავი იყო. მან საჯაროდ, პრესის საშუალებით მიმართა საზოგადოებას ამგვარი ბიბლიოთეკის დაარსების საჭიროებასა და მნიშვნელობაზე ერის კულტურულ ცხოვრებაში: ბიბლიოთეკაში წიგნები „... შეინახებოდნენ, ისინი სამუდამოდ არ დაიკარგებოდნენ იმ დაუდვრობით, რომლის მაგალითს გვიჩვენებს ხოლმე მეხილის და მეთევზის დუქნები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც მოსამსახურეები ხშირად გაჰყიდიან ხოლმე ძველს ქართულ წიგნებს და ვაჭრებიც ამ ძველი წიგნების დარღვეულს ფურცლებში ახვევენ მოთალს, დოშს და ამგვარებს".

80-იან წლებში ზუგდიდში, დადიანების სასახლეში, ე. ჭავჭავაძის არქივში ი. მეუნარგიამ მიაკვლია ნ. ბარათაშვილის უცნობი ლექსების ტექსტებს. ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას უპირველესად რაფიელ. ერისთავი გამოეხმაურა. გაზ. „ობზორში" (1880, 393) გაასაჯაროვა ეს ფაქტი და საზოგადოებას გაუცნობიერა ნ. ბარათაშვილის ფენომენის მნიშვნელობა.

წარმოდგენილი მცირე მიმოხილვა, ცხადია, ოდნადავადაც ვერ იტევს რ. ერისთავის საზოგადოებრივ-მწიგნობრული მოღვაწეობის იმ ასპექტებს, რითაც განისაზღვრა მისი როლი და მნიშვნელობა XIX საუკუნის საქართველოსთვის. მთავარი კი იყო, რომ ქართველმა საზოგადოებამ შეუცთომლად გაითავისა ამ უჩუმარი მოღვაწის, პოეტისა და მწიგნობრის პიროვნება და ნაღვაწი და 1895 წლის 22 ოქტომბერს საერთო სახალხო დღესასწაულს გაუტოლა მისი 50 წლის იუბილეს ფაქტი. ეს რაფიელ ერისთავმა ჭეშმარიტად დაიმსახურა.



გიორგი გოგოლაშვილი

„დედაენა“ — ანბანის სწავლების იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი — ეროვნული მნიშვნელობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი

***

ვფიქრობდით და ვფიქრობთ, რომ იაკობ გოგებაშვილის პიროვნება და მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა მეტ ყურადღებასა და დაფასებას იმსახურებდა ჩვენგან, ქართველებისაგან. თანამოაზრეთა ჯგუფმა ამ მიზნით ეს ნაბიჯი გადავდგით: 2007 წელს დავაარსეთ იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება; 27 ოქტომბერს, იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს, შევიკრიბეთ და მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების დამფუძნებლები არიან: პოეტი-აკადემიკოსი **ანა კალანდაძე**, ეპისკოპოსი **სტეფანე** (კალაიჯიშვილი), დეკანოზი **კონსტანტინე** გიორგაძე (თავმჯდომარე), პროფესორი **ავთანდილ არაბული,** პროფესორი **გიორგი გოგოლაშვილი** (თანათავმჯდომარე), პროფესორი **მიხეილ ქურდიანი** და დოქტორი **იოსებ ჭუმბურიძე**.

ერთ-ერთი პირველი, რაც იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებამ გააკეთა, იყო ის, რომ 2007 წელსვე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მივმართეთ წინადადებით, **„დედაენისათვის“ — ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილის მეთოდისათვის** — მიენიჭებინათ არამატერიალური **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი**. სამწუხაროდ, საკმაოდ ხანგრძლივი და პრინციპული ბრძოლა დასჭირდა მიზნის მიღწევას. მხოლოდ 2012 წლის ბოლოს დაიწყო სერიოზული მუშაობა ამ თემაზე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინ-

ისტრომ და **2013 წლის 12 მარტს** „დედაენას — ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს“ **მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი** (ბრძანება 03/43. 12 მარტი, 2013 წ.). სამინისტრომ სთხოვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს, წარმოედგინა დასკვნა ამ ძეგლისათვის კატეგორიის მინიჭების თაობაზე. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ მოამზადა შესაბამისი დასკვნა, რომელიც სამინისტრომ წარუდგინა საქართველოს მთავრობას.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის **დადგენილებით** (295) არამატერიალურ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს **„დედაენას** — ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს“ **განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.**

ეს იყო კიდევ ერთი აღიარება და დაფასება იაკობ გოგებაშვილის ღვაწლისა, კერძოდ, მისი **„დედაენისა“**.

წინამდებარე წერილში ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ ის ღირსებანი „დედაენისა“ — ანბანის სწავლების იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდისა, რის გამოც მას მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

***

ქართული ენის საანბანე სახელმძღვანელო — **„დედაენა“** — იაკობ გოგებაშვილმა პირველად გამოსცა 1876 წელს; 1925 წელს განხორციელდა წიგნის 45-ე გამოცემა; 1925 წლიდან მოყოლებული გამოდის იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ საფუძველზე შედგენილი საანბანე სახელმძღვანელოები. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ „დედაენა“ ფაქტობრივ გასცდა საავტორო სახელმძღვანელოს ფარგლებს და იქცა ზოგადსახალხო ფასეულობად. ი. გოგებაშვილის მიერ მიზნობრივად, ამ წიგნის სახელწოდებისათვის შექმნილი ტერმინი „დედაენა“ იქცა საანბანე სახელმძღვანელოსა (კერძოდ) და მშობლიური ენის (ზოგადად) საზოგადო სახელად. განუზომელია ეროვნულ-კულტერული მნიშვნელობა ი. გოგებაშვილის „დედაენისა“. დღიდან „დედაენის“ ეროვნულ სკოლაში დამკვიდრებისა, მისი

მეშვეობით ათეულობით თაობა ეზიარა წერა-კითხვას, განათლებას, ჭეშმარიტებაა: „დედაენამ“ მკაცრად შეუტია უწიგნურობას, კუთხურობასა და ტომთა შორის კარჩაკეტილობას, განავრცო სიტყვა ქართული და ამერ-იმერი ერთიანი სახალხო ენით აამეტყველა, დააკავშირა. მწიგნობრობის გავრცელებასა და ქართველი ხალხის კონსოლიდაციაში „დედაენის“ როლი ფასდაუდებელია“ (ვალერიან რამიშვილი). „დედაენას“ ქართველი კაცი აღიქვამს, როგორც იარაღს ჩვენი ქართველობის დასაცავად, მას „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით აყენებენ: „თუ ქართველი კაცი აქამდე მტერსა და დუშმანს „ვეფხისტყაოსნით“ იგერიებდა, ამიერიდან მას ხელში „დედაენა“ ეჭირა და თავის ნამუსს, კაცურკაცობასა და ქართველობას იმით იცავდა“ (დემნა შენგელაია). „დედაენა“ ფაქტობრივ იქცა სალიტერატურო ქართული ენის ნორმათა სახელმძღვანელოდ — წმინდა ქართულის ნიმუშად სრულიად საქართველოში. გამოსვლისთანავე „დედაენა“ დიმიტრი ყიფიანმა ასე შეაფასა: „დედაენა“ იაკობ გოგებაშვილისა ძალიან გამოსადეგი, ძალიან სასარგებლო წიგნი არის და საუცხოოდ არის შედგენილი“. აკაკი წერეთელმა თქვა: „ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რაც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე; იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას...“. მოგვიანებით გალაკტიონ ტაბიძემ დაწერა, რომ „დედაენა“ სახელმძღვანელო კი არა, უდიდესი პოემააო... საყოველთაოდ არის გაზიარებული გრიგოლ აბაშიძის აზრი: „შეიძლება თამამად ითქვას, რომ „დედაენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში“.

***

„დედაენის“ — ქართული საანბანე სახელმძღვანელოს — შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი უნიკალურია და ქართული ენის ბუნებაზე ზუსტად მისადაგებული.

იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს ქართული წერა-კითხვის თანდათანობით და ძალდაუ-

ტანებლად სწავლებას მარტივიდან რთულისაკენ, ნაცნობიდან უცნობისაკენ.

უმთავრესი, რასაც ი. გოგებაშვილისეული მეთოდი ემყარება, ესაა პირველი საანბანე სიტყვა **„ია“**. ქართული ენის მდიდარი ლექსიკური ფონდიდან ამ სიტყვის პირველ გაკვეთილზე შემოტანა — ეს არის **უდიდესი აღმოჩენა, ეპოქალური მიგნება**. ი. გოგებაშვილამდე და შემდეგაც ორ ათეულამდე ქართულ ენის საანბანე სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობა იყო. ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს უპირატესობას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ პირველი გაკვეთილის თემა განსაზღვრავს.

უმთავრესი ღირსებანი ი. გოგებაშვილისეული მეთოდისა:

1. პირველი გაკვეთილი ქართული წერა-კითხვის სწავლებისა: **„ია. აი. აი ია“**.

ა) ორივე სიტყვა **(ია. აი)** უმარტივესი სტრუქტურისაა: შედგება ორი ხმოვანი ასოსაგან; წასაკითხად და გამოსათქმელად უადვილესია;

ბ) **ა** და **ი** ხმოვნები ქართულ ბგერათაგან გამოყენების სიხშირით სხვებს ბევრად აჭარბებს. სიტყვათა უდიდეს უმრავლესობაში ან ერთი ხმოვანია, ან — მეორე, ანდა — ორივე ერთად;

გ) სიტყვა **(ია)** შედგება ორი მარცვლისაგან **(ი-ა)**. თითოეული მარცვალი ოდენ ხმოვნის შემცველია და იოლად წარმოსათქმელია;

დ) ორი ხმოვანი **(ა, ი)** ორ სიტყვას ქმნის **(აი, ია)** და ეს ორი სიტყვა ერთად ფრაზას შეადგენს: **„აი ია“**. ფრაზის აღქმა ბავშვისათვის გაცილებით იოლია და დასახსომებლად ადვილი, ვიდრე ცალკე სიტყვებისა; **„ხალისსაც ძლიერ უმატებს გაკვეთილს ეს ფრაზა... ადამიანს ახალისებს არა განმარტოებული საგნები, არამედ მათი კავშირი... ენის სიცოცხლე იწყება ფრაზებიდან და რამდენადაც ადრე გადახვალთ ფრაზებზე, იმდენად უფრო უკეთესია. ამ საიდუმლოს — კითხვის მნიშვნელობას, მხოლოდ მაშინ იგებს და გრძნობს“ (ი. გოგებაშვილი).**

ე) ამ სიტყვით **(ია)** აღნიშნული საგანი ყველასათვის ნაცნობი და „საყვარელი ყვავილია, მეტადრე ბავშვებისათვის“ (ი. გოგებაშვილი);

ვ) ესთეტიკური თვალსაზრისით სიტყვაც და ამ სიტყვით აღნიშნული საგანიც ძლიერ მიმზიდველია;

ზ) ბავშვებისათვის საყვარელი არაერთი ლექსია შექმნილი **„ია“**-ზე;

თ) **„ია“**-ზე ასევე შექმნილია მრავალი სიმღერა. სიმღერა კი „სამართლიანად ითვლება ჩვენს დროში სკოლის სულად და გულად. იგი უვითარებს ბავშვს სმენას და აჩვევს ჰარმონიას, უსუსტებს და უსპობს ხეპრობასა და ზრდის მის გულში სინაზესა და სიფაქიზეს, აკეთილშობილებს მის ბუნებას“ (ი. გოგებაშვილი);

ი) **ია** იოლად დასახატი საგანია და ნახატს ადვილად ამოიცნობს ბავშვი, ანუ შესაბამისობა სიტყვასა და ნახატს შორის ნათელია. „სურათი თვალსაჩინოდ ჰხდის შინაარსს, წიგნს აძლევს სიცოცხლესა და ხალისს. სურათის შემწეობით ბავშვი ნახევარს ცოდნას სრულს ცოდნად გადააქცევს, გაურკვეველს წარმოდგენას — გარკვეულად, არასრულს სახეს საგნისას — სრულ სახედ“ (ი. გოგებაშვილი);

კ) წიგნთან შეუჩვეველ ბავშვს სანამ ჩვევაში გადაუვა კითხვის მიმართულება (მარცხნიდან მარჯვნივ), შეცდომის შემთხვევაშიც კი (ე. ი. თუ მარჯვნიდან წაიკითხავს), ტექსტი იგივეა: **„აი ია“** პალინდრომია — მარცხნიდან და მარჯვნიდან ერთნაირად იკითხება.

იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ **„ასეთ დასაწყისს უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმატებისთვის... რამდენადაც ჩვენ ვიცით, არცერთ ენაზე არ იწყება ასე სამაგალითოდ წერა-კითხვის სახელმძღვანელო და არ იწყება სწორედ იმის გამო, რომ არცერთი სხვა ენა არ აძლევს ამის ნებას იქაურ პედაგოგებსა... თუ სხვა ხალხების ანბანში ვერ იპოვნით ამისთანა სრულსა და მარტივს პირველს გაკვეთილსა, ეს წარმოსდგება ენათა თვისებისაგან, ნაკლულევანებისაგან. სომეხთა პედაგოგებმა, მაგალითად, ბევრი ეძებეს თავისს ენაში იმისთანა ფრიად მოხერხებული სიტყვა, როგორც ია, რათა მით დაეწყოთ თავიანთი ანბანი, მაგრამ ვერ იპოვეს...“**

მეთოდის ავტორის აზრით: „პირველი გაკვეთილი „დედაენის“ ანბანისა აკმაყოფილებს ყოველს პედაგოგიურს მოთხოვნილებასა სავსებით და უნდა ჩაითვალოს იდეალურ გაკვეთილად, და ეს უნდა მიეწეროს ქართული ენის ღირსებასა და არა ჩვენს ოსტატობასა...“ (ი. გოგებაშვილი).

2. საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის ი. გოგებაშვილისეული მეთოდის მიხედვით, ყოველი ახალი საანბანე სიტყვა შერჩეული არის დიდი რუდუნებით; იგი არის ბავშვისათვის კარგად ნაცნობი საგნის აღმნიშვნელი; ესთეტიკურად მიმზიდველი; ამასთანავე იოლად დასახატავი **(„სურათების შემწეობით ჯერ საგანი უნდა გაიცნონ ბავშვებმა, მერე მისი სახელი, რომელიც მისი გამოხატულების ქვეშ არის მიწერილი“ — ი. გოგებაშვილი).** ყოველ მომდევნო გაკვეთილზე შემოტანილი ახალი ასო გრაფიკულად სიახლოვეს ავლენს წინა ასოსთან (ა, ი და თ...). საანბანე სიტყვა არის იოლად დასამარცვლი და ახალი ასო — მარცვლიდან მარტივად გამოსაყოფი (შეძლებისდაგვარად საანბანე სიტყვაში თანხმოვანთ კომპლექსისგანაც არის არიდებული თავი). ამ პრინციპით აიგო „დედაენის“ მეორე და მომდევნო გაკვეთილები (თითი, საათი, თხა, თოხი, ხე, უთო, ძუა...).

3. საკითხავ ტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სიტყვათა შერჩევასა და მათი დალაგების პრინციპს. ყველა სიტყვა არის საქართველოს ნებისმიერ კუთხეში გაზრდილი ბავშვისთვის ნაცნობი ან იოლად შესაცნობი. საამისოდ „დედაენის“ შემდგენელს (ი. გოგებაშვილს) ცნობილი მოღვაწეები უწევდნენ კონსულტაციებს; მაგალითად, ერთ-ერთ ექსპერტად დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი ჰყავდა.

4. მეორე საანბანე გაკვეთილიდან მოყოლებული ყოველ ახალ გაკვეთილზე ხდება თითო ასოს გაცნობა. ძირითადი პრინციპი ასეთია: „ერთ გაკვეთილზე — ერთი სიძნელე“. ამიტომაც მეორე გაკვეთილად „თითი“ გამოიტანა; ესეც ძალიან საინტერესო მიგნებაა: **თ** მოხაზულობით ახლოსაა **ი** და **ა** ასოებთან; საგანი ძალიან ნაცნობია. **თ**-ს მიმატებით ნაცნობ ასოებთან **(ა, ი)** ოთხი ახალი სიტყვა იქმნება: **ა-თი, თი-თა, თა-თი, თი-თი.** სიტყვათა ასეთი დალაგებაც ძირითად პრინციპს მიესადაგება („ნაცნობიდან უცნობისაკენ“); „აქ ყოველი შემდეგი სიტყვა, გასაადვილებლად კითხვის პროცესისა, უნდა იწყებოდეს იმ მარცვლით, რომლითაც თავდება წინა სიტყვა“ (ი. გოგებაშვილი).

5. ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის მიხედვით უდიდესი მნიშვნელობა აქვს

ასოთა სწავლების თანამიმდევრობას. მაგალითად, „დედაენაში“ ჯერ **კ** (სოკო) ისწავლება, მერე — **ვ** (იხვი). ი. გოგებაშვილი განმარტავს: არ შეიძლება მათი ადგილების გაცვლა (თავის ოპონენტებს უხსნის), „ჯერ იმიტომ, რომ მასვე გაებუტება გენეტური მეთოდი, რადგანაც რთული ასო წინ მოექცევა უფრო მარტივსა, რომელიც პირველის ელემენტს შეადგენს (იგულისხმება გრაფიკულად), მერმე იმიტომ, **კ** მკაფიოდ გამოთქმისათვის ბევრად ადვილია **ვ**-ზე და ადვილადვე უერთდება, უკავშირდება ყოველს გვარს ასოსა, კითხვის პროცესს აადვილებს“. **სხვა შემთხვევაში: ხ უსწრებს ს-ს. თითქოს ს უფრო მარტივია ხ-ზე, მაგრამ: „ხ მარჯვნივ ნახევარ რგოლით თავდება; ასო ს-ს კი მარჯვნივ მრუდე რკალი აქვს, — და რადგან რგოლის წერა უფრო ადვილია მრუდე რკალზედ, ამიტომ ხ უფრო ადვილ საწერად უნდა ჩაითვალოს. ესეც რომ არ იყოს, ს-ს მეორე ადგილს ვერ მივსცემდით, რადგანაც იმისთანა ადვილ ასოსთან შეერთებით, როგორიც არის ე, თქვენ ვერ შეადგენთ რეალურის, დასახატავი საგნის სახელსა, ხ-ს ხმარებით კი სდგება იმისთანა მარჯვე სიტყვა, როგორც ხე“ (ი. გოგებაშვილი).**

ამ მეთოდის მიხედვით, ასოთა სწავლების თანამიმდევრობის მთავარი პრინციპი არის: ბგერათა გამოთქმის სიადვილე-სიძნელე (მარტივიდან რთულისაკენ); ბგერათა რაგვარობა; ბგერათა სინტაგმატური თვისებები; ბგერათა გამოყენების სიხშირე; რამდენად ცნობილი საგნის დასახელებაში შედის ესა თუ ის ბგერა და ეს საგანი დასახატავად რამდენად მოხერხებულია; როგორია ამ ბგერის შესაბამისი ასოს გრაფიკული მოხაზულობა, თუ **„რავდენს მასალას აძლევს სიტყვებისა და ფრაზების შესადგენად, რავდენად ადვილია საწერად და სხვანი“** (ი. გოგებაშვილი).

ნ. საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის მიხედვით, საანბანე წიგნი უნდა იყოს „ენობრივი სახელმძღვანელო“. ეს სახელმძღვანელო ისე უნდა აიგოს, რომ არა მარტო შეასწავლოს, არამედ უნდა შეაყვაროს ბავშვს მშობლიური ენა. „აქ ყოველი ახალი სიტყვა აუცილებლად უნდა იყოს გამეორებული შემდეგ გაკვეთილებში რამდენჯერმე, რათა ღრმად ჩაებეჭდოს ბავშვს მეხსიერებაში“. „სახელმძღვანელო უნდა იყოს უშეცდომო“; უმნიშვნელო შეცდომა საანბანე სახელმძღვანელოსთვის

არ არსებობს; **„ისე საჭირო არასდროს არ არის ამ კანონის დაცვა, როგორც სწავლის დასაწყისში“** (ი. გოგებაშვილი).

7. საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის ზოგადი პრინციპების მიხედვით, იგი უნდა გამოირჩეოდეს „წერის მასალის სიმდიდრით, ღირსებით; ელემენტარული იდეალების რაოდენობით... უნდა იყოს სახელმძღვანელო კითხვისა და წერისა ერთად, უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს იქითა და აქეთა საქართველოისას; საერო და სამრევლო სკოლებისას ერთად, უნდა დაეხმაროს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების გაერთიანებას“ (ი. გოგებაშვილი); არ უნდა იყოს მექანიკურად შედგენილი, ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის გონებრივ განვითარებას... იაკობ გოგებაშვილის თქმით, ასეთი მეთოდით შედგენილი სახელმძღვანელო „წინ წასწევს ხალხის განათლებას“.

8. ი. გოგებაშვილის აზრით, საანბანე სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წიგნის საერთო ტექნიკურ მხარეს: შრიფტების ზომას, შრიფტების მონაცვლეობას, ინტერვალსაც კი ასოსა და ასოს შორის, სიტყვასა და სიტყვას შორის, სტრიქონსა და სტრიქონს შორის; სათაურს, ქვესათაურსა და ტექსტს შორის. ეს აუცილებელია ბავშვის მხედველობის ჰიგიენის დასაცავად, მისი მხედველობის ორგანოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის და ნორმალური მხედველობის შენარჩუნებისათვის.

9. სწავლების პროცესში აუცილებელია საგანგებო ყურადღება მიექცეს წერის ტექნიკას, კალიგრაფიას, ასოების გამოყვანის პრინციპს; ტრადიციული „სწორე, პირდაპირი, მართებული“ წერის უპირატესობის დასაბუთებას „ირიბ, დახრილ“ წერასთან შედარებით. „ირიბული ხელის კითხვა ძნელია, მავნებელია მხედველობისთვის. პირდაპირი ხელის კითხვა ისეთივე ადვილია, როგორც ბეჭდურის“. აქ გასათვალისწინებელია ქართული ასოების გრაფიკული თავისებურებები (განსხვავებით ლათინურისაგან), და ისიც, რომ სწორე წერის დროს სხეული ნორმალურ მდგომარეობაშია, ირიბი წერის დროს კი — არაბუნებრივ მდგომარეობაში, რაც „მავნებელია სხეულისათვის, დამამახინჯებელია მეტ-ნაკლებობით, მეტადრე პატარაობის დროსა. როცა სხეული იზრდება და ძლიერ ეჭირვება ნორმალური მდგომარეო-

ბა“. და საერთოდ, „ესთეტიკურს მხარეს, სილამაზეს წერაში ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს“; (ი. გოგებაშვილი).

10. საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი ზნეობრივი პიროვნების აღზრდას ისახავს მიზნად; ზნეობრივ-ეთიკური პრინციპები უნდა იყოს დაცული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენისას, რადგანაც „ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა“ (ი. გოგებაშვილი).

11. ი. გოგებაშვილის აზრით, ქართული ენის საანბანე სახელმძღვანელო „ყველა მოწაფეში ავითარებს და ზრდის ქართველს ადამიანს საზოგადოდ“. ეროვნული სულის გაღვივება და განმტკიცება საანბანე სახელმძღვანელოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისიაა.

***

სამწუხაროდ, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული უნიკალური მეთოდი თანამედროვე პრაქტიკაში სრულად არ არის გამოყენებული, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს ქართულ ეროვნულ სკოლას, ქართული განათლების სისტემას, ზოგადად, და მომავალი თაობის აღზრდის საქმეს, კერძოდ. **მაგალითად: 2009 წელს ი. გოგებაშვილის „დედაენამ“ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და შევიდა სკოლაში, თუმცა 2011 წლის კონკურსის შედეგად ისევ სკოლის მიღმა აღმოჩნდა... „ი. გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით შედგენილ“ სასკოლო სახელმძღვანელოებში კი ი. გოგებაშილის ბევრი პრინციპი უგულებელყოფილია...**

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იყო ქართული სკოლიდან იაკობ გოგებაშვილის მეთოდით შედგენილი საანბანე სახელმძღვანელოს განდევნის, თავად ამ მეთოდის მითვისებისა და დამახინჯების არაერთი მცდელობა. **მაგალითად:**

1. 2009 წელს განათლების სამინისტრომ გრიფი მიანიჭა ოთხ სახელმძღვანელოს („დედაენას“!), რომლებიც პირველ გაკვეთილზე ა ასოს ასწავლიან შემდეგი სიტყვებით: ა) არწივი, ატამი, აფრა, აკვარიუმი (ავტორები ვ. როდონაია და სხვები); ბ) ატამი, ბაყაყი,

ბალი (ბ. სულაკაური და სხვ.); გ) აფრა, ავაზა (ბ. სარია და სხვები); დ) პირველი გაკვეთილი იწყება ფრაზით „ეს მე ვარ“...

2. ი. გოგებაშვილის პრინციპით შედგენილ „დედაენას“ ავტორებად ეწერებიან „ახალი რედაქციის“ ავტორები (ნ. გორდელაძე, გ. ჩხენკელი, ნ. მაღლაკელიძე და სხვ.)... „დედაენა“ საავტორო სახელწოდებაა საანბანე სახელმძღვანელოსი; ხდება მისი მითვისება...

3. „ახალ რედაქციებში“ ხდება ი. გოგებაშვილის მეთოდის დამახინჯება; ცვლილებები შედის ი. გოგებაშვილის პრინციპების გაუთვალისწინებლად...

საანბანე სახელმძღვანელოს — „დედაენის“ — შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადება ამგვარი ხელყოფისაგან დაიცავს აღნიშნულ მეთოდს და სიცოცხლისუნარიანობას შეუნარჩუნებს მას.

***

1876 წლიდან მოყოლებული, პირველივე გამოცემიდან, საანბანე სახელმძღვანელოს იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდით შედგენილი „დედაენა“ ფაქტობრივად უალტერნატივო იყო. სხვა საანბანე სახელმძღვანელოები (იაკობის სიცოცხლეშიც და შემდეგაც 20-მდე ასეთი წიგნი იყო) მას კონკურენციას ვერ უწევდნენ.

1912 წელს იაკობ გოგებაშვილმა განახორციელა თავის სიცოცხლეში ბოლო, **33-ე გამოცემა „დედაენისა“; საერთო ტირაჟმა მილიონს მიაღწია.** საქართველოსთვის ეს უპრეცენდენტო მასშტაბია.

1960 წელს ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში გაიმართა **მსოფლიო ენების საანბანე სახელმძღვანელოების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი.** იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის მიხედვით შედგენილმა ქართულმა საანბანე სახელმძღვანელომ — **„დედაენამ“ — პირველი პრემია და საპატიო მედალი დაიმსახურა.** ეს იყო, ფაქტობრივად, საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის ი. გოგებაშვილისეული მეთოდის დიდი გამარჯვება და მსოფლიო აღიარება.

1976 წელს ი. გოგებაშვილის „დედაენას“ გადაუხადეს 100 წლის იუბილე. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ეს ერთადერთი შემთხვევაა საქართველოში, წიგნის იუბილე რომ აღინიშნა.

1981 წელს თბილისში დაიდგა „დედაენის“ ძეგლი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი). ესაა ერთადერთი შემთხვევა საქართველოში, წიგნს რომ ძეგლი დაედგა.

2013 წლის 12 მარტს „დედაენას — ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს“ **მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი;**

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის **დადგენილებით** (295) არამატერიალურ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს **„დედაენას** — ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს“ **განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.**

ეს გარანტიაა იაკობ გოგებაშვილისა და მისი „დედაენის“ უკვდავებისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ გოგებაშვილი როგორც საბავშვო მწერალი

იაკობ გოგებაშვილი იყო არა მარტო დიდი პედაგოგი, აღმზრდელი, არა მარტო შესანიშნავი სახელმძღვანელოების ავტორი, არამედ მას ქართულ სინამდვილეში სამართლიანად თვლიან **საბავშვო მწერლობის ფუძემდებლად.** მართალია, ბავშვებისთვის გამიზნული ნაწარმოებები ჩვენში ადრეც იწერებოდა, მაგრამ მწერლობის ეს სფერო მეცნიერულ საფუძვლებს იაკობ გოგებაშვილმა დააყრდნო. გამიზნულად ფიქრი საბავშვო მწერლობაზე, მასზე საგანგებო ზრუნვა, მისი საფუძვლების დამუშავება სწორედ მის სახელს უკავშირდება.

დიდი ხნიდან არსებობდა აზრი, გარკვეული ავტორები ფიქრობდნენ, რომ საკუთრივ საბავშვო ლიტერატურის არსებობას საფუძველი არა აქვს. **ვოლტერის** აზრით, მხოლოდ ის წიგნებია ყმაწვილებისთვის სასარგებლო, რომლებიც დიდებისთვისაც კარგია. „თუ გინდა წერო ბავშვისათვის, შენ არ უნდა წერო სპეციალურად „ბავშვისთვის" (თეოდორ შტორმი), „მხოლოდ ჭეშმარიტი ჩვენი მწერლები არიან და უნდა იყვნენ ჩვენი საბავშვო მწერლებიც" (ჰენრიხ ვოლგასტი). ამ აზრის არგუმენტად იმოწმებენ დიდ ადამიანთა — მოაზროვნეთა, მწერალთა ბავშვობას. ბავშვობის დროს **გოეთეს,** მაგალითად, ისევე როგორც სხვა დიდ შემოქმედთ, არ უკითხავთ საბავშვო წიგნები, რადგანაც, უბრალოდ, არც არსებობდა ასეთი წიგნები. ისინი კითხულობდნენ იმას, რაც შეიძლება წაეკითხათ დიდებს. ეს აზრი ჩვენს დიდ კლასიკოსებზეც შეიძლება გავავრცელოთ. რას კითხულობდნენ ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა... ისინი კითხულობდნენ ბიბლიას, „ვეფხისტყაოსანს", ისმენდნენ ამბებს „ქართლის ცხოვრებიდან", ბიბლიიდან.

განსხვავებით ასეთი შეხედულებისაგან თანდათან ჩამოყალიბდა საპირისპირო მოსაზრება, რომლის თანახმადაც, საბავშვო ლიტერატურას უდიდესი აღმზრდელობითი და შემეცნებით-ესთეტიკური მნიშვნელობა ენიჭება. ადრე იმიტომ არ არსებობდა საბავშვო ლიტერატურაო, ფიქრობენ, რომ „ძველი კაცობრიობა არ

იჩენდა ბავშვისადმი განსაკუთრებულ ინტერესს", ამდენად, „ბავშვებისადმი დამოკიდებულების ისტორია გვიჩვენებს კაცობრიობის ფსიქოლოგიურ ისტორიას" (ლევ ტოლსტოი).

ჩვენში საბავშვო ლიტერატურის დიდი ქომაგი, მეცნიერული განმავითარებელი არის იაკობ გოგებაშვილი. მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი რაინდული მსახური იყო საბავშვო მწერლობისა.

სანამდე იაკობ გოგებაშვილის მხატვრულ შემოქმედებას შევეხებოდეთ, ბუნებრივია, დგება საჭიროება, მოკლედ მაინც გავეცნოთ მის მოსაზრებებს საბავშვო ლიტერატურის რაობის, მისი მიზანდასახულების, ამოცანების შესახებ, რამდენადაც მის მხატვრულ შემოქმედებას წინ უძღვის მწყობრი შეხედულებების სახით ჩამოყალიბებული სრულიად გაცნობიერებული მიდგომა ამგვარი მწერლობის მიმართ. ერთი სიტყვით, თუ ერთი ავტორის მოსაზრების პერიფრაზს მივმართავთ, მოაზროვნე ყოველთვის ბადებდა მასში ხელოვანს, საბავშვო მწერალს (გრიგოლ კიკნაძე).

იაკობ გოგებაშვილი იმ აზრით სულდგმულობდა, მისი შემოქმედების პათოსს ის განსაზღვრავდა, რომ „საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყრმო ნაწარმოებებით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მაგრა ადგამს ნაბიჯებს წინ, მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მისს მოზარდ თაობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისი ყრმანი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებითა".

საყმაწვილო ლიტერატურის მნიშვნელობა განსაზღვრულია ერის მომავლის თვალსაზრისით. იაკობ გოგებაშვილი იშველიებს გენიალური გერმანელი მწერლის **იოჰან ვოლფგანგ გოეთეს** აზრს, რომლის თანახმად, „არავის შეუძლია განთავისუფლდეს პატარაობის დროის შთაბეჭდილებათაგან". დიახ, სწორედ ეს შთაბეჭდილებანი ქმნიან საძირკველს ადამიანის მიდრეკილებებისას, მიმართულებისას. „ამ დროის შთაბეჭდილებებზე დიდად არიან დამოკიდებულნი კაცის მისწრაფებანი, მისი თვისებანი". ერთი სიტყვით, ბავშვობის პერიოდი განსაკუთრებული, ყველა სხვა პერიოდზე

უფრო რთულია, უფრო საპასუხისმგებლო. მთელი საზოგადოება უნდა იყოს დაინტერესებული, რომ მომავალი თაობის აღზრდა თავიდანვე იქნას დამკვიდრებული მეცნიერულ საფუძვლებზე.

დიდი პედაგოგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ ყრმას მიეწოდოს მხოლოდ მაღალხარისხოვანი, ნიჭიერად დაწერილი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომ „გონების მადა გაეხსნას“. სხვანაირად მას არ გაუჩნდება მოთხოვნილება, საჭიროება საუკეთესო ნაწარმოებების კითხვისა — „იგი გამოვა იმისთანა გულგრილი არსება, რომელიც ბევრით არაფრით განსხვავდება პირუტყვისაგან“. მხოლოდ აზრით და გრძნობით სავსე ნაწარმოებები დათესავენ ბევრ სიკეთეს ახალგაზრდობაში. ბევრ მაღალ აზრს ჩაუნერგავენ მას გონებაში; „ბევრ ღრმა გრძნობას ჩაუსახავს და აღზრდის მის გულში, ბევრი კეთილშობილური ჰუმანური მისწრაფებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუმზადებს ბევრს მხნეს და გულწრფელ მამულიშვილსა.

სავსებით გასაგებია, რომ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საბავშვო მწერლობა ძნელი საქმეა. ძნელია დაიწეროს საბავშვო თხზულება, დიდ ნიჭთან ერთად იგი მოითხოვს „საფუძვლიან მოსაზრებას, გულისყურის დამყარებას კაი ხნობით და მუყაით შრომას“. საბავშვო ლიტერატურა ისეთ მოთხოვნებს აყენებს, რომელთა დაკმაყოფილება ყველა მწერალს არ შეუძლია. ჯერ ერთი, თვითონ მწერალს უნდა ახასიათებდეს ისეთი პიროვნული თვისებები, რომელნიც შეეფერებიან და უპასუხებენ ბავშვის თავისებურებებს.

იაკობ გოგებაშვილიც მიჰყვება საყოველთაოდ ცნობილ აზრს: ადამიანი „კი არ უნდა **შეიქმნას**, არამედ უნდა **დაიბადოს** საბავშვო მწერლად. აქ საჭიროა არა მხოლოდ ტალანტი, არამედ თავისებური გენია“. საპირისპიროდ გავრცელებული დამოკიდებულებისა საბავშვო ლიტერატურის, როგორც ლიტერატურული მუშაობის იოლი სფეროს შესახებ, როგორც სხვა საქმეში ხელმოცარულის სამოღვაწეო ასპარეზის შესახებ, იაკობ გოგებაშვილმა დიდად აზიდა ჩვენში ღირსება საბავშვო მწერლისა. დიდ ნიჭიერებასთან ერთად დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა და, რაც მთავარია, შრომის სიყვარული უნდა ახასიათებდეს საბავშვო მწერალს.

საბავშვო მწერალს უნდა უყვარდეს ადამიანი, ხალხი, ვისზეც წერს, ისეთი, როგორიც ის არის, მისი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით და უყვარდეს ისინი, ვისთვისაც წერს. უყვარდეს არა „თეორიული სიყვარულით, რომელიც ხშირად ზეწარივით ეფარება რეალურ სიძულვილს, არამედ ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარულით“. მწერალი გულწრფელი უნდა იყოს თავის გრძნობებში, არაგულწრფელობას ბავშვი გრძნობს და ამგვარი ნაწარმოები მის გულს არ აღელვებს. იაკობ გოგებაშვილის აზრით, საბავშვო თხზულება ვერ გუობს გაჭიანურებულ, გრძელ აღწერებს. ასეთი აღწერები დიდებისთვისაც კი ძნელი წასაკითხია, რის გამოც ასეთ ადგილებს არაერთი მკითხველი უბრალოდ, ტოვებს, გადაახტება: სხვა საკითხია, რამდენად არის ასეთი მკითხველი ჭეშმარიტი მკითხველი, მაგრამ ფაქტია, რომ ბავშვის მოძრავი ბუნება სრულად „ვერ შვენობს დიდხანს შეჩერებას, გრძელს, გაჭიანურებულ, პლასტიკური სურათების კითხვასა“. საბავშვო თხზულებაში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს მოქმედების დახატვას, დრამატიზმს. თუ მაინცდამაინც პლასტიკური აღწერა აუცილებელია, იგი უნდა იყოს მოკლე და შეესაბამებოდეს მხოლოდ საგნის უმთავრეს ნაწილებს. დანარჩენი ნაწილების დაზუსტება თვითონ მკითხველის წარმოსახვას უნდა მიენდოს.

საბავშვო თხზულება სასურველია შედგებოდეს მოკლე-მოკლე ცალკეული ერთგვარად დასრულებული, დამთავრებულობის შთაბეჭდილების მქონე მონაკვეთებისაგან. ამგვარი ნაწარმოები აადვილებს მის აღქმას და დასამახსოვრებლადაც უფრო მოსახერხებელია.

თხზულება ბავშვის გონებასაც უნდა აძლევდეს საზრდოს და გულსაც უნდა უღელვებდეს ჭეშმარიტი გრძნობებით. ერთი სიტყვით, ასეთი თხზულება შინაარსობრივადაც უნდა ამდიდრებდეს ბავშვის გონებას, შემეცნებითი თვალსაზრისითაც, კეთილშობილურ აზრებს და გრძნობებს აზიარებდეს ნორჩ მკითხველს და ეთიკურ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც ამაღლებდეს, ჭეშმარიტი ხელოვნებით მინიჭებულ ტკბობასაც უნდა აზიაროს.

თხზულების შემეცნებით მხარეს იაკობ გოგებაშვილი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. მოზარდის მეხსიერება ღრმად აღბეჭდავს ყოველივეს და შემდეგ იმის შეცვლა, რაც ერთხელ ჩაიჭედა ცნო-

ბიერებაში, თითქმის შეუძლებელი ხდება. ამდენად გასაგებია, რომ საბავშვო თხზულებაში აზრის დამახინჯება, კეთილხმოვანებისთვის თუნდაც, მიუღებელია — „აზრის დამახინჯება კეთილხმოვანებისთვის ყოველთვის მავნებელია, მეტადრე საბავშვო ნაწარმოებში“.

იაკობ გოგებაშვილი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას საყმაწვილო ლიტერატურის ენობრივ მხარეზე. საზოგადოდ, საყმაწვილო ლიტერატურას ის უდიდესი ამოცანა აკისრია, რომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მისით ეზიარება ნორჩი მკითხველი თავისი ენის სიმდიდრეს, მის ენობრივ შესაძლებლობებს, თავისი ხალხის კულტურას, მის წარმოდგენებს, მისეული სამყაროს აღქმას. ლიტერატურით იმდიდრებს მოზარდი ლექსიკურ მარაგს, ეჩვევა სწორ, გამართულ მეტყველებას. ბავშვს ესაჭიროება ენის შესწავლა, სწორი მეტყველების დაუფლება. უკითხეთ მას კარგი საბავშვო წიგნები, ეს იქნება ერთი საუკეთესო მასწავლებელი.

მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ მაშინ აღწევს თავის მიზანს, როდესაც იგი „ადვილი, ფრიად ადვილი შესათვისებელია ბავშვისათვის როგორც შინაარსით, ისე ფორმით“.

გასაგებია, რომ საბავშვო ლიტერატურის ენა იაკობ გოგებაშვილის მუდმივი ზრუნვის საგანი იყო. იგი, პირველ ყოვლისა, მოითხოვს ნამდვილ ხალხურ, სასაუბრო ენას, ცოცხალს და არა გაქვავებული ფორმებით დამძიმებულს, ადვილად აღსაქმელს და ასათვისებელს მოზარდის მიერ.

იაკობ გოგებაშვილის ტალანტმა არა მარტო პრაქტიკული და თეორიულ პედაგოგიურ მოღვაწეობაში ჰპოვა გამოხატულება, არამედ სრულიად დაუძაბავად შეძლო განვითარება საბავშვო მწერლობაში.

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები ქართველი ყმაწვილების საყვარელ პროზას წარმოადგენდა და წარმოადგენს ამჟამადაც მათთვის, ვისაც საამისოდ აქვს მზაობა და გული გახსნილი. მისი მოთხრობები დიდ ინტერესს იწვევენ მიმზიდველი სიუჟეტით, საინტერესო პერსონაჟებით, თხრობის მანერით, ენობრივი სისადავით.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების თემატიკა განსაზღვრულია ძირითადად პედაგოგიური ამოცანებით. ამდენად, გასაგებიც უნდა იყოს, რომ მისი მოთხრობები მკაფიოდ დიდაქტიკური შინაარსისაა,

შეიცავს მეცნიერულად გამართულ ცოდნას და ატარებს შემეცნებით ხასიათს.

რამდენადაც მხატვრული ნაწარმოები კონკრეტული შინაარსის შემცველია, ამდენად მას პრაქტიკულ-პედაგოგიური ღირებულება აქვს; პედაგოგიური თვალსაზრისით ეს მხარე განსაკუთრებით საგულისხმოა. ამიტომაა, რომ ასე მიზანმიმართულად ეძიებს ი. გოგებაშვილი სხვა ქართველ მწერალთა საბავშვო თხზულებებს და თვითონაც ხალისით ქმნის საბავშვო მოთხრობებს. ყველაფრის განმსაზღვრელი ისაა, რომ პედაგოგიური მიზნების რეალიზება გაცილებით უფრო ეფექტურად ხდება მხატვრული სიტყვით, ესთეტიკური ტკბობის ნიშნით. შემეცნებითი, ეთიკური და ესთეტიკური აქ ურთიერთშერწყმულია, სხვაგვარად ამოცანა ეფექტურად ვერ განხორციელდებოდა.

როგორც დიდი პედაგოგის, დიდი მოღვაწის საქმიანობა, იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედებაც ეფუძნება მის ეროვნულ კონცეფციას.

იაკობ გოგებაშვილის ეროვნული კონცეფცია ითვალისწინებს, მისი ამოსავალია მოზარდის ყოველმხრივ განვითარება და მისი მოთხრობებიც ამის გამოხატულებაა.

განსაკუთრებით უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის გამიზნული ი. გოგებაშვილის მოთხრობები, შემეცნებით ფუნქციასთან ერთად, მკაფიოდ გამოხატული ეთიკური მიზანდასახულობის შემცველია. ბავშვებისათვის გამიზნული მოთხრობები მოწოდებულია გამოიწვიოს მკითხველში სიბრალულის, თანაგრძნობის, სიყვარულის, სიკეთის ქმნის ზნეობრივი შინაარსის გრძნობები; არ იქურდო, ქადაგებს ერთი მოთხრობა („სანდრო და ვაშლი“), საკუთარი ოფლით მოიპოვე პური შენი არსობისა, მხოლოდ ისაა გემრიელი, ის შეგერგება, — ღაღადებს მოთხრობა „პატიოსანი და უპატიოსნესი“. ნუ მოეპყრობი ავად შენზე უმწეოს, ნუ აწვალებ, დააცხრე შენი სიბრაზე, გამოუსწორებელი ქმედება რომ არ ჩაიდინო. იაკობ გოგებაშვილის ეთიკურ-შემეცნებით ინტერესებში ის დამოძღვრაც შემოდის, რომ დაგანახოს, შენი სულწასულობით, მოუთმენლობით რა ზიანი შეგიძლია მოუტანო ჯერ შენს თავს და მერე სხვებსაც („მოუთმენლობის მსხვერპლი“). „ორკეცი ფასი სწავლისა“ — ეს

მოთხრობა პატარებს არიგებს, რომ ყბედობა, უაზრო ლაპარაკი საზიანოა. მოთხრობა „სიკეთე ბოროტისათვის“ მოზარდს აფრთხილებს, რომ არავის უნდა დახედო ზემოდან, არ უნდა დასცინო ნაკლის გამო, რომ კარგია სულგრძელობა, ის არ უნდა გაუკეთო სხვას, რაც შენ გულს გატკენს, დაგამცირებს. სუსტი არ უნდა დაჩაგრო („სპილო და ჭიანჭველა“). მოთხრობა „თავის გაწირვა მტრისათვის“, მოზარდს ასწავლის, რომ გიყვარდეს არა მხოლოდ მოყვასი შენი, არამედ მტერიც შენი, მის მიმართ იყავი სულგრძელი, თუ გინდა სიკეთით მოგიბრუნდეს ყველაფერი. ასეთია ის ზნეობრივი ნორმები, რასაც მოუბეზრებლად და მოუქანცველად ქადაგებს ჩვენი მწერალი თავის მოთხრობებში.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური თვალაზრისით, მოზარდის შინაგანი ინტერესის გაცხოველება ისეთ მასალას შეუძლია, რომელიც შინაარსეულად ახლოს არის მის გამოცდილებასთან, გასაგებია, რომ გამოცდილების უბრალო გამეორებას კი არ უნდა ჰქონდეს ადგილი, ნაცნობზე დაყრდნობით, მის საფუძველზე უნდა მოხდეს ახლის მოწოდებაც. ერთი სიტყვით, თუ გვინდა რომ ყმაწვილს გონების გახსნაში დავეხმაროთ და სწავლაში სწორი მიმართულებით გავუძღვეთ, განათლების მიღება გავუადვილოთ, მას უსათუოდ სწავლა იმ საგნებიდან, იმ გარემოს შესწავლიდან უნდა დავაწყებინოთ, რომლებიც მოზარდთან უფრო ახლოს არიან, მის გრძნობა-გონებას იზიდავენ და ხალისით და ინტერესით შეითვისებიან. ამდენად, მისთვის საინტერესოა ნაცნობი ბუნება, მცენარეები, ცხოველები, ფრინველები.

ხშირად, ძალიან ხშირად, მწერალი ზნეობის გაკვეთილებს ყმაწვილებს ფრინველთა და ცხოველთა მაგალითებით აძლევს. დიდი პედაგოგის დაკვირვებითაც, ბავშვებისათვის ასეთი გაკვეთილები ძალზე ეფექტურია, რამდენადაც ცხოველთა და ფრინველთა მაგალითები საკუთრივ ბავშვების ბუნებასთან უფრო მიახლოებული ჩანს.

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობების ერთი ნაწილი ცხოველებზე, ფრინველებზე, იგავის ხასიათსაც ატარებენ. ეს იგავური თხრობანი მოზარდებს თანდათან იმასაც აჩვევენ, რომ აზრის გადატანა მოახერხონ ერთი რიგის ფაქტებიდან და მოვლენებიდან სხვა რიგის

მოვლენებზე ადამიანთა ცხოვრებიდან, ურთიერთობიდან, საზოგადოდ, ზნეობრივ ღირებულებებზე, თანდათან აჩვევენ მხატვრულ განზოგადებას და ხელოვნების ნიმუშით ნამდვილი ტკბობის ესთეტიკურ სიბრტყეზე აყენებენ თანდათან.

იაკობ გოგებაშვილს მიაჩნია, რომ ამ უზოგადეს პრინციპს — გამოცდილებასთან ახლოს მყოფის შესწავლით მოზარდის ბუნებრივი ინტერესების გამოწვევა-გაღვივებას პირდაპირ მივყავართ ყველაზე უმალ **სამშობლოს** შესწავლასთან.

ელემენტარული ჭეშმარიტებაა, მოზარდი მაშინ უფრო შეიყვარებს თავის სამშობლოს, როცა იგი კარგად ექნება გაცნობილი. როგორც დიდი პედაგოგი მიუთითებს, ეს კარგად ესმოდათ ყველა ქვეყნის დაწინაურებულ პედაგოგებს და სკოლის მთავარ ამოცანად სახავდნენ სამშობლო ქვეყნის შესწავლას. უნდა დახატულიყო კონკრეტული კერძო მოვლენები, საგნები, ცხოველები, ფრინველები, მცენარეები. მოთხრობის ფორმა ყველაზე უფრო თვალსაჩინო იყო ასეთი მიზნებისათვის. მწერალი ფიქრობს, რომ ერთი მთავარი მიზეზი ჩვენს მიწა-წყალს რომ სხვები ეპატრონებიან, ჩვენი ქვეყნის ბუნების უცოდინარობაა.

არა და თვით მოზარდში იმთავითვეა ჩადებული ეს ინტერესი. თითქმის ყოველი კითხვა ბავშვებისა შეეხება ბუნებას, მის ცალკეულ წარმონაქმნს, მცენარეს, ცხოველს, ჩვენც სწორედ ამ ინტერესს უნდა დავეყრდნოთ. იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით, „განათლებულ ქვეყნებში კარგად აქვთ შეგნებული, რომ ბუნების ცოდნა და მის ძალთა დამორჩილება შეადგენს ერთს უმთავრესს ბურჯს ერისა და კაცობრიობის მეცნიერებისას. ამის გამო იქ ბუნების შესწავლას დიდს ადგილს უთმობენ ბავშვების განვითარებაში, როგორც ოჯახებში, ასევე სკოლებში“. ჩვენში კი ამას არ ექცევა ყურადღება. ჩვენი უსულგულო ბიუროკრატიული სკოლა ისე უძლურად და მკვდრად ასწავლის ბუნებისმეტყველებას, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მის ჩონჩხს, რომ ჩვენს ბავშვებს და ყმაწვილებს „სრულიად უცრუვდებათ მასზე გული. საქართველოს ბუნება ისეთი მდიდარია და მრავალფეროვანი, რომ ევროპის ბუნება მასთან ნარცხადაც არ მოვა, მაგრამ ჩვენ ამ მდიდარი ბუნებისა არაფერი გაგვეგება უკუღმართად აღზრდის წყალობით.

ამის გამო ჩვენს ბუნებას ეპატრონებიან უცხოელნი, შეიარაღებულნი რეალური ცოდნით, იძენენ აუარებელ ქონებას და ჩვენ კი ხახამშრალები ვრჩებით".

იაკობ გოგებაშვილი ამ დიდი ნაკლის, დიდი ხარვეზის ერთგვარ გასწორებას ისახავს მიზნად, როცა ქმნის უამრავ საინტერესო მოთხრობას მცენარეებზე, შინაურ ცხოველებზე, ფრინველებზე — როგორც შინაურზე, ისე გარეულზე. იაკობის მოთხრობებით გაიგებს ყმაწვილი, როგორ თავგანწირვით იცავს დედა კრუხი თავის პაწიებს ქორისაგან, კვერნისაგან, როგორ წირავს თავს მათთვის. ამ მოთხრობებითვე გაიგებს, როგორ დაღონებულნი ტოვებენ შემოდგომით გადამფრენი ფრინველები ჩვენს და **მათს** სამშობლოს, თურმე „არც ერთი ჩვენებური ფრინველი ზამთრობით თბილს ქვეყნებში სრულს მხიარულობას არა გრძნობს. ფრინველებს აგონდებათ თავიანთი სამშობლო, სადაც დროს მხიარულად და ბედნიერად ატარებდნენ, სადაც საყვარელი ბარტყები დაზარდეს, და ნაღვლიანად არიან". როგორც მგზავრობის დროს, ისე თბილს ქვეყნებში არც ერთი ჩვენებური ფრინველი თავის საამურს ლექსებს არ გალობს, არც ერთი ბუდეს არ იკეთებს, არც ერთი შვილებს არ სჩეკს. რადა? იმიტომ, რომ იმ საზამთრო ადგილებს უცხო ქვეყნებად სთვლიან და არა სამშობლოდ". ფრინველების გამოცოცხლება იწყება, როცა ახლოვდება სამშობლოში დაბრუნების დრო. „თავიანთ ძველს ლექსებს იგონებენ და იქაურს მინდვრებს მხიარული გალობით აღვიძებენ. რა უხარიათ ფრინველებსა? ის, რომ თავიანთ სამშობლოში გაზაფხულის მოახლოება შეიტყვეს; იციან, რომ ცოტა ხანს უკან თავიანთს საყვარელსა და სანატრელს ქვეყანაში წამოსვლა მოუხდებათ".

ბუნებრივია, ყოველგვარი მორალიზების გარეშე მოზარდებს ასეთი ამბის გაცნობა სიყვარულით განაწყობს ფრთოსანი მეგობრების მიმართ, მათ წარმოსახვასაც ხომ დიდად ავსებს და აფართოვებს.

იაკობ გოგებაშვილმა თავისი მოთხრობების ერთ წყებაში დიდი ყურადღება დაუთმო, დაგვიხატა ცხოვრება იმ ნადირთა და ფრინველთა, რომლებიც ადამიანებს უდიდეს სიკეთეს უკეთებენ იმით, რომ ჩვენი ჭირნახულის, მოსავლის მტრებს ჭია-მატლებს, რომლებსაც ადვილად შეუძლიათ სულ გაგვიჩანაგონ მოსავალი, უწყალოდ

ანადგურებენ. ხოლო ჩვენმა უცოდინარმა ხალხმა, განსაკუთრებით მოზარდებმა, არ იციან, თუ რა სიკეთე მოაქვთ ამ ჩვენს მეგობრებს და უწყალოდ ანადგურებენ მათ. იაკობმა დიდი ადგილი დაუთმო თავის „ბუნების კარში“, საკითხავ წიგნებში მოთხრობებს „მოსავლის მცველებზე“.

აქ, ამ მოთხრობებში მწერლის მიზანსწრაფვა, მისი თხრობა, წარმოსახვა მწერლისა სავსებით შეესატყვისება ბავშვების წარმოსახვის უნარს, მათ ფანტაზიას. იაკობ გოგებაშვილი მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით, მის საფუძველზე ისე აშინაარსებს ცხოველთა და ფრინველთა ინსტინქტებს, მათ ბუნებრივ უნარებსა და შესაძლებლობებს, მათ ქცევებსა და მოქმედებებს, როგორც ბავშვები ბუნებრივად წარმოიდგენენ ამას, როგორც ისინი ასულდგმულებენ არა მარტო ცოცხალ ბუნებას, როგორც ისინი უცქერიან არა მარტო ცხოველებსა და ფრინველებს მათთან დაახლოებულად, დანათესავებულად, მათ ტოლებად, არამედ როგორც ისინი ასულდგმულებენ თავიანთ სათამაშოებს, შესაძლოა მოზარდისთვის უცნაურად გამოიყურებოდეს გახარებული თუ დაღონებული ფრინველები, სამშობლოზე დარდით შეწუხებულები, მეხსიერებით და მგრძნობიარობით აღჭურვილები, მაგრამ ბავშვებისათვის ეს ყველაფერი სავსებით ბუნებრივია. თუ ვაჟას ბრწყინვალე მოთხრობებში ფანტაზიის ლაღი საზღვარდაუდებელი თამაში იტაცებს მკითხველს, სადაც ფრინველები და ცხოველები ქორწილს, იუბილეს იხდიან, „მორცხვობენ, ილხენენ, ერთიმეორეს კაცებს უწოდებენ, ადამიანთა ადათებს იცავენ. „შემოსასწრებს“ სვამენ და ადამიანურ სიმღერას მღერიან“ (გრიგოლ კიკნაძე), იაკობ გოგებაშვილი არ გადის მეცნიერული მონაცემების ფარგლებიდან, რადგან მისი მოთხრობების ერთი დიდი დანიშნულება მათ შემეცნებით ხასიათში მდგომარეობს, და მწერალი სწორედ ამ ფარგლებში დარჩენით ახერხებს ბავშვების ინტერესების, მათი ცოდნისმოყვარეობისა და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. მწერლის მიერ განსახიერებულ ცხოველთა და ფრინველთა მოქმედებები და ქცევები არის დაახლოვებული, შესაძლებლობის ფარგლებში, ადამიანურ ქცევებსა და მოქმედებებთან და არც მათი ბუნებრივი შესაძლებლობე-

ბია შეცვლილი, რაც დიდ დამაჯერებლობასაც აპირობებს მის მიერ გადმოცემულისას და ამასთანავე მოზარდების ინტერესებისა და შესაძლებლობების მოპასუხედაც გამოდის.

ცხოველები და ფრინველები თავიანთი ბუნებით, ბუნებრივი უნარებით, რომლებზეც მწერალი ამახვილებს ყურადღებას, დიდად არიან დაახლოებულნი ადამიანებთან საერთოდ და უფრო კი ბავშვებთან, მათ შინაგან სამყაროსთან, რითაც ბავშვების წარმოდგენებს, მათ ფანტაზიას დაუშრეტელ საზრდოს აწვდიან. ბავშვებს, როგორც ეს ცნობილია და არაერთგზის მითითებული, განსაკუთრებით იზიდავთ ბუნება, განსაკუთრებით კი ცხოველთა და ფრინველთა სამყარო, რამდენადაც თვითონაც ბუნებას ასახიერებენ. მწერლის მოთხრობები არა მარტო დიდად საინტერესონი არიან ყმაწვილებისათვის, არამედ დიდად უწყობენ ხელს მათ დაახლოვებას და დამეგობრებას ბუნების სამყაროსთან და მათი გრძნობების გამაფაქიზებლად და გამაკეთილშობილებლადაც გამოდიან.

იაკობ გოგებაშვილის მიერ დახატული ბუნების შვილები — ცხოველები, ფრინველები, თვითონვე არიან კეთილშობილ თვისებათა მატარებელნი, ადამიანთა უღალატო მეგობრები. რამდენი სიკეთე მოაქვთ თურმე ადამიანებისათვის. ადამიანები კი, მათი თვისებების არმცოდნენი, მათ სინამდვილეში მტრობენ, დასახოცად ერჩიან. დიდი პედაგოგისა და მწერლის მოთხრობების გაცნობის შემდეგ შეუძლებელია მოზარდი არ აღივსოს სიმპათიის, სიყვარულის გრძნობით ბუნების, მის ბინადართა მიმართ, არ იქცეს ცხოველთა და ფრინველთა მეგობრად. ესაა ცოდნასთან შერწყმული სიკეთისა და სილამაზის შეგრძნება. იაკობ გოგებაშვილი არა მაინცდამაინც მორალის გარედან შეტანით, არა მწერლური გამიზნულობით მსჭვალავს თავის მოთხრობებს სიკეთით, არამედ თვით თავისი მოთხრობებისთვის შერჩეული მასალით ახდენს ზემოქმედებას ნორჩ მკითხველებზე, თვითონ მისი მოთხრობების მასალას აქვს დიდი აღმზრდელობითი ღირებულება. ის არსებები, რომელთაც ეძღვნება იაკობ გოგებაშვილის მოთხრობების ერთი დიდი ციკლი, არა მარტო საყურადღებონი, საინტერესონი არიან გასაცნობად ყმაწვილთათვის, არა მარტო ამით არის დაპირობებული მათ მიმართ ბავშვების ინტერესი და ყურადღება, არამედ მათში

კეთილშობილურ გრძნობებს იწვევენ. თავად მწერლის მიერ აქცენტი ვისათვის შერჩეული მასალაა, საგანგებო მორალიზების გარეშე, დიდი აღმზრდელობითი ფუნქციის მატარებელი. ასეც დიდ ზემოქმედებას ახდენს ი. გოგებაშვილის თხზულებები ნორჩ მკითხველებზე: „ბავშვებს ხომ ყველაზე მეტად უყვართ ცხოველები, ფრინველები, მცენარეები, რადგან თავიანთი უმანკოებით და სიწმინდით ძალზედ ჰგვანან ბუნებას“ (იუზა ევგენიძე).

ჩვენი მწერალი ბუნების სამყაროს განსახიერების დროს, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ხშირად მიმართავს მკვეთრ დაპირისპირებას, რაც აუცილებელი გზაა იმისათვის, რომ ჯერ კიდევ განუვითარებელმა გონებამ შეძლოს ურთიერთისაგან გამიჯნოს მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა, მწერთა როლები და მათთან სასურველი მიმართება დაამყაროს. როგორც ითქვა, ამ ხერხს ხშირად მიმართავს ჩვენი მწერალი, რაც ნორჩებს საშუალებას აძლევს პირდაპირი მიმართება დაამყარონ მათთან. ერთი ძირითადი მიზეზი ესეცაა, რომ მისი თხზულებების პერსონაჟები, როგორც ადამიანები, ისე არაადამიანები, მკაფიოდ წარმოჩნდებიან თავიანთი ასეთი თუ ისეთი თვისებებით და მათთან ბავშვებისათვის ადვილად მისაწვდომი დამოკიდებულება დაუძაბავად ხერხდება.

იაკობ გოგებაშვილის მხატვრულ პროზაში პირობითად შეიძლება გამოიყოს ერთი ჯგუფი მოთხრობებისა, რომლებიც არა მარტო ბავშვებისათვის, ყმაწვილებისათვის არიან გამიზნული, არამედ უშუალოდ ბავშვის სამყაროს აცოცხლებენ, მის ხალისიან, უღრუბლო დღეებს, თუ მის დიდ ბავშვურ დარდსა და ტკივილს, რომელმაც შეიძლება სიკვდილის პირამდე მიიყვანოს იგი.

ეს მოთხრობები განსაკუთრებით იმ მხრივაა ძალზე საყურადღებო, რომ საკუთრივ მწერლის ბავშვობის ხანას ეხება, ეყრდნობა მის ნახულსა და განცდილს. ეს მოთხრობებია: „ჩვენი სოფელი“, „ხატის მიზეზი“, „ცოფიანი ძაღლი“, „თევზაობა“ და ა. შ. ამ მოთხრობებს შეუძლიათ მკითხველის გული დაიპყრონ დიდი გულწრფელობით, უშუალობით, შიგადაშიგ თბილი იუმორით, იმის სიყვარულით, რასაც უკავშირდება მწერლის მოგონებები და, რაც მთავარია, თვითონ ნორჩი თაობის, ვისაც ეძღვნება ეს მოთხრობები, დიდი სიყვარულით.

ჩვენი მწერალი არა მარტო საერთოდ ბავშვის ზნე-ხასიათს იცნობს კარგად, არა მარტო საზოგადოდ არის ბავშვის გულის მესაიდუმლე, არამედ იგი კარგად გრძნობს ასაკობრივ ფაქტორს, ასაკობრივ ნიუანსებს. კარგად ჩანს ეს ყმაწვილების სულიერი სამყაროს ამსახველ მოთხრობებშიც, რომლებიც უშუალოდ მწერლის მოგონებებს ეფუძნება. ერთი ასეთი მოთხრობაა „თევზაობა“. როცა ავტორი თავის თევზაობით გატაცებაზე გვიყვება, აღნიშნავს: „მე მაშინ ჯერედ პატარა ვიყავი და თევზის სიბრალული იოტის ოდენადაც არ მქონდა. მე არ დაგიდევდით მაშინ, რომ თევზიც ქვეყანაზე ღმერთს გაეჩინა მისი სიამისა და ბედნიერებისათვის და არა ჩვენს საწვალებლად და საჭმელად. ამიტომაც შეუბრალებლად ვასალმებდი წუთისოფელს ახლად გაჩენილ თევზებს, ჭიჭყინებს, რომელთაც ჯერედ სიცოცხლით არ გაეხარნათ“. სავსებით გასაგებია; მწერალი მიუთითებს, რომ ბავშვისთვის ჯერ კიდევ უცხოა შთაგრძნობა, ანუ სხვაში, ადამიანში, ბუნების წარმონაქმნებში, ფრინველებში, ცხოველებში „სუბიექტის გრძნობათა პროეცირება... სხვაში ნაგრძნობი „მე“ (ვახტანგ გოგუაძე).

იაკობ გოგებაშვილის თემატიკურად მდიდარ პროზაში განსაკუთრებული ღირსებით და მნიშვნელობით გამოირჩევა ისტორიულ თემაზე შექმნილი მოთხრობები.

ისტორიული მოთხრობების შექმნასაც მწერალი იმ ეროვნულ პრინციპს უდებდა საფუძვლად, რომლის თანახმად, „ვისაც სურს, რომ ყმაწვილი გონების გახსნასა და სწავლაში სწორ გზაზე დააყენოს და განათლების მიღება გაუადვილოს, ის უთუოდ უნდა ეცადოს, სწავლა იმ საგნებიდან დააწყებინოს, რომლებიც უფრო ახლოს არიან, მის გრძნობა-გონებას იზიდავენ და ადვილად შეითვისებიან“.

კაცობრიობის ისტორიის შესწავლის საფუძველი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იყოს შენი მშობლიური ქვეყნის ისტორიის სწავლა. „ყმაწვილმა ჯერ თავისი ქვეყნის წარსულის ცხოვრება უნდა გაიცნოს და მერმე ადვილად შეისწავლის კაცობრიობის უწინდელ თავგადასავალსა“. საზოგადოდ, ყმაწვილებს ძალიან უყვართ ისტორიული მოთხრობების სმენა და მალეც იხსომებენ. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის სიტყვები;

ადამიანის თანდაყოლილი თვისება არისო, წერს ილია, რომ ცხოვრებისწადილით დააკვირდეს გამოჩენილ ადამიანს, რითიმე გამორჩეულს. გმირთა პატივისცემა თვით ადამიანის ბუნების წყურვილია. რატომო, — სვამს კითხვას; იმისთვისო, რომ გამოჩენილი კაცის ღვაწლი „სასახელოა, სამაგალითოა, ნაყოფიერია, თანამედროვეთათვის, შთამომავლებისათვის და საუკუნოებისათვის". ამიტომაც ეძიეთ და აღმოაჩინეთ დიდბუნებოვანნი კაცნი, თუ შეიძლებთო. არადა, როგორც ერთი რუსი ავტორის ნათქვამის დამოწმება უყვარს იაკობ გოგებაშვილს, საქართველოს ისტორიას ასი შექსპირიც ვერ ამოწურავს.

იაკობ გოგებაშვილი ქართველ მწერლებს მოუწოდებდა ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი ისტორიიდან მიემართათ სახელოვანი ფურცლებისათვის — ცოტნე დადიანის ზნეობრივი საქციელის, იოთამ ზედგინიძის თავდადების, თევდორე მღვდლის თავგანწირვის მაგალითებისათვის და ექციათ ისინი მასალად მოზარდთათვის, გამიზნული მოთხრობებისათვის. ხოლო მოგვიანებით, როცა დაინახა, რომ ეს ამოცანა მაინც გადაუჭრელი რჩებოდა, თვითონ შექმნა მათი გმირობის შესახებ მოთხრობები.

იაკობ გოგებაშვილი თავისი მოთხრობებისათვის მასალად ირჩევს საქართველოს ისტორიის უმთავრეს მომენტებს, გამორჩეულ ისტორიულ პირებს, მათ გამორჩეულ მოქმედებას, საქციელს, რომლებიც საგანგებოდ შემოინახა ისტორიის თუ ხალხის ხსოვნამ, მათ ვაჟკაცობას, ზრუნვას ერის კეთილდღეობისათვის, მისი განათლებისათვის. იაკობ გოგებაშვილის მიზანი ისტორიის გაცნობის დროს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს უბრალოდ ცნობისმოყვარეობის, უფრო უკეთ, ცოდნისმოყვარეობის წყურვილის დაკმაყოფილებას. ისტორია მოძღვარია ერისა. ისტორიის ხსოვნას რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერისთვის, ეს ადრეც იცოდნენ ჩვენში, მაგრამ ყველაზე თვალსაჩინოდ ისტორიის მნიშვნელობა ქართველმა სამოციანელებმა გაუცნობიერეს ქვეყანას, და სწორედ მათ შორის იყო იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც ამ დიდი მისიის აღსასრულებლად ერის ყველაზე მგრძნობიარე, ფაქიზ ნაწილს — მოზარდ თაობას მიმართა. დიდი მწერლის აზრით, ერის, ახალგაზრდობის დამოძღვრას ისტორიული მოთხრობები მხოლოდ მაშინ გასწევდნენ,

თუ ისინი ნათლად აგრძნობინებდნენ „თუ რა უმართავდა ხელს, ან უშლიდა ჩვენს ერს წარსულში, რისგან სუსტდებოდა და ეცემოდა იგი ძირსა და რისგან ძლიერდებოდა, ძალ-ღონით მაგრდებოდა, ივსებოდა. მხოლოდ ამისთანა მოთხრობებს შეუძლიან მისცენ ნაციონალური გაკვეთილები მოსწავლეთ და ჩააგონონ მათ, თუ რას უნდა ერიდოს ჩვენი ერი აწმყოში და რას უნდა ესწრაფოდეს, საითკენ უნდა მიისწრაფოდეს, რომ გაძლიერდეს“. იაკობ გოგებაშვილი თავის ისტორიულ თხზულებებში ხსნის, არკვევს, თუ რა ასუსტებდა წარსულში ჩვენს ერს, რა აყენებდა მას აყვავების გზაზე. მაგალითად, „განცალკევება საქართველოს კუთხეებისა ნამდვილად შხამი იყო ჩვენი ერისათვის, ერთობა კი — უებარი წამალი“. ყველაფერთან ერთად მწერალი საგანგებოდ ითვალისწინებდა, რომ ადამიანს და მით უმეტეს, მოზარდს გამოარჩევს მიბაძვა სხვათა. და საჭირო იყო მათთვის ჭეშმარიტი მისაბაძი მაგალითების, სანაქებო მაგალითების დასახვა ისტორიიდან.

ქართველმა ყმაწვილებმა „ქართლის ცხოვრების“ დიდი გაკვეთილები ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებით შეისისხლხორცეს და ასე მოდიოდა ათეულობით წლების მანძილზე, იქამდე მაინც, სანამ ახალმა დრომ, ახალმა საეჭვო გარემოებებმა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური პრინციპების რევიზიის გუნებაზე არ დააყენა „ახალი სკოლის“ მესვეურნი.

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობათაგან გამოირჩევა სრულიად განსაკუთრებული ზემოქმედებითი ძალის მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა?“ ეს ნაწარმოები თავისი ხასიათით ახლოსაა იაკობ გოგებაშვილის ისტორიულ მოთხრობებთან, რამდენადაც, როგორც ავტორი მიუთითებს, გარკვეულ ისტორიულ დროს ეხება, მაგრამ ვერც სავსებით ისტორიულად ჩაითვლება, რამდენადაც მასში არც გარკვეული ისტორიული ფაქტია ასახული და არც ისტორიული პირები მოქმედებენ. მოთხრობა განსაკუთრებით უყვარდა თვით მის ავტორს და მისი ბედით საგანგებოდ იყო დაინტერესებული.

ამ ნაწარმოებმა მალე მოიპოვა აღიარება არა მარტო საქართველოში, ის ყველა თვალსაზრისით გამორჩეულია. მკითხველს ხიბლავს ავტორისეული უჩვეულო გრძნობა სიუჟეტისა, ამბის თხრობის ოსტატობა, არა მარტო დრამატიზმი, რაც იაკობის თქმით,

ძალზე აინტერესებს მოზრდილ მკითხველს, ვისთვისაც გათვალისწინებ ია ძირითადად ეს მოთხრობა, არამედ მასში შექმნილი ვითარების ტრაგიზმი — დედ-მამა ხედავს, რომ მათ თვალწინ ქრება, ეკარგებათ ერთადერთი უსაყვარლესი შვილი და ვერაფერს შველიან, აღარაფრის შეცვლა არ შეუძლიათ; ტრაგიზმი საკუთრივ ქეთოს მდგომარეობისა, რომელიც ხედავს, რომ თავს ევლებიან მისთვის უცხო ადამიანები (მშობლები), რაც კიდევ უფრო უმძაფრებს ლეკი „მშობლების" ნდომას... და შემდეგ, დედის სიმღერაზე შვილს უნდა რაღაც გაიხსენოს და ვერ იხსენებს... იტანჯება... ყველაფერმა ამან შეუძლებელია გულგრილი დატოვოს ნებისმიერი მკითხველი. აქ, ამ მოთხრობაში დიდი სიმდიდრეა გრძნობებისა, რომლებიც პირდაპირ ადამიანის გულს უმიზნებენ, იქნება ეს სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, მშობლიური გრძნობა, უცხოტომელის ღირსების დანახვისა და აღიარების, სხვადასხვა ტომის ადამიანთა დაახლოება-დამეგობრების სურვილი და ა. შ.

ისინი, ვინც ამ შედევრს განიხილავენ, — იქნება ეს ფსიქოლოგი, პედაგოგიკის სპეციალისტი თუ ლიტერატურისმცოდნე, საგანგებოდ ჩერდებიან, ყურადღებას ამახვილებენ თხზულებაში ასახული გრძნობების „ფსიქოლოგიურ სისწორეზე". ეს ბუნებრივია და სავსებით მოსალოდნელი ისეთი დიდი პედაგოგისა და მწერლისაგან, როგორც იაკობ გოგებაშვილია, რომელმაც შესანიშნავად იცის ადამიანის საზოგადოდ, კერძოდ, ბავშვის სამყარო, სულის ყოველი მოძრაობა, რომლის შემოქმედების მთავარი ნიშანია სიმართლე და გულწრფელობა.

ლიტერატურის ისტორიკოსისათვის, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია, თუ როგორ ახერხებს მწერალი ამის გადმოცემას, რომ ასე იტაცებს და აღელვებს მკითხველს. მწერლის თხრობის ოსტატობაზე ქვემოთ კიდევ ცალკეც იქნება საუბარი, ახლა, პირველ ყოვლისა, ის უნდა ითქვას, რომ მწერალი ამას აკეთებს ძირითადად პერსონაჟების განცდების, სულიერი მოძრაობის გარეგამოხატული ნიშნების მიხედვით. მწერალი კი არ მოგვითხრობს, თუ რას განიცდიან მისი გმირები, არამედ გვიჩვენებს მათ განცდებს გარეგამოტანილი ქცევებით, მოქმედებებით, პერსონაჟების სახეზე აღბეჭდილი გრძნობების აღწერით; ხშირად მწერალი გრძნო-

ბათა დასახასიათებლად მიმართავს გაშლილ შედარებებს, რომლის დროსაც გრძნობათა დასახასიათებლად აღებულია ისეთი მოვლენები და საგნები, რომლებიც მოზარდისთვის მახლობელია და გასაგები. თან ყველაფერი ეს ხდება გაჭიანურების, ვრცელი აღწერა-დახასიათების გარეშე, დინამიურად, რაც კარგად პასუხობს ჯერ კიდევ გაუწაფავი მკითხველის ინტერესებს.

მწერალმა ამ მოთხრობაში ხელშესახებად, თვალსაჩინოდ წარმოუდგინა მკითხველს სულში მიმდინარე პროცესები თავის ყველაზე მძაფრ, დრამატულ მომენტში და ისიც გარკვევით გვითხრა, რომ ადამიანის სულის სიღრმეში ყველაზე მძლავრად, ღრმად მუსიკა, სიმღერა იჭრება და მისი ხსოვნაც ყველაზე ღრმაა და მძლავრი.

ამ ნაწარმოებში ყველაზე თვალსაჩინოდ, მაღალმხატვრულად არის წარმოდგენილი ღრმა ადამიანურ გრძნობათა ფაქიზი ანალიზი. ეს შესანიშნავი მოთხრობა სწორედ იმისთვისაცაა მოწოდებული, რომ მოზარდებში მოამზადოს დიდი ხელოვნების განმცდელი ჭეშმარიტი მკითხველი.

ეს თხზულება იმითიცაა გამორჩეული, რომ ნებისმიერი ასაკისა და დონის მკითხველის ინტერესებს პასუხობს. ერთის სიტყვით, ნამდვილი ხელოვნების ნიმუში, მაღალი ნიმუში ერთნაირად საინტერესო და მნიშვნელოვანია როგორც მოზარდებისათვის, ასევე დიდებისათვის, მაღალი გემოვნების მკითხველებისათვის.

***

მართალია, წავიდა ის დრო და ის გარემოც დაგვშორდა, შეიცვალა, რომელიც იაკობ გოგებაშვილის საყოფაცხოვრებო მოთხრობებშია ასახული. მართალია, ეს დრო და ეს პერსონაჟები ახლა მხოლოდ იმათ სულს არხევს ძალუმად, ვინც იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებზე და საკითხავ წიგნებზე აღიზარდა, მართალია, თანამედროვე ყმაწვილები დაშორდნენ იმ ბუნებას და ბუნებრიობას, რასაც ი. გოგებაშვილის წიგნებში ვხვდებოდით, ვეცნობოდით, მაგრამ საკუთარ ფესვებთან დასაბრუნებლად ისინი ახლაც უდიდეს სამსახურს გაუწევენ მოზარდებს. ხოლო ის კეთილშობილური გრძნობები, მისწრაფებები, ის ზნეობრივი იდეალები,

რომელთა მოზარდებში დანერგვას და აღზრდას დიდი პედაგოგი მწერალი მიზნად ისახავდა, მარად გაუცვეთელი იდეალებია, რაც მხოლოდ სიკეთისაკენ მიმართავს მოზარდებს.

რაც შეხება იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებს ისტორიაზე, მის შედევრს „იავნანამ რა ჰქმნა?!“ და კიდევ ბევრ სხვას, არასოდეს მოაკლდებათ ხიბლი, მოზარდი თაობები ამ მოთხრობებით ეზიარებიან და ბავშვობიდანვე შეისისხლხორცებენ ყველაზე მნიშვნელოვან ამბებს საქართველოს ისტორიიდან, გაეცნობიან ჩვენი ქვეყნის გამორჩეულ შვილებს, დიდ და კეთილშობილ გმირებს, რომლებმაც ღრმა კვალი გაავლეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და პრაქტიკულად ბევრით განსაზღვრეს ქვეყნის ზნეობა, ქვეყნის მომავალი. ეს მოთხრობები, მათში განხორციელებული იდეები გაჰყვებათ საგზლად ცხოვრების დიდ გზაზე, რაც იმისი პირობაც იქნება, რომ საქართველოს მომავალმა თაობებმაც იცოდნენ, „ვისი გორისანი არიან“ და რა უნდა იყოს ამ უკეთილშობილეს მიზანზე არსებითი და დიდებული!.. უკვდავი აკაკის სიტყვები რომ მოვიმარჯვოთ, ვინც იაკობ გოგებაშვილის „გატკეპნილ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იხსენიება“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნის მოამაგენი

ელენე გუსევა

გიორგი ლეონიძე რედაქტორ - გამომცემელი

გიორგი ლეონიძეს მწიგნობრობისადმი შეუნელებელი სიყვარული ადრეულ ასაკში გაუჩნდა, რაც ოჯახის დიდი ბიბლიოთეკის დამსახურება იყო. მამა, ნიკო ლეონიძე, ვაჟა-ფშაველას მეგობარი, პედაგოგი, ახალგაზრდა გარდაიცვალა, დედამ აზიარა პატარა გოგლას წიგნის სიყვარული .

ცნობილი ქართველი ფილოლოგი, ივანე ლოლაშვილი თავის წიგნში: ,,ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან", ასე იხსენებს მწერლის ნაამბობს: ,,მწერლობის სიყვარული ჩემში დედაჩემმა გააღვიძა, მამა არ მახსოვს; ძალიან პატარა ვიყავი, როცა გარდაიცვალა, ოჯახის სიმძიმე ტვირთად დააწვა დედას; მარტოდ მარტო გვზრდიდა ხუთ შვილს — სამ ვაჟსა და ორ ქალს. დაინტერესებული იყო ქართული მწერლობით, ისტორიით, ძველი ამბების მოყოლა იცოდა საინტერესოდ".

ოთხი წლის გოგლას უკვე სცოდნია ანბანი, ხუთი წლისა კი გაზეთებს კითხულობდა. აღტაცებას ვერ მალავდა ილიას, აკაკის, ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებების კითხვისას. ლექსების წერა 1909 წელს დაიწყო, 1910 წელს კი ჟურნალ ,,ჯეჯილში" დაისტამბა მისი პირველი თარგმანი ,,მხვნელ-მთესველის მეგობრები". 1911 წელს ივანე როსტომაშვილის გაზეთ ,,სინათლეში" დაიბეჭდა ორი ლექსი: ,,მცხეთას" და ,,ხმაღს".

გიორგი ლეონიძის პიროვნების ჩამოყალიბებაში, აღზრდასა და განსწავლაში დიდი როლი შეასრულეს: დეიდამ — მაიკო მათიკაშვილმა და ბიძებმა — ზაქარია (შაქრო), ალექსი და იერემია გულისაშვილებმა. ზაქარია იყო ხალხოსანი მწერალი, ალექსი — ავტორი ისტორიული წერილებისა და გაზეთ ,,დროების" კორესპონდ-

ენტი, იერემია — დრამატურგი. გასაკვირი არაა, რომ ასეთ გარემოში მოში გაზრდილი თანამგზავრად ლიტერატურას გაიხდიდა.

ვაჟა-ფშაველა იყო გოგლას ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტი, მისი არაერთი ლექსი იცოდა ზეპირად და ხშირად იგონებდა იმ ფაქტს, რომ ვაჟამ, ჯერ კიდევ ჭაბუკს, დაულოცა გზა. ვაჟა-ფშაველაც ინტერესით ადევნებდა თვალს მეგობრის — ნიკო ლეონიძის შვილს, მოსწონდა მისი პოეტური ენა, იმედით შეჰყურებდა მის ლიტერატურულ დებიუტს. გიორგი ლეონიძე, თავის ერთ-ერთ ლექსში წერს: ,,როგორც დამლოცა ვაჟა-ფშაველამ, დამსკდარი ხელი თავზე დამადო...“ ვაჟას დამსკდარი დევკაცური მარჯვენისაგან შეთვისებული მადლი მარადიულ სულიერ საგზლად გაჰყვა გიორგი ლეონიძეს. მისი სემინარიელი მეგობრის — კოტე ჭრელაშვილის მოგონებაც ამას ადასტურებს: ,,ვსწავლობდი სასულიერო სასწავლებელში, 1908-1909 წლებში. ჩემთან ერთად სწავლობდა პოეტი გიორგი ლეონიძე. იგი გატაცებული იყო ქართული ლიტერატურით. ის ჯერ ბავშვი, ისე კარგად და სწრაფად კითხულობდა ქართულ წიგნებს, რომ ხშირად უფროსი კლასის მოსწავლენი იძულებით დაისვამდნენ გვერდით და აკითხავდნენ გაკვეთილებს. გოგლას ხელმძღვანელობით ქართული მოსწავლეების ჯგუფმა დაიწყო ჟურნალის გამოშვება ყოველთვიურად ერთი რვეულის ფარგლებში. პირველსავე ჟურნალში გოგლამ ვაჟა-ფშაველას მიუძღვნა ლექსი. რაკი მე ვაჟას ახლოს ვიცნობდი, ის ჟურნალი (გამოდიოდა ერთ ცალად) მასთან წავიღე საჩვენებლად. ვაჟამ მთელი ჟურნალი სიამოვნებით წაიკითხა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ლეონიძის მიერ მისდამი მიძღვნილ ლექსს და ყველას გასაგონად თქვა: ,,ეს ბალღი ვეფხვად იქცევა“, მერე გავიდა თავის პატარა ოთახში, სადაც მუშაობდა ხოლმე, თან გაიყოლა ჩვენი ჟურნალი და ნახევარი საათის შემდეგ წაგვიკითხა თავისი ხელით ჩაწერილი საპასუხო ლექსი ლეონიძისადმი. იგი ულოცავდა გზას ახალგაზრდა პოეტს, უწინასწარმეტყველებდა დიდ მომავალს და უნერგავდა სიყვარულს სამშობლოსადმი. საუბედუროდ, ეს ჟურნალი ვეღარ აღმოვაჩინეთ, რადგან ხელიდან ხელში გადასვლის გამო დაიკარგა; საბოლოოდ ვისთან დარჩა, ვერ გავიგეთ...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ვაჟას ლექსი:

„სიჭაბუკის დროს პირველად
როს ვახილებდი თვალებსა
და ვუცქერდი მტირალი
სამშობლოს განაწვალებსა-
ვეძებდი აქეთ-იქითა
ქვეყნის დამხმარე ძალებსა,
არავინ უჩნდა დარაჯად
ამ ჩვენს დაჩაგრულ მხარესა.
ვტიროდი უფრო ძალიან,
ცრემლებს ვაფრქვევდი მწარესა...
დღეს ვხედავ, გაჰმრავლებიან
მშობელ ქვეყანას შვილები;
მტერს არ მისცემენ სათელად
თავის სამშობლოს გმირები,
მირჩება წყლული გულისა,
ვყუჩდები ანატირები.
[1912 წ. 29 ნოემბერი]

უდიდესი მადლიერებით იგონებს გიორგი ლეონიძე სასულიერო სემინარიის მასწავლებლებს: ვასილ ბარნოვს, შიო შიუკაშვილს, კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილს და ია კარგარეთელს, ისტორიკოს ა.ნატროევს (ნატროშვილი), შესანიშნავ პედაგოგს — სტეფანე სელიხოვს, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

შიო შიუკაშვილი მე-19 საუკუნის ხელნაწერებს აძლევდა გადასაწერად, რათა მას კარგი ქართული ესწავლა, ნიკო სულხანიშვილი აგულიანებდა: „ტექსტი დამიწერე ეროვნული ჰიმნისათვის, საცაა განვთავისუფლდებით ცარიზმისაგან და დაუჩქარეო!“

სემინარიელების დევიზი „სამშობლო და პოეზია“ იყო. შოთა, ილია, გურამიშვილი, ბარათაშვილი, აკაკი, ვაჟა იყვნენ მათი გონების მეუფენი. როგორც აღვნიშნეთ, გიორგი ლეონიძის პოეტური დებიუტი 1911 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „სინათლის“ რედაქტორმა — ივანე როსტომაშვილმა პირველი პატრიო-

ტული ლექსი ,,მცხეთა“ დაუბეჭდა. 1916 წელს გიორგი ლეონიძემ გამოსცა ლიტერატურული ალმანახი ,,საფირონი“, 1921 წელს მისი ორგანიზატორობით დაარსდა წითელარმიელთა ქართული გაზეთი.1922-1923 წლებში რედაქტორობდა ლიტერატურულ გაზეთ,,ბახტრიონს“, რომელიც მხოლოდ 28 ნომერი გამოვიდა.1923 წელს ის ჟურნალ ,,გრდემლის“ პასუხისმგებელი მდივანია, 1924 წლიდან ჟურნალ ,,დროშის“ რედაქტორი, 1927-1929 წლებში მუშაობდა ჟურნალ ,,საქართველოს ეკონომისტის“ რედაქციაში. 1934-1935 წლებში ლიტერატურული მემკვიდრეობის რედაქტორად, ხოლო 1940-1948 წლებში მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოიცა ,,ლიტერატურის მატიანე“.

ბევრი ძალა და დრო მოანდომა გიორგი ლეონიძემ ძველი ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის კვლევას. შექმნა არაერთი გამოკვლევა ქართული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე. არაერთი მწერლის ცხოვრებას და შემოქმედებას მოჰფინა ნათელი. პოეტ ემზარ კვიტაიშვილის თქმით, გიორგი ლეონიძეს, ,,... წიგნი ბუნების ნაწილად წარმოედგინა და არა სტამბური ასო-ნიშნებით დაფარულ ფურცლადო“.

გიორგი ლეონიძის რედაქტორობით გამოიცა თავისივე ნაშრომები:,,მამუკა ბარათაშვილის ,,ჭაშნიკის“ შესახებ“(1920 წ.), ,,სულხან-საბა ორბელიანი და მისი ,,სიბრძნე სიცრუისა“ (1928 წ.), ,,ივანე მაჩაბელი“(1922-1928), ,,საათნავა“ (1931), ,,ბესიკი“ (1942), ნიკოლოზ ბარათაშვილი (1940-1945), დავით გურამიშვილი (1957). 1934 წელს გიორგი ლეონიძემ გამოსცა და სპეციალური გამოკვლევა დაურთო ქართული ისტორიული ეპოსის მნიშვნელოვანი ძეგლს — ,,შაჰნავაზიანის“, რომელიც მოიცავს სარწმუნო ცნობებს პოემის ავტორის ვინაობის შესახებ. ანალოგიური კვლევა ჩატარდა ,,დიდმოურავიანის“ გამოცემასთან დაკავშირებით (1936 წ.).

1928 წელს გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის ,,სიბრძნე სიცრუისა“ რედაქტორის — გიორგი ლეონიძის წინასიტყვაობით. ავტორი სიყვარულით და მოკრძალებით ამცნობს მკითხველს ვახტანგ VI-ის აღმზრდელის — სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებას, საუბრობს ეპოქაზე, საქართველოს ისტორიასა და სულხან-საბას სახელმწიფო მოღვაწეობაზე, მის განდეგილობაზე დავით გარეჯის

ნათლისმცემლის მონასტერში. ,,თავისი ასკეტური ცხოვრებისათვის სულხანმა აირჩია დავით გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნო... უწყლო ტრამალი, მოხრეკილი კლდეები, ასპიტი, ყინვიანი, გაუსაძლისი სიცხით, სადაც შეგხვდებათ მხოლოდ ჯეირანი და ,,გველთა სიმრავლე. დაყუდებული ბერები მემხოლოენი ცხოვრობდნენ კლდის ნაპრალებში". სულხან-საბა ორბელიანის დავით გარეჯში ყოფნის დროს მონასტრის მშენებლობამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო, აშენდა ,,საყდარი, პალატები, სხვანი კვეთილნი კლდის სახლები, გალავანი და კოშკები და საყდრის კანკელი ხარჯგაწევით მურასად დახატული". გვამცნობს რედაქტორი და დასძენს: ,,უდაბნოში განმარტოებამ ვერ წაშალა საბას პოლიტიკური პიროვნება. გარეჯის მღვიმეებშიც არ დამცხრალა მისი პოლიტიკური ვნება და მოღვაწეობა სახელმწიფოს მშვიდობიანობისათვის". გიორგი ლეონიძე დეტალურად ასახავს ბერის, ხოლო შემდგომში დიპლომატის სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობას სპარსეთში, რომსა და საფრანგეთში. წიგნს გამომცემლის წინასიტყვაობის გარდა ერთვის ტექსტი, ბოლოში კი დართული აქვს განმარტებანი ,,სიბრძნე სიცრუის ლექსიკონი", პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.

გიორგი ლეონიძემ, როგორც მკვლევარმა, ყურადღება მიაქცია აშუღ საიათნოვას შემოქმედებას, რომელიც ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე წერდა ლექსებს. ნარკვევი 1929 წლის 10 იანვარს მწერალთა ,,ოთხშაბათობაზე" წაიკითხა. ლენინგრადში ყოფნისას გაეცნო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილ სააზიო მუზეუმში დაცულ მასალებს და გამოკვლევა შეავსო. დაადგინა საათნოვას ბიოგრაფია, ურთიერთობა, ერეკლე II-თან, მისი ლექსების შესახებ ნარკვევში ვკითხულობთ: ,,ჩვენამდე მოაღწია და ერევნის სომეხ მწერალთა ბიბლიოთეკაშია დაცული, მასში არც ერთი ქართული სიმღერა არ მოიპოვება, რადგან კრებულს თავი, სადაც შესაძლებელია ქართული ლექსები იყო მოთავსებული, დაკარგულია. გადარჩენილია მხოლოდ აზერბაიჯანული ლექსები სომხური ასოებით ჩაწერილი და სომხური- დაწერილი ქართულად".

1930 წლიდან, ქართული ლიტერატურის მუზეუმის დაარსებისთანავე, რომლის ინიციატორი ტიციან ტაბიძე, ხოლო პირველი

დირექტორი გიორგი ლეონიძე იყო, მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად დაუღალავად აწყობდა საიუბილეო გამოფენებს, ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აგროვებდა მემორიალურ ნივთებს და ძვირფასი მასალით ამდიდრებდა სამუზეუმო ფონდებს. გიორგი ლეონიძემ, ასეთი გადაწყვეტილებაც კი მიიღო — მოიწვია ხანდაზმული მწერლები, მათი ოჯახის წევრები და სთხოვა ავტობიოგრაფიების და მოგონებების დაწერა. მათ ეს დავალება უმოკლეს ხანში შეასრულეს. მუზეუმში დაცული უნიკალური კოლექციები საგამომცემლო საქმიანობის განვითარების საშუალებას იძლეოდა. ამის დადასტურებაა ,,ლიტერატურის მატიანეს" ექვსივე წიგნი, რომლებშიც მრავალი საინტერესო მოგონებაა დაბეჭდილი XIX საუკუნის ქართველი მწერლების შესახებ. ყველა წიგნის რედაქტირებას გიორგი ლეონიძე თავად უძღვებოდა.

1939 წელს, გიორგი ლეონიძემ თბილისის საბჭოს მდივანს ,,მუზეუმის კრებულის" გამოსაცემად საჭირო თანხა სთხოვა, რადგან უკვე დასაბეჭდად გამზადებული იყო ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, ალექსანდრე ორბელიანის, სერგეი მესხის წერილები და დოკუმენტები. კრებულის გამოცემა ვერ მოხერხდა. 1940 წელს კი გიორგი ლეონიძის რედაქტორობით ალმანახ ,,ლიტერატურის მატიანის" 1-2 წიგნი დაიბეჭდა, რითაც საფუძველი ჩაეყარა ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობას. ივანე ლოლაშვილი, — მუზეუმის სწავლული მდივანი,ზემონახსენებ წიგნში ,,ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან", რომელიც ქალბატონი იზა ორჯონიკიძის თხოვნითა და რედაქტორობით გამოვიდა, ავტორი იგონებს მთელ განვლილ ცხოვრებას, დროს, რომელმაც წაუშლელი კვალი დატოვა მასზე, როგორც მეცნიერსა და პიროვნებაზე. ,,როდესაც მუზეუმში დავიწყე მუშაობა, გოგლამ მაშინვე ერთ-ერთ დავალებად მომცა, რომ მემუშავნა მემორიალური კრებულის შედგენაზე. მეც ხალისიანად მოვეკიდე ამ საქმეს, გადავჩხრიკე მუზეუმის კატალოგები, გამოვარჩიე რამდენიმე ხელნაწერი: ნატალია არზიანი, ელისაბედ დავითის ასულ ერისთავის, მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანის, სანდრო რაზიკაშვილისა და მელანიას მოგონებანი და შევუდექი მათ შესწავლას და მასალის გამორჩევას. მუშაობის პროცესში გოგლამ გადმომცა გერონტი ქიქოძის ,,მოგონებანი" (ხუთი-

ოდე საავტორო თაბახის მოცულობა), რომელიც მას წაეკითხა და მოსწონებოდა და განზრახული ჰქონდა გამოექვეყნებინა, თანაც მითხრა:,,ჩვენი მემუარული ტომი ამ მოგონებით დავიწყოთ". მისი ტექსტი გადაბეჭდილი იყო რემინგტონის მანქანაზე. გოგლას ისე კარგად დაემუშავებინა ლიტერატურულად, რომ ტექსტი არავითარ შესწორებას არ საჭიროებდა. ...მთელი შრომა გოგლას გადავეცი საბოლოო რედაქტირებისათვის. ერთი კვირის შემდეგ უკან გადმომცა. შევთანხმდით, რომ ეს კრებული იქნებოდა ,,ლიტერატურის მატიანის" მეხუთე წიგნი. თავფურცელზე წააწერა: ,,რედაქტირებულია, აიწყოს" და თან დასძინა: ,,აი, ხომ ხედავ, დაბეჭდვის თანხმობა მოგეცი, ზოგი ტექსტში შევასწორე, მარიამ ორბელიანის დოკუმენტებთან ჩავდე ჩემი შენიშვნების ფურცელი. წაიკითხე და გაითვალისწინე, თუ არა და ასეც შეიძლება გამოქვეყნდეს."

გიორგი ლეონიძის სახელთანაა დაკავშირებული მე-19 საუკუნის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა — ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმების დაარსება. მისი პირადი ინიციატივით მიკვლეულია ჟამთა ვითარებაში დაკარგული ბევრი საფლავი, მათ შორის, ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილის), რომლის შემოქმედებაც საფუძვლიანად შეისწავლა და გამოკვლევაც მიუძღვნა..

ივანე ლოლაშვილი თავის წიგნში იგონებს გიორგი ლეონიძის მუშაობას მონოგრაფიაზე — ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი გარემო", რომელიც სტამბურად იყო აწყობილი და დასაბეჭდად გამზადებული, მაგრამ გოგლა მის დაბეჭდვას აყოვნებდა. სტამბამ რამდენჯერმე მოითხოვა დაბეჭდვის დასტური ავტორისაგან და რაკი პასუხი ვერ მიიღო, ანაწყობი ჩაშალეს. კითხვაზე — თუ რატომ არ დაიბეჭდა გამოკვლევა, გოგლას პასუხი ასეთი იყო: ,,...დავწერე ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო დღეებისათვის გამოსაცემად. უნდა დაბეჭდილიყო ,,ლიტერატურის მატიანის" საგანგებო ნომერში 1943 წელს, ხელშეკრულებით ჰონორარის ავანსიც ავიღე, მაგრამ ომის პერიოდში უქაღალდობის გამო ჟურნალი აღარ გამოსულა და ამიტომ დროზე ვეღარ დაიბეჭდა. ბარათაშვილის იუბილეს შემდეგ სხვა ინტერესი გამიჩნდა, აკადემიკოს მარი ბროსეს, ფრიცშესა და ბარათაშვილის ურთიერთობის შესახებ იმ ახალი მასალებ-

ის შემოწმებას ვაპირებდი, რომელიც მ. ჩიქოვანმა აღმოაჩინა. მე დარწმუნებული ვარ, რომ „პოეტი ბარათოვი“, რომელსაც ფრიცმე იხსენიებს თავის მოხსენებით ბარათში, ნიკოლოზ ბარათაშვილია ... ბარათაშვილის უცნობი ავტოგრაფები დაცული უნდა იყოს მარი ბროსეს არქივში და მათ საძიებლად ვეღარ მოვიცალე. ამასთან ვაგროვებ ცნობებს პოეტის პორტრეტის შესახებ, და აი, ამ მიზეზებმა შემიშალეს ხელი, რომ დასაბეჭდად გამზადებული წიგნი გავაჩერე“.

გიორგი ლეონიძეს, როგორც რედაქტორს, ყურადღების მიღმა არ დარჩენია ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების არც ერთი დეტალი. აღსანიშნავია მისი დაინტერესება პოეტის პორტრეტის გარშემო , 1945 წელს მისი ეს გამოკვლევა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემას დაერთო. 1940 წელს ლიტერატურის მუზეუმის „ლიტერატურის მატიანეში“, გამოაქვეყნა ფუნდამენტური ხასიათის ნარკვევი „ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო“. გამოკვლევა 16 წერილს აერთიანებს: 1. პოეტის შორეული წინაპრები და რევაზ ბარათაშვილი, 2. ნიკოლოზ ბარათაშვილი და ალექსანდრე პუშკინი. 3. კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონებანი ნიკოლოზ ბარათაშვილზე. 4. დიმიტრი ყიფიანის მოგონებანი ნიკოლოზ ბარათაშვილზე. 5. ბარათაშვილის ერთი ლექსის ირგვლივ („როს ბედნიერი ვარ...“). 6.ერთი დავიწყებული ლექსი ნიკოლოზ ბარათაშვილზე. 7. ნ. ბარათაშვილი — მოხელე. 8. სად გარდაიცვალა ნ. ბარათაშვილი? 9. ბარათაშვილის უმცროსი და. 10. ბარათაშვილი და ეგნატე იოსელიანი. 11. ბარათაშვილის მეგობრები და თანამედროვე პოეტები, დავით მაჩაბელი და ალექსანდრე ჩიქოვანი. 12. მიხაკო ორბელიანი. 13. მამუკა ორბელიანი. 14. სად ცხოვრობდა თბილისში ნ. ბარათაშვილი? 15. ბარათაშვილის პორტრეტისათვის. 16. „მერანის“ გენეზისი და ილია ორბელიანის ტყვეობის ამბავი. ნაწყვეტი ილია ორბელიანის მოთხრობიდან შამილის შესახებ. ეს უკანასკნელი თავი ილია ორბელიანის თხზულებიდან „რვა თვე შამილის ტყვეობაში“ დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში“ 1849წ. 1-5, ხოლო 1857 წელს ე. ვერდერეევსკიმ შეიტანა იგი დამატების სახით თავის წიგნში „В плену у Шамиля“. ამ მივიწყებულ მასალას გიორგი ლეონიძემ მიაგნო, თარგმნა ქართულად და დაბეჭდა „ლიტერატურის მატიანეში“.

თითოეული თავის გამოკვლევა დაუღალავ შრომას მოითხოვდა. საინტერესოა თავი ,,ერთი ლექსის ირგვლივ", რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს ,,როს ბედნიერი ვარ" ეხება და ეძღვნება ეკატერინე ჭავჭავაძეს. 1881 წელს, სამეგრელოს უკანასკნელმა დედოფალმა იონა მეუნარგიას გადასცა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, მათ შორის ეს ლექსიც აღმოჩნდა. იგი1882 წელს გაზეთ ,,ივერიაში" დაიბეჭდა. გიორგი ლეონიძის ფუნდამენტურმა გამოკვლევამ,რომელიც უამრავ დოკუმენტურ მასალას მოიცავს, ახალი კუთხით წარმოაჩინა ბარათაშვილის ცხოვრება.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1966 წელს, გოგლამ შემთხვევით დაკარგა ნიკო ფიროსმანზე დაწერილი მონოგრაფიული წიგნის უკვე დასაბეჭდად გამზადებული ხელნაწერი. რომლის მასალასაც ახალგაზრდობიდანვე აგროვებდა. ამ წიგნიდან რამდენიმე ამონარიდი დაიბეჭდა ჟურნალ ,,მნათობში" (1931, №3). წიგნზე მუშაობის პერიოდში, გიორგი ლეონიძე მთელს საქართველოში ეძებდა მხატვრის ტილოებს. ხვდებოდა ფიროსმანის ახლობლებს, მეგობრებს, და მათგან იწერდა და აგროვებდა მოგონებებს. ,, ფიროსმანაშვილის ბიოგრაფიული ფაქტების ჩაწერა დავიწყე 1922 წელს. ჩაწერას ვაწარმოებდი დღიურის სახით. 1930 წელს, მარტის-აგვისტოს თვეებში. ჩემი დღიური ისევ განახლდა კიტა მეგრელიძის და დიმიტრი შევარდნაძის ინიციატივით... მასალების შესაკრებად, მე ვინახულე ღვინის ვაჭრები, ქუჩის მხატვრები, მღებავები, საზანდარები, მეთევზეები, დალაქები, მემწვანილეები, ყასბები, მედროგეები, მეჩექმეები, რკინიგზის კონდუქტორები და სხვა — მხატვრის მეგობრები."

ემზარ კვიტაიშვილი წიგნში ,,ქართული სიტყვის ბაზიერი" (2003 წ.) იხსენებს: ,,ქართლის ცხოვრება" და ,,ვეფხისტყაოსანი" მისი ყოველდღიური სალოცავ-სათაყვანებელი წიგნები და შთაგონების უშრეტი წყარო იყო...მაგონდება, როგორ მუშაობდა იგი თავისი თხზულებების მორიგ ტომზე, ამზადებდა,საბოლოო სახეს აძლევდა დიდ მონოგრაფიას დავით გურამიშვილზე (ადრე თითქმის მთლად გამოაქვეყნა, ზოგი რამ ჰქონდა დასაზუსტებელი). ამ დროს ახალი კატეგორიული გაფრთხილებაც მოუვიდა გამომცემლობიდან, თუ წიგნს უმოკლეს ვადაში არ წარმოადგენთ, სასამართლოზე გადაგცემთო. ის ქაღალ-

დი რომ მიიღო, დაფეთდა, საშინლად აფორიაქდა. ეს, ცხადია, არ ყოფილა ნამდვილი მუქარა, სახელგამის ხელმძღვანელობის ასეთი ტონი გამოცემის დასაჩქარებლად იყო გამიზნული. მონოგრაფია მეოთხე ტომად იყო ნავარაუდევი. მესამე ტომს დროებით ტოვებდა, იქ თავისი გახმაურებული წიგნი ,, ბელადის ბავშვობა და ყრმობა“ უნდა შეეტანა სხვა პოემებთან ერთად და ამაზე ნებართვას ელოდა... ზოგიერთი პანეგირიკული ადგილის ამოღების შემდეგ იმ ეპოპეის დაბეჭდვა თავისუფლად შეიძლებოდა, მაგრამ საქმე გაუჯანჯლეს, რაზეც გული წყდებოდა“. პოეტმა ,,საოცარი ჭირისუფლობა იცოდა, თავისი საყვარელი მასწავლებლის ვასილ ბარნოვის ათტომეული მისი თაოსნობით მომზადდა და სულ სამ წელიწადში გამოაცემინა“.

გიორგი ლეონიძემ, როგორც მწერალმა, პოეტმა, მშობლიური ლიტერატურის უბადლო მცოდნემ, წიგნის გამომცემელ-რედაქტორმა ქართული ლიტერატურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. ამ წერილის მიზანია, მკითხველ საზოგადოებას შეახსენოს ამ დიდი მამულიშვილის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ივანე ლოლაშვილი, ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან. — თბ., ,,მერანი“, 1980.

2. ემზარ კვიტაიშვილი, გიორგი ლეონიძე — წიგნის ტრფიალი. — თბ., 1999, მწიგნობარი 95-96.

3. ემზარ კვიტაიშვილი, ქართული სიტყვის ბაზიერი. — თბ., 2003.

4. მ. კაკაბაძე. გიორგი ლეონიძე ნიკოლოზ ბარათაშვილის მკვლევარი. | ლექსმცოდნეობა (გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის მეოთხე სამეცნიერო სესიის მასალები). — შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი. — თბ., 2010, გვ. 56 -67.

5.ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებანი. — თბ., სახელგამი, 1945.

6. გიორგი ლეონიძე. ძიებანი ქართული ლიტერატურის — XVII-XVIII საუკუნე. ტ.1. — თბ., 1949.

7. გიორგი ჯავახიშვილი. გიორგი ლეონიძის თვალსაწიერი. — თბ., 1999.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინე სხირტლაძე

თანამედროვეთა გულის მესაიდუმლე

დომინიკა ერისთავი (განდეგილი)

XIX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ პრესაში ხშირად გვხვდება განდეგილის ფსევდონიმით გამოქვეყნებული მხატვრული და პუბლიცისტური მასალა. ქართულ ლიტერატურაში ამ ფსევდონიმით ცნობილია მწერალ ქალთა თვალსაჩინო წარმომადგენელი დომინიკა ერისთავი-მდივნისა, რომელიც 150 წლის წინ, 1864 წლის 2 ოქტომბერს, დაიბადა იმერეთის სოფ. სალომინაოში.

განდეგილის ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრება ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ღირსეულ შვილთა თვალწინ ვითარდებოდა. ბუნებრივია, ადვილი არ იყო იმ ხანის უმდიდრეს კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობაში საკუთარი თავისა და ადგილის პოვნა, მითუმეტეს, მანდილოსნისათვის. განდეგილმა თავისი ნიჭისა და დაუღალავი შრომის შედეგად ნამდვილად დაიმკვიდრა წარმატებული ქალის სახელი. იგი იყო: ბელეტრისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, რედაქტორ-გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც საჭირო იყო ჩვენს იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობის, როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენისათვის.

დომინიკა ერისთავის ლექსი, „ბარათაშვილის ნეშთის გადმოსვენების გამო", პირველად 1893 წელს დაიბეჭდა „ივერიაში" და ილიამ მისი ავტორი მუდმივ თანამშრომლად მიიწვია. ლექსების კრებული პირველად გამოიცა 1898 წელს.[1] ქართულ ენაზე თარგმნილი

1 აღნიშნული კრებული დაცულია ეროვნული არქივის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

აქვს: ჰაინეს, რილეევის, გორკის, ტურგენევისა და სხვათა ნაწარმოებები. დღემდე საუკეთესოდ არის მიჩნეული მის მიერ ლექსად ნათარგმნი გრიბოედოვის გენიალური კომედია „ვაი ჭკუისაგან“, რომლის ნაწყვეტები იბეჭდებოდა „კვალში“(1898-1899 წ.წ.) ცალკე წიგნად გამოვიდა 1902 წელს, წიგნის რედაქტორი იყო ილია.

„19 ოქტომბერს, გაიხსნა თბილისის ქართულ თეატრში სეზონი, გრიბოედოვის ცნობილი კომედიით — „ვაი ჭკუისაგან“, პირველად ნათარგმნი ლექსად განდეგილის მიერ. წინათაც გაგვეგონა, კარგი ენით და კარგი ლექსთწყობით არის ნათარგმნიო და ახლა შეძლება მოგვეცა შეგვემოწმებინა ეს ხმები. მართლაც ჩინებული ლექსია, განსაკუთრებით კარგია საკითხავად. საზოგადოება ბლომად დაესწრო, მთარგმნელი ქალი განდეგილი რამდენიმეჯერ გამოიწვიეს და ტაშისცემით დააჯილდოვეს“.[1]

განდეგილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაშიც. მან დაწერა და თარგმნა არაერთი საბავშვო მოთხრობა, იყო „ნობათის“ რედაქტორი და პირველი კორექტორი ქალი.

დომინიკა ერისთავ-განდეგილთან ურთიერთობა უფრო მეტი იყო, ვიდრე თანამშრომლობა, ის ძვირფასი მეგობარი იყო იმ ადამიანებისთვის, რომელთა სახელების ჩრდილქვეშაც უხდებოდა ცხოვრება და შრომა. ის იყო მათთვის იმედისა და რჩევის მიმცემი, მათი გულის მესაიდუმლე და თანამგრძნობი. პოეტი ქალი 1911 წელს ამბობდა: „მგოსანი, ნამდვილის ნიჭით დაჯილდოებული, ცოტა სამსახურს არ უწევს ქვეყანას. მისი სიმთა ჟღერა, ბგერა მისი სულისა, ეს ერის გულიდან აღმომხდარი კვნესაა. იგი მესაიდუმლეა თანამედროვეთა გულისა...“

ვაქვეყნებთ საქართველოს ეროვნულ არქივში, დომინიკა ერისთავი-განდეგილის პირად ფონდში დაცულ ალექსანდრე ხახანაშვილის, გალაკტიონ ტაბიძისა და თედო სახოკიას წერილებს. ეს წერილები პირადი ხასიათისაა და საინტერესოდ წარმოაჩენს როგორც მათ ავტორებს, ასევე მწერალ ქალთან მეგობრულ ურთიერთობებს.

---

1 „კვალი“,1900, № 43.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძვირფასო მეგობარო დომინიკა!

დომინიკა ერისთავი

თქვენმა წერილმა გამამხნევა, თუმცა გულგატეხილობის ნისლით ჩვეულებრივ მოცული დავრჩი. როგორც ჩანს, არც თქვენ ხართ ბედნიერი და კმაყოფილი წარსულით და აწმყოთი. იქნებ ამ ერთგვარმა ბედის ჩარხის ტრიალმა შეგაგნებინოთ ჩემი მოუსვენარი მდგომარეობა და თანაგრძნობით აღგივსოთ გული ბედისაგან დაჩაგრული კაცისადმი. სხვის მწუხარებას ის გაიგებს, რომელსაც თვითონვე ხვედრია მწარე შოლტები ცხოვრების მიმდინარეობისა. გიკვირთ, რომ ბედს ვემდური! კმაყოფილი ვინ არის, რომ მე ვიყო? აბა, მოიგონეთ ჩვენი უკვდავი პოეტის ნ. ბარათაშვილის სიტყვები და მაშინ დამერწმუნებით, რომ ჩვენი სასიქადულო პოეტი ამასთანავე ღრმად შეგნებული მეცნიერიც იყო. როგორც გნებავთ,იფიქრეთ, მაგრამ მე კი ვგონებ, რომ უკმაყოფილოდ ყოფნა სჯობიან კმაყოფილებით აღჭურვას. უკანასკნელი მდგომარეობა კაცს აყენებს ერთს დონეზედ, აკვეცავს ფრთებს ბოროტებასთან საბრძოლველად, მიაძინებს და გულის გრძნობას უქვავებს. უკმაყოფილოდ დარჩენილი კაცი კი, თუ ეს უკმაყოფილება ბიწიერ და მიწიერ ნიადაგზედ არის აღმოცენებული, იბრძვის წყვდიადის გასანელებლად, გული ემღვრევა მოძმესთვის და თავის სიცოცხლის მიზნად აღიარებული აქვს საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მე სრულებით ვეთანხმები იმ მწერლებს, რომ საზოგადოებრივი მოღვაწეობა აკმაყოფილებს კაცს შეგნებულს, პირად ბედნიერებას მოკლებულს, მაგრამ ამგვარსავე პირს მოძმეთათვის უსარგებლოდ ცხოვრება გულს უტეხს და სასოწარკვეთილებამდის მიჰყავს. თქვენ რომელ ჯგუფს გსურთ მიეწეროთ? რამე მაწუხებს? — მეკითხებით თქვენ.

ის მაწუხებს, რაც თქვენც არ გაძლევთ მოსვენებას. ამ დაძაბუნებულს დროს არ იცის კაცმა, რას მოჰკიდოს ხელი, სად უჭირს საზოგადოებას მუშაკი და სად შეუძლიან რომელიმე პირს უფრო სარგებლიანად და ნაყოფიერად იმუშავოს. აი, ასეთი გამოურკვეველი მდგომარეობა აქამდის მჩაგრავს, მატრიალებს მოწინააღმდეგე ცხოვრების ტალღებში და აფუქსავატებს ჩემს გრძნობას და სურვილს მოღვაწეობისას. ჩემი ახლანდელი პროფესიით გახლავართ მასწავლებელი, მეცადინეობის ხასიათით მეცნიერი და მიდრეკილებით ლიტერატორი. მხოლოდ ეს სამნაირი თვისებაც საკმარისია, რომ კაცს გზა დაუბნიოს და ხან ერთს მხარეს, ხან მეორეს მიაყუდოს და მიაკედლოს. ბედნიერია ის, ვისაც ასეთი მდგომარეობა არ გამოუცდია! ამასთანავე ბევრი კერძო უსიამოვნებაც, გაკიცხვა, გაუგებრობა და შეუგნებლობა აქაც და მანდაც ხშირად სულ არარაობაზედ გამრიყავს ხოლმე... რაღაც სენად გადამექცა თქვენთან წერილში აბდა-უბდა „ფილოსოფოსობის" კილოთი ბაასი. საკმარისია,.. და ახლა კი ორიოდე სიტყვა სხვა საგანზედაც, — გამოუთქმელად გმადლობთ „კავკაზის" ფელეტონების გამოგზავნისთვის. არ მეგონა თუ მაგდენი ჯაფა დასჭირდებოდა, თორემ არ გავბედავდი თქვენს შეწუხებას... მანდაური ამბები მოიწერეთ, ხომ იცით, ჩვენთვის ყველაფერი საინტერესოა.

მომიკითხეთ პატივისცემით ანდრია და რედაქციის წევრები. გიგზავნით „შოთას" წიგნაკს. ბოდიშს ვიხდი, რომ მაშინვე ვერ გამოვაგზავნე სხვადასხვა მიზეზის გამო.

თქვენი პატივისმცემელი ა.ხახანაშვილი. 1896 წ. 6 თებერვალი".[1]

„ქ-ნო დომინიკა

ვიყავი თქვენთან, მინდოდა ბოდიში მომეხადა უსათუოდ. გაზეთის მასალას, რომელიც მე გადავეცი „ტრიბუნას", მოყვა თქვენი ლექსი. მე მეგონა, ის ლექსი ცალკე მქონდა გადანახული და მეტისმეტად გავოცდი, როცა კვირის ნომერში დავინახე დაბე-

1 ფ.91, ა.1, ს.7. დედანი, ხელნაწერი.

ჭდილი. იმედი მაქვს მაპატივებთ ამ უნებურ შეცდომას. შეიძლებოდა გამოცხადება ყოველივე ამისა ისევ გაზეთში, მაგრამ ეს დაბადებდა ორაზროვნებას და ეს სრულად საჭირო არაა ეხლა. რადგან ჩემი საღამო შესდგება საოპერო თეატრში სამშაბათს, ძალიან მადლობელი ვიქნები თუ მობრძანდებით იმ საღამოზე. ბილეთს მოგართმევთ. ერთხელ კიდევ ვიხდი ბოდიშს.

მარადის და მარადის იქითაც თქვენი პატივისმცემელი გალაკტიონ ტაბიძე.[1]



გალაკტიონის
წერილი ავტოგრაფი

„ჩემო დომინიკა

მრავალი მოკითხვა და ნახვის ნატვრა მომიხსენებია. ამას წინათ წავიკითხე, ავად ყოფილხარ მძიმეთ. იმედი მაქვს, ახლა კარგათ ხარ. კარგად იყავ, შენისთანების თავი არ უნდა დაგვაკლდეს, ისედაც ცოტანი ვართ, ხომ იცი.

... ჩემი რა გითხრა, არ ვიყო, ათას წილად მირჩევნია... არაფრის იმედი, არსაიდან ნუგეში, უსიამოვნება, უსიამოვნებას ერთვის ზედ დღე ყოველ და ჟამს ყოველსა. აჰა, ვწვალობ, ვჯახირობ, სანამ ჩავძაღლდები სადმე უპატრონოთ, უმადურათ.

ამ გაჭირვებაში ერთი დიდი წერილი დავწერე თანამედროვე ქართული ენის გაუსახურების შესახებ. სათაურად აქვს „ქართული ენა“. ექვსი ფელეტონი გამოვა, თუ მეტი არა. მთელი ერთი თვე მოვანდომე. დღეს „სახალხო გაზეთს“ ვუგზავნი, მაგრამ მეშინიან, ისე არ დამისახიჩრონ, რომ მე თვითონ ვეღარ ვიცნო, გამოუცდელი

1 ფ.91, ა.1, ს.5. დედანი, ხელნაწერი. უთარიღო.

კორექტორი ყავთ, ეტყობათ. გიგო რცხილაძეს ცალკე წერილს ვუგზავნი და ვთხოვ, კორექტორს დაავალოს, განსაკუთრებულის ყურადღებით გაასწოროს, მაგრამ გული მაინც არ მისვენებს, ვგრძნობ, რომ მაინც შეცდომები აუარებელი იქნება და ამ წერილს კი ეს არ მოუხდება. გიგოსა ვწერ, როცა დაბეჭდვას დაიწყებენ, შენ შეგატყობინოს, მაგრამ შენ კიდევ ცალკე გითვლი... შენ იცი, როგორ გამისწორებ. ე.ი. როგორც არის დაწერილი, უცვლელათ უნდა დაიბეჭდოს. რაკი გადაჩვეული ხარ, ასეთს მართლწერას, შეიძლება ზოგი რამ გეუცხოვოს, შეცდომა გეგონოს, მაგრამ შენ მაინც ისე ამოაწერინე, როგორც არის, რისთვისაც საუკუნოდ დამავალებ.

მინდოდა მისი ცალკე დაბეჭდვაცა, გოგისა ვწერ, თუ რამ საშუალება მოეძევება „სახ. გაზეთის“ რედაქტორს, დამიბეჭდოს. თუ მოახერხეს, მაშინ კიდევ დაგჭირდება თვალის გადავლება. — გარდა ამისა, ხელნაწერი გამოართვი და შეინახე. ეს წერილი, უეჭველია, კამათს გამოიწვევს და ყოველი შემთხვევისთვის შენახული გქონდეს ხელნაწერი, რომ თუ ვინცობაა, კორექტორის ბრალით რამე შეცდომა იქმნეს, ვიმოწმო ხელნაწერი.

აბა, შენი ჭირიმე, ჩემო დომინიკა, შენ იცი, როგორ ჩვეულებრივის ყურადღებით მოეკიდები ამ ჩემს სურვილს.

მიხაკო (წერეთელი) ლეიპციგშია, ნახევარ წელიწადს ერთად ვიყავით ლონდონში, საუცხოვო გზას ადგას მიხაკო და ბევრს რასმე უნდა მოელოდეს მისგან ჩვენი ისტორია. ეგ არის, ხელმოკლეთ არის და ბრკოლდება, ცოტა არ იყოს. ხშირად გიგონებდით, ხომ იცი, რა ხუმარაა.

მარად შენი მეგობარი თედო სახოკია. 1911 წ. 19 თიბათვე.“[1]

განდეგილი მწერლობასთან ერთად საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი თაოსნობით დაარსდა ქართველ ქალთა საზოგადოება, რომელმაც დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ჩაატარა.

„დღეს ჩემი სამშობლო, ჩემი ერი განსაცდელშია და მეც სასოებით მოველი მისის მთლიანობის დამცველს ასულს...

---

1 ფ.91, ა.1, ს.6. დედანი, ხელნაწერი.

„გადარჩენა და სიცოცხლე ჩემის ერისა, ჩემის სამშობლოსი, — აი, ჩემი პირველი მცნება, ჩემი სავალდებულო მრწამსი!..“ — შენიშნავდა წერილში: ...„პატარა ერის დიდებული ასულნი“.[1]

მიუხედავად ყოველივე ამისა, განდეგილი ხშირად იყო უადგილოდ, უსახსროდ, გამოსავლის ძიებაში. მისი ყოველდღიურობა დატვირთული იყო უსიამოვნებებით. ამას ადასტურებს არქივში დაცული მისი განცხადებები. მწერალი ქალი სხვადასხვა დროს დახმარებისათვის მიმართავს: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას, სრულიად საქართველოს მწერლების ფედერაციის საბჭოს, და ფედერაციის პრეზიდიუმს:

„უადგილოთა ვარ და გთხოვთ სესხის სახით ხელი გამიმართოთ ათის თუმნით. როგორც საშუშაო რამ აღმომაჩნდება, ყოველთვიურად ნაწილ-ნაწილ გადაგიხდით ამ ვალს.

განდეგილი“.

„გამგეობის წევრთა უმეტესობამ იცის ჩემი დღევანდელი მდგომარეობა. მეორე წელიწადია უადგილოდა ვარ. “საზოგადოებისა“ მმართებს ხუთი თუმანი, რომელსაც ადრე თუ გვიან გადავიხდი. ეხლაც ვთხოვ გამგეობას ხელი გამიმართოს კიდევ, რადგან ყოვლად უსახსროდა ვარ და ნურც ამას ჩასთვლის დაკარგულად. მივიღებ თუ არა სადმე რამე ადგილს, ყოველთვიურად დავიწყებ ვალის გადახდას.

15 ოქტომბერი 1909 წ. განდეგილი“.

მისი ბოლო განცხადება დათარიღებულია 1928 წლის 18.05-ით:

„გთხოვთ დიდი საჭიროება მაქვს და ექვსი თუმნით დამეხმაროთ, რადგან ვალი მაქვს და თვეში თუმანზე მანეთს ვიხდი. მაქვს ამის ასანაზღაურებელი რამ, მაგალითად ორი დიდი სურათი ფიროსმანისა, რომლებიც (სურათები) კარგა ფული ღირს, მაგრამ ვერასგზით ვერ მოვახერხე გაყიდვა. აი, რატომ მოგმართავთ, თუ შეიძლება ხელი გამიწყოთ, თუ დახმარებით არა, დროებით მაინც, რომ ნაწილ-ნაწილად გადაგიხადოთ ეს ფული.

---

1 გაზ.“სახალხო ფურცელი“. — ტფილისი, 14 იანვარი, 1916 წ., №478, გვ.2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განდეგილი.“[1]

1929 წლის 29 იანვარს კი ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალი, დომინიკა ერისთავი-მდივნისა, გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

საარქივო ჩანაწერები:

„სრ. საქ. საბჭოთა მწერლების პრეზიდიუმი აცნობებს საზოგადოებას, რომ 29 იანვარს ნაშუადღევს 5 ½ საათზე გარდაიცვალა ფედერაციის წევრი მწერალი ქალი

განდეგილი(დომინიკა ზურაბის ასული ერისთავი-მდივნისა).

სამოქალაქო პანაშვიდები ყოველდღე 7 საათზე საკუთარ ბინაზე.

ელბაქიძის დაღმართი №1“.[2]

„თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმი შუამდგომლობს თქვენს წინაშე, რათა დართოთ ნება განსვენებული მწერალი ქალის განდეგილის (დომინიკა ერისთავ-მდივნისა) ცხედრის დიდიუბის პანთეონში დაკრძალვას.

სრ. საქ. საბჭ. მწერ. ფედერაციის თავმჯდომარე ი. გრიშაშვილი. 31 იანვარი“.[3]

„02.02.29წ.

აღმასკომის ადმინისტრაციული განყოფილების გამგეს

გთხოვთ ნება დართოთ მწერალი ქალის განდეგილის (დომინიკა ერისთავი მდივნისა) ცხედარი გავატაროთ შემდეგი ხაზით: ხელოვნების სასახლიდან სოლოლაკის ქ.,

თავისუფლების მოედანი, კომინტერნის ქ., რუსთაველის პროსპექტი, ვერის დაღმართი, პლეხანოვის პროსპექტი, დიდუბის პანთეონი.

ხელოვნების სასახლის გამგე და დამკრძალავი კომისიის წევრი: პლ. კეშელავა“.[4]

---

1 ფ.8, ა.1, ს.168, გვ.11.
2 ფ.8, ა.1, ს.186, გვ.1.
3 ფ.8, ა.1, ს.186, გვ.2.
4 ფ.8, ა.1, ს.186, გვ.3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ქავთარია

ანტონ პირველის „ქართველ მეფეთა შთამომავლობა“

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია მითითებულია, ანტონ პირველს ეკუთვნის ისტორიული ხასიათის ორი შრომა: 1. საქართველოს ისტორია სკოლებში სახმარებლად შედგენილი და 2. „ქართველ მეფეთა შთამომავლობა“, დაწერილი 1755 – 1760 წ.წ.[1]

არც ერთი დასახელებული თხზულება სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა და არ გაკეთებულა თხზულებათა შინაარსის ანალიზზე დაფუძნებული დასკვნები. ინტერესს დასახელებული შრომებისადმი აძლიერებდა შემდეგი ფაქტორები, რომ: პირველი — XIX საუკუნის 50-იან და 80-იან წლებში „ქართველ მეფეთა შთამომავლობის“ ტექსტი მთლიანად დაიბეჭდა ქართულად[2] და ნაწილობრივ რუსულადაც[3]; მეორეც, თეიმურაზ ბატონიშვილი „საქართველოს ისტორიაში“, როდესაც ქართლოსიანთა წარმოშობის საკითხზე ლაპარაკობს, მიმოიხილავს ქართულ საისტორიო მწერლობას და მათ შორის ანტონ კათოლიკოსის შრომასაც. თეიმურაზი ამ უკანასკნელის „ისტორიას“ მეტად საპატიო ადგილს მიაკუთვნებს, გვერდში უყენებს ე.წ. სწავლულ კაცთა კომისიის შრომას და ვახუშტის ისტორიას. იგი წერს: „თუმცაღა ძველნი მემატიანენი ჩვენნი, გინათუ სხვათა სხვად და სხვაგვარად ჰსწერენ გიორგიელთა დასაბამობისათვის და შთამომავლობისათჳს ქართლოსიანთასა, გარნა

---

1 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1, გვ.382.

2 ჟურნალი „ივერია“, 1880, № 3.

3 გაზეთი „Кавказ“, 1851, № 80, 81, 82, სათაურით „Летопись о Грузии“.

გაკვრით ამ ძეგლს შეეხნენ: მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, წიგნში „საინგილო“, დაბეჭდილია ძველი საქართველო, II, 1911 — 1913 წ.წ., განყ. IV, გვ. 61-64; ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Описание, II, გვ. 626; ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ — ბ ე გ ი, საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა X – XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა, 1936, გვ. 4 – 5.

ვინაითგან ფრიად განგრძელდების ყოველისავე წვლილად მოხსენებაჲ ამისათჳს დავუტევებ და რომელთამე რაჲცა საჭიროდ ვრაცხ, მცირესა ამას წიგნსა შინა ძველთა ჩვენთა მეისტორიეთაგანცა და ახალთასა უფროს მოვიხსენებ, ხოლო დასაწყისისსა წიგნსა ამის საფუძველისასა ვიწყებ ქართლის სამეფოისა მეფისა ვახტანგ მეექვსისა აღწერილისა მატიანისაგან, ვინაჲდგან ვახუშტი შემდგომად მისსა აღმწერელი საქართველოს ცხოვრებისა, ეგრეთვე სრულიად საქართველოჲსა კათოლიკოსიცა ანტონი პირველი მცირესა შინა შემოკლებულსა წიგნსა საქართველოჲსა ცხოვრებისასა და სხვანიცა აღმწერელნი მისი ჟამისანი ყოველნივე შეუდგებიან მათ...“[1] მესამე, თეიმურაზის მსგავსადვე იქცევა ხელნაწერში 5076-ის ავტორი, რომელიც გრიგოლ ბაგრატიონი უნდა იყოს. ისიც ანტონის შრომას ასახელებს თავის ერთ-ერთ წყაროდ და გვერდში უყენებს ვახუშტის ისტორიას. ხელნაწერში ვკითხულობთ: „აჰა დიდნი მიზეზნი ესე ყოველნი, რათა მეცნობა ისტორიაცა ჩვენი ევროპელთათჳსცა, თუმცა ზემოხსენებული ყოველი წიგნი ცხოვრება ქართლისა, შეთხზული ვახუშტის მიერ, ფრიად საკმაოდ არის მოთხრობილი ყოველთჳს გარნა ვინაჲდგან არა იყო იგი თარგმნილი სხვათა ენათა ზედა და შეერთებულ არიან მას შინა ღეოღრაფიისა და სტატისტიკებრიცა აღწერილობანი ვრცლად, ამისათჳს მოვიღე წიგნი და ეგრეთვე მოთხრობა ქართლისათჳს მეფის ვახტანგის მიერ, მეფის იასეს ძის უნეტარესის და უწმიდესის საქართველოს პატრიარხის ანტონის მიერცა შემოკლებული...“

ამ ავტორიტეტული მითითებების შემდეგ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ანტონ კათოლიკოსის „ისტორიები“ და მათთვის მიგვეჩნია სათანადო ადგილი ქართული საისტორიო აზროვნების განვითარების ისტორიაში. მით უმეტეს, ინტერესი უფრო იზრდებოდა და ანტონის თხზულებების შესწავლის აუცილებლობა დღის წესრიგში დგებოდა, როცა მოვიგონებთ ანტონის მოღვაწეობის აკად. კ.კეკელიძისეულ შეფასებას: „მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მწერლობას უნდა ეწოდოს ანტონ კათალიკოსის ეპოქა“[2].

---

1 პეტერბურგის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ხელნაწერი, H– 28, ფ. 125.

2 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I 4, გვ. 388.

ხელნაწერების გაჩხრეკისა და მათზე მუშაობის დაწყებისთანავე გაირკვა, რომ ანტონს არ დაუწერია **„საქართველოს ისტორიის სკოლებში სახმარი სახელმძღვანელო“.** სპეციალურ ლიტერატურაში დაბეჯითებით აღნიშნული ცნობა არ დადასტურდა. არ შემონახულა არამცთუ მსგავსი ხასიათის შრომა, არამედ მითითებაც კი. ხელნაწერთა ტრადიცია ანტონს მიაკუთვნებს მხოლოდ „ქართველ მეფეთა შთამომავლობას“, ან, როგორც მეორენაირად უწოდებენ, „შემოკლებულ საქართველოს ცხოვრებას“ (თეიმურაზ ბატონიშვილის ტერმინი).

ანტონ პირველი XVII საუკუნის ქართული კულტურის ისტორიის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელია. იგი ქართველ მეფეთა დინასტიას ეკუთვნოდა. მიიღო რა თავისი დროისათვის შესაფერისი განათლება, ემზადებოდა პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში ჩაბმისათვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო 1739 წელს ბერად აღიკვეცა. სულ მალე, 1744 წელს, ანტონი კვლავ დაუბრუნდა პოლიტიკურ სარბიელს, — იგი საქართველოს ეკლესიის მამამთავრად აკურთხეს. ანტონმა ქართული ეკლესიის აღორძინების მთელი პროგრამა შეიმუშავა და შეუდგა ცხოვრებაში მის თანდათანობით გატარებას. ამ მიზნის განსახორციელებლად კურსი ევროპისაკენ აიღო. იგი დაუკავშირდა კათოლიკე მისიონერებს, რისთვისაც სასტიკად დაისაჯა: 1755 წლის 16 დეკემბერს ანტონი კათოლიკოსობიდან გადააყენეს და იგი იძულებული გახდა 1756 წელს რუსეთში გამგზავრებულიყო, საიდანაც მხოლოდ 1764 წელს დაბრუნდა სამშობლოში და კვლავ სათავეში ჩაუდგა ქართულ ეკლესიას[1].

ანტონის რუსეთში მოღვაწეობის პერიოდი მეტად საინტერესოა, თუმცაღა ნაკლებად შესწავლილი (ამ პერიოდის ამსახველი მასალები დაცულია სანქტ-პეტერბურგის ცენტრალურ ისტორიულ არქივში). რუსეთში ანტონი საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც მოაზროვნე და მეცნიერი. იქ თარგმნა ანტონმა კვინტუს კურციოსის თხზულება — ალექსანდრე მაკედონელის ისტორია, ათი წიგნი[2].

---

1 ანტონ პირველის შესახებ დაწვრილებით იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ის, დასახელებული ნაშრომი ტ. I 4, გვ. 372 – 385.

2 მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, ალექსანდრე ჭავჭავაძის უცნობი ავტოგრაფები (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბის მე-5 ტომში).

რუსეთიდანვე ხელმძღვანელობდა ანტონი საქართველოში მოსული ვაწე მთარგმნელთა მთელ ჯგუფს[1].

***

ანტონის შრომის დაწერა მეტად თავისებური ისტორიითაა გაპირობებული. მას თხზულება იმ საერთო მიმართულების საფუძველზე არ დაუწერია, რომელიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელდა ჩვენში. პროფ. ვარლამ დონდუას სიტყვით, დასახელებულ პერიოდში ფართო გასაქანი მიეცა ისტორიულ თემატიკას და ისტორიული ფაქტების დამუშავება-გამოვლენას[2]. 1756 წელს ანტონი იძულებული გახდა თავშესაფარი რუსეთში ეძებნა. გზაზე, ყიზლარში, ქალაქის კომენდანტმა, გენერალ-მაიორმა ივან ლვოვიჩ ფროუნდორფმა დაუკვეთა ანტონს ისტორიის დაწერა. კომენდანტის დაკვეთა მისივე საკუთარი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების სურვილით გამოწვეული არ ყოფილა. იგი უთუოდ სპეციალურ დავალებას ასრულებდა.

რუსეთში ამ დროს ცხოველი ინტერესი ჩნდება საქართველოსა და მისი ისტორიისადმი. იწერება სპეციალური შრომები, გერმანული ენიდან ამ დროს ითარგმნა საქართველოს ისტორიის წიგნი[3]. 1769 წელს საგარეო საქმეთა კოლეგიას ქართულ და რუსულ ენებზე წარუდგინეს „მეზობელ მხარეთა აღწერა“[4] და ა.შ.

კომენდანტის დაკვეთის ნამდვილი მიზანი ანტონისათვის ნათელი უნდა ყოფილიყო. ამიტომ მის შრომას წითელი ზოლივით გასდევს ტენდენცია — რუსეთის მთავრობის წინაშე რაც შეიძლება მეტად წარმოაჩინოს და განადიდოს ქართველ მეფეთა საქმიანობა

---

1 კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიული საბუთები: Ad – 1553.

2 ვ. დ ო ნ დ უ ა, დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია. — თბ., 1959, გვ. 11 – 12.

3 თ ო რ ნ ი კ ე ჭ ყ ო ნ ი ა, გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი. ლიტერატურული ძიებანი, ტ. IV, გვ. 272 – 278.

4 ლ. მელიქსეთ — ბეგი, საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა, 1936, რუსული ვარიანტი დაბეჭდილი აქვს პროფ. ა ლ. ც ა გ ა რ ე ლ ს, Грамоты, .1. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ამ ძეგლს ანტონის კუთვნილებად აცხადებს და მისი შრომის მეორე ნაწილად ვარაუდობს. იხ. საინგილო, ძველი საქართველო,II, განყ. IV.

და დამსახურება[1]. ამ ტენდენციამ რიგ შემთხვევაში განაპირობა კიდევაც ფაქტების შელამაზება და გადასხვაფერება.

თხზულების წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „მე უღირსი ანტონი, კათალიკოსი სრულიად საქართუჱლოჲსა, მოვახსენებ ბრძანებულისამებრ თხოვისა, რომელიცა დაღათუ მრავალ განსაცდელ შემთხუჱვისაგან დავიწყებით სახელნი მეფეთა საქართუჱლოსთანი თჳთო-თჳთოდ არღარა მახსოვან, მაგრა სახელოვანთა მეფეთა სახელნი, ანუ გარდაცვალებანი მეფეთა გუართანი, და ანუ განყოფანი ნათესავთანი სამ სამეფოდ ესენი არიან, რომელნიცა ძუჱლთა და შინა მატიანეთა საქართუჱლოსათა წარმიკითხავნნ“. ამ ციტატიდან გამომდინარე, ანტონს მიზანად არ ჰქონია საქართველოს ისტორიის სისტემატური კურსის გადმოცემა, იგი მხოლოდ „სახელოვან მეფეთა“ საქმიანობის მოთხრობით იფარგლება. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, შრომის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

***

პირველი კითხვა, რომელიც ისტორიულ-ლიტერატურული საკითხებიდან უნდა დავსვათ, არის ძეგლთან დაკავშირებული ქრონოლოგია. მართალია, „ისტორიას“ დაწერის თარიღი არ უზის, არც ხელნაწერებს დაუცავს რაიმე მითითება, მაგრამ თხზულების დაწერის დროის განსაზღვრა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტონი 1755 წლის დეკემბერში გადააყენეს კათოლიკოსობიდან და დართეს ნება რუსეთში გამგზავრებულიყო. 1757 წლის 1 დეკემბერს ანტონი ფაქტობრივად შეუდგა ვლადიმირისა და იეროპოლლის ეპარქიის მართვას.[2] ავტორი თვითვე მიუთითებს, რომ თხზულება ყიზლარის კომენდანტის დაკვეთით დაწერა, ეს კი უნდა მომხდარიყო 1756 წელს.[3] აქედან გამომდინარე, აღარ არის საჭიროება, რომ ქრონოლოგიური ჩარჩოები 1756-1760

---

1 შდრ. Р. О р б е л и, Грузинсие рукописи Института Востоковедения, АН СССР, I. - Ленинград, 1956, СТР 27.

2 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 4, გვ. 374.

3 ამავე აზრისაა ცნობილი ქართველოლოგი რ. ო რ ბ ე ლ ი. იხ. Р. О р б е л и, Грузинские рукописи Института Востоковедения, АН СССР, I. Москва - Ленинград, 1956, СТР 27.

წ.წ. განვსაზღვროთ.[1] მაშასადამე, „მეფეთა შთამომავლობა“ დაწერილია 1756 წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც, მართალია, დასრულებული იყო ვახუშტი ბატონიშვილის შრომა, მაგრამ საქართველოში იგი გავრცელებული არ იყო, და, რაღა თქმა უნდა, ანტონი არ იცნობდა მას. ამიტომ ანტონის „ისტორია“ აუცილებლად ვახუშტის წინადროინდელი ისტორიკოსების რიგის მიხედვით უნდა იქნეს განხილული და შეფასებული.

ანტონმა, როგორც თვით წერს, თავისი შრომა დაწერა წყაროს პირდაპირი გამოყენების გარეშე, ფაქტიური მასალის გადმოცემისას იგი არ ემყარება რაიმე ნიმუშს, წყაროს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას სწორად ჰქონია გეგმა მოფიქრებული და წარმოდგენილი. ქვეყნის ისტორიისა და ყოფის ნამდვილი სურათისათვის (ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ ისტორიული ფაქტების სიზუსტეს) არ კმაროდა მხოლოდ პოლიტიკური სიტუაციების გადმოცემა. ანტონის აზრით, საქართველოს ისტორიაში თანაბარი დოზით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ყოველი კუთხის ისტორია და ისინი ურთიერთმიმართებასა და კონტაქტში უნდა ყოფილიყო განხილული. მან ეს თვალსაზრისი რამდენამდე გაატარა თავის შრომაში. ანტონი თითქმის ყოველ თავში, რომელიც საქართველოს დაშლის მომდევნო პერიოდს შეეხება, ძირითადად ლაპარაკობს როგორც ქართლის სამეფოზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი წამყვან როლს თამაშობს ქვეყნის ისტორიაში, ისე კახეთისა და იმერეთის სამეფოებზე თავთავიანთი პროვინციებით. მაგრამ კახეთის, იმერეთის სამეფოების ისტორიები ცალკე კი არ არის განხილული, არამედ მხოლოდ ქართლთან ერთიანობაში.

ვახუშტი ბატონიშვილის ნოვატორობა, სხვა მომენტებთან ერთად, იმაშიც მდგომარეობს, რომ მან პირველმა წარმოადგინა ქართლის, კახეთის, იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოს ისტორია ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად[2].

ანტონი აუცილებლად თვლის გეოგრაფიული ცნობების საჭიროებასაც. მისი აზრით, ასეთი ცნობები აუცილებელია ისტო-

---

1 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახელებული შრომა, გვ. 382.

2 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა შოთა ბურჯანაძემ, 1962, გვ. 38-39.

რიაში. სწორედ ამიტომ პოლიტიკურ ამბებში გადახლართულია გეოგრაფიული ელემენტები. „ვიტყოდეთ ამასაცა, ვითარმედ დღეს რაჲვეცა არს ქართლისა პროვინცია, უპყრიეს მეფესა ქართლისა, უკჱთუ არა აღოჴრებულ იყოს. გარნა ქუჱყანა იგი ახალციხისა, რომელ არს ჯავახეთი, შემდგომად მეფისა ქართუჱლთასა ლუარსაბ დიდისა, უპყრიეს თურქთა და არს მუნ ფაშად პირველი იგი მთავარი ათაბაგი, რომელიცა განაწესა მთავრად მეფემან თამარ ყოვლისა საქართუჱლოისამან. ხოლო მთავარი იგი ჯავახეთისა თურქთა დაპყრობადმდე მონებდა მეფესა ქართუჱლთასა. ხოლო პროვინცია კახეთისა მესამე უკუჱ ნაწილი არღა არს დღეს ჴელის ქუჱშე კახთა მეფისა, რამეთუ შირვანი ადრიდან მიეღო და შაქისი ჟამითგან შაჰაბაზის მოოჴრებისა, ხოლო შაქისი ნაწილი არს ჭარნიცა, რომლისა მიერ აღოჴრებულ იქმნა კახეთი ახალთა ჟამთა შინა, გარნა რაჲვეცა აქუს დღეს კახთა მეფესა, შენ არიან ყოველნი“.

ანტონის მსოფლმხედველობის გარკვევისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს პირველ თავში — ქართველთა გენეზისთან დაკავშირებით — მოცემულ კონცეფციას. მისი აზრით, ტერმინი „ქართველი“ გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეთნიკური ტომების მთლიანობას. ანტონისათვის „ქართველი“ პოლიტიკური ცნებაცაა, რომელიც აერთიანებს საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებთ: „ პირუჱლად ვიდრე მამა ქართლისა და ყოველთა მათ ქართუჱლთა, ესე იგი, ქართუჱლთა, იმერთა, კახთა, ჯავახთა, რომელთაცა ყოველთა მათ ეწოდების ქართუჱლი...“ მეორე ადგილას: „ქართუჱლნი, ესე იგი, ქართველნი, იმერელნი, გურულნი, რაჭუჱლნი, რომელნიცა არიან იმერნი. ეს ყოველნი და მთით კერძო საერისთოთა არაგჳსა და ქსნისითა რაოდენნიცა არიან ენითა ქართულითა მოუბარნი“. ამ სტრიქონებიდან აშკარაა, რომ, ანტონის აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომები, რომლებიც მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, ერთი წარმოშობისანი არიან, ერთნი არიან როგორც ეთნიკურად, ისე პოლიტიკურად.

თვით „საქართველო“, როგორც პოლიტიკური ცნება, ანტონს ესმის როგორც „ზემო და ქვემო საქართველოს“ ერთიანობა, ე. ი. დასავ-

ლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობა. „ზემო საქართველოში“ შედის „ქართლი, კახეთი, შირვანი და ჯავახეთი, რომელ არს სამთავრო ახალციხისა, და ყაბარდია ოვსეთი და ქისტეთი“; ხოლო „ქვემო საქართველოში“ კი — „იმერეთი, გურია, ოდიში, რაჭა, აფხაზეთი, სუანეთი და ჯიქეთი“. ანტონის ამ დებულებაში უთუოდ XVIII საუკუნის 50-იან წლებში ჩვენში გავრცელებული მოსაზრება ჩანს პოლიტიკური საქართველოს შესახებ. იგი ცარიზმის წარმომადგენელს ერთიანი საქართველოს სურათს უხატავს.

ანტონი თავის შრომაში არ იყენებს რაიმე ისეთ წყაროს, რომელიც დღეს ვერ დგინდებოდეს. მისი ძირითადი წყაროა „ქართლის ცხოვრების“ კრებული. ისიც ანტონს შრომის წერის დროს გვერდით კი არ უდევს და შიგ კი არ იხედება, არამედ ეყრდნობა რა საკუთარ მეხსიერებას, მის მიხედვით იძლევა ქვეყნის ისტორიის სურათს. ჩვენ ანტონის ისტორია შევუდარეთ „ქართლის ცხოვრების“ კრებულს და ვნახეთ, რომ დასახელებულ კრებულსა და ანტონის თხზულებას შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ ზოგადი მსგავსებაა.

ასეთი ზოგადი ხასიათის მსგავსების ჩვენება შეიძლებოდა მრავლად, მაგრამ საჭიროდ არ ჩავთვალეთ. ანტონი პირდაპირ რაიმე წყაროს არ იყენებდა; იგი საერთოდ ზოგადად ეყრდნობოდა „ქართლის ცხოვრების“ კრებულს და ისე ადგენდა თავის ისტორიას.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს შემდეგი: ანტონი რამდენიმე ადგილას მიუთითებს: ა) „ხოლო წერენ წელიწლმწერალნი სომეხთა და ქართუცლთანი“. ბ) თამარ მეფის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, — „მრავალ უკუც საკჳრველნი ჰქმნა თამარ, ვითარ მოუთხრობენ მატიანენი მცხეთისა და გენათისანი“; გ) დავით ულუსა და დავით ნარინთან აღნიშნავს: „ხოლო თათარნი მეფობდეს მაშინ საქართველოსა ზედა... ძე გიორგი მეფისა... და ძე რუსუდანისი დავით ორივე მეფედ ჰყუცს, რომელთა სიგელნი სამეუფონი იხილვებიან დღესაცა ქუცმოწერილნი ესრეთ: სიგელი ესე მე — დავითისაგან ქუცმოწერილია, და მე — დავითისაგან ქუცმოწერილია“.

ჩვენი აზრით, ინტერესს მოკლებული არ იქნება ის საკითხიც, თუ როგორ აფასებდა ანტონი თავის შრომას შემდეგ პერიოდში.

ანტონი მოაზროვნე რუსეთში გამგზავრებამდე და ანტონი მოაზროვნე რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ერთიმეორისაგან ძლიერ განსხვავდებიან. იგი რუსეთიდან დაბრუნდა როგორც ღმად ჩამოყალიბებული ისტორიკოსი, რომელმაც შემოქმედებით მეთოდად კრიტიკული მეთოდი აირჩია. 60-70-იან წლებში დაწერილ თხზულებებში კრიტიკულად მიმოიხილავს წყაროებს და სათანადო კვალიფიკაციასაც აძლევს მათ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „მარტირიკა“.

ანტონის „საქართველოს ისტორიაზე“ ამ კუთხით დაკვირვებამ გამოავლინა, რომ ავტორი თავის ამ შრომაზე მაინცდამაინც დიდი წარმოდგენისა არ უნდა ყოფილიყო. ამის თქმის უფლებას გვაძლევს იგივე „მარტირიკა“. ამ უკანასკნელში ანტონს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით მოაქვს მისთვის საჭირო ცნობები როგორც ქართული საისტორიო მწერლობიდან, ისე სომხურიდანაც. არც ერთი შემთხვევა არ არის, რომ სწავლული თავის შრომიდან თუნდაც ერთ ფაქტს იმოწმებდეს.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ანტონის შრომის კრიტიკული შეფასება ჯერ კიდევ თეიმურაზ ბატონიშვილმა მოგვცა, სწორედ იმ თეიმურაზმა, რომელმაც განსახილველი თხზულება გვერდში ამოუყენა ვახუშტის „ისტორიას“, თუმცაღა საკუთარ ეგზემპლარზე შეიტანა შენიშვნები. (პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი E-22).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგუნებისმეტყველო-სამეცნიერო შინაარსის პირველი ნაბეჭდი ნაშრომი ქართულ ენაზე

საეკლესიო კალენდრის და ქრონოლოგიის საკითხებს ძველთაგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა საქართველოში, რაზედაც თვალნათლივ მეტყველებს X—XIII საუკუნეებიდან შემორჩენილი მთელი რიგი ქართული პასქალურ-კალენდარული ტრაქტატების არსებობა. სამწუხაროდ, მომდევნო საუკუნეებში, ცოდნისა და კულტურის საყოველთაოდ დაქვეითების პირობებში, ამ მიმართულებით მუშაობა საერთოდ შეწყდა და წარსულის მდიდარი მემკვიდრეობა ფაქტობრივად დავიწყებას მიეცა.

ასეთ ვითარებაში ქართლის მეფე ვახტანგ VI (1675-1737) პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელმაც ისევ წამოიწყო კალენდრის და ქრონოლოგიის საკითხებზე მუშაობა. ამ მიმართულებით მისი პირველი სამუშაო 1711 წლით, ხოლო ბოლო სამუშაოები 30-იანი წლების პირველი მესამედით თარიღდება. აღნიშნული სამუშაოები ქართული საეკლესიო პრაქტიკისათვის იმდენად საჭირო აღმოჩნდა, რომ ათეულზე მეტი წლის შემდგომაც ბატონიშვილმა ვახუშტიმ მათი ძირითადი ნაწილი დანართის სახით გამოაქვეყნა 1743 წელს მოსკოვში გამოცემულ ქართულ ბიბლიაში [1, გვ. 1077-1093].

ვახტანგის ნაბეჭდი კრებული 4 ნაწილისგან შედგება და ისინი მოყვანილია ბიბლიის 1077-1093 გვერდების ინტერვალში. მათგან პირველი 532-წლიანი პასქალური ცხრილის გამარტივებულ სახესხვაობას წარმოადგენს (გვ. 1077-1081). მეორე ნაწილი ორი კომპაქტური ცხრილ-კალენდრისაგან შედგება (გვ. 1082-1083), მესამე ნაწილი კი — 12 თვეზე გადანაწილებულ „საჩინო“ საეკლესიო დღეებს ეძღვნება (გვ. 1084). ბოლო, მე-4 ნაწილი ძირითადია და შეიცავს 35 სააღდგომო დღის მიხედვით დაჯგუფებული პასქალურ-კალენდარული ცნობების კრებულს, რომელსაც ვახტანგი „ოცდათხუთმეტი აღდგომის რიგს“ უწოდებს (გვ. 1085-1093).

კრებულად გაერთიანებულ 4 ნაწილის მონაცემთა საშუალებით მკითხველს დამოუკიდებლად შეეძლო აღდგომის დღისა და მასთან „მიბმული“ მარხვისა და დღესასწაულების თარიღების გამოთვლა. მასვე, ამავე მონაცემების საშუალებით შეეძლო სრული წარმოდგენა შეექმნა ისეთ ძირითად პასქალურ-კალენდარულ მახასიათებლებზე, როგორიცაა: „ოცდარვეული“ ანუ მზის წრე-წელიწადის რიგობრივი ნომერი მზის 28-წლიან ციკლში; „ჴელთა“ — ხელის თითების საშუალებით პასქალურ-კალენდარული მახასიათებლების გამოთვლის ხერხები; შვიდეული („ორს ხელებზე რომ წერია ასოები“) — მზის 28-წლიანი ციკლის ნებისმიერი წლის წინმსწრები წლის ბოლო დღის კვირის დღე, რომლის საშუალებითაც გამოითვლება მიმდინარე წლის ნებისმიერი დღის კვირის დღე; „თვის დადეგი“ — წლის ყოველი თვის რიცხვითი კოეფიციენტი, რომელიც შვიდეულზე დამატებისას, ამ თვის პირველი დღის კვირის დღეს იძლევა; „ცხრამეტეული“ ანუ მთვარის წრე — წელიწადის რიგობრივი ნომერი მთვარის 19-წლიან ციკლში; „ათცხრამეტური“ — დიდი მცხრალის ანუ პასქალური სავსემთვარეობის დღის რიცხვების განრიგება მთვარის 19-წლიან ციკლში; „ზედნადები“ — პასქალურ-კალენდარული მახასიათებელი, რომელიც მთვარის 19-წლიან ციკლში ყოველი წელიწადის დაწყების წინ მთვარის ასაკს აღნიშნავს და ა. შ.

კრებულის პირველ ნაწილში მოყვანილი 532-წლიანი გამარტივებული პასქალური ცხრილი სრული ცხრილისაგან განსხვავებით მხოლოდ 3 მონაცემს — ქრონიკონურ წლებს და მათ შესაბამის აღდგომის დღეებსა და ზედნადებებს შეიცავს. მონაცემების ასეთი შემცირება ცხრილის ახალი დანიშნულებით არის განპირობებული. ის გამოიყენება „ოცდათხუთმეტი აღდგომის რიგისადმი“ წამძღვარებულ საძიებლად, რომელიც ამ „რიგში“ საჭირო მონაცემების მონახვას უზრუნველყოფს. ამის შესახებ გამარტივებული ცხრილის ბოლოს მოყვანილ სარედაქციო შენიშვნაში ვახუშტი შემდეგ ცნობას იძლევა: „პირველად იცოდე ამ ზემოთ წერილის ქორონიკონის, თუ იმ წელიწადს რომელს ქორონიკონში ვართ, მერმე დიდი ქვემორ რომ ოცდათხუთმეტი აღდგომის რიგია, პირველად აღ-

დგომა იპოვნე, რომელსაც ზემო ქორონიკონი უჩვენებს და მერმე იმ წლისათ ყველას იქ ჰპოებ“ [1, გვ. 1081]. ე. ი. ციტირებული ტექსტის თანახმად, მოცემული წლისათვის ჯერ გამარტივებულ ცხრილში („ზემოთ წერილის ქორონიკონის“) მოინახება შესაბამისი აღდგომის დღე, ხოლო შემდეგ მისი საშუალებით „ოცდათხუთმეტი აღდგომის რიგში“ მოიძებნება ერთ-ერთი იმ 35 ფრაგმენტიდან, რომელიც შეიცავს ცნობებს ამ აღდგომისა და მასთან დაკავშირებული მარხვა-დღესასწაულების შესახებ („მერმე იმ წლისათ ყველას იქ ჰპოებ“).

გამარტივებულ 532-წლიან პასქალურ ცხრილს, „ოცდათხუთმეტი აღდგომის რიგის“ საძიებლად გამოყენებასთან ერთად, ზოგიერთ შემთხვევაში სრული 532-წლიანი ცხრილის მაგივრობის გაწევაც შეეძლო, როდესაც მოცემული წლის საშუალებით საჭირო იყო მხოლოდ შესაბამისი აღდგომის დღის ან ზედნადების მოძიება.

კრებულის მეორე ნაწილი წარმოდგენილია ვახტანგის მიერ შედგენილი ორი კომპაქტური ცხრილ-კალენდრით, რომელთა საშუალებით შეიძლება როგორც ნებისმიერი დღის კვირის დღის, ისე ნებისმიერი წლის აღდგომის თარიღის გამოთვლა.

პირველ ცხრილ-კალენდარში (იხ.სურ.1) პასქალურ-კალენდარული გამოთვლებისათვის „ხელთა“ გამოიყენება, რომელიც ვახტანგს ქართული ეკლესიის მოქმედი პრაქტიკიდან უნდა ჰქონდეს გადმოღებული. ნებისმიერი დღის კვირის დღის გამოსათვლელი წესი აქ წარმოდგენილია ფურცლის მარცხენა კიდეზე შესრულებული ჩანაწერითა და შუა ნაწილში გამოსახული ორი ხელით, რომლის თითებზე გაწერილია შვიდეულის ასორიცხვნიშნები (შვიდეულის 7 ასორიცხვნიშნიდან ა=1-ს და აღნიშნავს კვირა დღეს, ბ=2-ს და ორშაბათია, გ=3-ს და სამშაბათია... ზ=7-ს და შაბათია).

ასორიცხვნიშნების ათვლა იწყება მარცხენა ხელის საჩვენებელი თითიდან, მისი ძირიდან წვერამდე გადაადგილებით, რის შემდგომ გადათვლის პროცესი მომდევნო თითებზე ინაცვლებს ათვლის იმავე მიმართულების შენარჩუნებით.

აღნიშნული „ხელთა“ განიხილება „თვის დადეგთან ერთობლიობაში, რომელიც ცხრილ-კალენდრის მარცხენა კიდეში ასეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 1. ვახტანგის მიერ შედგენილი
პირველი კომპაქტური
ცხრილ-კალენდრის ფოტო.

მიმდევრობით არის წარმოდგენილი (მარტის წელიწადის გამოყენების გამო ეს მიმდევრობაც მარტის თვით იწყება): მარტი — ე(5), აპრილი — ა, მაისი — გ(3) , ივნისი — 3(6), ივლისი — ა (1), აგვისტო — დ (4), სექტემბერი — ზ(7), ოქტომბერი — ბ(2), ნოემბერი — ე(5), დეკემბერი — ზ(7), იანვარი — გ(3) და თებერვალი — ვ(6).

„თვის დადეგის“ სიასთან ერთად ამავე მარცხენა კიდეზე მოყვანილია ნებისმიერი წლის ნებისმიერი თვის პირველი დღის კვირის დღის გამოსათვლელი წესის ჩანაწერი. ამ წესის თანახმად გონებაში დამახსოვრებული მზის წრის საშუალებით ხელის თითებზე გადათვლით მოიძებნება შვიდეულის მნიშვნელობა. მისი შეჯამებით „თვის დადეგის“ შესაბამის კოეფიციენტთან, მიიღება რიცხვი, რომლის საშუალებითაც კვირის დღე ჩანაწერის მიხედვით ასე გამოითვლება: „რიცხვი კვირიდან გათვალე, რასაც დღეს მიადგება, ის თვე იმ დღეს დადგება“.

აღდგომის დღის გამოსათვლელად ქვედა „ხელთა“ გამოიყენება ერთი (მარცხენა) ხელის თითებზე გაწერილი ასორიცხვნიშნების სახით. ეს ასორიცხვნიშნები „ათცხრამეტურის“ ანუ პასქალური სავსემთვარეობის თვეთა რიცხვებს შეესაბამება და ვინაიდან ისინი ბერძნულ პასქალურ-კალენდარულ სისტემას ეკუთვნის, მათი მიმდევრობა იწყება ბ-თი (ე. ი. 2 აპრილით), გრძელდება კბ-თი (22 მარტი) და ა. შ. (ქართული სისტემისაგან განსხვავებით, რომელიც იწყება იგ-თი (ე. ი. 13 აპრილით), გრძელდება ბ-თი (2 აპრილი) და ა. შ., რის გამოც მას „ცამეტორი“ ეწოდება). შესაბამისად მათი ათვლა იწყება მარცხენა ხელის საჩვენებელი თითის ძირიდან, ინაცვლებს შუა თითზე და ამ რიგით გადაითვლება ნეკის წვერომდე. აქედან კი ათვლა ცერა თითის ძირიდან გრძელდება და წვეროზე მთავრდება. მოცემული წლის „ცხრამეტეულის“ გამოსათვლელად გამოიყენება შესაბამისი მთვარის წრე („ცხრამეტეული“ ანუ „ათცხრამეტურის სათვალავი“), რომლის ცოდნაც მზის წრის ანალოგიით, ზეპირად არის საჭირო.

„ხელთასთან“ ერთად ცხრილ-კალენდრის მარჯვენა კიდეში ვერტიკალურად ჩამოწერილია ცხრილი, რომელშიც წარმოდგენილია მთვარის წრის და შესაბამის პასქალურ სავსემთვარეობათა თარიღების აღმნიშვნელი ასორიცხვნიშნები. ამ დამატებით, როგორც ეტყობა, ვახტანგი მიზნად ისახავდა მკითხველში ცხრილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბზე სამუშაო ჩვევების გამომუშავებას. აქ ეს ცხრილი მოგვყავს ჰორიზონტალური განაშალის სახით:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
2	22	10	30	18	7	27	15	4	24	12	1	21	9	29	17	5	25	13

იქვე დართული შენიშვნის თანახმად 20-ზე მეტი რიცხვი ცხრილში მარტის თვეს, ხოლო ოცზე ნაკლები აპრილის თვეს შეესაბამება.

მოცემული მზის წრის საშუალებით ხელის თითებზე ან ცხრილში გამოთვლილი რიცხვი „ურიათ პასექის“ ანუ პასქალური სავსემთვარეობის თარიღია, რომლიდანაც კვირის დღეების გადათვლით მიღებული პირველივე კვირა დღე აღდგომის დღეს თანხვდება.

მეორე ცხრილ-კალენდარი (იხ. სურ. 2) პირველის ერთგვარ მოდიფიცირებულ ვარიანტს წარმოადგენს, რომელშიც აღდგომის გამოსათვლელად ხელთის ნაცვლად სიტყვიერი, ე. ი. რიტორიკული მათემატიკური ფორმულები (ცხრილ-კალენდრის მარცხენა სვეტში) და ცხრილური მონაცემები (შუა სვეტსა და ცხრილ-კალენდრის ქვედა ნაწილში) არის გამოყენებული. ამასთან ერთად მარჯვენა სვეტში დამატებით მოყვანილია აღდგომასთან „მიბმული“ მარხვებისა და დღესასწაულების გამოსათვლელი წესები. ეს ცხრილ-კალენდარი, შუა სვეტის ზემო ნაწილში მოყვანილი ჩანაწერის თანახმად, ვახტანგს მოსკოვში შეუდგენია 1731 წელს.

აღდგომის ნებისმიერი დღის დასადგენად მარცხენა სვეტის ჩანაწერის თანახმად, შესაბამისი დასაბამითგანი წლების რიცხვიდან 28-28 რიცხვი უნდა „განტევდეს“. ამის შედეგად მორჩენილი 28-ის ტოლი ან ნაკლები ნაშთი მზის წრის რიცხვით მნიშვნელობას იძლევა.

„განტევებაში“ აქ დასაბამითგანი წლების რიცხვიდან 28-28 რიცხვის მიმდევრობით გამოკლების ძველი წესი[1] ან გაყოფით ნაშთის მიღების თანამედროვე წესი უნდა იგულისხმებოდეს. გაყოფის მოქმედება ძველ ქართულ საგამომთვლელო პრაქტიკაში პირველმა ვახტანგმა შემოიღო. ერთ-ერთ სამუშაოში, კონკრეტული წლის მაგალითზე (დასაბამითგან 7239 წ. ანუ ჩვენი წელთაღრიცხვით 1731 წ.), მან იმდენად დეტალურად და ადვილად ჩასაწვდომად

1 „განტევების“ ოპერაციას ძველ საგამომთვლელო პრაქტიკაში აწარმოებდნენ დიდი რიცხვიდან ჯერ 2800-ის ან მისი ჯერადის, შემდეგ 280-ის ან მისი ჯერადის და ბოლოს 28-ის ან მისი ჯერადის ჩამოცილებით, ვიდრე არ მიიღებოდა 28 ან მასზე ნაკლები რიცხვი. მეორე ძველი წესით, იგივე ოპერაცია საგანგებოდ შედგენილი ცხრილის დახმარებით ხორციელდებოდა [2, გვ. 135-137, 141-145].

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 2. ვახტანგის მიერ შედგენილი მეორე კომპაქტური ცხრილ-კალენდრის ფოტო.

აღწერა გაყოფის ოპერაცია და მისი შუალედური სტადიები, რომ ნებისმიერ მკითხველს დამოუკიდებლად, მასწავლებლის გარეშეც შეეძლო აეთვისებინა ეს არითმეტიკული მოქმედება [2, გვ. 147-150]. სამწუხაროდ, როგორც ეტყობა, ცხრილ-კალენდრის გაბარიტების გამო, მასში აღნიშნული აღწერილობის შეტანა ვერ მოხერხდა, რის გამოც ძნელია იმის გარკვევა, თუ რას გულისხმობს აქ ტერმინი „განტევება“ — ძველი წესით 28-ის მიმდევრობით ჩამოცილებას თუ თანამედროვე გაყოფის წესით განაყოფის ნაშთის მიღებას.

გაყოფის წესით მიღებული ნაშთის, ანუ მზის წრის რიცხვის სიდიდე გადაითვლება ცხრილ-კალენდრის ქვედა ნაწილში განთავსებული ცხრილის იმ სტრიქონში, რომელიც „ოცდარვეულად“ არის დასათაურებული. რომელ ასორიცხვნიშანზედაც დასრულდება ანათვალი, მისი შესაბამისი ასორიცხვნიშანი ზემო სტრიქონში (სათაურით „მარტის დადეგი თითო წელი“) მოიძებნება და ის მარტის პირველი დღის კვირის დღის მაჩვენებელი იქნება. ეს უკანასკნელი თავისი წყობით აშკარად შვიდეულის მიმდევრობის ანალოგიურია, მხოლოდ მისი საწყისი 4 პოზიციით წინ არის წანაცვლებული (ე. ი. მიმდევრობა აბგევზაგ.... შეცვლილია მიმდევრობით ვზაგ....). „მარტის დადეგი“ ვახტანგმა, მას, როგორც ეტყობა, იმიტომ უწოდა, რომ ის სინამდვილეში ჩვეულებრივი რიცხვების და ჭეშმარიტი მარტის დადეგის კოეფიციენტის — 5-ის შეჯამებით არის მიღებული (ამის შედეგად შვიდეულის თითოეული ასოს რიცხვითი სიდიდე 5-ით იზრდება, ხოლო მათი ადგილი მომდევრობაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 4-ით წინ ინაცვლებს). ცხადია, რომ ამ შემთხვევაში უკვე აღარ არის საჭირო მზის წრის წინასწარ 5-თან შეჯამება და ნებისმიერი წლის მარტის თვის ნებისმიერი დღის კვირის დღე უშუალოდ ტრანსფორმირებულ ცხრილში მოიძებნება. სხვა თვეების გამოსათვლელად ტრანსფორმირებულ ცხრილში ფიქსირებული სიდიდის ანალოგი მოიძებნება შუა სვეტის ცხრილის მარტის თვის სტრიქონში და აქედან ქვემოთ გადაადგილებით მიღებული საძიებელი თვის შესაბამისი ასორიცხვნიშანი ამ თვის პირველი რიცხვის კვირის დღე იქნება. ამის შემდეგ, მარტის თუ აპრილის თვის დღეების გადათვლით, გამოიანგარიშება პასქალური სავსემთვარეობის თარიღის კვირის დღე („რამდენი მცხრალი იყოს,

დღეზე გამოსთვალე, რასაც დღეს მიხუდეს და დასრულდეს, ის დღე მცხრალი იქნება“). პასქალური სავსემთვარეობის კალენდარული თარიღის კვირის დღის დადგენის შემდგომ, ამ კვირის დღიდან კვლავ გადაითვლება კვირის დღეები და პირველივე კვირის შესაბამისი თარიღი აღდგომის თარიღი იქნება.

ცხრილ-კალენდრის მარჯვენა სვეტში მოყვანილია აღდგომის დღესთან „მიბმული“ მარხვებისა და დღესასწაულების გამოსათვლელი წესები, რომლებიც აღდგომიდან დღეების გადათვლას როგორც წინ, ისე უკან ითვალისწინებს. კერძოდ, აღდგომის დღიდან 49 დღის უკან გადათვლით, ტექსტის თანახმად გამოითვლება ყველიერის აღების კვირა. „იმის უკან სწორი“ ხორცის აღების კვირაზე მოდის, საიდანაც უკუგადათვლილი მეთხუთმეტე დღე მეზვერისა და ფარისევლის კვირას თანხვდება, რომლიდანაც „მარხვანი იწყებიან“. დიდი ხუთშაბათიდან I მაისამდე რამდენი დღეც აითვლება, იმდენ დღეს მოციქულთა მარხვა („სული წმიდის მარხვა“) გაგრძელდება. აღდგომის დღიდან წინ გადათვლისას მეორმოცე დღეს ამაღლება, ხოლო ორმოცდამეათე დღეს სული წმიდის გარდამოსვლა აღინიშნება. ამ კვირიაკის სწორი კი ყოველთა წმიდათა კვირიაკეს თანხვდება.

ტექსტის მომდევნო ნაწილში დასახელებულია 5 „მსგეფსი“ ანუ ისეთი შვიდეული — ერთი კვირა, რომელიც მთლიანად ხსნილია (ე. ი. არც ოთხშაბათ-პარასკევს არაა მარხვა). ასეთი მსგეფსია: 1. ქრისტესშობიდან 5 იანვრის ჩათვლით ანუ ნათლისღებამდე; 2. მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკიდან მის „სწორამდე“ (ე. ი. უძღები შვილის კვირიაკემდე); 3. ყველიერის კვირას; 4. აღდგომის დღიდან მის „სწორამდე“ (ე. ი. ახალკვირიაკემდე); 5. სულთმოფენობის კვირიაკედან მის სწორამდე (ანუ ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე).

ტექსტში აქვე შემოთავაზებულია ხორცის აკრეფის კვირიაკის და ამაღლების დღის გამოსათვლელი მარტივი დამატებითი წესები. აღდგომის თარიღზე 3-ის (ნაკიან წელს 4-ის) დამატებისას, ახალი თარიღი ხორცის აკრეფის კვირას შეესაბამება იანვარში (თუ აღდგომა მარტში აღინიშნება) ან თებერვალში (თუ აღდგომა აპრილის თავზე მოდის). ასევე, აღდგომის თარიღზე 9-ის დამატებისას, ახალ თარიღს მაისის თვეში ამაღლება თანხვდება, და ეს თარიღი ივნისის თვეშიც გადადის, „თუ აღდგომამ წინ წაიწია“.

ორივე კომპაქტური ცხრილ-კალენდარი, რომელთა ფორმასაც ვახტანგმა რუსეთში შეიმუშავა რუსულ-ევროპული მასალების საფუძველზე, ახალ სიტყვას წარმოადგენდა ქართული კალენდრის და ქრონოლოგიის ისტორიაში. ორივეს ძალზე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ისინი ბიბილიიდან გადმოწერის და ფართო აუდიტორიისათვის ჯიბის ანუ სათანაო კალენდრად გამოყენების საშუალებას იძლეოდნენ.

მომდევნო 1084-ე გვერდი საეკლესიო კალენდარს ეთმობა, რომელშიც 12 თვეზე, მარტიდან თებერვლამდე, გაწერილია საუფლო და დიდი დღესასწაულების და წმინდანთა ხსენების დღეები („ათორმეტნი თვენი საცნობელნი საჩინო დღეთა და დღესასწაულთა საუფლოთა და წმიდათა"). გარდა ამისა აქვე მოყვანილია ცნობები მარხვების შესახებ. ამ ცნობების თანახმად 6 აგვისტო (ფერისცვალება ქრისტესი) ხსნილია თევზით, 29 ივნისს (პეტრე-პავლობა) და 15 აგვისტოს (ღვთისმშობლის მიძინება) — ხსნილია თევზით, თუ აღნიშნული თარიღები ემთხვევა ოთხშაბათს ან პარასკევს და ხსნილია ხორცით, თუ „სხვა დღე შეხვდა". გარდა ამისა, 29 აგვისტოს (თავისკვეთა იოანესი), 14 სექტემბერს (ჯვართამაღლება) და 5 იანვარს (ნათლისღების წინა დღე) — მარხვაა თევზით.

აღნიშნული კალენდარიც ახალ სიტყვას წარმოადგენდა ქართული კალენდრისა და ქრონოლოგიის ისტორიაში, ვინაიდან მასში იყო გამოყოფილი საუფლო და დიდი დღესასწაულები, დიდი წმინდანების ხსენების დღეები და ოთხშაბათ-პარასკევზე დამოკიდებული ერთდღიანი და სხვა ხანმოკლე მარხვები.

12-თვიანი საეკლესიო კალენდრის შემდეგ, იმავე გვერდზე მოყვანილია ვახუშტის კიდევ ერთი სარედაქციო კომენტარი, რომელიც წინ უძღვის 1085-1093 გვერდზე განთავსებულ „ოცდათხუთმეტი აღდგომის რიგს". ამ კომენტარიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 1711 წელს ვახტანგმა 532-წლიანი პასქალური ცხრილი „ლე(35) აღდგომაზე გაყო და გააკეთა" აღნიშნული „რიგი". აქვე მეორდება ის მითითება, რომ ჯერ კრებულის პირველი ნაწილის გამარტივებულ 532-წლიან ცხრილში სასურველი წლის შესაბამისი აღდგომის დღე მოიძებნება და შემდეგ მისი საშუალებით „ოცდათხუთმეტი აღდგომის რიგის" შესაბამის ფრაგმენტზე მოხდება გადასვლა.

თითოეული ფრაგმენტი იწყება იმ წლების ჩამონათვალით, რომლებსაც მოძიებული აღდგომის დღე შეესაბამება (მათი რაოდენობა ამ ფრაგმენტებში ერთ ათეულს აღემატება). ეს წლები მოყვანილია ორი (ქრონიკონური და ჩვენი) წელთაღრიცხვით შესაბამის ზედნადებებთან ერთად. მათი ჯამური რაოდენობა 35 ფრაგმენტში 532-ს უახლოვდება, თუმცა ეს ციკლი იწყება არა XIV მოქცევის 1 ქრონიკონური ანუ ჩვენი წელთაღრიცხვის 1213 წლით, არამედ ქრონიკონური 427 და ჩვენი წელთაღრიცხვით 1739 წლებით. შესაბამისად ეს ციკლი მთავრდება მომდევნო XV მოქცევის 420-იანი ქრონიკონური ანუ ჩვენი წელთაღრიცხვის 2260-იანი წლებით (თავიდან, როგორც ეტყობა, „რიგში“ საწყის წლებად ვახტანგს თანადროული ქრონიკონური 400-იანი ანუ ჩვენი თანდართული წელთაღრიცხვის 1710-იანი წლები ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ ბიბლიის გამოსაცემ წლებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ვახუშტიმ ისინი უფრო გვიანდელი წლებით, კერძოდ კი, ქრონიკონური 427 და ჩვენი წელთაღრიცხვის 1739 წლებით შეცვალა).

წლების ჩამონათვალის შემდეგ თითოეულ ფრაგმენტში მოყვანილია შესაბამისი აღდგომისა და ძირითად მარხვა-დღესასწაულთა თარიღები და კვირის დღეები. მათი დეტალური განხილვა შეიძლება ჩატარდეს ერთ-ერთი ფრაგმენტის კონკრეტულ მაგალითზე. მათგან ჩვენ შევარჩიეთ ფრაგმენტი, რომელშიც აღდგომა 22 აპრილს აღინიშნება, ხოლო ამ დღის შესატყვისი წლებიდან ყველაზე ადრეული სწორედ ზემოთ აღნიშნულ 1739 წელს შეესაბამება. გარდა ამისა, ეს ფრაგმენტი სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას. იმ წლებს შორის, რომლებშიც აღდგომა 22 აპრილს იდღესასწაულება, დასახელებულია გასული 2013 წელიც. ქვემოთ მოგვყავს აღნიშნული ტექსტი, რომელშიც ასორიცხვნიშნები ციფრებით გვაქვს შეცვლილი:

1907	1918	1929	2002	2013	2024	2097	2108	2192	1739	1823	1834
63	74	85	158	169	180ნაკი	253	264ნაკი	348ნაკი	427	511	522
ზდ.25	ზდ.26ს	ზდ.28	ზდ.25	ზდ.26	ზდ.28	ზდ.25	ზდ.26	ზდ.25	ზდ.28	ზდ.26	ზდ.28

წმიდაჲ აღდგომა აპრილს 22; დიდ აღება დღენი — 63, თუ ნაკი აქუს 64; მარხვანი იწყებიან თებერვალს 11, თუ ნაკი აქვს 12; ჴორცთა აკრება თებერვალს 25, თუ ნაკი აქუს 26; ხარება მესამისა კვირიაკისა ა(1); ამაღლება მაისს 31; სულის წმიდის მოსვლა ივნისს 10; ყოველთა წმიდათა კვირიაკე ივნისს 17; მოციქულთა მარხვა დღენი 11; ხსენება

მათი დღესა ვ(6); ყოვლად წმიდის მიცვალება — დ(4); თავის კვეთა ნათლისმცემლისა — დ(4); ჯუარის ამაღლება — ვ(6); წინა დღე ქრისტესშობისა — ბ(2); განცხადება უფლისაჲ — ა(1)“ [1, გვ. 1092].

ციტირებული ტექსტი იწყება 352-წლიანი პასქალური ციკლის იმ წლების ჩამონათვალით, რომლებშიც აღდგომა 22 აპრილს იდღესასწაულება. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ეს წლები შესაბამისი ზედნადებების დართვით გადმოცემულია როგორც ბერძნული დასაბამითგანი, ისე ჩვენი წელთაღრიცხვებით. ამ ჩამონათვალის შემდგომ აღდგომის დღის, ე. ი. 22 აპრილის დასახელებას მოსდევს ცნობები მასთან „მიბმული“ წინმსწრები მარხვების შესახებ. დიდი აღების ხანგრძლივობად მოხსენებულია 63 (ნაკიან წელს 64) დღე. ვინაიდან დროის აღნიშნული ინტერვალი ქრისტეს შობის დღიდან, ე. ი. 25 დეკემბრიდან ხორცთა აკრების კვირიაკემდე აითვლება, ის მართლაც 63(64) დღეს შეიცავს, რადგან ცოტა ქვემოთ ხორცთა აკრების კვირიაკეს დღედ წარმოდგენილია 25(26) თებერვალი. მარხვების საწყისად დასახელებულ 11(12) თებერვალს მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკე შეესაბამება, რომლითაც როგორც ცნობილია, იწყება დიდმარხვის მოსამზადებელი სამკვირიანი პერიოდი. 22 აპრილის წინმსწრებად მითითებული დღეები (25 დეკემბერი, 11(12) თებერვალი და 25(26) თებერვალი) ჩამონათვალში მოყვანილი წლების წინა წლებს განეკუთვნება, ვინაიდან, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, კალენდარულ-პასქალური კრებულის ყველა ნაწილი მარტის წელიწადს ეფუძნება.

აღნიშნულ დღეებთან ერთად, ასევე ზუსტად არის გადმოცემული აღდგომის მომდევნო მარხვებისა და დღესასწაულების თარიღებიც, კერძოდ: ამაღლების (აღდგომიდან მე-40 დღის) — 31 მაისს; სული წმიდის გარდამოსვლის (აღდგომიდან 50-ე დღის) — 10 ივნისს; ყოველთა წმიდათა კვირიაკის (სული წმიდის გარდამოსვლის დღიდან პირველი კვირადღის) — 17 ივნისს. რაც შეეხება მოციქულთა მარხვის ხანგრძლივობას, ის 18 ივნისს, ე. ი. ყოველთა წმიდათა კვირიაკის მეორე დღეს, ორშაბათს იწყება და 28 ივნისს, პეტრე-პავლობის წინა დღეს მთავრდება, რაც 11 დღეს შეადგენს.

განსაკუთრებით საინტერესოა ფრაგმენტის ის ნაწილი, რომელშიც საეკლესიო დღეები არა კალენდარული თარიღებით (ე. ი. თვითა

და თვის რიცხვით), არამედ კვირის დღეებით არის წარმოდგენილი. თუ კალენდარული თარიღების გამოთვლას ვახტანგი ძირითადად აღდგომის დღიდან უკუ ან წინ გადათვლით აწარმოებდა, კვირის დღეების დასადგენად მას გაცილებით რთული მათემატიკური ხერხები უნდა გამოეყენებინა. ეს ხერხები სწავლულ მეფეს ზოგადად აღწერილი აქვს თავის მეორე ცხრილ-კალენდარში და მათი საშუალებით კონკრეტულად გამოთვლილი კვირის დღეები მოყვანილია როგორც ამ, ისე დანარჩენ 34 ფრაგმენტში.

კვირის დღეებით წარმოდგენილი მარხვა-დღესასწაულების დღეებიდან პირველია ხარება, ე. ი. 25 მარტი, კვირა დღის მაჩვენებელი ა(1) ასორიცხვნიშნით. მართლაც, ფრაგმენტის შესაბამის წლებში და აღდგომის 22 აპრილს დადგომისას, 25 მარტი დიდმარხვის მესამე კვირიაკის კვირა დღეზე მოდის. ანალოგიური მათემატიკურ-ქრონოლოგიური გამოთვლებით ვახტანგს ნაჩვენები აქვს მოცემული წლებისათვის უმნიშვნელოვანესი საეკლესიო დღეთა თარიღების შემდეგი შესაბამისობა კვირის დღეებთან: 29 ივნისი — პარასკევი, მოციქულთა თავთა პეტრეს და პავლეს ხსენების დღე; 15 აგვისტო — ოთხშაბათი, ღვთისმშობლის მიძინება; 29 აგვისტო — ოთხშაბათი, თავის კვეთა ნათლისმცემლის იოანესი; 14 სექტემბერი — პარასკევი, ჯვრის ამაღლება და 24 დეკემბერი — ორშაბათი, ქრისტეს შობის წინა დღე. კვირის დღეებით წარმოდგენილი საეკლესიო დღეების ჩამონათვალი ბოლოვდება განცხადების დღით — 6 იანვრით, რომელიც კვირა დღეს თანხვდება. იანვრის თვის შესაბამისი საეკლესიო დღის ბოლოს დასახელება და მისი კვირასთან შესაბამისობა, კიდევ ერთხელ იმ გარემოებაზე მეტყველებს, რომ პასქალურ-კალენდარული გამოთვლებისათვის აქ მარტის წელიწადი გამოიყენება. იანვრის წელიწადით ეს დღესასწაული არა ფრაგმენტში დასახელებულ წლებს, არამედ მათ მომდევნო წლებს თანხვდება (6 იანვარი კვირა დღეა, არა, მაგალითად 1739 ან 2013 წლებში, არამედ მათ მომდევნო 1740 და 2014 წლებში).

განხილული ფრაგმენტიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად შრომატევადი გამოთვლითი სამუშაოები ჩაუტარებია ვახტანგს. ზოგიერთი მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია აღდგომის დღესთან, ზედნადებთან, პასქალურ სავსემთვარეობასთან და ა. შ. მას მზამზა-

რეული სახით აღებული უნდა ჰქონდეს 532-წლიანი პასქალური ცხრილიდან. მაგრამ ამ მონაცემების ძირითადი ნაწილი კი სხვა-ლულ მეფეს მათემატიკური გამოთვლებით აქვს მიღებული. ეს კი ნიშნავს, რომ ვახტანგს, როგორც საეკლესიო თარიღების (მარხვების დასაწყისის, ხორცთა აკრეფის კვირიაკის, ამაღლების, სული წმიდის გარდამოსვლის და ყოველთა წმიდათა კვირიაკეების) და აღება — მარხვების ხანგრძლივობის (დიდ აღების და მოციქულთა მარხვის დღეების) დასადგენად, ისე კვირის დღეების (ხარების, პეტრე-პავლობის, ღვთისმშობლის მიცვალების, ნათლისმცემლის თავის კვეთის, ჯვრის ამაღლების, ქრისტეს შობის წინა დღის და განცხადების) გამოსაანგარიშებლად, თითქმის 500-მდე მათემატიკური გამოთვლა უნდა ჰქონდეს ჩატარებული.

„ოცდათხუთმეტი აღდგომის რიგიც“ სიახლეს წარმოადგენდა ქართული კალენდრისა და ქრონოლოგიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, რომელიც კომპაქტიზაციის მიუხედავად, ძალზე ტევად საცნობარო ინფორმაციას შეიცავს. თუ ცხრილ-კალენდრებში სხვადასხვა საეკლესიო დღეთა თარიღების გამოსათვლელი წესებია მოყვანილი, აღნიშნულ „რიგში“ ყველა ამ წესით გამოთვლილი რიცხვითი მონაცემები არის წარმოდგენილი.

განხილული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ბიბლიის დანართში გაერთიანებული ვახტანგის ნაშრომები — გამარტივებული 535-წლიანი პასქალური ცხრილის, ორი კომპაქტური ცხრილ-კალენდრის, 12-თვიანი საეკლესიო კალენდრის და „ოცდათხუთმეტი აღდგომის რიგის“ სახით ქართულ პასქალურ-კალენდარული ლიტერატურის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს. აღნიშნული ნაშრომები დიდი პაუზის შემდგომ, ამ მიმართულებით ღირსეულად აგრძელებენ სინური პასქალიების (Xს.), ტბელ აბუსერიძის „ქორონიკონის“ და სხვა ძველი ქართული ტრაქტატების ტრადიციებს. მათ როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ ღირებულებას კიდევ უფრო ამაღლებს ის გარემოება, რომ ისინი გაერთიანებული სახით არიან წარმოდგენილი. ადრე თუ თითოეული მათგანი გაფანტული იყო ვახტანგის თხზულებებსა და ჩანაწერებში, ეხლა მათმა გაერთიანებამ და ბეჭდური სახით გამოცემამ, ეს შესანიშნავი კრებული ხელმისაწვდომი გახადა ფართო მკითხველისათვის. ამაში დიდი დამ-

სახურება მიუძღვის ვახუშტი ბატონიშვილს. მან არა მარტო მოუყარა აღნიშნულ ნაშრომებს, არამედ სათანადო რედაქტირებაც გაუწია მათ და ძალზე სასარგებლო დამატებად დაურთო მოსკოვის სტამბაში დაბეჭდილ ბიბლიას. ამის შედეგად ვახტანგის პასქალურ-კალენდარული კრებული ქართული ეკლესიის ერთ-ერთ ძირითად საცნობარო სახელმძღვანელოდ გადაიქცა.

კრებული პრაქტიკულად იმდენად საჭირო აღმოჩნდა, რომ ქართული ეკლესია და მრევლი მას მოქმედ სახელმძღვანელოდ XIX საუკუნეშიც იყენებდა. ეს ნათლად ჩანს ნ. ჩუბინიშვილის ლექსიკონიდან (1812-1825წ.წ.), სადაც პასქალურ-კალენდარული მახასიათებლები უპირატესად ამ კრებულის მიხედვით არის განმარტებული. აქ განსაკუთრებით საინტერესოა „ქორონიკონის“ განმარტება, რომელშიც ვახტანგის კრებული შემდეგნაირ კონტექსტში მოიხსენება: „რიცხჳ მთოვარის მოქცევისა 19 და მზის მოქცევისა 28 განამრავლო რა ერთი მეორესა ზედა, შეიქმნების 532 წელიწადი, რომელთაცა მობრუნების შემდგომად შვიდეულის დღენი, მთოვარის განახლება, პასექის დღე, მისნი წინამავალნი და შემდგომნი დღესასწაულნი, მარხუათ აღების დღენი და სხუანი ანგარიშნი თჳთეულის წლისანი, იმავე შვიდეულის დღეებსა და თთვეთ რიცხვებში მოვლენ, როგორც 532 წელიწადს წინათ ყოფილან. ვრცლად განმარტება ამისი იხილე ქართულის დაბეჭდილის დაბადების ბოლოს“ [3, გვ. 405-406].

კრებულს მთელი რიგი საეკლესიო ქრონოლოგიის საკითხებში დღესაც შეუძლია ცნობარის ფუნქციების შესრულება, მაგრამ ის კიდევ უფრო მეტად იქცევს ყურადღებას, როგორც ისტორიული ძეგლი. მისი სახით ჩვენ საქმე გვაქვს ქართულ ენაზე შედგენილ პირველ საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო შინაარსის ნაშრომთან, რომელიც ბეჭდური სახით 1743 წელს გამოიცა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია. — მოსკოვი, 1743;

2. რ. ჩაგუნავა. საისტორიო ძიებანი. — თბ., 2013;

3. ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. — თბ., 1961.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველნაბეჭდი ქართული სასწავლო გამოცემები (XVII - XVIII ს.ს.)

უპირველესი ქართული წიგნები XVII საუკუნის დასაწყისში გამოიცა რომში, კათოლიკობის გამავრცელებელი საზოგადოების სტამბაში. ყველა გამოცემა სასწავლო დანიშნულებისა იყო, გამიზნული ამ საზოგადოების მისიონერთა მოსამზადებლად და დაბეჭდილი „მხედრულით“ – ქართული საერო შრიფტით. 1629 წელს დაბეჭდილი პატარა გამოცემა, „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, სულ 32 გვერდს მოიცავს. მათგან საწყისი შვიდი უჭირავს „მხედრულ“ ანბანს, რომელიც პირველად სწორედ აქ აისახა ბეჭდურად. წიგნის დანარჩენზე გვერდებზე განთავსებულია: ლოცვები, მრწამსი, ათი მცნება და ღვთისმშობლის საგალობელი ქართულად და ლათინურად. ქართული ტექსტები გადმოცემულია მარტივი და ადვილად გასაგები ენით. სავარაუდოდ, ისინი სპეციალურად ამ გამოცემისათვის თარგმნა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა, მეფე თეიმურაზ I-ის ელჩმა ევროპაში.

იმავე წელს, იმავე სტამბაში გამოიცა „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. წიგნი 180-გვერდიანია, შეიცავს 3084 სიტყვას, რომელიც ბერძნული ლექსიკონიდან გამოკრებილი მასალის თარგმანი უნდა იყოს. ლექსიკონი შეადგინა სტეფანო პაოლინიმ. გამოცემის მომზადებაში მონაწილეობდა ნიკიფორე ირბაქი – ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი. მკვლევართა ნაწილი ამ გამოცემას მიიჩნევდა პირველნაბეჭდ ქართულ წიგნად. დროთა განმავლობაში რომში დაბეჭდილ ქართული გამოცემების მნიშვნელობა გაფართოვდა. მათ იყენებდნენ როგორც კათოლიკე მისიონერები, ისე მათი მრევლი და ევროპელი ქართველოლოგებიც. 1629 წლის გამოცემები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. სადღეისოდ უნიკუმია „ქართული ანბანი“. მისი ერთადერთი აღნუსხული ცალი დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ანბანის მხოლოდ ასლია, ლექსიკონი კი 2

ცალადაა. FS 3852 ეგზემპლარი ქართველ ლექსიკოგრაფს, ენათმეცნიერსა და ლიტერატურათმცოდნე დავით ჩუბინაშვილს ეკუთვნოდა.

ქართული გრამატიკის პირველი სახელმძღვანელო იმავდროულად პირველი გრამატიკაა იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში. ისიც რომში დაბეჭდა 1643 წელს, ისევ კათოლიკობის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ. წიგნი შეადგინა იტალიელმა მისიონერმა ფრანცესკო მარიო მაჯიომ, რომელმაც ფაქტობრივად გააგრძელა თავისი წინამორბედის, მოულოდნელად გარდაცვლილი მისიონერის ანტონიო ჯარდინას საქმე. ანტონიო სრულყოფილად დაუფლებია ქართულს, შეუდგინა გრამატიკაც, რომელსაც ქართველ ყმაწვილებსაც ასწავლიდა. მისი წიგნი არ გამოქვეყნებულა. მაჯიოს გრამატიკაში კი წარმოდგენილია ქართული ენისა და მართლწერის ანალიზი; წარმოჩენილია ქართული დამწერლობის სამივე სახე: მხედრული, მრგვლოვანი და ნუსხური; ქართული ანბანის რიცხობრივი შესატყვისები; ქართული სიტყვები და ფრაზები; ქართული ენის ეტიმოლოგია და სინტაქსი. წიგნში ჩართულია: მრწამსი, ათი მცნება და ღვთისშობლის საგალობელნი. ეს მასალა გადმობეჭდილია ქართული ანბანის 1629 წლის გამოცემიდან. მაჯიოს ნაშრომის მნიშვნელობის გასაფართოვებლად, აღმოსავლეთის ქვეყნებში მივლინებულ კათოლიკე მისიონერთა საჭიროებიდან გამომდინარე, ქართულ გრამატიკაში შეტანილია სომხურ-ქართული და არაბულ-ქართული ანბანიც; ქართულ გრამატიკას ერთვის აგრეთვე აღმოსავლური ენების შედარებითი გრამატიკაც. შესაძლოა, ამიტომაც მარიო მაჯიოს წიგნზე დიდი მოთხოვნა იყო. იგი განმეორებით გამოიცა 1670 წელს. „გრამატიკის“ პირველი გამოცემა უნიკუმია, მისი ერთადერთი ცალი აღნუსხულია რუსეთში. ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული მეორე გამოცემაც. მისი 2 ცალი მოიპოვება ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ერთი მათგანი ისევ დავით იესეს ძე ჩუბინაშვილის ფონდისაა, ძველი ქართული წიგნების საუკეთესო კოლექციის.

მიხეილ თამარაშვილის ცნობით, რომში 1681 წელს გამოიცა კიდევ ერთი ქართული სახელმძღვანელო: „საქრისტიანო მოძღვრება სიმბოლოებით დარიგებული კარდინალ ბელარმინოსაგან

და გადმოთარგმნილი პატრი ბერნარდო მარიამისაგან ნეაპოლელი-სა, კაპუცინი, მქადაგებელი და მღვთისმეტყველი, იტალიანურის ენისაგან მხედრული ქართულითა ენითა". აღნიშნული გამოცემა არ ჩანს, ბერნარდო ნეაპოლელის ხელით გადაწერილი 14 ქართული ხელნაწერი კი კაპუცინთა ძველ ეკლესიაში, ტორე-დელ-გრეკოში უნახავს გრაცის უნივერსიტეტის პროფესორსა და ქართული ენის მკვლევარ ჰუგო შუხარტს.

XVIII საუკუნეშიც გაგრძელდა ქართული სახელმძღვანელოების გამოცემა რომში, „პროპაგანდა ფიდეს" სტამბაში. 1741 წელს იქ მხედრული შრიფტით დაიბეჭდა საქრისტიანო მოძღვრების 2 რედაქცია – ვრცელი და მოკლე. სახელმძღვანელოები განკუთვნილი იყო კათოლიკე მისიონერთა ქართველი მრევლისათვის. ვრცელი გამოცემა, 366-გვერდიანი წიგნია. ეს წიგნი საღვთო რჯულის პირველნაბეჭდი კათოლიკური სახელმძღვანელოა ქართულ ენაზე. იგი 1733 წელს იტალიურ ენაზე შეადგინა და ქართულად თარგმნა „პროპაგანდა ფიდეს" სასწავლებელში მყოფმა გორელმა დავით ტლუკაშვილმა. ავტორმა ნაშრომს უწოდა „საქრისტიანო მოძღუარება, გინა წურთნა შვიდთა საიდუმლოთა ზედა". 1741 წელსვე დაბეჭდილი საღვთო რჯულის მცირე რედაქციის ავტორი გამოცემაში ნახსენები არაა, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა ამ წიგნსაც დავით ტლუკაშვილს მიაწერს. ესაა პირველი ქართული სახელმძღვანელო კათოლიკე ყმაწვილებისათვის. გამოცემა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. FS 1048/3, ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ერთადერთი ცალი, მინაწერის თანახმად, 1888 წელს გადაუცია ქშწკგ საზოგადოების ფონდისათვის ცნობილ გამომცემელს — არსენ კალანდაძეს. საუკუნის მიწურულს, 1797-1800 წლებში, განმეორებით დაიბეჭდა „საქრისტიანო მოძღუარების" ვრცელი რედაქცია. ამით დასრულდა ამ პერიოდის ქართული სასწავლო წიგნების ბეჭდვა რომში.

ბუნებრივია, რომ სასწავლო წიგნები გამოიცა თბილისშიც, პირველ ქართულ სტამბაში, რომელიც აამოქმედა ქართლის მეცენატმა განმგებელმა ვახტანგ ბაგრატიონმა. 1709-1721 წლებში იქ, სხვა სასულიერო წიგნებთან ერთად, 3 საერო გამოცემის განხორციელება მოესწრო. მათგან ერთ-ერთი ქართველების წიგნთა წიგნი, შოთა

რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ იყო, 1712 წელს დაბეჭდილი, ხოლო 2 – სახელმძღვანელო. „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“ 1711 წელს გამოიცა. მისი შემდგენელი იყო გერმანე მღვდელ-მონაზონი, ამავე სტამბის მუშაკი და თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზი. პირველნაბეჭდი ქართული საყმაწვილო წიგნი იყო საღვთო რჯულის ეს სასწავლო გამოცემა, ამასთანავე პირველნაბეჭდი ორიგინალური ქართული სახელმძღვანელო და პირველნაბეჭდი მართლმადიდებლური სწავლებაც. ეს გამოცემა 30 წლით უსწრებდა რომში დაბეჭდილ ქართულ საყმაწვილო წიგნს. გერმანესეული წინასიტყვაობისა და ბოლოსიტყვაობის მეშვეობით ვეცნობით ამ ნაშრომის შექმნისა და გამოქვეყნების წინაპირობებს, თხზულების ძირითად არსსა და დანიშნულებას. ჩანს, რომ სახელმძღვანელოს ავტორი მთლიანად იზიარებდა იმდროინდელ საქართველოში აღიარებულ სწავლა-აღზრდის უმთავრეს პრინციპს, რომ შესასწავლი მასალა ყმაწვილებს მიეწოდოს დოზირებულად, მარტივად და გასაგებად. საღმრთო რჯულის სწავლების კითხვა-პასუხის ფორმით აგება, გამოცემაში საერო შრიფტის გამოყენება და სათქმელის გადმოცემა მარტივი — „სოფლური სიტყვით“ აადვილებდა მასალის გააზრებას, დამახსოვრებასა და ათვისებას, რასაც მეტად უნდა მიეზიდა ყმაწვილები სწავლისაკენ. ავტორის რწმენით, სახელმძღვანელო ჭეშმარიტებას უნდა ეფუძვნებოდეს, რომ მისი მეშვეობით „ყრმანი, ახლადმოსწავლენი, მეცნიერებად ღმრთისა მივიდოდენ“. გერმანე ბერის წიგნის მიზანია: მოსწავლეთაგან ქრისტიანობის ნამდვილ არსში წვდომა, ღვთის შემეცნება და მართლმადიდებლურ რწმენაში გაძლიერება. გერმანე ყმაწვილებს მოუწოდებს: „იკითხევდით და ზეპირად დაისწავლიდით“, რათა ცოდნით აღიჭურვილიყვნენ და არ დარჩენილიყვნენ „ჩვენგან განშორებულთა მწვალებელთ შვილთაგან დაწუნებულნი და სიტყვაუგებელნი“. ამ სახელმძღვანელომ აღიარება მოიპოვა. გამოცემამ ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნა ამ წიგნზე. იგი იმ და მომდევნო საუკუნეებშიც ხელნაწერთა სახითაც ვრცელდებოდა. 1711 წელს დაბეჭდილი „სწავლა...“ ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, იგი მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი დღევანდელობამდე.

სამეცნიერო ხასიათის პირველნაბეჭდი ქართული წიგნია თბილისის სტამბაში გამოცემული მეორე სახელმძღვანელო. ესაა „სპარსული აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი". ის ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ასტროლოგიური ხასიათისაა, მეორე — გეომეტრიული. წიგნი სპარსულიდან თარგმნა სპარსეთში ტყვედ მყოფმა ქართლის განმგებელმა ვახტანგ ლევანის ძემ. ქართლში მეფედ დაბრუნებულმა ვახტანგ VI-მ 1721 წელს დააბეჭდვინა იგი. გამოცემა განხორციელდა სულხან-საბას ძმის, ნიკოლოზ ორბელიანის რედაქტორობით. „საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოოხრებული იყო და არღარა დაშთომილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფთა და სხვათა ენათა კაცნი ქართველთ ეკიცხოდენ" – ასე წარმოაჩინა ქართველთათვის მსგავსი გამოცემების შექმნის საჭიროება მეფემ წიგნის წინასიტყვაობაში. ვახტანგ VI სხვასაც ასაქმებდა და თავადაც ზრუნავდა ამ ვითარების გამოსასწორებლად, საქართველოში განათლების დონის ასამაღლებლად, თუმცა ბევრი აღარ დასცალდა. მალე იგი იძულებული გახდა მრავალრიცხოვანი ამალით გადახვეწილიყო რუსეთში. „ქმნულების ცოდნის წიგნი" ვახტანგის სტამბის უკანასკნელი გამოცემაა. იგი ავლენს, რომ სტამბის ტექნიკური სრულყოფა ვერ მოესწრო, არ შეეძლოთ ტექსტში ნახაზების ბეჭდურად ჩართვა. წიგნის ეგზემპლარების უმრავლესობაში ნახაზებისათვის განკუთვნილი ადგილები შევსებულია ხელით შესრულებული ნახაზებით. საამისოდ გამოყენებულია შავი და წითელი მელანი. ერთადერთი უნახაზო წიგნი, ალაგ-ალაგ დატოვებული ცარიელი ადგილებით (FS 3820/09) დაცულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში, დავით ჩუბინაშვილის ფონდში.

1784 წელს თბილისში, ერეკლე II-ის მიერ აღდგენილ სტამბაში 400 ცალად დაიბეჭდა ზნეობის სასწავლებელი წიგნი „კიტაიის სიბრძნე ანუ სწავლა ქუეყანას ზედა ბედნიერად ცხოურებისა". ეს ამ სტამბის ერთადერთი საერო გამოცემა იყო, განხორციელებული მხედრული შრიფტით, ასომთავრულის გარევით. აღმოსავლეთში თხზულების მპოვნელმა პირმა ვერ დაადგინა წიგნის უცნობი ავტორის ვინაობა, მაგრამ ჩინელი ბრძენკაცის ნაშრომი თარგმნა და 1743 წელს პეკინიდან დიდი ბრიტანეთში გაუგზავნა რომელიღაც

გრაფს. წიგნი მალევე ითარგმნა ფრანგულად და სხვა ევროპულ ენებზეც. თხზულების რუსულიდან ქართულად თარგმნა მეფე ქაიხოსროს ასულმა ანამ შეუკვეთა ამ საქმეში დახელოვნებულ, მოსკოვში მყოფ ქართველ სტუდენტს. გაიოზი უკვე არქიმანდრიტი და თელავის სემინარიის რექტორი გახლდათ, როცა მესტამბე რომანოზ ზუბაშვილი მის თარგმანს ბეჭდავდა თბილისში. გამოცემის თავფურცელზე თარგმანის შესრულების ადგილი და დრო აღუნიშნავთ: „მოსკოვი, 1777 წელი". წიგნის დაბეჭდვის თარიღი კი ტექსტის ბოლოსაა მოცემული: „განსრულდა თვესა სეკდენბერსა დ (4), ქორონიკონსა უობ (472)", რაც 1784 წელს უდრის (1312+472). გამოცემას უძღვის მთარგმნელის მიმართვა მკითხველებისადმი, სადაც ვკითხულობთ: „ფრიად კეთილ არს სწავლა იგი, რომელიცა ასწავებს კაცთა ბედნიერად ცხოვრებასა". გაიოზი საუბრობს თხზულების სასიკეთო გავლენის შესახებ. იგი იმოწმებს სოკრატე ბრძენს და გვმოძღვრავს, რომ კეთილმოქმედების შესწავლა-შეთვისება ისევეა შესაძლებელი, როგორც გონების წარწყმედა ბოროტებასთან დამკვიდრებით. მთარგმნელი აცხადებს, რომ ქებადიდება აღარ სჭირდება წიგნს, რომელსაც მოწყურებით ეწაფებიან სიბრძნისმოყვარენი, რომ: „დიდება და ჩინებულება წიგნაკისა ამის, ცხად არს ყოველთა ბრძენთა ენათა ზედა". ცნობილია, რომ ქართველ მწიგნობრებს: თეიმურაზ ბატონიშვილს, დავით ჩუბინაშვილს, დიმიტრი ბაქრაძეს, დავით დადიანსა და ზაქარია ჭიჭინაძეს პირად ბიბლიოთეკებში ჰქონდათ „კიტაიის სიბრძნე". დღეს ეს გამოცემა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. აღნუსხულია მხოლოდ 2 ეგზემპლარად. თეიმურაზ ბატონიშვილისეული წიგნი დაცულია რუსეთში, საქართველოში არსებული ერთადერთი ცალი კი პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ეგზემპლარია, დაცული იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში, დავით ჩუბინაშვილის ფონდში.

XVIII საუკუნიდან მოყოლებული ქართული სახელმძღვანელოები იბეჭდებოდა რუსეთშიც: 1737 წელს პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სტამბაში 500 ეგზემპლარად გამოიცა რუსულ-ქართული ანბანის უთავფურცლო, 32-გვერდიანი ნუსხა-ხუცური წიგნი. ამ გამოცემისათვის ქართული ანბანი შეადგინა ქრისტეფორე

გურამიშვილმა, პოეტ დავით გურამიშვილის ძმამ. წიგნში შეტანილი ვნები გაკეთებულია გერმანულ ენაზე, „მამაო ჩვენოს“ ტექსტი კი ლათინური ტრანსკრიპციითაა დაბეჭდილი, რაც აფართოებს აღნიშნული გამოცემის მნიშვნელობას. იგი ხელს უწყობს როგორც ქართველთა დაინტერესებას უცხოური ენებით, ისე ევროპელებისას – ქართულით. ამ თვალსაზრისით გამოცემა ემსგავსება რომში დაბეჭდილ პირველ ქართულ ანბანს. სადღეისოდ წიგნი უნიკუმია, დაცული მხოლოდ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში.

1739 წელს მოსკოვში, არჩილ II-ის ასულის, დარეჯანის სასახლეში, ემიგრანტმა ქართველებმა გამოსცეს თეოფანე პროკოპოვიჩის 168-გვერდიანი სახელმძღვანელო – „პირველი სასწავლო ყრმათა“. ტექსტი რუსულიდან ქართულად თარგმნა გაბრიელ ჩხეიძემ, დარეჯან ბატონიშვილის მოლარეთუხუცესმა. გამოცემა დაიბეჭდა მეფე ბაქარის სურვილით, იოსებ სამებელის საფასით, ქრისტეფორე გურამიშვილის რედაქტორობითა და სინოდის კურთხევით. ამ საყმაწვილო სახელმძღვანელოს გამოცემაც გერმანე ბერის სახელს უკავშირდება. მან ქართულ ენაზე გამართა თარგმანი. ნუსხახუცური შრიფტით განხორციელებული სასწავლო წიგნი მოიცავს ანბანს, ასოთა წყობას, საღვთო რჯულის მცირე განმარტებას, ათ მცნებას, უფლის სავედრებელს, მრწამსსა და ცხრა ნეტარებას. ეს გამოცემა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. 1968 წელს საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შეიძინა რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში აღრიცხული ერთადერთი ცალის ფოტოასლი (F10.110/2). როგორც გასული საუკუნის მიწურულს, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ძველნაბეჭდი ქართული წიგნების აღწერილობაზე მუშაობის დროს გამოვლინდა, აქ 1937 წლიდან ყოფილა დაცული ქშწკგ საზოგადოებისეული უთავფურცლო ცალი, აღწერილი ტექსტის დასაწყისის მიხედვით, როგორც „შჯული ღმრთისა“. დადგენილი არ იყო წიგნის ზუსტი რაობა და საგამომცემლო მონაცემები.

1739 წელსვე მოსკოვში ბაქარ მეფის ბრძანებითა და იოსებ სამებელის ხარჯით დაიბეჭდა „ტესტამენტი“ – ბერძენთა მეფის, ბასილი მაკედონელის შეგონებები ტახტის მემკვიდრის, ლეონისადმი. ესაა პირველნაბეჭდი ქართული გამოცემა სახელმწიფოს, სამთავროსა

და ოჯახის მართვის წესების შესახებ. ეს ბერძნული წიგნი პოლონურიდან ისეული რუსული რედაქციიდან 1680 წელს თარგმნა ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონმა. დედნისეული რუსი მკითხველებისადმი მიმართვის ნაცვლად, ბატონიშვილმა თავის ნათარგმნს დაურთო ბოლოსიტყვაობა, რომელსაც ასე იწყებს: „კეთილშესწრებულ არს სამეფო იგი, რომელსაცა შინა ანუ სიბრძნის მოყვარენი მეფობენ, ანუ მეფენი სიბრძნისმოყვარეობენ“. მთარგმნელმა ქართველთათვის ხელმისაწვდომი გახადა ბასილი მაკედონელის შეგონებანი. ბასილიმ მაშინ იტვირთა სამეფოს მართვა, როცა ხაზინა გამოცარიელებული იყო. მრავალი წინააღმდეგობის დაძლევით მან გააძლიერა ქვეყანა და გადაულოცა ტახტი შვილს, რომელიც მანამდე ისე განსწავლა, რომ მრავალწლიანი წარმატებული მეფობის შემდეგ ლეონ ბრძენის სახელით შემორჩა ისტორიას. სადღეისოდ „ტესტამენტი“ ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ეროვნული ბიბლიოთეკაში დაცული ერთადერთი (FS 509/09) ეგზემპლარი ეკუთვნოდა დავით ჩუბინაშვილს. უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვური გამოცემები გამონაკლისია ძველნაბეჭდ ქართულ სასწავლო წიგნთა შორის, რომლებიც, ალბათ მხედრული შტიფტის უქონლობის მიზეზით, ნუსხა-ხუცური შრიფტით დაიბეჭდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დამოუკიდებელი სახელმძღვანელოების ბეჭდვის პარალელურად, სასწავლო მიზნით, ანბანის ნიმუშებს რთავდნენ სხვა ძველნაბეჭდ გამოცემებშიც. უმეტესად ის გვხვდება საგალობელთა წიგნში, „დავითნში“, როგორც ქრისტიანთა საეკლესიო და სამრევლო დანიშნულების მქონე საყოველთაო წიგნში. ასეთი ქართული გამოცემებია: 1712, 1716, 1749 წლების თბილისური და 1764, 1768 წლების მოსკოვური გამოცემები. ანბანი ჩაურთავთ 1793 წელს ერეკლეს სტამბაში დაბეჭდილ მცირე ლოცვანშიც. უცხოური გამოცემებიდან აღსანიშნავია: მარიო მაჯიოს უკვე ნახსენები ქართული გრამატიკა და 1743 წელს ლაიფციგში კრისტიან კესნერის გამომცემლობაში დაბეჭდილი ფრანც იოხან ფრიდრიხის საანბანო წიგნი 100 ენაზე (ქართული ანბანი ასომთავრული და ხუცური შრიფტით წარმოდგენილია ამ გამოცემის 97-ე გვერდზე). ქართული ანბანის ასომთავრული და ნუსხა-ხუცური შრიფტი, თავისი რიცხ-

ვითი მნიშვნელობებით გამოქვეყნდა ასევე 1798 წელს ვიენში დაბეჭდილ არტურ ფრანც კარლის ქართული ლიტერატურის ისტორიის გერმანულ სახელმძღვანელოში. ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის მიხედვით, ეს გამოცემა დაცულია მხოლოდ რუსეთის აკადემიის ბიბლიოთეკაში.

1797 წელს გაიოზ არქიმანდრიტმა მოზდოკში გამოსცა თავისი ორიგინალური 16-გვერდიანი ქართული საანბანო წიგნი — „ანბანი, ლოცვანი, მოკლე საქრისტიანო სწავლა“. მასში მოცემულია სამივე სახის ქართული ანბანი: ასომთავრული, ხუცური და მხედრული. ცნობილია, რომ გაიოზმა ანბანის ამ სახელმძღვანელოს 600 ცალი თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელს გადასცა. ამის მიუხედავად, ეს გამოცემა საქართველოში არ შემორჩენილა. იგი უნიკუმად იქცა. ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის მიხედვით, დაცულია მხოლოდ პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში.

XVIII საუკუნის მიწურულს, 1796-1800 წლებში, მოზდოკში კიდევ ერთი ქართული სასწავლო წიგნი გამოქვეყნდა. ეს იყო ქართული გრამატიკის პირველნაბეჭდი ორიგინალური სახელმძღვანელო. იგი გაიოზ რექტორმა შეადგინა ანტონ II კათოლიკოსის გრამატიკის საფუძველზე. გამოცემა უთავფურცლოა, ამიტომ ერთხანს დაუდგენელი იყო მისი დაბეჭდვის დრო, ადგილი და ტირაჟი. ტექსტის ბოლოს დაბეჭდილი „კრემენჩუკი, 1789 წელი“ გაიოზის მიერ გრამატიკის შექმნის თარიღს აღნიშნავს. ეს მკვლევართა ერთ ნაწილს საგამომცემლო მონაცემად მიუჩნევია და კრემენჩუკში ქართული სტამბის არსებობა უგულისხმია. გაიოზს ნუსხა-ხუცურისა და მხედრული შრიფტის შერევით დაბეჭდილი თავისი „გრამატიკის“ 630 ცალი გადაუცია თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლისათვის. ეს წიგნი საკმაო რაოდენობითაა შემორჩენილი: საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისი 10 ეგზემპლარია. მათ შორის, FS 3839/09 დავით ჩუბინაშვილის კოლექციისაა, FS 5898/09 კი — დიმიტრი ბაქრაძისეული.

ამრიგად, XVII-XVIII საუკუნეებში, როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში იბეჭდებოდა სასწავლო დანიშნულების ქართული

წიგნები. XVII საუკუნეში რომში, კათოლიკობის გამავრცელებელი საზოგადოების სტამბაში გამოცემულ თემატურად განსხვავებულ ქართულ წიგნებს მათი ფუნქცია აერთიანებდა: ისინი შექმნეს და გამოსცეს კათოლიკე მისიონერების მოსამზადებლად. დროთა განმავლობაში ამ წიგნთა მნიშვნელობა არსებითად გაფართოვდა, რადგან აღნიშნული გამოცემით ევროპელი ქართველოლოგებიც სარგებლობდნენ XIX საუკუნემდე. XVIII საუკუნის რომში დაბეჭდილ წიგნებს სამრევლო დანიშნულებაც შეემატა, გამოიცა საყმაწვილო სახელმძღვანელოც. ასე რომ, ორი საუკუნის მანძილზე რომში, საქართველოში კათოლიკური რწმენის გავრცელების მიზნით, დაიბეჭდა 4 დასახელების 7 ქართული საერო თუ სასულიერო ხასიათის სასწავლო გამოცემა.

XVIII საუკუნეში გაფართოვდა ქართული სახელმძღვანელოების თემატიკა, გამოცემათა მიზანდასახულება და ბეჭდვის არეალი. 3 გამოცემა განხორციელდა თბილისში. ამათგან 2 ვახტანგისეულ პირველ ქართულ სტამბაში და 1 ერეკლეს სტამბაში. თბილისური გამოცემების მიზანი იყო: ქართველი ყმაწვილების გაცნობიერება და განმტკიცება მართლმადიდებლურ რწმენაში; ქართველთა აღჭურვა სამეცნიერო ნაშრომებით, მათი ცხოვრების ბრძნულად და ზნეობრივად წარმართვისათვის; პეტერბურგში, აკადემიის სტამბაში დაიბეჭდა ერთადერთი, საანბანო წიგნი. გამოცემაში გამოყენებული იყო როგორც ქართული, ისე გერმანული და ლათინური შრიფტი, ქართველთა და ევროპელთა ორმხრივი ურთიერთდაინტერესებისათვის; 2 სასწავლო წიგნი გამოიცა მოსკოვში, იოსებ სამებელის სტამბაში, ორივე თარგმნილი. მათგან პირველი, საანბანო წიგნი, წერა-კითხვის შესწავლასთან ერთად, ორიგინალური სახელმძღვანელოს შექმნის ბიძგსაც იძლეოდა. ახსნა არც უნდა სჭირდებოდეს, თუ რატომ დაინტერესდა ლტოლვილი ალექსანდრე ბატონიშვილი ბერძენთა წარმატებული მეფის, ბასილი მაკედონელის შეგონებათა თარგმნით ან რატომ დააბეჭდვინა სამეფოს, სამთავროსა და ოჯახის მართვის ეს სახელმძღვანელო ემიგრანტ ქართველებს მათსავით რუსეთს შეხიზნულმა ბაქარ მეფემ. გაი-

ოზ არქიმანდრიტის მიერ მოზდოკში გამოცემული ორი ქართული სახელმძღვანელოს დანიშნულებას კარგად ავლენს თვით ავტორ-გამომცემელის მიერ ამ წიგნთა სამშობლოში, თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში გამოგზავნის ფაქტი.

ძველნაბეჭდი ქართული სახელმძღვანელოების თემატური სურათი ასეთია: 1. საანბანო წიგნები ლოცვებითა და სავარჯიშოებით. განხორციელდა 4 გამოცემა, 1 თარგმნილი რუსულიდან. ყველა მათგანი დაბეჭდილია უცხოეთში (მხოლოდ თეორიულ წყაროშია ნახსენები 1741 წლის ერთი თბილისური გამოცემა: ტრიფილე არქიმანდრიტის ქართული ანბანი, ლოცვებითა და სხვა საეკლესიო კითხვა-მიგებით); 2. საღმრთო რჯულის სწავლება. განხორციელდა ქართველ ავტორთა 3 გამოცემა; 1 მართლმადიდებლური, საყმაწვილო, ხოლო 2 კათოლიკური – საყმაწვილო და ვრცელი რედაქცია, დაბეჭდილი 2-ჯერ; 3. ქართული გრამატიკა. განხორციელდა 2 გამოცემა: 1 იტალიელი ავტორის ნაშრომი, დაბეჭდილი 2-ჯერ და 1 ორიგინალური, ქართული; 4.ლექსიკონი. განხორციელდა 1 გამოცემა; 5. ასტროლოგიურ-გეომეტრიული სახელმძღვანელო. განხორციელდა 1 გამოცემა; მეფისაგან თარგმნილი სპარსულიდან; 6. სახელმწიფოს, სამთავროსა და ოჯახის მართვა. განხორციელდა 1 გამოცემა. ბატონიშვილის მიერ თარგმნილი რუსულიდან; 7. ეთიკის სახელმძღვანელო. განხორციელდა 1 გამოცემა, თარგმნილი რუსულიდან, მეფის ასულის შეკვეთით.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძველნაბეჭდი ქართული სასწავლო გამოცემები კარგად შეესაბამებიან ეპოქის საგანმანათლებლო მოთხოვნებსა და საჭიროებებს, გამოხატავენ ეპოქის სულსა და გამომცემელთა კეთილშობილურ საგანმანათლებლო მიზნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ქავთარია

თამარ მესხი: სინა და საქართველო. ახალი ფურცლები მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის.

2013 წელს გამოქვეყნდა თამარ მესხის წიგნი „სინა და საქართველო. ახალი ფურცლები მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის". მკვლევარი თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილია და მან ბერძნული კლასიკური მწერლობისა და ბიზანტიური კულტურის შესწავლის ის ტრადიციები გაითავისა, რაც აკად. სიმონ ყაუხჩიშვილმა და მისმა მოწაფეებმა დაამკვიდრეს ქართულ ფილოლოგიაში. თამარ მესხმა გაიარა საბერძნეთის სალონიკის უნივერსიტეტის შემოქმედებითი სკოლაც. და იგი დღეს ბერძნული მწერლობის ერთ-ერთი აღიარებული სპეციალისტია. მისი თარგმანები და წერილები ბერძნულ ლიტერატურაზე სწორედ ამისი დასტურია.

სინას მთა, სინას წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერი ქართული მწერლობის ისტორიაში IX—X საუკუნეებიდან აქტიურად მონაწილეობს. ისიც სათქმელია, რომ ანტონინე პლაკენტიელი, რომელიც დაახლოებით VI საუკუნის 70-იან წლებში (576 წელს) იმყოფებოდა სინაზე, შეხვედრია იბერიულ და ლაზურ ენაზე მოლაპარაკე ბერებს — მიქაელსა და ევსტათის. მიღებული მოსაზრებით სავარაუდოა, მიქაელი იყო ქართველი მეუდაბნოე, არსელაის მონასტრის მკვიდრი. ამას წერს სინის, ფარანის და რაითის მთავარეპისკოპოსი დამიანე. ცხადია, ამ ცნობას იმოწმებს თამარ მესხი.

ქართველ ბერთა შემოქმედებითი ცხოვრება სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში, განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო IX—X საუკუნეებში. ამის დასტურია ქართული ხელნაწერები, რომლებიც სინის მთის წიგნსაცავშია დღესაც დაცული. მასალებიდან ჩანს,

რომ წმ. ეკატერინეს მონასტრის პოპულარობა IX საუკუნეში უკვე კარგად იყო ცნობილი ქართულ მწიგნობრულ სავანეებში. კონტაქტები და კავშირები მეტად აქტიური ჩანს. პალესტინაში, წმ. საბას მონასტერში, 864 წელს გადაწერილი ქართული ხელნაწერი შეუწირავთ სინის მთისთვის. ამ უნიკალურმა ხელნაწერმა შემდეგში, დაცულობის შესაბამისად, დაიმკვიდრა სახელი „სინური მრავალთავი". ხელნაწერი დღესაც სინას წმ. ეკატერის მონასტერშია დაცული და ამშვენებს ქართულ ხელნაწერთა კოლექციას. სინური ქართული ხელნაწერები IX—XII საუკუნეების წარმატებულ ქართველთა შემოქმედებითი ცხოვრების უტყუარი დოკუმენტებია. ამავე დროს, ისიც კარგად ჩანს, რომ მიუხედავად ტერიტორიული სიშორისა, თუ როგორი კავშირები არსებობდა საქართველოს სამწიგნობრო ცენტრებსა და მაშინდელი კულტურული მსოფლიოს ცენტრებში მოქმედ კერებს შორის. უნდა აღინიშნოს კონტაქტები საქართველოსა და სინას შორის. ამიტომ სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია ბელგიელი მეცნიერის ჟერარ გარიტის განცხადება: „სინურმა ხელნაწერებმა, რომელთა უმრავლესობა წინ უსწრებს ბიზანტიური ტრადიციების მიმდევარ მთარგმნელთა საქმიანობას, ჩვენ შემოგვინახა ძველი თარგმანები, რომლებიც შესაძლოა, შექმნილია ქართული ლიტერატურის არსებობის უძველეს ეპოქაში" (მზექალა შანიძის თარგმანი).

სინას მთის ქართველ ბერთა ცხოვრების ისტორიით სამეცნიერო საზოგადოება ადრევე დაინტერესდა. 1883 წელს სინის მონასტრის ქართული მასალის შესასწავლად ეწვია პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, რომელმაც 1888 წელს გამოაქვეყნა მოზრდილი წიგნი სათაურით: „Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае". ალექსანდრე ცაგარელი სინას მთაზე ძალზე შეზღუდული დროით იყო, მაგრამ მაინც აღწერა წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული 93 ხელნაწერი. 1902 წელს სინას მთაზე სამეცნიერო მისიით იყვნენ აკადემიკოსი ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი. მათ აღწერეს ქართული მასალა (და არა მარტო ქართული). ნიკო მარის წიგნი „Описание груз. рукописей Синайкого монастыря" ჰოსებ

მეგრელიძემ გამოაქვეყნა 1940 წელს, ხოლო ივანე ჯავახიშვილის აღწერილობა ილია აბულაძის რედაქციით გამოვიდა 1946 წელს, ორივე ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

1950 წელს სინური ქართული ხელნაწერების მიკროფილმები გადაიღო ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკამ. ქართული ხელნაწრების გადაღებას ხელმძღვანელობდა ჟერარ გარიტი, რომელმაც 1956 წელს გამოაქვეყნა ამ კოლექციის 36 ხელნაწერის აღწერილობა. გარიტის მიერ აღწერილია ბიბლიური, ჰაგიოგრაფიული, ჰომილეტიკური და ასკეტური ხელნაწერები.

1971, 1978, 1979 წლებში ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა და ლ. ჯღამაიამ ელენე მეტრეველის ხელმძღვანელობით აღწერეს 1956 წელს ამერიკის კონგრესის მიერ გადაღებული მასალების მიხედვით სინის ქართული ხელნაწერები. მითითებულ თარიღებში დაიბეჭდა სამი წიგნი.

1971 წელს წმ. ეკატერინეს მონასტრის ერთ ნაწილში განჩნდა ხანძარი. გასუფთავების შემდეგ აღმოჩნდა ხელნაწერები ბერძნულ, არაბულ, სირიულ, ქართულ და სლავურ ენებზე. ეს ახლად აღმოჩენილი თუ გამოვლენილი კოლექცია აღწერეს ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა — ზაზა ალექსიძემ, მზექალა შანიძემ, ლ. ხევსურიანმა და მიხეილ ქავთარიამ.

1987, 1994, 1996, 2002 წლებში ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები იმყოფებოდნენ სინას მთაზე ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერების კატალოგიზაციისათვის. ხელნაწერთა აღწერილობა გამოქვეყნდა 2005 წელს ათენში სამ ენაზე — ქართულ, ბერძნულ და ინგლისურ ენებზე. ბერძნულად თარგმნა თამარ მესხმა, ინგლისურად — მზექალა შანიძემ.

კოდიკოლოგიით დაინტერესებულმა მკითხველმა საზოგადოებამ ამ წიგნით გაიცნო სინაზე 80-იან წლებში აღმოჩენილი ქართული ხელნაწერების რაობა, მეცნიერული ღირებულება და ფასეულობა. სინას მთაზე ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერის მასშტაბურად გასააზრებლად დასახელებული გამოცემა არის საფუძველთა საფუძველი. ხელნაწერთა აღწერილობა კოდიკოლოგიის დღევანდელი სამეცნიერო დონის შესაბამისად შესრულებული შრომაა. სწორედ ამ წიგნმა განაპირობა თამარ

მესხის ახალი წიგნის გაჩენაც. როგორც თვით წერს: „მეც მხვდა ბედნიერება, ხელნაწერთა ინსტიტუტის 1994 და 1996 წლების ექსპედიციის წევრი ვყოფილიყავი. ჩემი მოვალეობა იყო კონტაქტის დამყარება ქართველ მეცნიერთა და სინელ ბერთა შორის და კატალოგის ბერძნულ ენაზე თარგმნა. სინაზე ყოფნისას შევეცადე, დრო მაქსიმალურად გამომეყენებინა და, ჩემს ძირითად საქმიანობასთან ერთად შემეკრიბა ის ბერძნულენოვანი დოკუმენტებიც, რომლებიც სინა-საქართველოს მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას ეხება“. წარმოდგენილი წიგნი სწორედ ამ ექსპედიციებისა და იქ მოძიებული მასალის საფუძველზე შეიქმნა. იგი სინური ხელნაწერების აღწერილობის განწყობის და პათოსის ლოგიკური გაგრძელებაა. მინდა უაღრესად საინტერესო წიგნიდან გამოვყო ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები და საზოგადოებას გავუზიარო ჩემი აზრი მათ შესახებ.

თამარ მესხის წიგნი ორი მთავარი ნაწილისგან შედგება. პირველი, არსებული მასალის (ქართული, ბერძნული) გამოვლენისა და შესწავლის შედეგად დადგენა იმისა, თუ რამდენი მონასტერი, სალოცავი ეკუთვნოდათ ქართველებს სინას მთაზე და მეორე — ქართულ-ბერძნული კულტურულ-პოლიტიკური დოკუმენტების თარგმნა და ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა. ბუნებრივია, წიგნში სხვა მრავალი საინტერესო საკითხიც არის განხილული, მაგრამ მე მხოლოდ დასახელებულ თემებზე გავაკეთებ აქცენტს.

მეექვსე საუკუნეში იმპერატორ იუსტინიანეს (†565 წ.) მიერ აშენდა ღვთისმშობლის სახელზე ტაძარი, რომელიც „მაცხოვრის ფერისცვალების შთამბეჭდავი მოზაიკით დაამშვენეს. ამიტომაც, იუსტინიანეს მიერ ღვთისმშობლის სახელზე აშენებულ ეკლესიას ფერისცვალებისა ეწოდა და დღესაც ეს არის მისი ოფიციალური სახელი. სინას ნახევარკუნძულის ყველაზე მაღალი მთის კალთაზე, რომელსაც ამჟამად წმინდა ეკატერინეს მთა ეწოდება, იპოვეს წმინდა ეკატერნეს ნეშტი. VIII საუკუნეში ბერებმა იგი გადმოასვენეს და ფერისცვალების ტაძრის საკურთხეველში დაასვენეს... XI საუკუნიდან ფერისცვალების მონასტერი ხშირად წმ. ეკატერინეს მონას-

ტრად მოიხსენიებოდა, საბოლოოდ კი (XIV საუკუნიდან) მთელს სამონასტრო კომპლექსს წმ. ეკატერინეს სახელი შეერქვა“ (გვ. 13).

ამ დიდებულ სამონასტრო კომპლექსში მალე დაიდეს ბინა პალესტინიდან ლტოლვილმა ქართველმა ბერებმა, რომლებმაც IX—X საუკუნეებში აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა გააჩაღეს. ბერძნულიდან თარგმნიდნენ ღვთისმახურებისთვის საჭირო წიგნებს, ამრავლებდნენ ქართულ ენაზე ხელნაწერებს და შესაძლებლობის ფარგლებში აგზავნიდნენ სხვადასხვა ცენტრებში. სწორედ ამ ხელნაწერებმა შემოგვინახეს ქართველ ბერ-მოღვაწეთა და მწიგნობართა სახელები, რომელთა შორის საკმარისია დავასახელოთ იოანე-ზოსიმე. სინის მთის მონასტერი ქართველთათვის იქცა დიდ შემოქმედებით ცენტრად. ბუნერივად დგება კითხვა, რამდენი სავანე თუ ცენტრი იყო, სადაც დავანებული იყვნენ ქართველები. პირველად ეს კითხვა დასვა ცნობილმა რუსმა ეპისკოპოსმა პორფირი უსპენსკიმ, რომელმაც ორჯერ იმოგზაურა პალესტინაში. მანვე გამოთქვა ვარაუდი, რომ სინაზე ქართველ ბერებს უნდა ჰქონოდათ ოთხი ეკლესია: წმ. ელიასი, ღვთისმშობლისა და დავითისეული, წმ. მოციქულთა — პეტრესი და პავლესი და ორმოც სებასტიელ მოწამეთა.[1]

თამარ მესხმა ახალი მასალების მოძიებით (იერუსალიმის პატრიარქ ნექტარიოსის (1602-1676 წ.წ.) ცნობით), ვფიქრობთ, დასაბუთებულად გაარკვია ქართველთა მიერ აშენებული მონასტერ-ეკლესიების რაოდენობა, ადგილსამყოფელი, მიუთითა ქართული და ბერძნული წყაროებიც. დადგინდა, რომ კვირიკე მიძნაძორელს, რომელიც თუაჲსა ხუცისა მოწაფე იყო, აუშენებია ეკლესია: „მომადლებითა ღმრთისაჲთა აღვაშენე სახლები სადგურად ღამე წმიდაჲ ეკლესიაჲ იყო და ეგო შეურაცხად წმიდაჲ ეკლესიაჲ სიმყრალისა მათისაგან, ხოლო მე აწ უკუე გარეგან ვყავ ღამე საყოფელი სადგური მათი...“.[2] ამავე ხელნაწერის ანდერძში დასახელებულია წიგნები, რომლებიც მოუგო „წმიდასა მთასა“.

---

1 П. Успенский,Первое путешествие в Синайский монастырь в 1845 году, - С-Петербург, 1856г. с. 190-196. თამარ მესხის წიგნი, გვ. 21.

2. Sin. geo. №3; სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წ. აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა — ათენი, 2005, გვ. 247. შდრ. თ. მესხის წიგნი, გვ.25.

ქართული ბიბლიოთეკა

თამარ მესხმა ბერძნულ-ქართული წყაროების მოძიებისა და შესწავლისას გამოთქვა ვარაუდი, რომ სინას მთაზე ქართველებს IX საუკუნიდან მოყოლებული ეკუთვნოდათ ათეულზე მეტი ეკლესია-სავანეები და სენაკები. ესენია: „წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია („X საუკუნეში ქართველ ბერს კვირიკე მიძნაძოროელს წმ. ეკატერინეს მონასტრის მთავარი ტაძრის შესასვლელი კარის ზემოთ იოანე ღვთისმეტყველის სახელზე მცირე ეკლესია აუგია“. გვ. 29).

2. წმ. გიორგის ეკლესია (სავარაუდოა, წმ. გიორგის ეკლესია გიორგი ბრწყინვალის (1318-1346 წ.წ.) ზეობის ხანაში უნდა იყოს აშენებული... ვფიქრობთ, სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის გალავანზე მიშენებული ეკლესიაც სწორედ მაშინ, ე. ი. XIV აუკუნის 20-30-იან წლებში უნდა აგებულიყო“. გვ. 34-35).

3. დაუტი, ანუ დავითის ღვთისმშობლის მონასტერი („დავით აღმაშენებელმა ღვთისმშობლის შობის სახელობის მონასტერი აააშენა, რომელიც ბერძნულ წყაროებში მოიხსენიება როგორც „კათოლიკონი“. მოგვიანებით კი „ბოსტანი“. გვ. 46).

სინას მთაზე ქართველებს ჰქონიათ წმ. გიორგის სახელზე აგებული ეკლესია. ეს ფაქტი დადასტურებულია ძველი კოლექციის №69 ხელნაწერში. ანდერძში „ფრიად ცოდვილი მონაზონი იოსები“ წერს, რომ იერუსალიმიდან სინაზე მისულს სულიერმა ძმამ, სოლომონმა, დიდად შეჭირვებით დამვედრა... აღწერად წიგნსა ამას, რომელსა შინა აღწერილ არს სტიქარონ-უფალო-ღაღადყავ-წარდგომები ღვთისმშობლიანად რვათა ჴმათა ზედა... ვინცა ქრისტიანემან კაცმან გამოაჴუას სინის მონასტერს წმიდისა გიორგის მთავარმოწამისასა ჩუენ ქართველთასა ჴუებულმცა იქმნების წყალობისაგან ღმრთისა“. თ. მესხს მოხმობილი აქვს როდოსის მიტროპოლიტის პაისიოსის ცნობაც, რომელშიც, წმ. გიორგის ეკლესიის მაშენებლად დასახელებულია იბერიელთა მეფე. ამ მონასტრის აშენებას თ. მესხი ვარაუდობს გიორგი ბრწყინვალის პერიოდში. ხოლო სინა №69 ანდერძის ცნობა უნდა ეხებოდეს სხვა ძეგლს, რომელიც წმ. ეკატერინეს მონასტრის გარეთ უნდა არსებულიყო. იგი უნდა ყოფილიყო დიდი მონასტრის გალავანზე მიშენებული, სწორედ ამ შენობაში უნდა ყოფილიყო დაცული ის ხელნაწერები, რომლებიც ხანძრის შემდეგ გამოჩნდა.

მესამე მონასტერი უნდა ყოფილიყო ბერძნულ წყაროებში დადასტურებული სახელწოდება დაუტი, ანუ დავითის ღვთისმშობლის მონასტერი, რომელიც დავით აღმაშენებელის აშენებული უნდა იყოს.

4. წმ. ანტონის ეკლესია („დავით აღმაშენებლის მიერ აშენებული. წმ. ღვთისმშობლის შობის მონასტრის ორი ეკლესია მდგარა — ღმრთისმშობლს შობისა და წმ. ანტონის". გვ. 53).

5. წმ. მოციქულთა, წმ. ორმოც მოწამეთა და წმ. უვერცხლოთა სავანეები. („დავით აღმაშენებელმა განაახლა და, ისევე როგორც დაუტი, წმ. მოციქულთა და წმ. ორმეოც მოწამეთა მცირე მონატერები, ისიც დავითისეული მონასტრის ერთ-ერთ სავანეს წარმოადგენდა... ღმრთისმშობლის შობის მონასტერი და მისი სავანეები ქართველმა ბერებმა XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დაკარგეს". გვ. 58-59).

6. წმ. ელიას ეკლესია.

7. სინაწმიდა, საყოფელი მოსესი („X საუკუნის მეორე ნახევარში პალესტინიდან ლტოლვილმა ქართველმა ბერებმა სინაწმიდის კალთაზე თავიანთი ეკლესია, უფრო სწორედ კი, მონასტერი, დააარსეს... ვფიქრობთ, ქართველებს სინაწმიდაზე ლავრის ტიპის მონასტერი ჰქონდათ". გვ. 67; 71).

8. წმ. გიორგის ეკლესია და სენაკები („სინას, ანუ მოსეს მთის კალთაზე მდებარე წმ. გიორგის ეკლესია დავით აღმაშენებელმა სინაწმიდელ ბერებს აუშენა... წმ. გიორგის სენაკებმა XIII საუკუნის 20-30-იან წლებიდან დაიწყო დაცარიელება". გვ. 78; 80.).

9. ქვაბი ნეტარისა კვირიკესი („სავარაუდოდ, იგი ჯერ სინაწმიდის, შემდეგ კი წმ. გიორგის ეკლესიის და ქართველთა სენაკების შემადგენლობაში შედიოდა". გვ. 83).

თამარ მესხს ბეჯითი ძიების წყალობით მიეცა შესაძლებლობა გამოეთქვა ვარაუდი, რომ დასახელებული სავანეები (ორი კიდევ არ დაგვისახელებია) ეკუთვნოდათ ქართველ ბერებს. ალბათ, არ არის გამორიცხული, რომ დროთა განმავლობაში, ახალი საბუთების აღმოჩენის შემთხვევაში, ან უფრო განმტკიცდეს გამოთქმული ვარაუდი, ან შეიცვალოს იგი. დღესდღეობით უნდა ითქვას, რომ თამარ მესხს ამ მოსაზრების შესამუშავებლად დიდი შრომა ჩაუტარებია. წარმოდგენილი მოსაზრება ქართველთა სავანეების არსებობის შესახებ ასე

დეტალურად, მასშტაბურად და ბერძნული მასალის მოძიებით ქართულ სინამდვილეში არავის შეუსრულებია. მართალია, ცალკეულ მონასტერთა შესახებ არსებობდა მოსაზრებები (პ. უსპენსკის, ალ. ცაგარელის, კ. კეკელეძის, ლ. მენაბდის და სხვათა), მაგრამ ასე მიზანდასახულად, როგორც ეს თ. მესხის წიგნშია, არავის გაუკეთებია.

წიგნის მნიშვნელოვან ნაწილად მიმაჩნია სინელ საეკლესიო პირთა მიერ ქართველი მეფეებისადმი გამოგზავნილი წერილების დედნის ენაზე (თარგმანთან ერთად) გამოქვეყნება და ამავე დროს ქართველ მეფეთა წერილები სინელთა მიმართ, ასევე ბერძნულად და ქართულად. საქართველოსთან დაკავშირებული წერილები და ჩანაწერებიც ამოღებულია ბერძნული ხელნაწერებიდან. ისიც აუცილებლად სათქმელია, რომ სინის მთავარეპისკოპოსის 1763 წლის 1 ივლისის წერილის ბერძნული ტექსტი ქვეყნდება პირველად. სასურველი იქნებოდა აღნიშნულიყო სხვა დოკუმენტების გამოქვეყნების თარიღი და წყარო. ეს ფაქტი ბიბლიოგრაფიისთვისაც აუცილებელი იყო. ერეკლე II-ეს გაუგზავნია იოანიკოს კრეტელის ხელით „სახელები ზემო იბერიის კეთილმორწმუნე მეფეთა თაობიდან თაობამდე, მეფე ერეკლე II-მდე".

თამარ მესხი დამატებაში აქვეყნებს მეტად საინტერესო ცნობებს სინას მთაზე დაცული ქართული ხატების შესახებ. ეს მონაკვეთის სპეციალისტების ყურადღების არეალში აუცილებლად მოექცევა. მით უმეტეს, ავტორი მიუთითებს: გადავწყვიტეთ... ხელმისაწვდომი გაგვეხადა ქართული ხატების შესახებ არსებული ზოგიერთი საინტერესო ინფორმაცია, რომლებიც დაცულია XVI-XVII საუკუნეების ბერძნულ ხელნაწერებში (გვ.181).

თამარ მესხი აქვეყნებს გეორგიოს და მარია სოტიურების (დაძმა) შრომის ნაწყვეტს — „სინას მონასტრის ხატები", „ხატები ბერძნული და ქართული წარწერებით". დაინტერესებული მკითხველისათვის ეს მოკლე ინფორმაცია უთუოდ საინტერესოა.

ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ თამარ მესხის წიგნი „სინა და საქართველო" ქართული ისტორიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია.

P.S. წარმოდგენილი წერილი, რა თქმა უნდა, რეცენზია არ არის. მას ერთადერთი მიზანი აქვს, საზოგადოებას გააცნოს ეს კარგი წიგნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთველოლოგიის ისტორიის საკითხები

„ვეფხისტყაოსნის“ დედანი?

1961-1963 წლებში შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი ე. წ. მცირე კომისია მუშაობდა. ერთ დილით, სანამ კომისია მუშაობას შეუდგებოდა, აკაკი შანიძე და ალექსანდრე ბარამიძე ერთმანეთს მხიარულად უყვებოდნენ, რომ მათთვის წუხელ, გვიან საღამოს, ტელეფონით მრავალს დაერეკა და „ვეფხისტყაოსნის“ დედნის აღმოჩენა ეხარებინა. თურმე, ცოტა ადრე ტელევიზიით გამოსულა ცნობილი ინფექციონისტი, სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრის გამგე, ინფექციური საავადმყოფოს პროფესორი გიორგი კვიტაშვილი, რომელსაც უმოგზაურია ინდოეთში და იქაური შთაბეჭდილებების მოყოლისას უთქვამს: იქ „ვეფხისტყაოსნის“ დედანი ვნახე. ჩემი თვალით წავიკითხე დასაწყისი — *„რომელმან შექმნა სამყაროო“*.

ბატონ აკაკისა და ბატონ ალექსანდრეს (არც მე) ეს გადაცემა ნანახი არ ჰქონდათ და მისი სიმართლე ერთი წუთითაც არ დაუჯერებიათ. იცინოდნენ, დედანი რომ ენახა, იმის წამკითხავი მაინც არ იყოო. ყოველ შემთხვევაში, მასთან მაინც გამგზავნეს.

დილის 11 საათი არც კი იქნებოდა, ინფექციურ საავადმყოფოში მივედი. ბატონი გიორგი შემოვლაზე ბრძანდებოდა, როგორც კი გაიგო, ვის და ვის მიერ ვიყავი გაგზავნილი, შემოვლა მაშინვე შეწყვიტა, კაბინეტში მიმიღო და პირდაპირ მითხრა: *ცოტათი გადავაჭარბე, „ვეფხისტყაოსანი“ არ მინახავს, მაგრამ, დედანი რომ ინდოეთში იქნება, მტკიცედ მჯერაო.*

ინსტიტუტში უმალვე დავბრუნდი და, კომისიას შედეგი რომ მოვახსენე, ბატონმა აკაკიმ დამავალა, ამის შესახებ დამეწერა. დავწერე და გადავეცი. ეს ნაწერი ბატონი აკაკის არქივში, ალბათ, იქნება.

ამ ამბის გახსენებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს: რამდენიმე ცნობა არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერის საკუთარი

თვალით ნახვის თაობაზე. იმდენად დიდია ამ ჩვენი სწორუპოვარი მხატვრული ქმნილების დედნის აღმოჩენის სურვილი, რომ ესეც თვალნათლივ გვიჩვენებს, ამაზე ლეგენდები რა ადვილად იქმნება.

ერთი რუსთველოლოგიური დამსახურების შესახებ

აკაკი შანიძე დიდი რუსთველოლოგი ბრძანდებოდა. 1987 წელს „ვეფხისტყაოსნის“ *„ტექსტის მეცნიერული დადგენის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის“* მას რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ეს ამბავი იმითაც არის საყურადღებო, რომ მოხდა გამონაკლისი, — მანამდე და რამდენადმე შემდეგაც არსებობდა ურყევი წესი, — ეს ჯილდო ეძლეოდა მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს და არა მეცნიერებს.

ბატონი აკაკის რუსთველოლოგიურ მოღვაწეობაზე მეტ-ნაკლებად საუბარია მისადმი მიძღვნილ უამრავ ნაშრომში, რომლებიც, საზოგადოდ, მის ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს. ხოლო არაერთი ცალკე გამოქვეყნებული სტატია საკუთრივ მის რუსთველოლოგიურ მიღწევებს წარმოაჩენს. მაგალითად, **ალექსანდრე ბარამიძე** საგანგებო სტატიაში ეხება აკაკი შანიძის მიერ ძველი ქართული მწერლობის საკითხების კვლევას და გამოყოფს მის რუსთველოლოგიურ ღვაწლს (ნარკვევები..., V. — თბ., 1971, გვ. 311—313; ბოლო ვარიანტი: კრებული: აკაკი შანიძეს. — თბ., 1981, გვ. 21—23). 1966 წელს გამოვიდა ბატონი აკაკის წიგნი *„ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები“*. მას საგანგებო რეცენზიები უძღვნეს: **ივანე იმნაიშვილმა** (რუსთველოლოგიის ძვირფასი შენაძენი, ჟურნალი „ცისკარი“, 1966, №11, გვ. 103—108), **რაფიელ შამელაშვილმა** (რუსთველოლოგიური ლიტერატურის ძვირფასი შენაძენი, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1966, 30 სექტემბერი, გვ. 3), **შალვა ღლონტმა** (გამოჩენილი ქართველი მეცნიერის წერილები „ვეფხისტყაოსანზე“, ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1967, №5, გვ. 90—92). მანვე დაბეჭდა სტატია „აკაკი შანიძე როგორც რუსთველოლოგი“ (ძველი ქართული მწერლობის საკითხები, III, 1968, გვ. 226—231). ამგვარივე სათაურით წერილი დაბეჭდა **ი. იმნაიშვილმაც** (გამოჩენილი რუსთველოლოგი, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1967, 27 მაისი, გვ. 3) და სხვა.

ამ ნაშრომებში თავმოყრილი, განხილული და შეფასებულია ბატონი აკაკის რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებათა სხვადასხვა მხარე და შედეგები, მაგრამ არსად არის აღნიშნული მისი დამსახურება პოემის **ხელნაწერთა რედაქციული ავკარგიანობის** გამოვლენაში.

მანამდე „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებიდან შედარებით ყველაზე უკეთესებად და სანდო ტექსტის შემცველებად მიჩნეული იყო ის ნუსხები, რომლებიც სტროფული შედგენილობით ყველაზე მოკლეა (ე. წ. ბებურიშვილისეული ხელნაწერის ტიპის რედაქცია. ლიტერები -UIRZ...), ხოლო ამ მხრივ ყველაზე ვრცელები (ე. წ. სამეფო სახლის ნუსხები - CMX...) ნაკლებად სანდოდ ფასდებოდა. ამიტომ იყო პოემის ადრეულ და, განსაკუთრებით, 1937 წლის საიუბილეო და მისგან მომდინარე 1951 და 1957 წლების გამოცემებში ყოველმხრივ და, მათ შორის, წაკითხვების ვარიანტებითაც, მეტი ადგილი პირველი, ბებურიშვილის ტიპის, ვრცელი ჯგუფის ნუსხების მონაცემებს უჭირავს.

და აი, 1960-1963 წლებში გამოდის „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“ ოთხ ნაკვეთად, რამაც ახალი ეტაპი შექმნა პოემის ტექსტოლოგიური საკითხების კვლევაში. ამ დროს, როგორც ვთქვით, 1961-1963 წლებში, ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობს „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენი კომისია აკაკი შანიძის თავმჯდომარეობით. ამ კომისიას ხელთ ჰქონდა სხვადასხვა საცნობარო წყარო, მაგრამ ძირითადი მაინც „ხელნაწერთა ვარიანტების“ წიგნი იყო, რომლის მესამე და მეოთხე ნაკვეთები კომისიის მუშაობისას თანდათანობით გამოდიოდა და მას დროულად მიეწოდებოდა. აქ გვერდი-გვერდ წარმოდგენილმა ვარიანტებმა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ცვლილებათა მეტყველი სურათი წარმოაჩინა. ბატონმა აკაკიმ ძველი ქართული ენის ბრწყინვალე ცოდნის მეოხებით ყოველ სხდომაზე თითოეული ვარიანტის გრამატიკული ანალიზით ნათელყო, რომ, თუმცა პოემის ყველა ხელნაწერი მეტ-ნაკლებად შეცვლილი და დამახინჯებულია, მაგრამ წაკითხვების მხრივ შედარებით უკეთესია არა მოკლე (IRZ...), არამედ სწორედ ვრცელი სტროფული შედგენილობის სამეფო სახლის

ნუსხები — C.... ამიტომ არის, ამ კომისიის მიერ მომზადებული აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით გამოსულ ე. წ. ვარიანტებიანი „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის გამოცემაში სამეფო სახლის ხელნაწერთა ვარიანტების ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად გაზრდილია.

ბატონ აკაკის ამ საკითხზე საგანგებო გამოკვლევა არ დაუწერია, მაგრამ პოემის დასახელებული ვარიანტებიანი გამოცემის შესავალში, „განმარტებით ბარათში“, ცოტა რამ მაინც აღნიშნა. ერთგან წერს: *„თვით რუსთველისეული ტექსტი მრავალ ხელნაწერში საგრძნობლად გადაკეთებულია და შერყვნილი. ხელნაწერთაგან ზოგი უფრო სანდოა და ზოგი ნაკლებ. საერთოდ, არ მოღწეულა არც ერთი ხელნაწერი, რომ რუსთველისეულ ტექსტს შეურყვნელად გადმოგვცემ-დეს (...). ზოგიერთ მათგანში იმდენად გადაკეთებულია არა თუ ცალკეული სიტყვები და ტაეპები, არამედ მთელი სტროფებიც კი, რომ გაოცდები!“ (გვ. 011).*

შემდეგ: „ტექსტის დადგენისას ვეყრდნობოდით უფრო სანდო ხელნაწერებს, რომლებიც მე-17 საუკუნისაა (ABC). *ვითვალისწინებდით სხვა ხელნაწერთა მონაცემებსაც და მათი შეჯერების გზით ვარჩევდით უფრო სწორსა და რუსთველის დროისათვის სავარაუდებელს“ (გვ. 014).*

ბოლოს: „ხელნაწერების ტექსტი, საერთოდ, სხვა ხელნაწერებისას სჯობს, მაგრამ ზოგჯერ სწორედ აქ არის მიუღებელი ფორმები“-ც (გვ. 014).

ამ კომისიის მუშაობამ და შემდგომმა ტექსტოლოგიურმა კვლევა-ძიებამ აღნიშნული თვალსაზრისი მთლიანად დაადასტურა (მარიამ კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისათვის. — თბ., 1977; ბორის დარჩია, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით.—თბ., 1975 და სხვა).

ამრიგად: აკაკი შანიძის მრავალ რუსთველოლოგიურ დამსახურებას შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საგანგებოდ აღსანიშნავი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა რაობის წარმოჩენაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ხვედელიძე

ელზევირების საგამომცემლო სახლი

XVI საუკუნეში წიგნის ბეჭდვის ცენტრმა იტალიასა და საფრანგეთიდან ჰოლანდიაში გადაინაცვლა, სადაც პლანტენისა[1] და ელზევირების საგამომცემლო სახლებმა უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავეს.

XVI საუკუნის ჰოლანდიურ წიგნებთან ურთიერთობისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებანი. XVI საუკუნემდე ნიდერლანდებს ჰაბსბურგების დინასტია მართავდა. 1555 წელს დადებული აუგსბურგის ზავით ქვეყანა ერგო ესპანეთის მეფე ფილიპე II-ს, რომელსაც სურდა სახელმწიფოში პროტესტანტული რელიგიის გავრცელება შეეფერხებინა, რასაც ეწინააღმდეგებოდა ოპოზიციურად განწყობილი არისტოკრატია. იგი შიშობდა, რომ ესპანელთა ძალადობა გამოიწვევდა სახალხო მღელვაბეას, რომელიც ფეოდალიზმსაც დაამხობდა. 1566 წელს დაიწყო მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება ესპანეთის მმართველობის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ისტორიაში ნიდერლანდების რევოლუციის სახელით ცნობილი ომი (1568-1648), რომელიც დამოუკიდებელი სამეფოს შექმნით დასრულდა. ქვეყნის ისტორიაში „ოქროს ხანა" დაიწყო, აღმავლობის გზას დაადგა მისი ეკონომიკა და კულტურა. XVII საუკუნის განმავლობაში ნიდერლანდები ჩამოყ-

1 ქრისტოფერ პლანტენი – ფრ. Christophe Plantin (დ. 1520, სენტ-ავერტენი – გ. 01.07.1589, ანტვერპენი) – ფლამანდიელი მესტამბე-გამომცემელი, 1555 წელს ანტვერპენში დააარსა სტამბა, მოგვიანებით, გამომცემლობა, რომელსაც „ოქროს ფარგალი" უწოდა. მისი შთამომავლების – მორეტუსების საგამომცემლო სახლი სამი საუკუნის განმავლობაში ფუნქციონირებდა. დღეს იქ პლანტენ–მორეტუსების მუზეუმია.

ალიბდა უდიდეს საზღვაო სახელმწიფოდ, რომელიც მრავალ კოლონიას ფლობდა.[1]

ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუციის ერთ-ერთი ცენტრი იყო ქალაქი ლეიდენი. ლიტერატურულ წყაროებში იგი IX საუკუნიდანაა მოხსენიებული. XIV საუკუნიდან ქალაქი კულტურულ და სამრეწველო ცენტრს, მისი უნივერსიტეტი კი დიდ საგანმანათლებლო და სამეცნიერო კერას წარმოადგენდა. უნივერსიტეტშივე დაარსდა ელზევირების სტამბა და საგამომცემლო სახლი, რომელიც 1581-1712 წ.წ. ფუნქციონირებდა ჯერ ლეიდენში, შემდეგ კი – ამსტერდამში.



ლეიდენის უნივერსიტეტი, სადაც ლოდევეიკ ელზევირმა 1581 წელს დააარსა სტამბა.

ელზევირების საგამომცემლო სახლის დამაარსებელი ლოდევეიკ ელზევირ უფროსი (1540-1617) დაიბადა ლუვენში, სადაც ჯერ კიდევ 1426 წელს დაარსდა ევროპაში პირველი უნივერსიტეტი. კულტურულ-საგანმანათლებლო ქალაქი რეფორმაციული მოძრაობის საყრდენად გადაიქცა.

1565 წელს ელზევირების ოჯახი იძულებულებით გადასახლდა ანტვერპენში, სადაც ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარების, წიგნის ბეჭდვისა და გამოცემისათვის.

ლოდევეიკმა საკუთარი ბედი ცნობილ გამომცემელს, ქრისტოფერ პლანტენს დაუკავშირა. იგი პლანტენის საგამომცემლო სახლში – „ოქროს ფარგალში“ სწავლობდა ბეჭდვის საქმეს და იქვე მუშაობდა ამკინძავ-დამყდავებლად. იქვე ინახება პირველი დოკუმენტები, რომლებშიც ელზევირები არიან მოხსენიებულნი.

---

1 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6. — თბ. : მთ. სამეცნ. რედაქცია, [1983] (ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი). გვ. 720 (162).

ელზევირების სტამბა და გამომცემლობა ლეიდენში.

ანტვერპენის ფარგლები 1876 წელს პლანტენის შთამომავლებმა სახელმწიფოს გადასცეს მმართველობაში, სადაც მოეწყო პლანტენ–მორეტუსების მემორიალური მუზეუმი. ამ არაჩვეულებრივი სამუზეუმო კომპლექსის საოცრად მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ექსპონარებს შორის დაცულია საგამომცემლო სახლის 1565 წლის დიდი გასავლის წიგნი. მისი ჩანაწერებიდან ირკვევა, თუ რა სამუშაოებს ასრულებდა ლოდევეიკ ელზევირი. ამავე საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ პლანტენთან გარკვეული დროის მანძილზე მუშაობდა ლოდევეიკის მამა – ჰანსი ლუვენიდან.

მესტამბეებს მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ როგორც კათოლიკებთან, ასევე პროტესტანტებთან. თუმცა ისინი ოპოზიციასთან უფრო ახლოს აღმოჩნდნენ, ვიდრე ხელისუფლებასთან. 1567 წლის გაზაფხულის აჯანყების ჩახშობის შედეგად პროტესტანტებს ანტვერპენის დატოვება მოუწიათ. ელზევირების ოჯახიც მათ კვალს დაადგა.[1]

1 В.Р. Аронов, Эльзевиры. - М.: Книга, 1975.- 114с. (21).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდევეიკი 1567 წელს ქალაქ ლეჟეში ჩავიდა, სადაც სწრაფად დაიმკვიდრა ქალაქის ცნობილი წიგნითმოვაჭრის სახელი და მოიპოვა მოქალაქეობის მოწმობა. იქ სამი წელი დაჰყო, შემდეგ ჯერ ვეზელში გადასახლდა, შემდეგ — დუიში, მოგვიანებით კი პლანტენის კვალს გაჰყვა ლეიდენში, სადაც წიგნით ვაჭრობით არჩენდა საკუთარ ოჯახს.

ლოდოვეიკ ელზევირის საგამომცემლო ნიშანი.

ლოდევეიკმა თავდაპირველად უნივერსიტეტის მეცნიერთა ნაშრომებით ვაჭრობას მიჰყო ხელი, თანდათან აგროვებდა სახსრებს საკუთარი გამომცემლობის შესაქმნელად, 1581 წელს ლეიდენის უნივერსიტეტში დააარსა სტამბა, 1583 წელს გამოსცა პირველი წიგნი – ახალგაზრდა ორიენტალისტი პროფესორის – იან ვან დერ დრისხეს[1] ფილოლოგიური ნაშრომი „კითხვები და პასუხები".

შემდგომ წლებში ლოდევეიკმა გამოსცა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, გეოგრაფიული აღწერილობა, კლასიკოსთა თხზულება; ასეთი მრავალფეროვნება იმით აიხსნება, რომ 1592–1617 წლებში იგი უნივერსიტეტის შეკვეთებს ასრულებდა.

ისააკ ელზევირის საგამომცემლო ნიშანი.

მეტად ორიგინალური იყო ლუდევეიკ უფროსის საგამომცემლო მარკა – არწივი, რომელსაც ნისკარტით შვიდი ისრისაგან შეკრული კონა უჭირავს, ქვემოთ კი

1 იან ვან დერ დრისხე - ჟან ვან დერ რიესცჰე, დრუზიუსი (დ. 1550 — გ. 1616) — ნიდერლანდელი ორიენტალისტი, პროფესორი, რეფორმაციის აქტიური მონაწილე, იძულებით გადასახლდა ინგლისში, ხელმძღვანელობდა ოქსფორდში ებრაულ კათედრას. მოგვიანებით მოღვაწეობდა ლეიდენისა და ფრანეკერის უნივერსიტეტებში.

გალელეო, გალილეი, სამყაროს სისტემა, 1635 წ. სატიტულე ფურცელი.

ნიდერლანდების რესპუბლიკის დევიზია მიწერილი: „შეთანხმება აძლიერებს პატარა სახელმწიფოებს“. ეს პოლიტიკური შინაარსის სამარკო ნიშანი პირველად 1597 წელს გაჩნდა ცნობილი ჰოლანდიელი არქეოლოგის იანა დე მერსეს (მერსიუსი) წიგნზე. იგი შემდგომში მრავალ წიგნზე დაიბეჭდა და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის წყალობით სწრაფად გასცდა ჰოლანდიის ფარგლებს.

თავდაპირველად ელზევირებს შრიფტის განსაზღვრული სტილი არ ჰქონდათ, ლოდევეიკი მას სხვადასხვა ადგილას იძენდა, თუმცაღა მისი ყოველი გამოცემა საუკეთესო და უმეტესად ახალი შრიფტით იყო აწყობილი.[1]

1617 წელს, 77 წლის ასაკში, ლოდევეიკ უფროსი გარდაიცვალა. 34 წლის განმავლობაში მან გამოსცა ასამდე წიგნი.

ლოდევეიკ უფროსს დიდი ოჯახი ჰყავდა; მეუღლემ მას შვიდი ვაჟი და ორი ქალიშვილი აჩუქა. მრავალრიცხოვანი ოჯახის წარმომადგენლებიდან ოთხმა უმცროსმა ვაჟმა საგამომცემლო საქმიანობა განაგრძო: ყველაზე უფროსმა – მატიასმა (1564-1640) და უმცროსმა – ბონავენტურამ (1583-1652) წიგნით ვაჭრობას მიჰყვეს ხელი ლეიდენში. ლოდევეიკ უფროსის

ელზევირების საგამომცემლო ნიშანი.

1 В. Н. Аронов, Эльзевиры. - М.: Книга, 1975.- 114с. (27).

გარდაცვალების შემდეგ საგამომცემლო ფირმა მემკვიდრეობით მატიასსა და ბონავენტურას გადაეცათ. წიგნის მაღაზიის მფლობელები იყვნენ ლოდევეიკ უმცროსი (1566-1621) – ჰააგაში და იუსტუსი (1575-1617) – უტრეხტში. საწყის კაპიტალს ისინი წიგნით ვაჭრობით აკოწიწებდნენ. ცოტაოდენი ფულის შეგროვების შემდეგ, საგამომცემლო საქმიანობას უბრუნდებოდნენ და საკუთარი საგამომცემლო ბაზის შექმნაზე ზრუნავდნენ.

მატიასის შვილმა, ისააკ ელზევირმა (1596-1651), ჯერ კიდევ ბაბუის სიცოცხლეში, 1616 წელს, ლეიდენში დააფუძნა სტამბა. იგი საუნივერსიტეტო შრომების მთავარ გამომცემლად ითვლებიდა. დაარსების პირველი დღეებიდანვე ცდილობდა მაქსიმალურად გაეფართოვებინა სტამბის პოლიგრაფიული შესაძლებლობანი. 1624 წელს უნგრეთში მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ჰოლანდიელი აღმოსავლეთმცოდნე და მესტამბე-გამომცემელი ტომას ვან ერპე (ერპენიუსი, 1584-1624). სწორედ ამ დროს ისააკ ელზევირი უნგრეთში მოგზაურობდა. მან შეისყიდა აუქციონზე გატანილი ერპეს სტამბა და სასტამბო აღჭურვილობა. ისააკ ელზევირმა დაიწყო აღმოსავლურენოვანი (სირიული, ქალდეური, სემიტური) წიგნების გამოცემა, რომლებზედაც გვხვდება კაჭკაჭისა და პალმის გამოსახულებებიანი სასტამბო ნიშნები, რაც დამახასიათებელი იყო XVII საუკუნეში ჰოლანდიაში გამოცემული აღმოსავლურენოვანი ლიტერატურისათვის.

ევროპული წიგნებისათვის ისააკ ელზევირმა შემოიტანა სხვა, საკუთარი სასტამბო ნიშანი ლათინური წარწერით — "NON SOLUS". მასზე გამოსახულია ხის ვარჯზე შემოხვეული, მტევნებით დახუნძლული ვაზი, რომლის ნაყოფს ფილოსოფოსი კრეფს.

ისააკ ელზევირის დიდ მომავალს ყველაფერი მოასწავებდა, მაგრამ 1625 წლის ბოლოს რაღაც მოხდა, მთელი სასტამბო ქონება ბიძამისის — ბონავენტურასა და უფროსი ძმის — აბრაჰამის ხელში გადავიდა. მათ საქმიანობა ჭკვიანურად გადაინაწილეს: პირველი საგამომცემლო სახლის კომერციულ მხარეს უძღვებოდა, მეორე კი სასტამბო მეურნეობას ხელმძღვანელობდა. სარედაქციო სამ-

უშაოებს ლეიდენის უნივერსიტეტის სწავლულები ასრულებდნენ. XVII საუკუნის პირველ ნახევარში სწორედ ბონავენტურამ და აბრაჰამმა მოუტანეს დიდება მთელ ჰოლანდიურ პოლიგრაფიას.

მესტამბეები გახდნენ მოხუცი ლოდევეიკის სხვა შვილიშვილებიც: აბრაჰამი (1592-1652), ლოდევეიკ უმცროსი III (1604-1670) და დანიელი (1626-1680).

საგამომცემლო საქმით დაკავებული ელზევირების დინასტიის ბოლო წარმომადგენელი იყო აბრაჰამ უმცროსი (1653-1712), საგამომცემლო სახლის დამაარსებლის შვილთაშვილი.

წიგნის საქმის სამივე დარგის: პოლიგრაფიულის, საგამომცემლო და გავრცელების ერთ ხელში თავმოყრით მათ მომავალი საქმიანობა წარმატებულად გათვალეს. 1580-1712 წლებში ამ გვარის ხუთი თაობის თოთხმეტი წარმომადგენელი ემსახურებოდა საგამომცემლო და წიგნით ვაჭრობის საქმეს ლეიდენში, ამსტერდამში, უტრეხტსა და ჰააგაში.

ელზევირების მთელი მემკვიდრეობის მეათედი ლათინურენოვანი მწერლების წიგნებზე მოდის. ბონავენტურასა და აბრაჰამის საუკეთესო გამოცემებად ითვლება: 1632 წელს დაბეჭდილი პლინიუს უფროსის[1] ნაშრომი „ბუნების ისტორია“ და 1635 წელს გამოცემული გაიუს იულიუს ცეზარის[2] „ჩანაწერები ჰოლანდიური ომის შესახებ“. ისინი მსოფლიო პოლიგრაფიული ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ. „ბუნების ისტორიის“ სამტომეული პირველი ნაბეჭდი ნაშრომია, რომელიც მოიცავს ცნობებს საქართველოს შესახებ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე.

პლინიუს სეკუნდუსის „ბუნების ისტორია“ წარმოადგენს ანტიკურ საბუნებისმეტყველო ცოდნათა ენციკლოპედიას. მასში მოცემულია მრავალი ძვირფასი ცნობა ისტორიის, გეოგრაფიისა

---

1 გაიუს პლინიუს სეკუნდუსი – ლათ. Gaius Plinius Secundus (დ. 23, კომო (გალია) — გ. 79, ვეზუვი) – რომაელი ბუნებისმეტყველი ფილოსოფოსი, სამხედრო ტრიბუნი, პროკურატორი, მრავალი ნაშრომის ავტორო.

2 გაიუს იულიუს კეისარი – ლათ. ictator Gaius Iulius Caesar (დ. 12/13.07, ძვ. წ. 100 — გ. 15.03, ძვ. წ. 44) — ძველი რომის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, რეფორმატორი, მწერალი და ორატორი.

და ეთნოგრაფიის საკითხებზე. ავტორი გვამცნობს, რომ ამ ნაშრომისათვის მას ორი ათასამდე სხვადასხვა ხასიათის გამოკვლევის გადამუშავება დასჭირდა. პლინიუსი ნაშრომში აშუქებდა როგორც მისი თანამედროვეობის სხვადასხვა საკითხებს, ასევე წინარე მითოლოგიური ხანის მეცნიერთა გამოკვლევებს, ფაქტებსა და მოვლენებს. ამავე დროს „ბუნების ისტორია" ერთადერთი წყაროა ანტიკურ ეპოქაში ლითონებისა და ძვირფასი ქვების დამუშავების შესახებ.

პლინიუს უფროსის ნაშრომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვისაც. ავტორი მეექვსე წიგნის მეთორმეტე თავში საქართველოსა და კოლხეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მდგომარეობის შესახებ წერდა. ამ ნაშრომში დაცული ცნობების სრულყოფილი შესწავლისა და მათი როგორც მეცნიერული წყაროს ღირებულების შეფასება დიდი ხანია დგას ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე. იგი გამოყენებულია ანტიკური პერიოდის საქართველოს ისტორიაზე მომუშავე თითქმის ყველა მკვლევრის მიერ.

„ბუნების ისტორია", ავტორის ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული ნაშრომი, 37 ხელნაწერ წიგნს მოიცავდა. ბონავენტურამ და აბრაჰამმა თავი მოუყარეს ამ წიგნებს. ლათინურ ენაზე შესრულებული ტექსტის დასაბეჭდად მომზადება იან დე ლაეტოს შეუკვეთეს. ფურცლის მე-12 ნაწილზე დაბეჭდეს და სამ ტომად გამოსცეს ლეიდენის სათაო ოფისში. თითოეული წიგნი დაახლოებით 600 გვერდს მოიცავდა, 100X50 მმ პარამეტრებით.

ელზევირები ხშირად თვითონ იყვნენ ისეთი გამოცემის ინიციატორები, რომელთა დაბეჭდვა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. 1635 წელს მათ გამოსცეს ლათინურიდან იტალიურზე თარგმნილი გალილეო გალილეის ნაშრომი „სამყაროს სისტემა", რომლის სრული სახელწოდებაა: „დიალოგი სამყაროს ორი უმთავრესი სისტემის შესახებ", ანუ „დიალოგი მოქცევისა და მიქცევის შესახებ". 1630 წელს შესრულებულ ნაშრომში გალილეის სამი მოსაუბრის კამათში გადმოცემული აქვს ნ. კოპერნიკისა და კ. პტოლემეს სისტემები. გამოცემა სასტიკად იდევნებოდა ინკვიზიტორთა მიერ, წიგნის გაყ-

იდვა აკრძალული იყო, ავტორი კი ინკვიზიციის ტყვედ იყო გამოცხადებული.

ელზევირების მიერ „სამყაროს სისტემის“ გამოცემა ბრწყინვალე კომერციული წამოწყება გახლდათ. საგამომცემლო სახლმა შემდგომში გალილეის სხვა ნაშრომებიც დასტამბა, მათ შორის იყო მისი ბოლო და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თხზულება: „საუბრები და მათემატიკური მტკიცებანი“, მეცნიერების ორი, იმ დროისათვის ახალი დარგის — მექანიკისა და მოძრაობის ფარდობითობის შესახებ. გამოცემაში წიგნის ბეჭდვის ხელოვნება მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული: ტექსტის ანაწყობში მათემატიკური გამოანგარიშებებისა და გრაფიკული გამოსახულებების ადგილები ზუსტადაა გათვლილი, რაც ზედმიწევნით კარგად წარმოგვიდგენს გამოკვლევის ძირითად აზრს.

გალილეის ეს ნაშრომი იყო ელზევირების მიერ გამოცემული საუკეთესო, მაგრამ არა ერთადერთი, სამეცნიერო ხასიათის თხზულება. სამეცნიერო წიგნებს შორის იყო რენე დეკარტის „ფილოსოფიის საწყისებთან“ და სიმონ სტევინის „მათემატიკური გამოკვლევები“, რომლებსაც მრავალი ტექნიკური ნახაზი და სქემა ჰქონდა დართული. მიუხედავად იმისა, რომ მათი გამოცემები განსაკუთრებულად მდიდრული და ძვირფასი გაფორმებით არ გამოირჩეოდა, ელზევირების საქვეყნოდ აღიარებული პოპულარობა ბეჭდვის მაღალი ხარისხის დამსახურება იყო. მკაფიო და თვალისათვის კარგად აღსაქმელი შრიფტი ყოველდღიური საკითხავი და სამეცნიერო ნაშრომებისათვის იყო განკუთვნილი. ყოველივე ამის გამო ელზევირების გამოცემებს საქმიანი წიგნების დანიშნულება ჰქონდათ.

განსაკუთრებული ადგილი ელზევირების საქმიანობაში დაიკავა სერიამ — „რესპუბლიკები“ — საბეჭდი ფურცლის 1/24-ზე აწყობილმა სხვადასხვა ქვეყნების გეოგრაფიულ-ისტორიულმა აღწერილობამ. მანამდე მსოფლიოს არც ერთ სტამბაში არ დაბეჭდილა ასეთი ძვირფასი მხატვრული გაფორმებისა და შინაარსობრივად მრავალფეროვანი სერიული გამოცემები, რომლებიც დღესაც

აღფრთოვანებას იწვევენ. ეს მცირეფორმატიანი, ერთი სტილის გამოცემები უდაოდ ჯიბით სატარებლად იყო გათვალისწინებული.

ბონავენტურასა და აბრაჰამის საგამომცემლო სახლის 1638 წლის კატალოგის მიხედვით, მათთან შესაძლებელი იყო ევროპის, აზიისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნების გზამკვლევების შეძენა.

ელზევირებმა წიგნის ბეჭდვა და ვაჭრობა სამშობლოში მნიშვნელოვნად განავითარეს, საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანეს და საერთაშორისო საქმედ აქციეს. მათ თავიანთი ფილიალები და სააგენტოები თითქმის მთელ ევროპაში ჰქონდათ განთავსებული: გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიასა და დანიაში. ისინი მრავალი განსხვავებული დარგის წიგნებს გამოსცემდნენ სხვადასხვა ენებზე; სამეცნიერო ნაშრომებს რეგულარულად უბეჭდავდნენ ლეიდენის უნივერსიტეტს. ელზევირების დინასტიამ თავისი არსებობის 131 წლის მანძილზე 2200 წიგნი, 3000 საუნივერსიტეტო დისერტაცია და ასობით ანონიმური ბეჭდური ერთეული გამოსცა.

ელზევირების გამოცემების უმრავლესობა ფრანგული წარმოების ქაღალდზეა დაბეჭდილი. მართალია, იგი თხელი და შედარებით იაფი იყო, მაგრამ საკმაოდ მყარი და კარგი ხარისხისა აღმოჩნდა — საუკუნეებს გაუძლო და შესანიშნავად გამოიყურება.

ლეიდენში ელზევირების საგამომცემლო სახლის საქმიანობა უცებ დასრულდა: 1652 წელს ჯერ აბრაჰამი გარდაიცვალა, შემდეგ კი — ბონავენტურა. ელზევირების საგამომცემლო ცენტრმა გადაინაცვლა ამსტერდამში, რომელიც შუა საუკუნეებში კულტურული ცხოვრების ნამდვილ ცენტრს წარმოადგენდა. ამიტომ, არაა გასაკვირი, რომ ელზევირების ოჯახის უფრო მსხვილი მესტამბეები — ლოდევეიკ უმცროსი და დანიელი სწორედ ამსტერდამში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ.

ამსტერდამის სტამბაში ლათინურთან და ბერძნულთან ერთად მათი თანამედროვე ფრანგული და ესპანური მხატვრული ლიტერატურაც იბეჭდებოდა. ამასთან, ხანდახან იმეორებდნენ პოპულარული ავტორების თხზულებებს. მაგალითად, ხელმეორედ

გამოიცა ჟან როტრუს[1] ტრაგედიები, მოლიერის კომედიები, ანტიკურ ავტორთა შრომები და სხვა. ამ პერიოდის გამოცემებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წიგნის საცნობარო განყოფილებებს.

წიგნის გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხთა შორის ყველაზე მთავარი თუ არა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და არსებითი შრიფტის საკითხია. გაფორმების სხვა საკითხებთან შედარებით, იგი ყველაზე რთული გადასაწყვეტია.

ლოდევეიკ უფროსის დროს ელზევირებს შრიფტის განსაზღვრული სტილი არ ჰქონდათ. ამსტერდამის სტამბის 40-წლიანი არსებობის განმავლობაში ელზევირებმა გამოსცეს 600-ზე მეტი დასახელების წიგნი. იმ დროისათვის ეს იყო საკმაოდ დიდი ციფრი. სწორედ ამ წლებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა „ელზევირების სტილი“. ამასთანავე სიტყვა „ელზევირი“ შრიფტის სახელწოდებადაც იქცა.

ელზევირების სახელოსნოებში შექმნილი შრიფტის გამოყენების ნიმუშები პირველად 1647 წელს შეინიშნება. იგი შექმნა დახელოვნებულმა და გაწაფულმა გრავიორმა ქრისტოფერ ვან დეიკმა[2]. შრიფტისათვის ნახაზები მან ისესხა ფრანგი მეთუნუქისა და მჭედლის კლოდ გარამონის[3] მიერ შექმნილი შრიფტის – ანტიკვას ანაწყობის ძირითადი სქემებისაგან. მან იგი მნიშვნელოვნად დახვეწა და მისცა სრულყოფილი სახე. სილამაზისა და სიმკვეთრის წყალობით შეიქმნა ლეგენდა, თითქოსდა მისი წვრილი ლიტერები ვერცხლით იყო ჩამოსხმული და ამიტომ მას „ვერცხლის“ შრიფტი შეარქვეს.[4] XVII—XVIII საუკუნეების მიჯნაზე იგი სწრაფად

---

1 ჟან როტრუ – ჟეან ღოტროუ (21.08.1609, დრიო – 28.06.1650 იქვე) – ფრანგი პოეტი და დრამატურგი. XVII საუკუნის შუა წლებში მისი პიესები დიდი წარმატებით სარგებლობდნენ. მას პოპულარობით პიერ კორნელიეს ადარებდნენ.

2 ქრისტოფერ ვან დეიკი – ჩჰრისტოფფელ ვან იჯცკ (დ. დრეხჰეიმი ფრანკფურტთან, 1606 ან 1607 – გ. 1669 ამსტერდამში) – იყო შრიფტის დიზაინერი, გრავიორი, იუველირი. დააარსა სტამბა და შრიფტჩამოსხმის სახელოსნო. შექმნა შრიფტი ივრითზე ებრაული ბიბლიისათვის.

3 კლოდ გარამონი - ჩლაუდე არამონდ (1490, პარიზი – 1561) – პარიზში გახსნა შრიფტჩამომსხმელი სახელოსნო და გამოყო სტამბიდან; იყო შრიფტის საუკეთესო დიზაინერი, ამზადებდა ბერძნულ და რომაულ შრიფტებს, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ევროპაში.

4 М.. И. Щелкунов, История техника искуство книгопечатания. – М., Л., 1926. с.132.

გავრცელდა ჰოლანდიასა და საფრანგეთში. შემდგომში კი დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში გამოცემულ საქმიანი წიგნების ანაწყობში გამოიყენებოდა.

ელზევირების გამოცემები გამოირჩეოდნენ მაღალი პოლიგრაფიული დონით. მაღალმხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებები ყოველთვის დახვეწილი შრიფტითა და მოხდენილი გაფორმებით იყო დამშვენებული. ორიგინალური შრიფტის გამოგონებამ შესაძლებელი გახადა გამოეცათ პატარა და ვიწრო ფორმატის (1/12 ფურც.) წიგნები, რაც ძვირფასი პროდუქციის დაბალ ფასში გაყიდვის საშუალებას იძლეოდა. წიგნის თვითღირებულების შემცირებამ მათი სრული რეალიზაციისა და მთელს ევროპაში სწრაფი გავრცელების საშუალება მისცათ.

ბონავენტურასა და აბრაჰამის მიერ დაბეჭდილი სამეცნიერო გამოცემებისათვის დამახასიათებელი იყო ლაკონიური და თავშეკავებული გაფორმების სტილი. ამასთან, ისინი მნიშვნელოვან და ფასეულ თხზულებათა გავრცელების ხელსაყრელ ფორმას წარმოადგენდნენ. ელზევირებისათვის დამახასიათებელი წიგნის ზომების შეფარდება (2:1) კლასიკური ოქროს კვეთის პროპორციებისაგან ერთობ შორს იყო, მაგრამ ასეთი ფორმატი, ე.წ. ინდუიციმო, მკითხველს სთავაზობდა ესთეტიკური ანაწყობის მინდვრის ზოლს, რომელიც შესანიშნავად წარმოაჩენდა ნაბეჭდ ტექსტს. მცირეფორმატიანი ცალკეული გამოცემებისა და ტომეულების გარდა ელზევირები გამოსცემდნენ ინ-კვარტოს[1] და ფოლიანტებს[2]. მაგალითად, 1634-1635 წლებში — მათემატიკოს სიმონ სტევინის შრომები: „ფორტიფიკაცია“ და „მათემატიკური გამოკვლევები“, გამოცემული იყო ინ-ფოლიოს[3] ფორმატში. თუმცა, როცა

---

1 ინ–კვარტო(ლათ. in quarto – მეოთხედში) გამოცემის ფორმატი, რომელიც ქაღალდის ფურცლის მეოთხედის ტოლია. მიიღება ფურცლის ორჯერ (ორ ღუნში) გაკეცვით. აღინიშნება – 4^0.

2 ფოლიანტი (გერმ. Foliant < ლათ. folium ფურცელი) – დიდი მოცულობისა და ფორმატის წიგნი.

3 ინ--ფოლიო (ლათ. in folio ფურცელში) – გამოცემის ფორმატი, რომელიც ქაღალდის ფურცლის ნახევრის ტოლია. მიიღება ფურცლის ერთხელ (ერთ ღუნში) გაკეცვით. აღინიშნება – F^0 ან 2^0.

„ელზევირებზე“ ვსაუბრობთ, პირველ რიგში ვგულისხმობთ ფურცლის მეთორმეტედ ნაწილზე დასტამბულ მცირე ზომის გამოცემას. ელზევირები უფრო პატარა ფორმატსაც იყენებდნენ, ჩვენი დღევანდელი წარმოდგენით — მინიატურულს. ისინი ფურცლის მეთექვსმეტედ ნაწილზე ბეჭდავდნენ წიგნებს. მცირეფორმატიანი წიგნის ბეჭდვა-გამოცემა მთელ რიგ მხატვრულ, თუ ტექნიკურ სირთულეებთან იყო დაკავშირებული და იმთავითვე პოლიგრაფისტთა პროფესიული პრესტიჟის საქმეს წარმოადგენდა.

მცირე ფორმატის მიუხედავად, ელზევირების ინდივიდუალური შრიფტის წყალობით, ტექსტი ადვილად იკითხება. ალბათ, ეს ფაქტორიც განსაზღვრავდა მათს პოპულარობას. მიუხედავად იმისა, რომ მათი გამოცემები განსაკუთრებულად მდიდრული და ძვირფასი გაფორმებით არ გამოირჩევა, ელზევირების საქვეყნოდ აღიარებული პოპულარობა ბეჭდვის მაღალი ხარისხის დამსახურებაა. მკაფიო და თვალისათვის კარგად აღსაქმელი შრიფტი ყოველდღიურ საკითხავად და სამეცნიერო ნაშრომებისათვის იყო განკუთვნილი. ყოველივე ამის გამო, ელზევირების გამოცემებს უფრო საქმიანი დანიშნულება ჰქონდათ.

ვლადიმერ არონოვი თავის ნაშრომში — „Эльзевиры“ — წერდა: ელზევირებმა სასტამბო საქმის მნიშვნელოვანი რეფორმებით გაითქვეს სახელი. მათ შემოიღეს საკუთარი შრიფტი და განსაკუთრებული ფორმატი; მათი გამოცემები გამოირჩეოდა ლიტერატურული, თემატური და სამეცნიერო მასალის საგულდაგულო მომზადებით.

სიტყვა „ელზევირი“ შრიფტის საზოგადო სახელად იქცა, რომელმაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა გარამონის, ბოდონისა[1] და XVI – XIX ს.ს. სხვა სახელგანთქმულ ასოთჩამომსხმელთა, პუანსონისტთა და მესტამბეთა მიერ შექმნილ შრიფტებს შორის.

და მაინც, რითია გამორჩეული „ელზევირების“ შრიფტი?

დასავლეთ ევროპაში შრიფტის განვითარების საქმეში მას განსაკუთრებული ადგილი უკავია, იგი თავისი სიმკვეთრითა და სი-

1 ჟან ბატისტ ბოდონი – Bodoni (26.2.1740, სალუცო – 30.11.1813, პარმა) – ქ. პარმის საჰერცოგო სტამბის უფროსად მუშაობდა, ქმნიდა ლათინურ, ბერძნულ, რომაულ, ფრანგულ, რუსულ შრიფტებს; განსაკუთრებული იყო ბერძნული კალიგრაფიული შრიფტი. ისინი ბოდონის სახელს ატარებდნენ.

ლამაზით არის განთქმული. მის წინამორბედად მოიაზრება პიერ გარამონის ნახაზების მიხედვით ფრანგული ტრადიციებზე შექმნილი შრიფტი. ელზევირების მემკვიდრედ კი უნდა ჩაითვალოს ენსხედე[1], რომელმაც განავითარა ასოების დეკორატიული მოხაზულობა.

ვლადიმერ არონოვს თავის წიგნში მოჰყავს წიგნის ისტორიის მკვლევრის ა. ნესბიტის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ელზევირების სახელოსნოებში შრიფტი 1647 წელზე ადრე ვერ შეიქმნებოდა. ელზევირები საგულდაგულოდ მალავდნენ შრიფტის კონსტრუქტორის ვინაობას. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მათს პუანსონისტებს არასოდეს ჰქონიათ ისეთი ფართო რეპუტაცია, როგორც კლოდ გარამონისა და გიომ ლე ბეს[2] . ალბათ, ასევე დარჩება საიდუმლოდ, თუ რამდენი მხატვარი მუშაობდა, ან როგორ იყო განაწილებული მათი როლები შრიფტის შექმნისას.

ელზევირების ერთ-ერთი პუანსონისტის – ქრისტოფერ ვან დეიკის ცხოვრების შესახებ მწირი ინფორმაცია მოიპოვება. სავარაუდოდ, იგი ამსტერდამში ჩავიდა დაახლოებით 1640 წელს და მუშაობდა არა მხოლოდ ელზევირებთან. მისი სახელი მოხსენიებულია შრიფტის საცდელ ამონაბეჭდზე, რომელიც გადაეცა ქრისტოფერ პლანტენის საგამომცემლო სახლს დანიელ ელზევირის სიკვდილის შემდეგ, ანუ 1680 წელს. ამონაბეჭდს ახლავს დანიელ ელზევირის ქვრივის წერილი, რომლის ადრესატი ბალტაზარ მორეტუსის ქვრივია.[3]

აი, ამ წერილის ტექსტიც: „...მსურს, საჩქაროდ გავყიდო ჩემს კუთვნილებაში არსებული პუანსონები: 27 სახეობის შრიფტი და 50 მატრიცა, დამზადებული ქრისტოფერ ვან დეიკის მიერ, თავისი და ახლანდელი დროის საუკეთესო ხელოსნისა. ეს კასები საუკეთესოა მათ შორის, რაც კი შეიძლება შეგვხვდეს. მინდა, ამის შესახებ თქვენც შეგატყობინოთ. ამასთან გიგზავნით შვიდ საცდელ

---

1 ისააკ ენსხედე – Izaak Enschedй (დ. 16.4.1681, გარლეიმი – გ. 1.5.1761, გარლეიმი) – ნიდერლანდელი შრიფტჩამომსხმელი, შრიფტის დიზაინერი, გამომცემელი, საბეჭდი კომპანიის დამაარსებელი.

2 გიომ ლე ბეს – Guillaume Le Bй (დ. 1525, ტრუა – გ. 1598, პარიზი) – ფრანგი მწერალი, გრავიორი, შრიფტჩამომსხმელი. დაიბადა ქალალდით მოვაჭრის ოჯახში. იყო რობერტ ეტიენის მოსწავლე, მოღვაწეობდა ვენეციასა და რომში, მუშაობდა კლოდ გარამონთან და ქრისტოფერ პლანტენთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ლათინური, ბერძნული და ებრაული შრიფტები.

3. წერილი ინახება ქ. ანტვერპენში, პლანტენ-მორეტუსის მუზეუმში.

ამონაბეჭდსა და კატალოგს, რათა, როცა ჩაგივარდებათ შესაძლო შემთხვევა, შეძლოთ დამეხმაროთ ამ საქმეში.

ვრჩები თქვენი და ...

დონ. ელზევირის ქვრივი".

წერილის დაწერის თარიღად მითითებულია 1681 წლის 5 მარტი.

ქრისტოფერ ვან დეიკის პიროვნების შესახებ ამსტერდამის არქივებში კვლევებს ატარებდა ა. ვილლემსი. მან მიაკვლია მწირ ინფორმაციას: 1683 წლის 17 ივნისის გაზეთი „Gazette de Harlem" იუწყება ვინმე იან ბოსის მიერ ვან დეიკის შრიფტის შესყიდვის თაობაზე, რომელმაც ისინი შეიძინა გამომცემელ იოსიფ ატიასისათვის. ეს შრიფტები, შემდგომში ატიასს არაერთხელ გამოუყენებია და ამასთან, მაღალი შეფასებაც მიუღია მათი საშუალებით დაბეჭდილი ბიბლიის გამოცემისათვის. მოგვიანებით, ეს შრიფტი აღმოჩნდა ენსხედესა და ჟან რამონთან.

XVII – XVIII საუკუნეების მიჯნაზე ვან დეიკის შრიფტი გავრცელდა ჰოლანდიასა და საფრანგეთში. ამის შემდეგ „ელზევირს" უწოდებდნენ არა მხოლოდ ვან დეიკის შრიფტს, არამედ ვან დეიკის ნახაზის მიმსგავსებით შესრულებული შრიფტის გარნიტურსაც.

ელზევირების შრიფტებს ეძღვნება ს. ხარტცის გამოკვლევა. მკვლევრის აზრით, ბონავენტურასა და აბრაჰამის წიგნთა უმრავლესობა აწყობილი იყო გარამონისა და ლე ბეს შრიფტებით. არაბული, სირიული, რომაული და იტალიური ტექსტებისათვის ისინი იყენებდნენ ვან ერპეს სტამბის შრიფტებს. ამას გარდა, მთელი რიგი სხვადასხვა გარნიტურებისა ელზევირებთან მოხვდა ფრანკფურტში არსებული ლუთერის ყოფილი გამომცემლობიდან.[1]

ელზევირების პოლიგრაფიული სტილის ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა იქონია იმან, რომ ლოდევეიკი, ბონავენტურა და აბრაჰამი დიდი ხნის განმავლობაში ქრისტოფერ პლანტენის ტრადიციებს აგრძელებდნენ.

პლანტენი, როგორც „პროტოტიპოგრაფი" და ჰოლანდიის მთავარი გამომცემელი, არა მხოლოდ თვალყურს ადევნებდა ქვეყნის ყველა გამომცემლობის საქმიანობას, არამედ ადგენდა სავალდებულო ეგზემპლარების კატალოგებს. მას ასოთამწყობ კასებში ჰქონდა

1 В.Р. Аронов, Эльзевиры. - М.: Книга, 1975.- 114с. (88).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელზევირების დინასტიის წარმომადგენლები



იმ დროისათვის საუკეთესო შრიფტები. პლანტენი, თავდაპირველად, ასოთჩამომსხმელი საქმით არ იყო დაკავებული. იგი საფრანგეთში უკვეთავდა მისთვის სასურველ შრიფტს. სწორედ აქედან მოდის მისი მიმდევრების – ელზევირების ფრანგული ტრადიცია.

პლანტენის შრიფტები შტრიხებისა და ნაჭდევების სიმკვეთრით არ ჩამოუვარდებოდა იმ შრიფტებს, რომლებსაც იყენებდნენ მანუცი[1] და ეტიენები[2]. მართალია, მისი „ანტიკვა“ რამდენადმე უხ-

---

1 ალდ მანუცი – ლდუს ანუტიუს (დ. დაახ. 1450, ბასიანო – გ. 6.2.1515, ვენეცია) – იტალიელი სწავლული, მესტამბე, გამომცემელი. დააარსა საგამომცემლო სახლი „ალდები“, რომელმაც ასი წელი იარსება. შექმნა მრავალი პოლიგრაფიული შედევრი.

2 ეტიენები – სტიენნე - ფრანგ მესტამბე-გამომცემელთა ოჯახი, დააარსეს საგამომცემლო სახლი, 1502–1660 წ.წ. მუშაობდნენ ლიონში, პარიზსა და ჟენევაში, გამოსცეს 1500 წიგნი, შემოიღეს არაჩვეულებრივი ბერძნული (ე.წ. სამეფო) შრიფტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელზევირების
საგამომცემლო ნიშანი.

ბონავენტურა და აბრაჰამ ელზევირების
საგამომცემლო ნიშანი.

ეშია, სამაგიეროდ, საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს „კურსივი“ და ბერძნული კალიგრაფიული შრიფტები.

რაც შეეხება ელზევირების შრიფტების ჩამონათვალს, ცნობილია ორი სპეციალური კატალოგი.

პირველი მათგანი წარმოადგენს დიდი ფორმატის ამონაბეჭდის (ინ-ფოლიო) ერთ ფურცელს. სწორედ მის შესახებ წერდა ქვრივი წერილში. ფურცელზე წარმოდგენილი იყო რვა ორნამენტის, ორმოცამდე რომაული და „იტალიკის“ შრიფტის ნაირსახეობების ნიმუშები, რომელთა კეგელის[1] ზომები შეესაბამებოდა დაახლოებით 36 პუნქტს.

მეორე კატალოგი დათარიღებულია 1713 წლის 20 თებერვლით. როგორც მისი სათაური მოწმობს, იგი ლეიდენის სტამბის შრიფტის სადემონსტრაციოდაა შექმნილი. მასში წარმოდგენილია არაბული, სირიული, ეთიოპიური, ბერძნული, ებრაული, ლათინური და სხვა შრიფტები. მრავალი მათგანი ვან ერპეს სტამბისაა და ვან დეიკთან არავითარი კავშირი არა აქვს.

1 შრიფტის კეგელი (გერმ. ეგელ) – ლიტერის ზედა და ქვედა კედლებს შორის მანძილი, ანუ შრიფტის თვალის სიმაღლე მხარეულებთან ერთად. იზომება პუნქტებში.

ამრიგად, შრიფტი „ელზევირი“ დამახასიათებელია, უპირველეს ყოვლისა, ამსტერდამის სტამბისათვის, მაგრამ თქმა იმისა, რომ იგი მხოლოდ ამსტერდამში გამოიყენებოდა, არ შეიძლება.[1]

ჰოლანდიელი ისტორიკოსის მ. გრუნენდალის მოსაზრებით, ვან დეიკმა შრიფტების მთელი საფუძველი მოისესხა გარამონისაგან. ვან დეიკთან ჩვენ ვხვდებით იმდაგვარივე გრაფიკულ სქემას, სწორი და დახრილი, ოთხკუთხედი და მრგვალი ფორმების გამოყენებით აგებულ ისეთსავე გეომეტრიულ ნახაზს. ამასთან, ვან დეიკს გარამონთან შედარებით ე.წ. ვენეციური ტრადიციებისაკენ აქვს მიდრეკილება – გამოყენებულია ისეთი ელემენტები, როგორიც ძველ რომაულ კაპიტელურ წარწერებსა და ხელნაწერთა შრიფტებშია.

ვან დეიკის შრიფტის განსაკუთრებულობა ძირითადი და შემაერთებელი შტრიხების სისქის უმნიშვნელო განსხვავებაში მდგომარეობს. ასოებში საღებავის ნაჟური (ლექი) ასიმეტრიულად არის მოცემული. ასოს გამობურცული მოხაზულობა ბევრად მსუბუქია, ვიდრე გარამონისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვან დეიკის კონტრასტი „S“ და „X“ პუანსონების დასასრულებში.

ელზევირების შრიფტი უშუალოდაა დაკავშირებული მათი გამოცემების პატარა ფორმატებთან. ერთი მხრივ, ისინი ცდილობდნენ ფორმატის 1/24 და 1/12 ნაწილის თითოეულ გვერდზე, რაც შეიძლება, მეტი ტექსტი დატეულიყო, მეორე მხრივ, მიეღოთ ადვილად კითხვადი შრიფტი. მაგრამ ამსტერდამული ტიპის წიგნებისათვის, რომლთათვისაც საკუთრივ შეიქმნა ორიგინალური შრიფტი „ელზევირი“, ძალიან პატარა ფორმატები არაა დამახასიათებელი. იქ ძირითადად იბეჭდებოდა ფორმატის 1/4 და 1/12 ნაწილზე. შრიფტის ნახაზებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქმიანი და არაძვირფასი წიგნის ხასიათმა.

ელზევირებს შორის ბევრია ილუსტრირებული გამოცემა. მაგალითად, 1638 წელს დაბეჭდილი ჯაკომო დე ვინიოლას „ხუთი არქიტექტურული ორდენის წესი“. მასში სპილენძზე შესრულებული 50 ილუსტრირებული გრავიურაა. გრავირების ამავე მეთოდითაა დამზადებული ელზევირების თანამედროვეთა შესანიშნავი პორტრეტები.

---

1 В.Р. Аронов, Эльзевиры. - М.: Книга, 1975.- 114с. (89).

მარტინ ბრონევსკი. "Russia feu Moscovia itemque Tartaria". 1630წ.

მცირეფორმატიანი ელზევირების უმრავლესობა ილუსტრაციების გარეშეა გამოცემული, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მათ მსოფლიო პოლიგრაფიული ხელოვნების შედევრებად აღიარებაში.

ელზევირებს, როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმე სამარკო ნიშანი ჰქონდათ: ზეთისხილის ტოტებგაშლილი ხის ქვეშ მყოფი ქალღმერთ მინერვას გამოსახულება, ბაფთაზე მიწერილი დევიზით: „NE EXTRA OLEAS" — „არაფერი ზეთისხილის გარდა"; გლობუსი; ტოტებგაშლილი, გაფოთლილი ხის ქვეშ მდგომი განდეგილი, ბაფთაზე წარწერით: „NON SOLUS" — „არა მხოლოდ ერთი".

ელზევირებმა არა მარტო განსაზღვრეს XVII საუკუნის სასწავლო და სამეცნიერო წიგნების ხასიათი და მიმართულება, არამედ მნიშვნელოვნი ზემოქმედება მოახდინეს წიგნის ბეჭდვისა და საერთოდ, წიგნის ხელოვნების შემდგომ განავითარებაზე.

ელზევირების გამოცემების სრული სიის დადგენა შეუძლებელია, რადგან ისინი სხვის მიერ დასტამბულ წიგნებს ყდასა და თავფურცელს უცვლიდნენ და თავიდან გამოსცემდნენ, ხანაც წიგნის შინაარსის გამო ანონიმურად ბეჭდავდნენ.[1]

ელზევირების სტამბაში მუშაობდნენ გამოცდილი ხელმარჯვე ამწყობები და მეტრანპაჟეები(დამკაბადონებლები), რომლებიც სრულყოფილად ფლობდნენ ანაწყობისა და დაკაბადონების ხელოვნებას. ცალკეული გამოცემები თუ ტომეულები უნიკალურად, მაგრამ სადად გაფორმებულ ძვირფას ტყავის ყდებშია ჩასმული, რაც მათ მეტ ორიგინალობას სძენს.

1 М.И. Щелкунов. История техника искуство книгопечатания. – М., Л. 1926. с.132.

ელზევირების საგამომცემლო სახლში გამოცემული რამდენიმე წიგნი საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდშიცაა დაცული. მათ შორის ორი ყველაზე ძველი და ყველაზე მცირეფორმატიანია: პირველი მათგანი – „Russia feu Moscivia itemque Tartaria“, 1630 წლითაა დათარიღებული. ლეიდენის სტამბაში დაბეჭდილი 105 X 55 მმ ზომის წიგნი მუქი მწვანე ფერის ტყავის ყდითაა შემოსილი. წიგნის შემონაჭერი ჟოლოსფრადაა შეღებილი. ყდა, სავარაუდოდ, დედნისეული არ არის და შემდგომ პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს. ორივე ფრთაზე დაკრულია ღია ჩალისფერი, უთხელესი აბრეშუმის – მუარის ფორზაცი. სატიტულო ფურცელზე ილუსტრაციებშია ჩართული ელზევირებისათვის დამახასიათებელი ორი „ფარი“. ერთ მათგანზე წიგნის სათაურია; მეორე, ქვემოთ, ვერტიკალურადაა განთავსებული, რომელზედაც გამოცემის თარიღი და ადგილმდებარეობაა – „Lygd-Batavorum Ef officina Elzeviriana” – მოცემული. წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება, მეორე ნაწილის სათაურია: „Tartaria“. თითოეულ ნაწილს საკუთარი სარჩევი ახლავს. წიგნში, 327 დანომრილი გვერდების შემდეგ, 9 დაუნომრავი გვერდია, რომლებზედაც ანბანური საძიებლია განთავსებული.



გაიუს პლინიუს სეკუნდუსი. „ბუნების ისტორია“. 1632წ.

ელზევირების საგამომცემლო სახლში დაბეჭდილი მეორე წიგნი – “Bosporo thracio”, თავისი ზომებით – 65 X 115 მმ — ოდნავ აღემატება მინიატურული წიგნისათვის დადგენილ პარამეტრებს. იგი 1632 წლითაა დათარიღებული. გამოცემა ყავისფერი ტყავ-

გადაკრული ყდითა და ულამაზესი ტვიფრული, ბინტებიანი ყდითაც დამშვენებული. ყუაზე რელიეფური, ამობურცული განივი ზოლები, ე.წ. ბინტები (გერ. **Binde** — სახვევი, ბინტი), „ელზევირების“ გამოცემებისათვის დამახასიათებელი დეკორატიული გაფორმების ერთ-ერთი ელემენტი იყო. აღნიშნული წიგნის სატიტულე ფურცელიც უხვადაა ილუსტრირებული, 379 დანომრილ გვერდს მოსდევს ბოლო ორ ფურცელზე განთავსებული სარჩევი. ორივე წიგნი მ. სარქისოვ-სერაზინმა შემოსწირა ბიბლიოთეკას 1962 წელს.

ელზევირების საგამომცემლო სახლი მთელი ეპოქაა წიგნის ხელოვნების ისტორიაში. მათ მიერ გამოცემულ წიგნებს „ელზევირებს“ უწოდებენ, რომლებიც მსოფლიოს პოლიგრაფიული ხელოვნების შედევრებსა და ჰოლანდიელი ხალხის ეროვნულ ღირსებას წარმოადგენენ. ისინი უძვირფასეს რელიქვიებადაა აღიარებული მრავალი ქვეყნის წიგნსაცავისათვის. ამ სახელგანთქმულ ნიდერლანდულ საგამომცემლო სახლს დღევანდელი გადასახედიდანაც უნივერსალური უნდა ვუწოდოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 6. - თბ., 19
2. В. Р. Аронов, Эльзевиры. - М., Книга, 1975.- 114 с.
3. Ф.И. Булгаков, Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства, т.1. – С-Пб., изд. А.С.Суворина, тип. А.С. Суворина, 1889, с. 364.
4. Г. Геннади, Миниатюрные издания Данта и Крилова. – «Российская библиография», 1879, № 21.
4. Книговедение. – М., 1982. – 664 с.
5. Краткия сведения по типографскому делу. – С-Пб., 1899. - 568 с.
6. Е. Л. Немировский, О. М. Виноградова. Миниатюрные книги вчера, сегодня, завтра. - М., 1977, изд. «Книга», – 254 с.
7. Е. Л. Немировский, Шедевры миравого полиграфического искуства. – Ч. 3. – М., 1990.
8. М. И. Щелкунов, История, техника, искуство книгопечатания. – М., Л., 1926, –131 с.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერგილიუსის პოემების უძველესი აკადემიური გამოცემა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდის ერთ-ერთ ყველაზე ძველ, ლაიფციგში დაბეჭდილ 836-გვერდიან ლათინურენოვან წიგნს – „P. Virgilii Maronis opera. Bucolicon. Georgicon. Aeneis... Lipsiae, 158[1] – ყდაზე ამოტვიფრული აქვს მრგვალი, მოოქრული სუპერექსლიბრისი, რომელიც მოწმობს, რომ ეს გამოცემა ეკუთვნოდა გერმანელ თეოლოგსა და ებრაისტს სამუელ მაიენრაისს. ამ ფაქტს ადასტურებს წიგნის თავფურცელზე შავი მელნით მიწერილი, 1589 წლით დათარიღებული ავტორგაფიც „Samuel Meienreis. Elbing. Boruss. 1589“ (სამუელ მაიენრაისი. ელბინგი. პრუსიელი). იმავე პიროვნების ვრცელი მინაწერია წიგნის წინა ფორზაცზე, სადაც წითელი მელნით, ლამაზი კალიგრაფიით ჩამოწერილია გაიუს იულიუს კეისარის თხზულებებიდან ამოკრებილი ფრაზები ვერგილიუსის პოეზიის შესახებ.

სამუელ მაიენრაისი დაიბადა 1572 წელს პრუსიის ქალაქ ელბინგში[2], ბურმისტრების ცნობილ ოჯახში. ადგილობრივი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან მოიპოვა ფილოსოფოსისა და თეოლოგის ტიტული, შეისწავლიდა თეოლოგიასა და ძველ ებრაულ ენას (ივრითს) ალტდორფში, ლაიფციგში, ფრანკფურტსა და ლეიდენის უნივერსიტეტში.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ელბინგის საქალაქო საბჭომ მაიენრაისი მოძღვრად აირჩია ქალაქის ღვთისმშობლის ეკლესიაში. მისმა ქადაგებებმა მალე დიდი მოწონება დაიმსახურა. სამუელის შემდგომ განათლებაზე იზრუნა პასტორმა ბოჰმანმა, ვისი რჩევითაც სწავლა გააგრძელა ლეიდენის კალვინისტურ უნი-

---

1 პუბლიუს ვერგილიუს მარონის თხზულებები: ბუკოლიკები, გეორგიკები, ენეიდა. ლაიპციგი, 1881.

2 პოლონურად – ელბლონგი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს ქალაქი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შემადგენლობაშია.

ვერსიტეტში. 1600–1602 წლებში მაიენრაისმა შეადგინა დღიური, რომელიც შეიცავს ოცდაცამეტ ჩანაწერს. დღიურიდან ირკვევა, რომ ლეიდენში მას ურთიერთობა ჰქონდა თავის გიმნაზიელ მეგობრებთან და ბურჟუაზიული ფენებიდან გამოსულ უფროსი ასაკის ღვთისმეტყველ სტუდენტებთან. დღიურის მფლობელი ჩანაწერებს ხელს აწერს, როგორც „ელბინგელი პრუსიელი“, რომლის იდენტური მინაწერია ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ეგზემპლარზეც.

ვერგილიუსის პოემების უძველესი გამოცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან.

ლონდონსა და დანიაში მოგზაურობისას მაიენრაისის ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა, მაგრამ იგი ავადმყოფობის დროსაც კი განაგრძობდა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. სამუელს ეკუთვნის სამეცნიერო ნაშრომები ძველი და ახალი აღთქმის წიგნების შესახებ. კალვინიზმის მიმდევარი თეოლოგის პირველი სამეცნიერო ნაშრომი „ეპისტოლე ებრაელებისადმი“ მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა.

უკანასკნელი მოგზაურობის შემდეგ მაიენრაისი მძიმედ დაავადდა და გარდაიცვალა 1604 წელს 32 წლის ასაკში. იგი დასაფლავებულია ელბინგის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში.

თეოლოგის სიკვდილის შემდეგ მისი წიგნები, მემკვიდრეების სურვილით, ელბინგის გიმნაზიას გადაეცა. რექტორ ზეილერის მიერ შედგენილი 263 წიგნის სია დღეს დაკარგულად ითვლება. მაიენრაისის პირადი წიგნები სასწავლებლის ბიბლიოთეკაში კოლექციის სახითაა დაცული. მათგან ზოგიერთი ეგზემპლარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამუელ მაიენრაისის
სუპერექსლიბრისი.

იოჰან შტაინმანის
საგამომცემლო ნიშანი.

დაბეჭდილია ცნობილ გამომცემლებთან: იოჰან ოპორინუსთან და ჰენრიკ პეტრუსთან – ბაზელში, ქრისტოფერ პლანტენთან – ლეიდენსა და ანტვერპენში. წიგნების უმეტესობას გადაკრული აქვს ხბოს ან თიკნის თხელი ტყავის ყდა, ხოლო წინა ფრთაზე ოქროთი მოვარაყებული, მცენარეული ორნამენტით დამშვენებული მრგვალი სუპერექსლიბრისია წიგნის მფლობელის გვარ-სახელის პირველი ასოებისგან შედგენილი მონოგრამით – „MS“; ექსლიბრისზე ამოტვიფრულია თარიღი – 1604, ხოლო გარშემოწერილობაში იკითხება ლათინური წარწერა დავით წინასწარმეტყველის 133-ე ფსალმუნიდან: „Ecce quam bonum habitare fratres in unum“[1]. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდის ეგზემპლარის ყდაზე ზუსტად ასეთი სუპერექსლიბრისია.

პოლონელი ბიბლიოფილების დაკვირვებით, მაიენრაისის წიგნებს ეტყობა ინტელექტუალი მკითხველის მიერ მათი ინტენსიური გამოყენების კვალი: ტექსტში შავი მელნითაა გახაზული მკვლევრისთვის საინტერესო ადგილები. ეროვნული ბიბლიოთეკის ზემოთ აღნიშნულ ეგზემპლარშიც, წინა ფორზაცის ვრცელი ლათინურენოვანი მინაწერის გარდა, წითელი და შავი მელნით მონიშნულია ადგილები, მინდვრებზე კი მიწერილია ტაეპების რიცხვები და შენიშვნები. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი დეტალი: თავფურცელზე

1 „აი, ძმებო, რა კარგია ერთად ცხოვრება“.

ფორტუნა — ბედისწერის რომაული სიმბოლო.

ელბინგის იმ სასწავლებლის ბიბლიოთეკის ბეჭედია, სადაც მეცნიერის პირადი ბიბლიოთეკაა დაცული.

თეოლოგის ნაქონ წიგნს ყდაზე გადაკრული აქვს ღია ყავისფერი ხბოს ტყავი, რომელიც ორივე მხარეს გარშემოვლებულია მცენარეული ორნამენტებით. ფურცელთა შემონაჭერი წითელი საღებავითაა დაფერილი, ხოლო წინა ფრთაზე შემორჩენილია რკინის საკეტების დეტალები. ფურცელთა ბლოკი ყუაზე „ბინტებითაა“ შეკრული. წიგნის უკანა ფრთაზე, ოვალურ ჩარჩოში, რომაელთა ბედის ქალღმერთის, ფორტუნას გამოსახულებაა. ქალღმერთს ცალ ხელში გემის საჭე უპყრია, ხოლო მეორეში – ღვთაებრივი თხის, ამალთეას რქა; დეკორატიულ ჩარჩოებზე ამოტვიფრულ მედალიონებში, სავარაუდოდ, რომაელ პოეტთა ან იმპერატორთა პორტრეტებია ამოტვიფრული; ფორტუნას ცენტრალური გამოსახულების უკანა ფონზე მოჩანს აფრებიანი ნავი და ტაძარი. ცნობილია, რომ ფორტუნა, ბედნიერებისა და ბედის ცვალებადობის სიმბოლოა, გემის საჭე ბედის მერყეობასა და ადამიანთა ცხოვრების ზეციური ძალებისაგან მართვაზე მიგვანიშნებს, თხის რქა კი ღვთიურ სიუხვეს განასახიერებს.

XVI საუკუნის გერმანული წიგნების ტყავის ყდებზე მიღებული იყო ორნამენტების საბეჭდი გორგოლა-



ელბინგის ღვთისმშობლის ეკლესია.

ჭით, „ცივი პრესის“ ტექნიკით ამოტვიფვრა. ყდებზე ცენტრალური გამოსახულების გარშემო ნაზი მცენარეული ორნამენტების წყება ჩარჩოს დასამშვენებლად გამოიყენებოდა. რენესანსის ეპოქის გერმანული წიგნების გამომცემლები, ტრადიციულად, ყდის ცენტრალურ ნაწილს აფორმებდნენ ბიბლიური სიუჟეტებით ან წიგნის შინაარსიდან გამომდინარე, მითოლოგიური პერსონაჟებითა და წარწერებით. აღნიშნულ ეგზემპლარზე ფორტუნას სიმბოლური გამოსახულების გარშემო ლათინურ ენაზე ამოტვიფრულია ოვიდიუსის ცნობილი გამონათქვამი პოეტის მერვე ელეგიიდან – “Passibus ambiguis fortuna volubilis errat. Et manet in nullo certa tenaxque loco sed modo laeta manet“, რომლის შინაარსი დაახლოებით ასე ითარგმნება: „ბედი განუსაზღვრელი ნაბიჯებით დაეხეტება ყველა მიმართულებით, ზოგჯერ მხიარულია, ზოგჯერ მწუხარე, მყარია მხოლოდ მისი ცვალებადობა“.

წიგნებზე ასეთი ტვიფრული გამოსახულებებისა და წარწერების გაკეთების სურვილი მეტყველებდა გერმანელ ოსტატთა ფართო განათლებასა და თვალსაწიერზე, დახვეწილ გემოვნებასა და ფილიგრანულ ხელოვნებაზე. დამყდავებელს უნდა გაეთვალისწინებინა ლიტერატურის შინაარსი, ყდის შემკვეთის გემოვნება, მსოფლმხედველობა და მისი ინტერესები.

საქსონიის(ჰალეს), ბავარიის (მიუნჰენის) და ციფრული ბიბლიოთეკების სხვა ელექტრონულ კატალოგებში მოვიძიეთ ბაპსტის, შტაინმანისა და ვეგელის მიერ საქსონიაში დაბეჭდილი წიგნების ფოტოები. ყდის ტვიფრის ელემენტთა ვარიანტულობის მიუხედავად, ამ გამოცემებში დაცულია XVI საუკუნის გერმანული წიგნების გაფორმებისთვის დამახასიათებელი ეპოქის სტილი. როგორც წესი, ამ პერიოდში წიგნები უყდოდ გამოდიოდა და შემდეგ მათ მყიდველის დაკვეთით სპეციალურ სახელოსნოებში „მოსავდნენ“, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ცნობილ გამომცემლობებში, სადაც წიგნები დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა და იყიდებოდა, წიგნის პროფესიონალ დამყდავებლებსაც ემუშავათ.

1576 წელს იოჰან(ჰანს) შტაინმანმა თავის სტამბაში დაბეჭდა ვერგილიუსის „ბუკოლიკებისა და გეორგიკების“ პირველი ლაიფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრუსიის ქ. ელბინგი. XVII ს. ქსილოგრავიურა.

ციგური გამოცემა, ხოლო 1581 წელს – პოეტის ლექსებისა და პოემების ახალი, შევსებული ვარიანტი.

ვერგილიუსის პოემების 1581 წლის უიშვიათესი გამოცემის თითო ეგზემპლარი დაცულია მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე ბიბლიოთეკაში, მათ შორის: ბავარიის, მორავიისა და საქართველოს ბიბლიოთეკებში. ამ უძველესი აკადემიური გამოცემის შემდგენელსა და მეცნიერ-რედაქტორს, ფილოლოგსა და პოეტს, გრეგორ ბერსმანს (1538-1611)[1] მანუსკრიპტებსა და პირველ ბეჭდურ ვერსიებზე დაყრდნობით შეუჯერებია ვერგილიუსის თხზულებათა ტექსტები, რომელთა პირველწყაროები შენიშვნებითურთ ფურცლების ფართო მინდვრებზე განუთავსებია. თავფურცლის ტექსტსა და რედაქტორის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ეს წიგნი ბევრად სრულყოფილია ვერგილიუსის თხზულებების წინა გამოცემებთან შედარებით და რომ „ყველაფერი ამ წიგნში შეიკრიბა და გამო-

1 თავფურცლის ტექსტის მიხედვით: „Gregor Bersmani Annabergensis“ (გრეგორ ბერსმანი ანნაბერგიდან).

ქვეყნდა უფრო ზუსტად, ვიდრე წარსულში". წიგნში ტრადიციული მიძღვნის ტექსტს მოსდევს ვერგილიუსის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ვრცელი ბერსმანისეული მონოგრაფია.

საინტერესოა ამ უიშვიათესი წიგნის გამომცემლობის ისტორიაც: აქ ორი საგამომცემლო ნიშანია, რომელთაგან თავფურცლის ვინიეტი ეკუთვნის ლაიფციგელ გამომცემელსა და კომერსანტს ერნსტ ვეგელს (1529-1589)[1]. მის საგამომცემლო ნიშანზე გამოსახულია მაცხოვრის ჯვარცმა და ანგელოზები.

ვეგელის საგამომცემლო სახლი ერთ-ერთი მსხვილი კორპორაცია იყო საქსონიაში, რომელიც აერთიანებდა სტამბასა და წიგნების მაღაზიათა ფართო ქსელს. ვეგელის სტამბაში წიგნები იბეჭდებოდა ექვს მანქანაზე ე. წ. „პრესებზე", ხოლო პროდუქციის რეალიზება ხდებოდა საქსონიასა და გერმანიის სხვა რეგიონებში. ამ დროს ლაიფციგში წიგნების დიდი ბაზრობები იმართებოდა, იბეჭდებოდა კატალოგებიც, რომლებიც მკითხველებს სთავაზობდა ახალ, საინტერესო პროდუქციას.

ვეგელის სტამბა, იმ დროის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, გამოსცემდა საეკლესიო წიგნებს, ძველბერძნულ და რომაულ ლიტერატურას – ფილოსოფიურ და პოეტურ ნაწარმოებებს. ვეგელმა გააგრძელა თავისი სიმამრის, ასევე აღიარებული გერმანელი მესტამბის, ვალენტინ ბაპსტის გამომცემლობის საოჯახო ტრადიცია. ბაპსტის მიერ XVI საუკუნის 40–50-იან წლებში ლაიფციგში დაბეჭდილ შესანიშნავ წიგნებს „გერმანულ ალდინებსაც" უწოდებენ.

1576 წელს ვეგელმა, რომელსაც ბრალს სდებდნენ კრიპტოკალვინისტობაში,[2] დატოვა ლაიფციგი, რის შემდეგაც მის გამომცემლობასა და ქონებას ქალაქის მერია დაეპატრონა. ცოტა ხნის შემდეგ ვეგელის შვილებმა დაიბრუნეს სტამბა და გააგრძელეს საგამომცემლო საქმიანობა. ამ დროიდან მას სათავეში ჩაუდგა ვეგელის ერთ-ერთი პარტნიორი ჰანს შტაინმანი[3].

---

1 მოღვაწეობის წლები: 1559-1576წ.

2 კალვინის მოძღვრების ფარული მიმდევრები.

3 იგივე.: იოანნ, ან იოჰანნ შტაინმანი. მოღვაწეობის წლები: 1571–1590.

ვერგილიუსის 1581 წლის ლათინური გამოცემის ბოლო გვერდზე დაბეჭდილია თავფურცლის ვინიეტისგან განსხვავებული, ძალიან საინტერესო სიუჟეტური საგამომცემლო ნიშანი, რომელიც წიგნის რეალურ გამომცემელს, ჰანს შტაინმანს ეკუთვნის. საგამომცემლო გრავიურაზე გამოსახული ბიბლიური იაკობი ხალხს აჩვენებს უფლის სიტყვების „მოწმე“ საკრალურ ქვას, რათა ურწმუნოებს შეახსენოს ჭეშმარიტი ღმერთის არსებობა.[1]

თავფურცელზე ვეგელის საგამომცემლო ნიშნის დაბეჭდვით შტაინმანი ხარკს უხდის თავის ღირსეულ წინამორბედსა და პარტნიორს და ხაზს უსვამს მისი საგამომცემლო სახლის ტრადიციათა ერთგულებას.

რენესანსის ეპოქის სხვა გერმანული წიგნების მსგავსად, ვერგილიუსის აღნიშნული გამოცემა ილუსტრირებულია ტექსტის შინაარსის შესაბამისი გრავიურებით. წიგნში 12 ქსილოგრავიურაა, რომლებიც განთავსებულია დანომრილი და ნაბეჭდი გვერდის მეორე მხარეს. გრავიურების ქვედა მარჯვენა, ან მარცხენა კუთხეებში ანონიმი მხატვრების ინიციალებია: „M“, „MB“ და „CM“. ინიციალების ქვემოთ გრავიურის საჭრელი დანაა გამოსახული. ანონიმ მხატვარ-გრავიორთა ინიციალებისა და მონოგრამების ლექსიკონის შემდგენლის, ცნობილი გერმანელი ხელოვნებათმცოდნის, ფრანც ბრულიოს მიხედვით, ამ მონოგრამების ავტორები პროფესიონალ ოსტატ-გრავიორთა გაერთიანებებს მიეკუთვნებოდნენ, რომლებიც ხატავდნენ იმ დროის სახელგანთქმულ მხატვართა მიბაძვით. სამწუხაროდ, ისინი დღემდე ანონიმ ავტორებად დარჩნენ, რადგან სხვა მხატვრების გვარების ინიციალებით ინიღბებოდნენ.

შტაინმანის მიერ გამოცემული ვერგილიუსის თხზულებები დაბეჭდილია ორი განსხვავებული ლათინური შრიფტით მაღალხარისხოვან ქაღალდზე, ტექსტი გაფორმებულია ვინიეტებითა და მთავრული ასოებით, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს გამოცდილ გერმანელ მესტამბეთა ესთეტიზმსა და საუკუნეების წიაღიდან მომდინარე კულტურულ ტრადიციებზე.

---

1 საგამომცემლო გრავიურის წარწერა ლათ. ენაზე: „Lapis iste erit vobis in testimonium quod audierit omnia verba Domini quae locutus est vobis ne forte postea negare velitis et mentiri Domino Deo vestro“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Francois Brulliot. Dictionnaire monogrammes, marques, figures, lettres, initiales, noms... Munich, 1817 (1832), vol. 1.

2. Raske, Christoph. Die Buchdrucker des 16. und 17. Jahrhunderts im deutschen Sprachgebiet-Wiesbade, 2007.

3. Gregor Bersman – The General biographical dictionary... A neu edition. Vol. V. London, 1812. P. 148-149.

ელექტრონული რესურსები:

1. Meienreis Samuel (1572–1604) – Kalwinski teolog, bibliofil. – http://historia.bibliotekaelblaska.pl/artykul/2833.

2. ბავარიის ბიბლიოთეკის ფოტოკატალოგი (BSB-Bayerische StaatsBibliothek).-http://www.Europeana.eu/portal/record Bayerische Stadsbibliothek.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ლორია

ბიბლიოთეკათმცოდნეობის სათავეებთან

შესავალი

ბიბლიოთეკათმცოდნეობაზე, როგორც მეცნიერულ სისტემაზე, ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული მყარი, საყოველთაოდ აღიარებული დებულება და მიღებული კონცეფციაც არაერთგვაროვანია. ქვეყნების მიხედვით მის მიმართ დამოკიდებულებაც ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ისტორიულ ეპოქათა შესაბამისად საბიბლიოთეკო საქმის მიმართ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაც თავისებურებებით გამოირჩეოდა.

ბიბლიოთეკათმცოდნეობის ისტორია საკმაოდ კარგად იცნობს სხვადასხვა დროისა და ქვეყნის მეცნიერ-მკვლევართა მოსაზრებებს საბიბლიოთეკო საქმის თეორიის შესახებ.

საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა საბიბლიოთეკო საქმის თეორია და თანდათან მეცნიერულ სისტემად იქცეოდა.

ვიდრე საბიბლიოთეკო საქმის თეორია ჩამოყალიბების სტადიაში იყო და ერთიანი მოძღვრებისათვის საჭირო ბაზა ჯერ კიდევ არ არსებობდა, კვლევა-ძიებებითა და დაკვირვებებით მიღებული შედეგები და მოსაზრებები გამოხატულებას პოულობდა მეთოდიკურ რეკომენდაციებში. ადრეული თეორიები მართლაც მეთოდიკურ-ინსტრუქციული დამუშავება უფრო იყო, ვიდრე მეცნიერული კვლევის შედეგთა ერთობლიობა. შემდეგ თანდათანობით ჩნდება წმიდა მეცნიერული პრობლემების დამუშავების პრეცედენტები, ხდება მიღებული შედეგების შეჯერება, ინტეგრირება და კვლევის არეალის გაფართოება. და ყოველივე ამან გამოიწვია საბიბლიოთეკო თეორიის — ბიბლიოთეკათმცოდნეობის შექმნა.

ყველა მეცნიერება ეპოქათა შესაბამისად გარკვეულ ცვლილებებს განიცდის — ფართოვდება ან ვიწროვდება, იცვლის სახეს, ავლენს ახალ-ახალ პრობლემებს, აკეთებს აღმოჩენებს, ყალიბდება მისი პრინციპები, ზუსტდება ამოცანები და დანიშნულებები, ღრმავდება შინაარსი, ხდება საბოლოოდ მისი ფორმირება, მაგრამ ეს არ გაიგება როგორც განვითარების სასრული. დიალექტიკური პროცესების შედეგად მისი მომავალი სავსებით ღიაა შემდგომი განვითარებისათვის.

სწორედ ამგვარ სისტემას წარმოადგენს ბიბლიოთეკათმცოდნეობაც. მისი გაგება დიდადაა დამოკიდებული არსებულ სიტუაციაზე, ქვეყნის მეცნიერული დონის განვითარებულობაზე, კულტურასა და განათლებაზე, იდეოლოგიურ საფუძვლებზე, სოციალურ გარემოში მის ადგილსა და მნიშვნელობაზე.

1. ბიბლიოთეკათმცოდნეობის, როგორც მეცნიერული სისტემის რაობა.

ბევრ მკვლევარს მიაჩნდა, რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობა არის არა მეცნიერება, არამედ სხვადასხვა პრაქტიკული საკითხების მეთოდიკურად დამუშავებულ მოსაზრებათა ერთობლიობა.

ბიბლიოთეკათმცოდნეობის კვლევის სფერო ასე ძლიერად რომ არ გაფართოებულიყო, ეს მოსაზრება შეიძლება ჭეშმარიტებად ჩათვლილიყო, მაგრამ შემდგომში ამგვარი გაგება უკვე აღარ შეესაბამებოდა რეალობას.

მკვლევართა ერთი ჯგუფი ახლაც თვლის, რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობა ვერ იქნება მეცნიერული სისტემა, რადგანაც იგი ბიბლიოთეკის ტექნიკურ-ფორმალურ პროცესებს შეისწავლის. დიდი ხანია, მეცნიერული და საზოგადოებრივი აზრი გასცდა ბიბლიოთეკათმცოდნეობის ამგვარ გაგებას, იგი დღეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კომპლექსში შემავალ მეცნიერებას წარმოადგენს.

შედარებით უფრო გავრცელებული და მდგრადი აღმოჩნდა აზრი, რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობა წიგნმცოდნეობის შემადგენელი ნაწილია და არა დამოუკიდებელი მეცნიერული სისტემა. ეს მოსაზრებაც საკმაოდ შორსაა ჭეშმარიტებისაგან. საქმე იმაშია, რომ ამ შემთხვევაში გაურკვეველი რჩება, თუ რა არის მეცნიერების კვლევის საგანი და ობიექტი.

თუ დავუკვირდებით წიგნმცოდნეობას, რომლის შემადგენლობაშიც შეჰყავთ ბიბლიოთეკათმცოდნეობა (ოტლე, ვოუტერსი, ლისოვსკი და სხვ.), წარმოიშვება კითხვა: თუ წიგნმცოდნეობა მეცნიერული კომპლექსია, რა არის მისი კვლევის საგანი? პასუხი შეიძლება იყოს ერთი: წიგნმცოდნეობის კვლევის საგანია წიგნის საზოგადოებრივი არსი და ფუნქციები, ობიექტი კი — წიგნი (უზოგადესი გაგებით). საერთოდ, წიგნს, როგორც საგანს, მრავალი ასპექტი გააჩნია: შექმნა, გაფორმება, რედაქტირება, ბეჭდვა, წიგნვაჭრობა, დაცვა, გავრცელება, სისტემატიზაცია, განლაგება და სხვა მრავალი, რომ არაფერი ვთქვათ მის სოციალურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები მკითხველი, წიგნის ფუნქციები, ისტორია და სხვანი. რამდენად სამართლიანია, ესოდენ განსხვავებული, სხვადასხვა ასპექტოვანი მოვლენები ერთი საგნის ფარგლებში მოვაქციოთ?

არაა მართებული ის აზრიც, რომ წიგნმცოდნეობა შეიძლება გავიგოთ როგორც კომპლექსური მეცნიერება, არსებობს მხოლოდ „მონათესავე" მეცნიერებათა კომპლექსი, ანუ ისეთ მეცნიერებათა გაერთიანება, რომლებსაც „მხოლოდ ობიექტი აქვთ საერთო და არა კვლევის საგანი"[1].

გასული საუკუნის 20-იან წლებში რუსეთში დომინირებდა აზრი, რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობა წიგნმცოდნეობის შემადგენელი ნაწილია (ლისოვსკი, ლოვიაგინი, კუფაევი, ვეიდელმანი, ლიტინსკი და სხვ.). იმ დროს საქართველოს საბიბლიოთეკო საქმე თავიდან ბოლომდე მოქცეული იყო რუსული გამოცდილების გავლენის ქვეშ და, ცხადია, მეცნიერული აზროვნებაც. თუმცა ქართველ ბიბლიოთეკათმცოდნეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ბრმად არ ეწეოდნენ რუსთა გამოცდილებისა და კვლევის შედეგების გადამუშავებას, არამედ ხშირ შემთხვევაში ორიგინალურ, პრობლემურ საკითხებს აშუქებდნენ, რის წყალობითაც საქართველოში ბიბლიოთეკათმცოდნეობის სავსებით გამოკვეთილი სკოლაც კი ჩამოყალიბდა (ივ. ციციშვილი, ბ. ბროსე, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ბაქრაძე, ვ. კახიანი და სხვ.).

---

1 ლორთქოფანიძე ნ. ბიბლიოთეკათმცოდნეობა. მისი საგანი და ამოცანები. თბ., 1967.

60-იანი წლებიდან უცხოეთსა და ჩვენში ინტენსიურდება ბიბლიოთეკათმცოდნეობის კვლევა-ძიება და ერთბაშად იზრდება სამეცნიერო პროდუქცია. ბიბლიოთეკათმცოდნეობის არსის გაგება და განსაზღვრება მეტ სიმკვეთრეს იძენს და სავსებით შორდება იმ მოსაზრებას, რომ იგი წიგნმცოდნეობის სუბსიდარულ დარგს წარმოადგენს.

სულ უფრო და უფრო იკვეთება გაგება, რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობა არის საზოგადოებრივი მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საბიბლიოთეკო საქმეს, მის ფორმირებას, პრინციპებს, ურთიერთობებს სხვადასხვა ბიბლიოთეკებსა და დაწესებულებათა შორის.[1]

XX საუკუნის დასასრულისათვის კიდევ უფრო სრულყოფილი ხდება ბიბლიოთეკათმცოდნეობის გაგება, გამოიკვეთა ამ მეცნიერების დანიშნულება, გაირკვა მისი ურთიერთობა მომიჯნავე თუ ტრადიციულ მეცნიერებებთან, დიფერენცირდება შემადგენელ ნაწილებად. ბიბლიოთეკათმცოდნეობის განსაზღვრება სხვადასხვა მეცნიერისა თუ სამეცნიერო კოლექტივის მიერ არაერთგვაროვნად არის ფორმირებული, მაგრამ პრინციპულად მისი არსის გაგება თითქმის ერთნაირია და, ამრიგად, მიღწეულია უნიფიცირებულობა ბიბლიოთეკათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების, გაგებისა. შედარებით მოუგვარებელი რჩება კვლევის საგნისა და ობიექტის განსაზღვრების საკითხი. ამ სფეროში ვხვდებით შეუთანხმებლობას, მაგრამ უმეტესად მეთოდოლოგიური თვალსაზრისისას, ვიდრე არსობრივისას. ბევრ შემთხვევაში კვლევის საგნად სახელდება არა განზოგადებული ცნება, რომელიც თავის თავში მოიცავს ყველაფერს, რაც ამ მეცნიერების კვლევის არეში შედის, არამედ ცალკეულ კონკრეტულ პროცესებსა და ფუნქციებს. კვლევის საგანი საყოველთაოდ უნდა მოიცავდეს მეცნიერული სისტემის ყოველ ასპექტს. ბიბლიოთეკათმცოდნეობის განსაზღვრება უნდა გამომდინარეობდეს კვლევის საგნიდან და არა იმ საქმიანობათა ჩამონათვლიდან, რაც ხდება ბიბლიოთეკაში.

---

1 Библиотечное дело: Терминологческий словарь. – М., 1986. – с. 23 –24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კვლევის საგანი?

ამ საკითხის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ კვლევის საგანი და კვლევის ობიექტი.

ობიექტის განსაზღვრებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, თუ რა ფიზიკურ ან სულიერ გარემოსთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ადამიანი გარკვეულ შემკთხვევაში წარმოადგენს იმ ობიექტს, რომელსაც შეისწავლიან, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად ადამიანი არის რომელიმე მეცნიერების კვლევის საგანი. ადამიანს, როგორც ობიექტს, სხვადასხვა მეცნიერება იკვლევს. ანალოგიური წესითა და რიგით უნდა გავიგოთ ბიბლიოთეკათმცოდნეობის ობიექტიცა და საგანიც. ასე მაგალითად, ბიბლიოთეკათმცოდნეობის ობიექტი ბიბლიოთეკაა, ხოლო მისი კვლევის საგანი — კითხვის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რაც გულისხმობს ყველაფერს, რაც ბიბლიოთეკასთან არის დაკავშირებული.

როგორც ყველა მეცნიერება, ბიბლიოთეკათმცოდნეობაც თავის კვლევის საგანს სხვადასხვა ასპექტით სწავლობს და რამდენიმე შემადგენელი ნაწილისაგან შედგება, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის მეცნიერულ სისტემას — ბიბლიოთეკათმცოდნეობას. თავისი კვლევის საგანს ბიბლიოთეკათმცოდნეობა დიფერენცირებულად შეისწავლის და ამგვარად ხდება სხვადასხვა ასპექტების კვლევა — საბიბლიოთეკო სისტემა, ტიპიზაცია, ქსელის აგება, მართვა, პრინციპები, ამოცანები, როლი და დანიშნულება, ფონდების სისტემატიზაცია, განლაგება და დაცვა, საძიებო სისტემები, ლიტერატურის პოპულარიზაცია, ინფორმაცია, მომხმარებელთა მომსახურება, რესურსების გამოყენება, მენეჯმენტი და სხვა მრავალი. ყველა ასპექტის კვლევა-ძიება, მისი შესწავლა ხდება ცალკეული დარგების მიხედვით. ესენია: ზოგადი ბიბლიოთეკათმცოდნეობა, საძიებო სისტემები, ფონდების ორგანიზაცია და მართვა, მომხმარებელთა მომსახურება და ინფორმაცია, საბიბლიოთეკო მენეჯმენტი; ცალკე გამოიყოფა საბიბლიოთეკო საქმის ისტორია.

ყველა პირობაა იმისათვის, რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობა, როგორც საბიბლიოთეკო საქმის თეორიული ბაზა, წარმოადგენ-

დეს სრულყოფილად ჩამოყალიბებულ მეცნიერებას თავისი შემადგენელი ნაწილებით, კვლევის ობიექტითა და კვლევის საგნით. დაცულია ის პირობაც, რომ სხვა რომელიმე მეცნიერება არ ახდენს ყოველივე ზემოთქმულის კვლევასა და განზოგადებას.

ჩვენი აზრით, ბიბლიოთეკათმცოდნეობა არის მეცნიერება, რომელიც დიფერენცირებულად იკვლევს ბიბლიოთეკების მიერ კითხვის საზოგადოებრივი ორგანიზაციის კანონზომიერებებს, შედგება სხვადასხვა ნაწილებისაგან და ერთიან სისტემას ქმნის. მას კავშირი აქვს სხვა მეცნიერებებთან, რომელთაგან იყენებს მათი კვლევის შედეგებს, განაზოგადებს, ითვალისწინებს მეცნიერული კვლევა-ძიების დროს, ახდენს გამოცდილების გაზიარებას და ამის შედეგად თავის კანონზომიერებათა დადგენას. თუმცაღა სხვადასხვა მეცნიერი ამ საკითხზე განსხვავებულ შეხედულებებსაც გამოთქვამს[1].

2. ბიბლიოთეკათმცოდნეობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები.

თეორიული ბაზის ჩამოყალიბებას ყოველთვის წინ უსწრებს პრაქტიკული მოღვაწეობა და გამოცდილების განზოგადება. მისი განვითარების შედეგად იქმნება უკვე მეცნიერული მიმდინარეობა. დროთა განმავლობაში იხვეწება თეორიული ბაზის სტრუქტურა, შემუშავდება მეთოდოლოგია, გამოიკვეთება კვლევის ობიექტი და საგანი, მიზნები, ამოცანები, დანიშნულება, კვლევა-ძიების სფერო და პრაქტიკული ღირებულებანი.

ამგვარი გზა განვლო ბიბლიოთეკათმცოდნეობამაც. მისი საწყისი ეტაპი ჩვეულებრივი პრაქტიკული მოღვაწეობაა, როცა თავდაპირველი ბიბლიოთეკებისათვის საჭირო გახდა გარკვეული წესების შემოღება და მათი განხორციელება, რაც ცხოვრებისეული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. სწორედ ამ დროს იჩენს თავს თეორიული მოღვაწეობის მოთხოვნილება. თუ ამ აზრს გავიზიარებთ, საბიბლიოთეკო თეორია დასაბამს არქაული ქვეყნებიდან

---

1 ნ. ლორთქიფანიძე [შემდგ.]. ბიბლიოთეკათმცოდნეობა. მისი საგანი და ამოცანები. — თბ., 1967; Библиовеческие исследование. – М. , 1978; В. Чубариан. Проблемы теории и практики библиотечного дела в СССР; Избр. труды. – М., 1979.)

უნდა იღებდეს. ჯერ კიდევ შუმერებს ჰქონდათ კარგად ორგანიზებული ზებული ბიბლიოთეკა-არქივები თავიანთი კატალოგებით. ამაზე მეტყველებს ქალაქ ურუკში ნაპოვნი კატალოგები. რაკი კატალოგი იყო, ცხადია, მისი აგების წესები უნდა არსებულიყო, რაც თავისებურად მოაზრებულ საფუძვლებს დაეყრდნობოდა.

ასურეთ-ბაბილონის მეფის ასურბანიფალის (მეფობდა ძვ. წ. 669-633) ბიბლიოთეკა-არქივის ნანგრევებში ნაპოვნი მასალა გვაფიქრებინებს, რომ აქ ფირფიტები დარგობრივად ყოფილა გაწყობილი „მიმაგრებითი სისტემის“ გამოყენებით[1].

შემორჩენილია მცირე ნაწილი ხეთების ბიბლიოთეკების კატალოგებისა მათი დედაქალაქ ხატუსიდან. ეგვიპტეში, ქალაქ ედფუს ტაძრის ბიბლიოთეკა-არქივში ყოფილა ორიგინალური კატალოგი — კედელზე ამოკვეთილი მნიშვნელოვანი წიგნების ნუსხა. აღმოჩენილია ეგვიპტური ბიბლიოთეკის 6 კატალოგი.

კატალოგები არსებობდა ელინურ ბიბლიოთეკებშიც. ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ერთი ნაწილის კატალოგები გაუკეთებია იმ ეპოქის უთვალსაჩინოეს მოღვაწე კალიმაქეს (ძვ. წ. 310 — 240). სისტემატურ კატალოგში მოცემული იყო ცნობები არა მარტო ყოველი გრაგნილის შესახებ, არამედ მათ ავტორებზეც, რაც უკვე სიახლეს წარმოადგენდა. ამ კატალოგმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ თანამედროვეთა მიერ მათი აღწერა სრულ წარმოდგენას გვაძლევს მის რაობაზე.

რომაელი მწერლისა და ისტორიკოსის — სვეტენიუსის გადმოცემით (ახ. წ. 70 — 160) პერგამონის კატალოგი შეადგინა გრამატიკოსთა სკოლის მესვეურმა კრატოს მილოსელმა (ძვ. წ. I საუკუნე). სწორედ მისი ხელშეწყობით გაიხსნა რომის იმპერიაში პირველი ბიბლიოთეკა და იქ განისწავლნენ ბიბლიოთეკარები.

ჩვენამდე მოღწეულია როდოსის გიმნაზიის ბიბლიოთეკის კატალოგიც. რომაული ბიბლიოთეკების შესახებ წერილობითი წყაროებიც არსებობს. მარკუს ტერენტუს ვარონი (ძვ. წ. I საუკუნე), ვინც რომში საჯარო ბიბლიოთეკის ერთ-ერთ დამაარსებლად ითვლება,

---

1 „მიმაგრებითი სისტემა“ ეს არის სისტემა, როცა ყველა დოკუმენტს მუდმივად აქვს მიჩენილი ერთი და იგივე ადგილი და მათი გადანაცვლება კატეგორიულად აკრძალულია.

ქმნის ნაშრომს „სახელმწიფოს შესახებ“ და ერთ თავს ბიბლიოთეკების საქმიანობას უთმობს. შეიძლება ითქვას, რომ ეს უკვე თეორიული ძიებისა და კვლევის ჩვენთვის ცნობილი პირველი მაგალითია. ამავე ხანებში მოღვაწეობდა არქიტექტორი ვიტრუვიუსი, რომლის თხზულებებში ასახულია საბიბლიოთეკო არქიტექტურისა და ნაგებობების საკითხები; მოცემულია რჩევები, როგორ უნდა აიგოს და მოეწყოს საბიბლიოთეკო შენობა-ნაგებობები. ეს უკვე ნიშნავდა საბიბლიოთეკო საქმის თეორიის ფარგლების გაფართოებას. იგივე უნდა ითქვას რომაელი სწავლულის გენიუს ფილონის 12-ნაწილიან თხზულებაზე „წიგნის შეძენისა და შერჩევის შესახებ“, რომელიც, ფაქტობრივად, მეთოდიკურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს. რომაელი გრამატიკოსის ტელეფოს პერგამონელის ნაშრომი — „სამი წიგნი იმ წიგნების შესახებ, რომლებშიც მითითებულია, რომელი წიგნები უნდა იქნეს შეძენილი“ — უკვე ბიბლიოგრაფიის ბიბლიოთეკასთან დაკავშირების პირველი ცდაა. იგი სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის ერთ-ერთი ნიმუშია. საერთოდ, აღიარებულია, რომ ძველ რომში ჩაეყარა საფუძველი საბიბლიოთეკო საქმეში მეთოდიკური მითითებების შექმნას.

თუ უძველეს ეპოქაში წიგნების სისტემატიზაციაზეა გამახვილებული ყურადღება და ბიბლიოთეკის მოწყობას დიდი მნიშვნელობა ეძლევა, უკვე შუა საუკუნეების დასაწყისიდანვე უმეტესად ფონდების განლაგებისა და ორგანიზაციის საკითხებზე მუშაობენ.

საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში თავისი წვლილი შეაქვთ აღმოსავლეთის ქვეყნებსაც. V — X საუკუნეების ჩინეთში პრაქტიკაში უკვე დანერგილია ფონდების აღრიცხვის წესები. არსებობს ფონდების განლაგების მკაცრი რეგლამენტირება. ყველა საბიბლიოთეკო წიგნს ჰქონდა თავისი შიფრი. ათი წიგნი აღრიცხვის ერთეულს შეადგენდა. ცალკე დგებოდა დაკარგულ წიგნთა სიები, ყოველი წიგნის შესახებ არსებობდა მითითება, თუ რა მდგომარეობაში იყო ის. ცხადია, ყოველივე ეს ვერ მოგვარდებოდა, თუ არ იქნებოდა ინსტრუქციებისა და მეთოდური მითითებების მწყობრი სისტემა, წესების განუხრელად შესრულების ზედამხედველობა, მართვის ორგანიზაცია და მექანიზმი. საბიბლიოთეკო თეორიის განვითარე-

ბის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა IX საუკუნის ცნობილმა ბიზანტიელმა საეკლესიო მოღვაწემ ფოტიოსმა თავისი ნაშრომით „მირობიბლიონი“ („წიგნნი ათასსოვანი“), რომელიც 230 თავისაგან შედგებოდა და შეიცავდა ანტიკური ეპოქის თხზულებათა შესახებ ცნობებსა და ექსცერპტებს (ამონარიდებს).

შუა საუკუნეების დასაწყისში ევროპაში გავრცელდა ფონდებისა და კატალოგების აგების თავისებური სისტემა, რომელიც ორ ნაწილად ყოფდა წიგნებს: ტრივიუმად (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა) და კვადრიუმად (არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკის თეორია). იყო ამ სისტემიდან გადახვევებიც, მაგრამ, ფაქტობრივად, მაინც იგი დომინირებდა ფონდებისა და კატალოგების ორგანიზაციის დროს. აღსანიშნავია, რომ რომაულ ბიბლიოთეკებში ანბანური განლაგებაც იყო შემოღებული, რაც სავსებით სხვაგვარ საფუძვლებზეა აგებული.

განსხვავებული წესები და მეთოდები არსებობდა არაბეთის ხალიფატის ბიბლიოთეკებში. აქ ძირითადად გავრცელდა წიგნებისა და კატალოგების თემატურად გაწყობა. ავიცენა (981 – 1037) მოგვითხრობს, რომ სამარყანდის ბიბლიოთეკაში ისე იყო მოგვარებული საბიბლიოთეკო საქმე, მკითხველი თვითონ ირჩევდა მისთვის საჭირო წიგნებს, რაც, ცხადია, თავისებური წესებისა და მეთოდების გამოყენებას მოითხოვდა.

არაბმა ბიბლიოფილმა ან ნედიმ (X ს.) 980 წელს შეადგინა რეესტრი, რომელიც ამავე დროს სასწავლო მიზნებსაც ისახავდა. XIII საუკუნიდან უკვე საფუძველი ეყრება საბიბლიოთეკო თეორიის სისტემად ჩამოყალიბებას, რაც შემდგომში შედარებით დაჩქარებულად წარიმართა. ამ პერიოდში კატალოგები არა მარტო აღნუსხვის, არამედ ძიების ფუნქციებსაც ატარებდა, რაც მათ მიმართ ახლებურად მიდგომასა და ახლებური მეთოდოლოგიის შექმნას მოითხოვდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურად მოღვაწეობდნენ სამონასტრო-საეკლესიო ბიბლიოთეკები. ეს კიდევ დამატებით საჭიროებდა მეთოდების გაფართოებასა და კვლევა-ძიების გაღრმავებას.

ამა თუ იმ ბიბლიოთეკაში იწყება სათანადო წესების შემოღება, რაც ბიძგს აძლევს სპეციალისტებს შორის პოლემიკის გაჩაღებასა და მეცნიერული კვლევა-ძიების გაფართოებას. ჩნდება პირველი ბიბლიოთეკათმცოდნეობითი ნაშრომები, პუბლიცისტური თუ მეცნიერული ლიტერატურა, სპეციალური მონოგრაფიები, მეთოდიკური მითითებები და ინსტრუქციები.

ამენის ეკლესიის წინამძღვარმა რიშარდ დე ფურნივალმა (1201-1260) გამოაქვეყნა ნაშრომი „ბიბლიონომია" („წიგნმცოდნეობა"), რამაც საწყისი დაუდო საბიბლიოთეკო მეცნიერებას. იგი ეფუძნებოდა იმ ბიბლიოთეკის გამოცდილებას, რომელშიც თვითონ მოღვაწეობდა. ნაშრომში განხილულია ბიბლიოთეკის მოწყობის, ფონდების განლაგების, წიგნების აღწერისა და სისტემატიზაციის საკითხები. ფურნივალი არ იზიარებდა მის დროს გავრცელებულ პროგრესულ შეხედულებებს მეცნიერებათა სისტემატიზაციის შესახებ, რომელიც ინგლისელ ჯორჯ ბეკონს (1214-1294) ჰქონდა დამუშავებული.

XIV საუკუნეში რიშარდ დე ბერი (1281-1345) აქვეყნებს თავის ცნობილ ნაშრომს „ფილობიბლონი". მასში მოცემულია წიგნმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო საქმის თეორიული საკითხები.

1560 წელს გამოქვეყნდა ბენედიქტელი ბერის ფლორიან ტრეფლერის (XVI ს.) ნაშრომი, რომელშიც განზოგადებულია იტალიისა და სხვა ქვეყნების საბიბლიოთეკო გამოცდილება.

მარტინ ლუთერი (1483 — 1546) კატეგორიულად მოითხოვდა, სამონასტრო ბიბლიოთეკები საერთო სარგებლობის დაწესებულებებად გადაექციათ, რაც ახალი ინსტრუქციებისა და მეთოდების შემოღებას მოითხოვდა.

1584 წელს საფრანგეთში ბიბლიოთეკათმცოდნეობას საფუძველი ჩაუყარა ეროვნული ბიბლიოთეკის შემქმნელმა დელაკრუამ (XVI ს.). მანამდე ერთი წლით ადრე მან შეიმუშავა სამეფო ბიბლიოთეკის წიგნების განლაგების თავისებური სისტემა — ასეულებითობის პრინციპი. ეს სავსებით ახალი სიტყვა იყო საბიბლიოთეკო დარგში, რომელიც მოითხოვდა წიგნების თემატურად განლაგებას ას-ასი ერთეულის მიხედვით. ეს წესი მხოლოდ მოცემული ბიბ-

ლიოთეკისათვის იყო გათვალისწინებული და მისი გავრცელება არ მომხდარა, თუმცა ციფრობრივი პრინციპის გამოყენება კატალოგებში აღწერილობათა განლაგებისათვის შემდგომში აქტუალურ საკითხად იქცა.

1585 წელს ლონდონში გამოდის დიუ ვერდიეს (XVI ს.) ბიბლიოგრაფიული ნაშრომი. მისი და დელაკრუას ნაშრომები გამოირჩევა მწყობრი წესრიგით, თანმიმდევრობითა და აღწერილობის ორიგინალობით.

ახალი საუკუნის დასაწყისი — ეს ახალი ეტაპის დასაწყისია საბიბლიოთეკო თეორიის განვითარების გზაზე. ამ პერიოდში უდიდესი როლი შეასრულა მეფის ექიმის, წიგნმცოდნის, პუბლიცისტის, მედიცინის პროფესორ გაბრიელ ნოდიეს (1600 — 1653) ღვაწლმა. ადრე იგი კარდინალ ჯულიო მაზარინის მიერ 1634 წელს დაარსებულ პირველ საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობდა, შემდეგ კი სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში გადავიდა. მან თავისი მეთოდები შეიმუშავა, შეადგინა და გამოსცა თეორიული ნაშრომი „რჩევები ბიბლიოთეკების მოსაწყობად“, რომელიც მრავალ თეორიულ რეკომენდაციას შეიცავს.

საკატალოგო სისტემატიზაციის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დიდი სწავლულის — ფრენსის ბეკონის (1561 — 1626) მოძღვრებამ მეცნიერებათა კლასიფიკაციის შესახებ.

1681 წელს ლონდონში გამოიცა ჯონ დიურის (XII ს.) „რეფორმატული სკოლა და რეფერმისტული ბიბლიოთეკის მცვლი“, რომელშიც გატარებულია აზრი, რომ ბიბლიოთეკარი (მცველი) არის არა მარტო წიგნების მცველი, არამედ კითხვის ორგანიზატორი.

1688 წელს გერმანიაში, ქალაქ ლუბეკში, გამოქვეყნდა ლიტერატურის ისტორიის პროფესორ დანიელ მორჰოფის (XVII ს.) სამტომიანი ნაშრომი „პოლისტორი“. იგი, ფაქტობრივად, ენციკლოპედიაა, რომლის პირველი ნაწილი მთლიანად ბიბლიოთეკის საქმიანობას ეთმობა.

საბიბლიოთეკო მეცნიერების განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა დიდმა გერმანელმა მეცნიერმა გოტფრიდ-ვილჰელმ ლაი-

ბნიცმა (1646 — 1716). მან შემოგვთავაზა მოსაზრება ფონდების შევსების გეგმაზომიერების შესახებ, შექმნა წიგნების განლაგების ახლებური სისტემა და მოახდინა საბიბლიოთეკო პრაქტიკის მეცნიერული განზოგადება. ბიბლიოთეკის მუშაობის ორგანიზაციას ეძღვნება მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომი, მრომელიც მან 1700 წელს დაწერა და რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ (1768 წ.) ხუთ ტომად გამოქვეყნდა.

1756 წელს გერმანელმა იოჰან მიქაელ ფრანკემ (1717-1775) გამოსცა დრეზდენის ბიბლიოთეკის კატალოგი, რომელიც სრულიად ახალი სისტემით იყო აგებული. ფრანკეს მოღვაწეობამ და თეორიულმა მოსაზრებებმა დიდად შეუწყო ხელი ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარებას.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის გამოცდილებამ, ფრანგ სპეციალისტთა მოღვაწეობამ საბიბლიოთეკო სფეროში (გიუბერ ამეილონი, არმან გასტონ კამიუსი და სხვ.) გარკვეული გავლენა იქონია ევროპის ცნობილ ბიბლიოთეკათმცოდნეებზე.

XIX საუკუნის დასაწყისი ახალი ეტაპია ბიბლიოთეკათმცოდნეობაში. ამ პერიოდში აღინიშნება ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო პრაქტიკის მკვეთრი აღმავლობა.

საბიბლიოთეკო საქმით დიდი სახელმწიფო მოღვაწენიც ინტერესდებოდნენ. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯონ ადამსმა (1735-1826) 1800 წელს საფუძველი ჩაუყარა კონგრესის ბიბლიოთეკას. უფრო ადრე ბენჯამენ ფრანკლინმა (1706-1790) ფილადელფიაში დააარსა დიდი სიახლით გამორჩეული ბიბლიოთეკა, რომელიც თავისი მეთოდებითა და ფორმებით სამაგალითო იყო ყველასათვის. სწორედ ეს ბიბლიოთეკა წარმოადგენდა კონგრესის ბიბლიოთეკის წინამორბედს. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია პრეზიდენტ თომას ჯეფერსონის (1743-1826) მოღვაწეობა, რომელმაც 1814 წელს კონგრესის ბიბლიოთეკის ხანძრის შედეგად დაზიანების შემდეგ დიდი დახმარება აღმოუჩინა მას. მან თვითონვე შეიმუშავა წიგნების განლაგების სქემა, რომელიც საუკუნეზე მეტხანს გამოიყენებოდა.

იმავე საუკუნიდან სულ უფრო მეტი ინტენსივობით ხდებოდა ბიბლიოთეკათმცოდნეობითი კვლევა-ძიების წარმოება და მეთო-

დიკური საკითხების დამუშავება. ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი იყო ჟან პიი ნომიურის „ბიბლიოთეკარის სახელმძღვანელო“. მასვე ეკუთვნის „კაცობრიობის ცოდნის ბიბლიოგრაფიული სისტემის ახალი პროექტი“.

XIX საუკუნის დასასრულს ფართოვდება კულტურული ურთიერთობანი საბელმწიფოთა შორის, რამაც გამოიწვია სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია. ამ პროცესმა კი ხელი შეუწყო ბიბლიოთეკათმცოდნეობის მეცნიერულ სისტემად ჩამოყალიბებას.

1877 წელს ლონდონში გაიმართა პირველი საერთაშორისო საბიბლიოთეკო კონფერენცია. სწორედ აქ წარმოადგინა პირველად მელვილ დიუმ (1851-1931) თავისი კლასიფიკაცია. გამოითქვა მრავალი თეორიული მოსაზრება. ამგვარი კონფერენცია კვლავ გაიმართა იქ 1897 წელს; განიხილეს ფ. მილკაოს, ა. დიუსა და ჩ. კეტერის მოხსენებები, რამაც დიდი როლი ითამაშა ბიბლიოთეკათმცოდნეობის საერთო-საყოველთაო მეცნიერებად აღიარებაში.

1895 წელს ბელგიაში ნობელის პრემიის ლაურეატ, პროფესორ ანრი ლაფონტენის (1854-1948) და ცნობილ იურისტ პოლ ოტლეს (1868-1944) თაოსნობით შეიქმნა საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტი. მას ჰქონდა თავისი ფილიალები სხვადასხვა ქვეყნებში (შვეიცარია, საფრანგეთი, გერმანია, ნიდერლანდები, პოლონეთი და სხვ.), გამოიცემოდა პერიოდული ორგანო „საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის ბიულეტენი“, რომელშიც მრავალი ცნობილი სტატია გამოქვეყნდა, რამაც ხელი შეუწყო ერთიანი კვლევითი მიმართულების ჩამოყალიბებასა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების, სისტემის შექმნას. შემდგომ ხანებში ყოველივე ეს გახდა ახალი საერთაშორისო ორგანოს — „იფლას“ (IFLA) წარმოქმნის წინაპირობა, ორგანოსი, რომელიც დღემდე ითვლება საბიბლიოთეკო მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარების ცენტრალურ გაერთიანებად.

საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულ ინსტიტუტში დამუშავდა საბიბლიოთეკო „საერთაშორისო ათწილადი კლასიფიკაცია“, რომელიც დღემდე თითქმის ყველა ქვეყანაშია გავრცელებული და პროგრესის შესატყვისად იცვლება და ვითარდება.

XX საუკუნის დასაწყისში გერმანელმა ვილჰელმ ჰოფმანმა (1879-1952) პირველად სცადა მეცნიერულად ჩამოეყალიბებინა მოსაზრებები მკითხველის ფსიქოლოგიისა და ინტერესთა შესწავლის შესახებ. ფაქტობრივად, აქედან იწყება ბიბლიოთეკამცოდნეობის კვლევის არიალში ახალი ფენომენის — მკითხველის შემოყვანა. ჰოფმანი მკითხველთა მომსახურებას უმნიშვნელოვანეს ასპექტად მიიჩნევს და პედაგოგიური მეთოდების შემოღებას მოითხოვს ბიბლიოთეკამცოდნეობის კვლევის სფეროში; მან პირველმა შემოიღო ინდივიდუალური მკითხველის მომსახურებისა და შესწავლის ცნება და განსაზღვრა მოქმედების პრინციპები.

XIX საუკუნის დასაწყისში საბიბლიოთეკო თეორია რუსეთშიც იწყებს განვითარებას. ეს ხდება მთლიანად უცხოეთის გამოცდილების საფუძველზე, მისი მიმსგავსებით, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

1809 წელს გამოდის ა. ოლენინის (1763-1843) შრომა „ახალი ბიბლიოგრაფიული თანრიგის შედგენის ცდები სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო ბიბლიოთეკისათვის". ნიშანდობლივია, რომ მასში მოცემულია როგორც საერთაშორისო საკლასიფიკაციო სისტემის განხილვა, ისე ავტორის მიერ შემუშავებული ორიგინალური სისტემა, აგრეთვე აღწერილობის წესები. ეს არის რუსეთის იმპერიაში პირველი სერიოზული ნაშრომი, რომელმაც სათავე დაუდო ამ ქვეყანაში ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარებას.

1811 წელს ვ. ანასტასევიჩი გამოცემს სტატიას — „ბიბლიოლოგია", როგორც ის ბიბლიოგრაფიას უწოდებდა.

1853 წელს დაიბეჭდა ვ. სობოლშჩიკოვის (1808—1872) სტატია ბიბლიოთეკების მოწყობისა და მათი კატალოგების შედგენის შესახებ, ხოლო მომდევნო წელს წიგნად გამოქვეყნდა „საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების მოწყობისა და მათი კატალოგების შედგენის შესახებ". 1979 წელს ა. ბორზენკომ გამოსცა ნაშრომი „წიგნთა კატალოგები".

1904, 1911 წლებში მეთოდიკურ-სამეცნიერო შრომებს აქვეყნებს ლ. ხავკინა — „ბიბლიოთეკები, მათი ორგანიზაცია და ტექნიკა" და „სახელმძღვანელო მცირე ბიბლიოთეკებისათვის". 1912 წელს ვ. ვასილევი აქვეყნებს ნაშრომს „საბიბლიოთეკო საქმე".

ბიბლიოთეკათმცოდნე4ობის განვითარების პროცესი რუსეთში განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის დასაწყისსა და 20-30-იან წლებში. გამოდის გ. ბოდნარსკის, პ. ბოგდანოვის, ნ. რუბაკინის და სხვათა შრომები. თვალშისაცემია ის გარემოება, რომ რუსეთის ბიბლიოთეკათმცოდნეები პოზიტიურად აფასებენ საზღვარგარეთის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ძირეულ საფუძვლებს და ზოგ შემთხვევაში თავად ავრცელებენ ისეთ თეორიულ მოსაზრებებს, რომლებიც ორიგინალობით გამოირჩევიან. საბჭოთა წყობილების პირველ პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომები ხელმისაწვდომი იყო უცხოელი სპეციალისტებისთვისაც და ისინი ბევრ რამეს იზიარებდნენ და ღებულობდნენ კიდეც რუსი კოლეგებისგან.

XX საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიოში სავსებით მომწიფებული იყო პირობები, შექმნილიყო ბიბლიოთეკათმცოდნეობის მწყობრი მეცნიერული სისტემა, რასაც დიდად შეუწყო ხელი იმ დროისათვის არსებულმა ინტეგრაციამ, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შორის არსებობდა. სამწუხაროდ, ამგვარი პროცესი მალე შეწყდა, მაგრამ მანამდე ბევრი სასიკეთო რამ მოხდა.

თავის დროზე განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1808 წელს მიუნხენის სახელმწიფო ბიბლიოთეკის თანამშრომლის შრეტინგერის (XIXს.) მიერ მოცემული განსაზღვრების გახმოვანება ბიბლიოთეკათმცოდნეობის შესახებ. მისი განმარტებით, „ბიბლიოთეკათმცოდნეობა არის სისტემატურად აგებული და გარკვეული, მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპებამდე აყვანილი ყველა დებულებათა ჯამი, რომელიც აუცილებელია ბიბლიოთეკების მიზანშეწონილად ორგანიზაციისათვის“.[1]

მართალია, განსაზღვრება მაშინაც მოძველებული იყო და იქნებ არც არსებობდა საყოველთაოდ მიღებულად, მაგრამ ეს მომენტი შეიძლება ჩაითვალოს როგორც ახალი ეტაპი ბიბლიოთეკათმცოდნეობის მეცნიერებად აღიარებისა და მისი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებისა და მეცნიერების სისტემაში მისი ადგილის განსაზღვრისათვის.

---

1 ციტირებულია ნ. ლორთქიფანიძის ნაშრომიდან „ბიბლიოთეკათმცოდნეობა. მისი საგანი და ამოცანები“. — 1967. - გვ.17

ბიბლიოთეკათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების, პოზიციის განსაზღვრისა და საბიბლიოთეკო პრაქტიკის რეფორმირების თვალსაზრისით, ამ პერიოდში უდიდესი როლი შეასრულა ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებამ. თომას ჯეფერსონის მიერ წამოწყებული საქმე ღირსეულად განაგრძეს მომდევნო ეპოქის წარმომადგენლებმა (ჯ. კოტონ დანი, ჩარლზ კეტერი, მელვილ დიუი). მ. დიუის გამოგონება (ათწილადი კლასიფიკაცია) ცხრილებისა და კომენტარების სახით, ავტორის ცხოვრებაში 12-ჯერ გამოქვეყნდა. დიუი იყო საერთაშორისო ათწილადი კლასიფიკაციის ფუძემდებელი, რედაქტორობდა საერთაშორისო გამოცემა „საბიბლიოთეკო ჟურნალს“ , მისი იდეა იყო საკატალოგო ბარათებისა და საბიბლიოთეკო მოწყობილობათა, შემოკლებათა სტანდარტიზაცია და სხვა მრავალი სიახლე; მეცნიერულად დაამუშავა საბიბლიოთეკო პრაქტიკისა და თეორიის ერთიანობის პრობლემა, ხოლო საბიბლიოთეკო საქმიანობა დამოუკიდებელ პროფესიად გამოაცხადა.

ჩარზ კეტერმა მოგვცა აღწერილობის წესების სქემა, სისტემატური, ანბანური და საგნობრივი კატალოგების წარმოების არგუმენტირებული რეკომენდაციები, შექმნა საავტორო ნიშანთა ტაბულები, 1879 წელს წარმოადგინა თავისი ე. წ. „წელვადი (გამჭოლი) კლასიფიკაცია“; დანერგა ბევრი სიახლე, იყო ინიციატორი „განმსაზღვრელების (დეტერმინანტების) სისტემის“ შემოღებისა; 1911 წლიდან აქვეყნებდა მის მიერ კონგრესის ბიბლიოთეკისათვის შექმნილ საკლასიფიკაციო სქემებს.

საბიბლიოთეკო თეორიის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ფილადელფიაში დაარსებულმა ამერიკის ბიბლიოთეკების ასოციაციის ორგანომ „ბიბლიოგრაფიულმა ჟურნალმა“ (1976წ.), აგრეთვე სახელმძღვანელოებმა, რომლებსაც ასოციაცია უხვად გამოსცემდა. ქვეყნდებოდა სტატისტიკური მონაცემები მეცნიერული კომენტარებით. 1909 წელს შეიქმნა სპეციალური ბიბლიოთეკათა ასოციაცია, რომელსაც ცნობილი მეცნიერი ჯ. კოტონი ედგა სათავეში. 1910 წლიდან საბიბლიოთეკო ასოციაციები დაარსდა ყველა შტატში. ამოქმედდა საბიბლიოთეკო ასოციაციები კანადაში, შემდეგ კი სხვა ქალაქებშიც.

1929 წელს გამოიცა ჰენრი იულიან ბლისის საკლასიფიკაციო სქემების სამტომეული, რომელმაც გზა მისცა მეცნიერული ანგროვნების განვითარებას კლასიფიკაციის დარგში. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ ცნობილი ბიბლიოთეკამცოდნეები. მათ შორის გამოირჩეოდნენ: ლანდი, რომელმაც ბევრი ახალი იდეა წამოაყენა საკატალოგო აღწერილობასთან დაკავშირებით: უილსონი და გრეგორი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს შეერთებული კატალოგების პრობლემების კვლევასა და პრაქტიკულ განხორციელებას. უამრავი სამეცნიერო სტატია იბეჭდებოდა საბიბლიოთეკო ჟურნალებში. უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოედგენდა 1927 წელს მსოფლიო საბიბლიოთეკო ასოციაციის („იფლა“) შექმნა.

ამერიკულმა გამოცდილებამ გადამჭრელი როლი შეასრულა ბიბლიოთეკათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების, აღიარებასა და დამკვიდრებაში. ის ახლაც ითველება არა მარტო დარგის საერთაშორისო რეფორმატორად და ნოვატორად, არამედ მისი თეორიული საფუძვლის — ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარების ჰეგემონად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაძლიერდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ბიბლიოთეკების ინტეგრაცია, რაშიც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა შეერთებულ შტატებს. 80-იანი წლებიდან ინტეგრაციის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა მომხდარი ისტორიული მოვლენების წყალობით. აქტიურად ებმებიან ამ საქმეში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ბიბლიოთეკათმცოდნეებიც.

ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები და ფაკულტეტები (განყოფილებები), სადაც კათედრებია შექმნილი.

მსოფლიოში სხვადასხვა მიმართულებებია ბიბლიოთეკათმოცდნეობის გაგების, დანიშნულების, ამოცანების, სტუქტურის, კვლევის საგნისა და პრობლემათა შესახებ. სხვადასხვაგვარია კვლევის დონეცა და ხარისხიც. ერთიანი, საყოველთაოდ შეთანხმებული გაგება ბიბლიოთეკათმოდნეობისა, მისი ერთიანი დეფინიცია არ არსებობს, რაც სავსებით პრობლემატური მოვლენაა.

ბიბლიოთეკათმოდნეობამ თავისი განვითარება საქართველოშიც ჰპოვა. როგორც უძველესი ქრისტიანული კულტურის ცივილიზებულ ქვეყანას, ცხადია, მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ევროპულ ტრადიციებთან. ეკლესია-მონასტრები, როგორც ყველგან ქრისტიანულ სამყაროში, წარმოადგენდნენ უპირველეს საბიბლიოთეკო საცავებს, როგორც ჩანს, ქართული სამონასტრო ბიბლიოთეკები საერთაშორისო ტრადიციებს მისდევდნენ. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ უკვე X საუკუნეში მათ სისტემატური კატალოგი ჰქონდათ. ნიკო მარის მიერ სინას მთაზე აღმოჩენილი რომელიღაც ქართული მონასტრის კატალოგის ფრაგმენტი ამის ნათელი დადასტურებაა. ფაქტია, რომ ქართველები იყენებდნენ წიგნების დაცვის, აღნუსხვისა და სისტემატიზაციის გავრცელებულ მეთოდოლოგიას. არსებობს მოსაზრება, „რომ ჩვენ ჯერ კიდევ XI საუკუნეში გვყავდა ისეთი დიდი სისტემატიკოსი, როგორიც იყო იოანე პეტრიწი, რომელიც სათავეში ედგა გელათის აკადემიას და, მაშასადამე, ამ აკადემიის ბიბლიოთეკასაც“. როგორც ამ მოსაზრების ავტორი ნ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, პეტრიწი დიდი სისტემატიკოსი იყო, რომლისთვისაც ევროპული გამოცდილება უცხო არ იყო.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქართველოში წიგნების განლაგებისა და აღნუსხვის ხალხური ტრადიციებიც არსებობდა, რასაც თავის დროს ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა. იგი თვლიდა, რომ წიგნები საცავებში მათი დანიშნულების მიხედვით ლაგდებოდა „საღმრთო წიგნები“, „სამეცნიერო“, „საკითხავი“, „საერო ანუ გარეშე“ და სხვ. იყო ადგილზე სახმარი წიგნებიც — „საშინაო“ და „სათანაო“.

წიგნების აღწერისას მათი დაჯგუფება შინაარსობრივი ნიშნით უცხო არ ყოფილა არც ჰერძო ბიბლიოთეკებისათვის. ამაზე მეტყველებს ე. წ. „სამზითო წიგნები“ (ელისაბედ ბატონიშვილის, ქსნის ერისთავის დავითის ასულის ელენესი, ანუკა ბატონიშვილისა და სხვათა).მათ მრავალნაირად აჯგუფებდნენ: „გარეშენი“, „ანბანთ ქებანი“, „ზღაპრის წიგნები შესაქცევი“, „საღმრთო წიგნები“ და სხვ. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ძირითადად ქართული ეროვნულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასულიერო ტრადიცია ორად აჯგუფებს წიგნებს: „სასულიერო" და „საერონი".

სამწუხაროდ, საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის შესწავლისა და წარმოების რაიმე წერილობითი წყარო არ მოგვეპოვება, არც რაიმე ორიგინალურ საბიბლიოთეკო თეორიას ვხვდებით, ვიდრე XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე. მხოლოდ ვარაუდითა და ირიბი ფაქტების ანალიზით თუ შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს ქვეყანაშიც არსებობდა დაინტერესება არა მარტო საბიბლიოთეკო საქმით, არამედ მისი მეთოდოლოგიური საკითხებითაც. საბიბლიოთეკო თეორიის ნამდვილი შესწავლისა და განზოგადების ცდები XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ამის ინიციატორად ძირითადად საქართველოს პერიოდიკული ორგანოები გამოდის. ქვეყნდება სხვადასხვა კორესპონდენციები, ინფორმაციები, მოსაზრებები, პუბლიკაციები. მათ შორის ბევრი ავტორი გამოთქვამს მეტად ღირებულ მოსაზრებებს, ორიგინალურ შეხედულებებს, იძლევა წინადადებებს, რაც უმთავრესად დაკავშირებულია ბიბლიოთეკების ადგილმდებარეობის განსაზღვრის, მათი მოწყობის, მკითხველებთან ურთიერთობის, დაფინანსებისა და სხვა საკითხებთან. გვხვდება მეთოდიკური მითითებებიცა და რეკომენდაციებიც.

XIX საუკუნის 90-იან წლებში გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე გაიმართა პოლემიკა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საცავის კატალოგი. ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი თეორიული მოსაზრება გამოითქვა. პოლემიკაში ჩაბმულნი იყვნენ თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, გ. მთვარელაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ე. თაყაიშვილი და სხვ. ქართული პრესა ითვლებოდა საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ქომაგად.

საბიბლიოთეკო საქმის წარმოებითა და განვითარებით მუდამ დაინტერესებულნი იყვნენ და არაერთხელ გამოუყენებიათ პრესის ფურცლები ჩვენს დიდ მამულიშვილებს: ილიას, ნ. მარს, ა. ცაგარელს, ა. ხახანაშვილს, გ. წერეთელსა და სხვებს. მათ მიერ არაერთი მოსაზრებაა წამოყენებული, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარებას. გამოჩენილი

მეცნიერები: ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი და მათი მრავალი კოლეგა აქტიურად მოღვაწეობდა საბიბლიოთეკო საქმეში და ხელს უწყობდა დარგის თეორიის გაუმჯობესებას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საბიბლიოთეკო თეორია სავსებით იყო დამოკიდებული რუსეთის გამოცდილებაზე, თანდათან ხდებოდა დამოუკიდებელი შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. ამის პირველი გამოვლენა იყო დ. კარიჭაშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული ნაბეჭდი კატალოგები, გამორჩეული თავისებური აღნაგობითა და აღწერილობის ელემენტების წყობით; მიიჩნევა, რომ ეს არის ქართული კატალოგრაფიის ისტორიაში ახალი პერიოდის დასაწყისი.

XX საუკუნის პირველ ორ ათეულში საქართველოში არ შენელებულა ყურადღება საბიბლიოთეკო საქმისადმი. გაჩნდა მოთხოვნილება საერთაშორისო საბიბლიოთეკო გამოცდილების გაზიარებისა. პრესა გამუდმებით ადვენებდა თვალყურს რუსეთისა და უცხოეთის საქმიანობას ამ მიმართულებით. იგრძნობოდა რუს მოღვაწეთა გავლენა. ითარგმნებოდა მათი მეთოდიკური და თეორიული სტატიები, მათი მონაწილეობით იმართებოდა თეორიული და მეთოდიკური სემინარები.

საქართველოში ბიბლიოთეკათმცოდნეობის მწყობრი სისტემების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1923 წელს თბილისის სკოლისგარეშე განათლების სახლთან ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტის დაარსებას. მის ირგვლივ იკრიბებიან საბიბლიოთეკო თეორიით დაინტერესებული კადრები. კაბინეტის თანამშრომლებმა შექმნეს პირველი ნაწარმოები ბიბლიოთეკათმცოდნეობაში, მოეწყო პირველი საბიბლიოთეკო კურსები, რამაც ბიძგი მისცა მეთოდიკურ საქმიანობასა და თეორიულ ძალისხმევასაც შეუწყო ხელი. 1930 წელს თბილისში გაიხსნა განათლების სახლთან არსებული საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული კაბინეტი. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ბიბლიოთეკათმცოდნეობას. მეცნიერულ და მეთოდიკურ პრობლემებს ამუშავებდნენ მაშინ უკვე საკმაოდ ცნობილი და გამოცდილი

სპეციალისტები: დ. კარიჭაშვილი, გ. გეხტმანი, მ. პოლიექტოვი, ბროსე, გ. წერეთელი, ი. ციციშვილი, ვ. კახიანი, გ. ბაქრაძე, გ. გიორგიძე, ნ. ლორთქიფანიძე, შ. დოლაქიძე, ლ. ეგორაშვილი და სხვ.

ჯერ კიდევ სკოლისგარეშე განათლების სახლთან არსებულმა კაბინეტმა სცადა 1925 წლიდან დაეწყო პირველი პროფესიული ჟურნალის „წიგნის მეგობრის" გამოცემა, მაგრამ ის მხოლოდ ერთხელ გამოქვეყნდა ორ ნომრად. ცხადია, ეს უმნიშვნელო რამ იყო, მაგრამ მის მიერ წამოყენებული საკითხები და თავად ეს ფაქტი ხელს უწყობდა ბიბლიოთეკათმცოდნეობის შემდგომ გაფართოებას საქართველოში. 1931 წელს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული კაბინეტის მემკვიდრე სპეციალური განყოფილება, რომელიც რესპუბლიკის ბიბლიოთეკების მეთოდიკურ ცენტრად იქცა. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარებას საქართველოში. 1934-1940 წლებში რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ გამოსცა „შრომები", რომელშიც ძირითადად ორიგინალური მეცნიერული ნაშრომები ქვეყნდებოდა. მანამდე მეცნიერულ-მეთოდიკურ საქმიანობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ფუნდამენტური ბიბლიოთეკა. მეცნიერულ მუშაობას აწარმოებდა შემდეგში წიგნის პალატაც, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარებაში. ფაქტობრივად, საფუძველი ჩაეყარა ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობის სკოლას, სადაც მრავალი ორიგინალური საკითხი დამუშავდა. თანდათან, ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების წყალობით, ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობა მთლიანად შეუერთდა საერთო-საკავშირო ნაკადს, რომელშიც რუსული იდეოლოგია და გამოცდილება დომინირებდა.

საერთოდ, საქართველოში 30-40-იან წლებში სავსებით ორიგინალური, დამოუკიდებელი მეცნიერული საკითხები და პრობლემები მუშავდებოდა, როგორიც არის: ბიბლიოთეკათმცოდნეობის კვლევის საგანი და ამოცანები, ბიბლიოთეკათმცოდნეობის ტექსტოლოგია და მისი ქართული შესატყვისები, შემოკლებები და სასვენი ნიშნები ქართული წიგნის აღწერილობებში; აქ პირველად

დამუშავდა ბიბლიოთეკის დაგეგმვის პრინციპები, ბიბლიოთეკების კოოპერირების საკითხები, სამეურნეო ანგარიშების წარმოების მეთოდიკა, კოეფიციენტის დაანგარიშების წესები, ფონდების განლაგებისა და დაცვის ორიგინალური სისტემები და სხვ. საფუძველი ჩაეყარა საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიას. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ბიბლიოგრაფიულ გამოცემებს, რომლებიც ხორციელდებოდა რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და წიგნის პალატაში. მოგვიანებით ამ საქმეში ენერგიულად ჩაერთო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა. უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს წიგნის პალატის მიერ პროფესიული ჟურნალის „ბიბლიოგრაფიის მოამბის“ გამოცემამ. მოსკოვის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ განსაკუთრებულად აღინიშნა ნ. ლორთქოფანიძის გამოკვლევები და რეკომენდაციები ბიბლიოთეკაში შრომის ორგანიზაციასთან დაკავშირებით. უმნიშვნელოვანესი ფაქტი იყო ი. ციციშვილის ფუნდამენტური გამოკვლევის „კატალოგრაფიის“ გამოცემა. მრავალი სამეცნიერო და მეთოდიკური სტატია ითარგმნა რუსულიდან ქართული გამოცდილების გათვალისწინებით.

1938 წელს დაარსდა ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი, სადაც ცნობილი მეცნიერების მიერ მუშავდებოდა ორიგინალური საკითხები ბიბლიოთეკათმცოდნეობაში (გ. გიორგიძე, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ბაქრაძე, ფ. ყურაშვილი და სხვ.).

საქართველოში ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარების იმპულსად იქცა სამეცნიერო ბიბლიოთეკების პირველი კონფერენცია (1933 წ.). მსგავსი პრაქტიკულ-სამეცნიერო ღონისძიებები გარკვეულ როლს ასრულებდა ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარებასა და გააქტიურებაში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკურ ბიბლიოთეკასთან არსებულ ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტს. თავისი არსებობის პირველი ათი წლის მანძილზე იგი გადაიქცა ნამდვილ სამეცნიერო ლაბორატორიად. მისი უშუალო მონაწილეობით დამუშავდა 24 პრაქტიკული მნიშ-

ვნელობის თემა, რომელიც ახალი მეცნიერული მიღწევების ბაზაზე იქმნებოდა.

XX საუკუნის დასაწყისისა და საბჭოთა კავშირის პერიოდში 80-იანი წლების შუამდე საქართველოში ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარება დეტალურად აქვს განხილული ცნობილ ბიბლიოთეკათმცოდნე გურამ თაყნიაშვილს თავის უაღრესად მნიშვნელოვან გამოკვლევაში „ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარება საქართველოში“ (1900-1985). — თბ. 1989.

საქართველოში ბიბლიოთეკათმცოდნეობას, როგორც მეცნიერებას, საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს. მისი სრულყოფილად შესწავლა და ანალიზი ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოია ცხადაია

ქართული ლექსის რეფორმატორი და ვირტუოზი

◊

ალექსანდრე აბაშელი 130

◊

ალექსანდრე აბაშელი — პოეტი ნოვატორი, ახლებურად მოაზროვნე, ქართული ლექსის რეფორმატორი და ვირტუოზი, — ასე შეაფასა ქართულმა კრიტიკამ თავიდანვე და ასე შემორჩა იგი XX საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიას. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 10-20-იანი წლების ქართულ პოეზიაში, რადგან სწორედ ამ დროს დაიწერა მისი ყველაზე გულწრფელი და პოეტური ოსტატობით გამორჩეული ლექსები. მრავალი ვერსიფიკაციული სიახლე სწორედ მის სახელს უკავშირდება. „ალექსანდრე აბაშელი ჩვენი საუკუნის ქართული ლექსის აკვანთან დგას და ახლადფეხადგმული ქართული პოეტიკის პირველ მეგზურთაგანია“ (ასათიანი 1983: 92).

900-იანი წლების ბობოქარმა და ამღვრეულმა დრომ თავისებურად იმოქმედა ახალგაზრდა პოეტის მსოფლხედვაზე. მომავალი რევოლუციების პირველი ბიძგები თავისუფლების და უკეთესი მომავლის საწინდრად მოიაზრებოდა ზოგადად, და არა მხოლოდ მის წარმოდგენაში.

1902 წლიდან ეცნობა არალეგალურ ლიტერატურას, რომელსაც ბათუმიდან ჩამოსული მუშები აწვდიან.

1904 წლიდან ბათუმში მუშაობს, როტშილდის ქარხანაში.

1905 წლიდან ინტერესდება რევოლუციური საქმიანობით. აბაშაში, ბანძასა და მარტვილში ეწევა პროპაგანდას. 1906 წლის დამდეგს აპატიმრებენ. გადაასახლეს ჯერ ოლონეცისა და შემდეგ ვოლოგდის გურებნიაში. 1908 წელს ასტრახანის გუბერნიაში გადაიყვანეს. იმავე წელს გაათავისუფლეს. ამის შემდეგ თითქმის არალეგალურ პირობებში ცხოვრობდა. ამასთან დაკავშირებით კ. გამსახურდია იგონებს, როგორ მოვიდა მათს ოჯახში დასამალავად შავგვრემანი ჭაბუკი. „თავის მშვენიერ კბილებს მიანათებდა ხოლმე ჩემს უფროს ძმას, მის თანამებრძოლსა და მეგობარს, ალექსანდრეს. ბევრს ლაპარაკობდა თავისი ამხანაგების ვაჟკაცობისა და სიჩაუქის გამო... ამ პირმშვენიერი უცნობის მაგალითმა პირველად დამარწმუნა ჩემს სიცოცხლეში, რომ ხშირად ვაჟკაცური სული ბუდობს ხოლმე ფაქიზ სხეულშიაც. ათიოდე წლის შემდეგ ამ ჩვენი სტუმრის ლექსები გამოჩნდნენ პრესაში. მათ ხელს აწერდა ალექსანდრე აბაშელი. ამგვარად უაღრესად ჰარმონიული და ფაქიზი ბუნების ადამიანთა გამო უთქვამს, ალბათ, რუსთველს: „სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისაო“ (გამსახურდია 1963: 470-471). გავიდა დრო: თბილისში ისინი დამეგობრდნენ. ტოტალიტარული სისტემის „ურჩი რაინდები“ „შავჩოხოსანთა“ საძმოს შეუერთდნენ. ასე გამოხატეს ბოლშევიკების მიმართ პროტესტი; ვახტანგ კოტეტიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, პავლე ინგოროყვასა და ალექსანდრე აბაშელის ცნობილი ფოტო ჩვენი ისტორიის ნაწილია, ძალზე მეტყველი....

საპატიმროდან გათავისუფლების შემდეგ, 1908 წელს, თბილისში ჩამოვიდა. მხოლოდ 1909 წელს მოეწყო სამუშაოდ გ. ამირეჯიბის გაზეთ „ზაკავკაზიეში“.

1910 წლიდან ალექსანდრე აბაშელის ლექსები სისტემატურად იბეჭდება იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში (გაზ. „თემი“, გაზ. „მნათობი“, ჟურნ. „სალამური“ და სხვ.). მან პირველი ლექსების გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო ლიტერატურული კრიტიკის ყურადღება.

მძიმე აღმოჩნდა თავისუფლებაზე მეოცნებე პოეტისთვის 1921 წელს თავსდატეხილი ეროვნული ტრაგედია, რუსული ბოლშევიკური რეჟიმის მიერ საქართველოს სრული ანექსია. ალ. აბაშელის ქალიშვილის, მედეა აბაშელის, მოგონებებიდან („პირველი მოგონება“, „მთავრობის სასახლე“, „ბათუმი, კონსერვატორია“, „აისიდორა დენკანი“, „გრიგოლ რობაქიძე“ და სხვ.) ბევრი რამ ხდება ცნობილი მკითხველისთვის. ალ. აბაშელი 1921 წლის მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად მიემგზავრებოდა საფრანგეთში (შვილიც მიჰყავდა), უკვე ლამის დაძრული გემიდან ჩამოვიდა. უსამშობლოდ ცხოვრებას რა აზრი აქვსო და, სიცოცხლის რისკის ფასად, უკან დაბრუნდა, ისევ თავის უბედურ სამშობლოში არჩია დარჩენა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ალ. აბაშელი საგამომცემლო საქმეს ემსახურებოდა. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართველ კლასიკოსთა გამოცემებში. პ. ინგოროყვასთან ერთად, იყო რედაქტორი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის ათტომეულისა.

ს. გორგაძისა და ალ. აბაშელის რედაქტორობით 1925-1928 წლებში გამოიცა ა. წერეთლის „რჩეული ნაწერების“ ოთხტომეული. მოგვიანებით (1940-1941) იგი ა. წერეთლის თხზულებათა შვიდტომეულის პირველი და მეორე ტომის რედაქტორია, პ. ინგოროყვასთან ერთად. მას, ასევე, წვლილი მიუძღვის ალ. ყაზბეგის თხზულებათა აკადემიური გამოცემის საქმეში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალ. აბაშელის ღვაწლი, როგორც ვაჟა-ფშაველას თხზულებათა გამომცემლისა (ვაჟას თხზულებათა პირველი შემდგენელი, რედაქტორი და გამომცემელი).

ალ. აბაშელმა მოიძია ვაჟას ლექსის „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ სხვადასხვა ვარიანტი (ვაჟასეული ჩასწორებით) და ასე

გადაწყდა საბოლოო ვარიანტის დაკანონება. შოთა ძიძიგურის აზრით, სწორედ აბაშელს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მან დაგვიკანონა „ფშაველი ჯარისკაცის წერილის“ საბოლოოდ დახვეწილი ვარიანტი.

ალ. აბაშელს გვერდს ვერ აუვლის ქართული ლექსის ისტორიის მკვლევარიც. მას აქვს რამდენიმე საინტერესო წერილი. 1915 წელს გაზეთ „შადრევანში“ (5, 19 იანვარი) ალ. აბაშელმა გამოაქვეყნა გ. ტაბიძის პოეზიისადმი მიძღვნილი წერილი „ყვითელი ფოთოლი“. იგი მსჯელობს უკანასკნელ ათწლეულში მომრავლებულ პოეტებზე, უფრო მოლექსეებად მოიხსენიებს მათ, გამონაკლისების გარდა. „მრავალ არიან წვეულ, ხოლო მცირედნი რჩეულ...“ და ამ რჩეულთა შორის პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს ჩვენმა ახალგაზრდა მგოსანმა გ. ტაბიძემ...“ (წერილი შესულია ალ. აბაშელის თხზულებათა ორტომეულში, ტ. II. - თბ., 1967).

1916 წელს „სატურნის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა წერილი „პოეტიკა“, რომელშიც პირველმა შეაფასა გალაკტიონის ვერსიფიკაციული ნოვაციები (მეტრი, რითმა, რიტმი, ევფონია-ასონანსი, დისონანსი, კონსონანსი...): „უკანასკნელი წლების განმავლობაში არცერთ ქართველ მწერალზე იმდენს არ სწერენ, რამდენსაც გალაკტიონ ტაბიძის შესახებ და მაინც გაუშუქებელია მისი შემოქმედების ზოგიერთი მხარე, ერთი ასეთი მხარეთაგანია მისი „წერის მანერა“, მთელი სახელმძღვანელო, პოეტიკა, სრულიად ახალი პოეტიკა“... და სათანადოდ განიხილავს გალაკტიონის ლექსებს. ალ. აბაშელი წლების მანძილზე იყო ერთ-ერთი მეთაური „აკადემიური მწერლობის კავშირისა“, რომელიც აერთიანებდა მაშინ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სალიტერატურო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისადმი ყველაზე უარყოფითად განწყობილ მწერლებს...

„აკადემიური მწერლების კავშირს“ ძველი მწერლების კავშირსაც უწოდებენ, მას შემდეგ, რაც საქართველოს მწერალთა კავშირს გამოეყო ახალი მწერლების კავშირი (1921 წლის ოქტომბერი). დაჯგუფება ჩამოყალიბდა 1922-23 წ.წ. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა, ალ. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ვ. რუხაძე, ს. თავაძე. ა. ჭუმბაძე, მ. ჯავახიშვილი, ვ. გუნია, შ. დადიანი,

ხ. ვარდოშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, დ. მეგრელი, შ. მღვიმელი, ნ. ნიკოლაძე, ი. ტატიშვილი, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, ა. ჯაჯანაშვილი, ივ. გომართელი, ვ. ბარნოვი, დ. კლდიაშვილი, ტ. გრანელი, მარიჯანი...

აკადემიური მწერლობის კავშირის წევრთა მხატვრულ შემოქმედებაში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეჭირა ეროვნულ მოტივს. ისინი დაინტერესებული იყვნენ და ბევრს ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორი იქნებოდა ქართული კულტურისა და მწერლობის მომავალი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, ამასთანავე უნდობლად იყვნენ განწყობილნი ახალი საზოგადოებრივი წყობის მიმართ. მათი დამოკიდებულება არსებული სინამდვილისადმი ნათლად გამოიკვეთა ჟურნალ „ახალი კავკასიონის“ საპროგრამო წერილში „რედაქციისაგან“, სადაც გამოთქმული იყო შიში ეროვნული საკითხის გამო: „ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის წრეში ერთგვარ გაორებას განიცდიდნენ ახლად შექმნილ პირობებში: თუ, ერთი მხრივ, ის სოციალური იდეები, რომლის მატარებლად გამოდიოდა ახალი ხელისუფლება, არ იყო უცხო ქართული მწერლობისათვის, მეორე მხრივ, უნებლიედ იბადებოდა შიში, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ აღიარებული ეროვნულ-კულტურული დამოკიდებულების პრინციპები, მისდა უნებურად, ვერ მიიღებდნენ სრულ განხორციელებას: რომ ეროვნული პოლიტიკის ხაზი თანდათან გაიხრებოდა საქართველოს საზიანოდ; რომ რუსული ენა სტიქიურად დასჩაგრავდა ქართულს; რომ რუსული წიგნი თანდათან დაჩრდილავდა ქართულ წიგნს. ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა თვით ხელისუფლების ნებას, არამედ სტიქიურ პროცესს, რომელსაც უნებლიედ ხელს შეუწყობდა ობიექტური პირობები“ (ჟურნალი „ახალი კავკასიონი“, 1925, 1-2, გვ. 4).

ალ. აბაშელი იყო რედაქტორი აკადემიური ასოციაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ჟურნალ „ხომალდისა“ (1921-1922). პირველი ნომერი გამოვიდა 1921 წლის დეკემბერში. ჟურნალი იხსნებოდა ალ. აბაშელის ლექსით „შორეული ნაპირი“, რომელიც აშკარად, შეუნიღბავად გამოხატავდა იმ მწარე რეალობას, რომელიც ეს-ესაა თავს დასტყდომოდა მის სამშობლოს. კრწანისის ველთან თებერვლის შედარ-

ება (თებერვლისა, რომელიც შემდეგ 70 წელი „საზეიმო“ დღე იყო საქართველოში, „მეტაფორულად“ „საქართველოს ოქტომბერიც“ დაარქვეს თებერვალს...) ზუსტად გამოხატავდა ერის ტრაგედიას, ამგვარი „კრიმინალური“ სტროფითურთ (ავალიანი 2005: 148).

და ერის ტანჯვის გამომხატველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი —
ერთი ნაღველის ორი სახელი:
კრწანისის ველი და თებერვალი.

ალექსანდრე აბაშელი სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „წიგნის“ პასუხისმგებელ მდივნად, ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქციაში, განსაკუთრებით ხანგრძლივად იმუშავა გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში“, სიცოცხლის უკანასკნელი წლები კი — მწერალთა კავშირის პოეზიის სექციის ლიტერატურულ კონსულტანტად. როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, იყო უპრეტენზიო, მართლაც, „საქმეში ჩახედული“ ადამიანი. 1944 წელს, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, იგი დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

ალ. აბაშელი დამფასებელი იყო როგორც თავისი თაობის, ასევე ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებისა. დიდი სიხარულით ხვდებოდა ნიჭიერი მწერლის გამოჩენას. ს. ჩიქოვანი იხსენებს: „მაგონდება, როდესაც ა. კალანდაძე მწერალთა სასახლეში პირველად კითხულობდა ლექსებს, ალ. აბაშელი მსმენელთა შორის იმყოფებოდა. სიხარულით ცას ეწეოდა, ადგილზე ვერ ისვენებდა და აღტაცებას საჯაროდ გამოხატავდა... იგი იყო ქართული მწერლობის სინდისი, მისი ზნეობრივი სიმაღლის მაჩვენებელი... უმწიკვლო და სპეტაკი პიროვნება... როდესაც მწერალთა კავშირში შემოდიოდა, გეგონებოდათ, სულის სანთელი თან შემოჰქონდა და კეთილი ღიმილი შუქივით წინ მიუძღოდა“ (ჩიქოვანი 1963: 462). მისი ადამიანური ღირსების, კეთილშობილების მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ იმ დროისთვის ცნობილი ფაქტი: ალ. აბაშელი ხუთ ობოლს ზრდიდა: თავისი სიძის, ნოე ჩხიკვაძის, ორ ქალიშვილს და თავისი მეუღლის დისწულებს, სამ ვაჟს, რომელთა მამა დახვრიტეს და დედამ ამის გამო თავი ჩამოიხრჩო.

ურთულეს პერიოდს დაემთხვა პოეტის სამოღვაწეო გზის დასაწყისი — გარდა უმძიმესი პოლიტიკური ვითარებისა, ცუდ დღეში იყო ლექსის კულტურაც: დიდი პოეტები გენიალური შემოქმედების ზენტიში იყვნენ (განსაკუთრებით მომრავლდნენ აკაკის ჩრდილქვეშ მოქცეული მოლექსეები). 900-იანი წლების პოეტები: ი. ევდოშვილი, პ. ცახელი, დ. თომაშვილი, ნ. ჩხიკვაძე, ვ. რუხაძე და სხვები, — ასევე უფროს თაობას წარმოადგენდნენ და თავიანთი გარკვეული გზით მიდიოდნენ ფინალისაკენ. ახლის მაძიებელთა ადგილს იმკვიდრებდა ახალი თაობა. ალ. აბაშელმა, ი. გრიშაშვილმა, ს. შანშიაშვილმა სათავე დაუდეს ესთეტიკური მოდერნიზმის ნაკადს, რომელიც შემდგომ უფრო გაღრმავდა სიმბოლისტების — „ცისფერყანწელების“ პოეზიაში.

ალ. აბაშელის ლექსების პირველ კრებულ „მზის სიცილში“ შესულია 1909-1913 წლებში დაწერილი ლექსები, ერთი მხრივ, იგი აგრძელებდა ქართული ლექსის ტრადიციულ გზას (ა. წერეთლის პოეტური სისადავის, მელოდიურობის ნიშნით), მეორე მხრივ, აშკარად გამოირჩეოდა თავისებური თემატიკით, ახალი მხატვრული აზროვნებით, სალექსო ფორმათა ძიებით... უახლესი ქართული ლექსის რეფორმატორად, ცხადია, გალაკტიონია აღიარებული, მაგრამ ყველა მკვლევარი, ვინც კი ქართული ლექსის ვერსიფიკაციულ ნოვაციებს შეხებია, მიიჩნევს, რომ, პირველი რეფორმატორები არიან ალ. აბაშელი, ი. გრიშაშვილი და ს. შანშიაშვილი. ამ სამეულიდან კი, ვფიქრობთ, მყარი სალექსო ფორმათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა ალ. აბაშელი. აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: „მზის სიცილის“ გამოცემის წელს არც გალაკტიონის კრებულებია (გალაკტიონი — 1914წ.,1919წ.) გამოცემული და არც „ცისფერი ორდენია“ ჩამოყალიბებული.

ალ. აბაშელმა რევოლუციური საქმიანობით დაიწყო ცხოვრების გზა, როგორც ბევრმა მისმა თანამედროვემ, თანამოკალმემ თუ, უბრალოდ, ჩვეულებრივმა მოქალაქემ, მანაც ახალი, უბორკილო მომავლის საწინდრად აღიქვა რევოლუციური იდეები. ირგვლივ გამეფებული ბრძოლის, დაუმორჩილებლობის, უკეთესისაკენ სწრაფვის იდეებს ილუზორული რწმენით შეუერთდა. ეს იყო

ყველაზე სანუკვარის — თავისუფლების მოლოდინი (გალაკტიონსაც, მოგვიანებით, ბრძოლის, თავისუფლების ამგვარმა შეგრძნებამ დააწერინა იმპულსურად: „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა...“). ალ. აბაშელიც ასე გაიხსენებს ცხრაას ხუთი წლის მღელვარე დღეებს: **„წყლის პირს მიტინგი. სიტყვები იწვის, მეფის ერობა უარყოფილი (ხალხს რაც სჭირია — თვით უკეთ იცის, ქვეყანა გქვია თუ საპყრობილე?)**... რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ედგა სოციალ-დემოკრატიული პარტია. ამ დროს იწერებოდა ირ. ევდოშვილის, რევოლუციის მომღერლად აღიარებული პოეტის, მგზნებარე პათოსით აღსავსე ცნობილი ლექსები. 1905 წლის რევოლუციის, კლასობრივი ბრძოლების გენერალური რეპეტიციის“ (ტ. ტაბიძე) დამარცხებამ, დაღვრილმა სისხლმა, ბრძოლის სტილმა და რევოლუციური იდეოლოგიის საეჭვო მიმართულებამ ბევრის იმედი გააქარწყლა, მათ შორის, ალ. აბაშელისაც. თვით ირ. ევდოშვილი 1905-1907 წლების რევოლუციების დამარცხების შემდეგ გულგატეხილობამ მოიცვა. მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა ი. ჭავჭავაძის მკვლელობამ (ცნობილი ფაქტია და, ალბათ, განსაკუთრებით საყურადღებო მკვლევართათვის ირ. ევდოშვილის სიცოცხლის ბოლო წლები. როგორც ჩანს, მან ღრმად და ნათლად გაიაზრა მომხდარიც და მოსახდენიც და უნუგეშო სევდას მიეცა. გარდაიცვალა საკმაოდ მალე).

ლოგიკურია, რომ ალ. აბაშელი ვერ „შედგებოდა“ დემოკრატიული მიმართულების პოეტად (თითო-ოროლა გაელვებული პოეტური სიტყვა ამის საფუძველს არ იძლევა). ტ. ტაბიძე წიგნში „ახალი ქართული ლიტერატურა“ ალ. აბაშელზე წერს: „მანაც ევდოშვილის მოტივებით დაიწყო, მაგრამ შინაგანმა კულტურამ და ინტელექტმა რუსი სიმბოლისტებისაკენ უბიძგა, ყველაზე მეტად მან განიცადა კონსტანტინე ბალმონტის გავლენა“... (ტ. ტაბიძე 2000: 202). მაინც რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას ეკუთვნის იგი ამ წლებში (10-20-იანი)?.. (30-იანი წლებიდან ყველაფერი გარკვეულია: საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე და, განსაკუთრებით, მწერლობაზე დიდი გავლენა იქონია ტოტალიტარული სახელმწიფოს პოლიციურმა კონტროლმა პოლიციური ლიტერატურული

კრიტიკის სახითაც; ძალადობამ... ცილისწამებამ... სოცრეალიზმი, ახალგამოგონილი საბჭოთა ლიტერატურული მიმდინარეობა, მკაცრად ითხოვდა მწერლობაში იდეურობისა და პარტიულობის პრინციპების გაბატონებას, უმკაცრესი ცენზურა აკონტროლებდა „არაპარტიულ", „უიდეო" მხატვრულ ტექსტებს პოეზიაში, პროზაში, დრამატურგიაში... ასე აღმოჩნდა ალ. აბაშელიც, დანარჩენ თანამოკალმეებთან ერთად, „სავალდებულო საბჭოური შაირების" (გ. რობაქიძე) მწერალ-მელექსედ.

აბაშელი აშკარად ახალი თაობის პოეტია; მის ლირიკაში თვალშისაცემია სიმბოლიზმით შთაგონება, მაგრამ ეს ძირითადად სალექსო ფორმის ძიებაში გამოიხატა. მისთვისაც, როგორც სიმბოლისტებისთვის, მთავარია ბგერწერა, ჟღერადობა, რიტმი, რითმა, ფორმის მრავალფეროვნება... მაგრამ, მათგან განსხვავებით, მის ლირიკულ ტექსტებში არ იგრძნობა საგანგებო ბუნდოვანება, ბოჰემური მიდრეკილება და სხვ. განწყობით ის უფრო ენათესავება რომანტიზმს: მსოფლიო სევდის მოტივებით, ბუნებასთან, სამყაროსთან სულიერი კავშირის მაძიებლობით.

„მზის სიცილს" (64 ლექსი), ზოგადად, ის განწყობა წარმართავს, რომელიც ალეგორიულად გამოიხატა პოეტის, სავარაუდოდ, პირველ ქართულ ლექსში „ზამთარი და გაზაფხული": ოდესღაც აყვავებული, ახლა შავი ღრუბლების წყვდიადში ჩაფლული, მონურად დადუმებული და სასომიხდილი... აღარც კვნესა, აღარც ტირილი, რადგან **„უიმედობას გაეყინა ცრემლისა წყარო"**. გარდა იმისა, რომ ტექსტი იმ დროის ქართული ყოფის, ქართული სულების მტკივნეული ანარეკლია და საჭირო სიტყვაა, იგი ყურადღებას იქცევს ფორმის თვალსაზრისითაც.

მზეს, როგორც მარადიულ ნათელს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოეტისთვის. „გადაიკითხეთ უმეტესობა აბაშელის ლექსებისა და თქვენ იმწამსვე დარწმუნდებით, რომ სიკვდილის უძლეველ ცელთან, გვერდით დგას სიცოცხლის პრინციპის გამომსახველი უფრო ახალი, დაქვესკნელებულ ცასთან ერთად — ცა, მზის სხივით მოელვარე" (უზნაძე 1984: 257).

უკვდავების მაძიებელ პოეტს, პირველ ყოვლისა, აინტერესებს მზის, როგორც მარადიულის, საიდუმლოს შეცნობა, ტანჯული

ყოფიერების კავშირი მასთან, ადამიანის მწუხარე სულის ლტოლვა ნათლისაკენ, რომელსაც გზადაგზა ბარიერად აღემართება ქვესკნელიდან ამოვარდნილი ქარიშხალი. მზე ძალის მომნიჭებელია ბოროტებასთან ბრძოლაში. ლირიკული გმირი წარმართივით შეჰხარის მას, რომ არ ჩაინთქას სევდასა და მწუხარებაში, რაც ცხოვრებას გაუმზადებია მისთვის. იგი არ კარგავს რეალობის გრძნობას, ობიექტურად აღიქვამს სოციალურ-ყოფით ფონს, არც ფანატიკურ ოპტიმიზმამდე მიდის, ზოგჯერ აღტაცებით ნათქვამ სიტყვებშიც იგრძნობა სიკვდილ-სიცოცხლის იდუმალი აჩრდილი, წარმავლისა და მარადიულის შეპირისპირებაში ადამიანის უმწეობაც ჩანს და ბედთან გაბრძოლების ცდაც. მთელი კრებული ერთიანი მონოლოგის სახითაა შექმნილი. არაფერია მარადიული, მხოლოდ სულია უკვდავი. **„სული ცოცხლობს, უკვდავია, მხოლოდ ფერფლი დაიმარხა“**, — გაიელვებს მის ლექსში ეს ერთადერთი ნუგეში მოკვდავისა, მაგრამ არა — მყარად („გაწყდა სიმი“). ლექსის სათაური მეტაფორულად ამაზე მიანიშნებს.

„მზის სიცილის“ თითქმის ყველა ლექსში პოეტური გამოსახულების ობიექტი ბუნებაა, რომელიც ყოველთვის სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობისაა. ლირიკული პერსონაჟის დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრებსადმი, სოციალური საზრისი ბუნებასთან მიმართებაშია გადაწყვეტილი. ლექსების საგანგებო მუსიკალური ჟღერადობა გაჯერებულია ღრმა და გულწრფელი დრამატიზმით. პოეტი არა მარტო ხატავს ბუნების მრავალსახოვან სურათებს, არამედ გვიჩვენებს იმის ადამიანურ ქმედებას, პერსონიფიცირების მხატვრული საშუალებით მიმზიდველ ეფექტს ქმნის. **„მალე ვერცხლის თმას ძირს გადმოშლის დილის ცისკარი, / მოპარულ სხივებს მთვარე მორცხვად გააბნევს ველად...“**

მომდევნო კრებული, „ანთებული ხეივანი“ თემატურად მრავალფეროვანია: სამშობლო, სატრფიალო ლირიკა, ლექსები აკაკი წერეთელზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ჭოლა ლომთათიძეზე და სხვ. ბუნების სურათები, კვლავ მზის ხატი — ამჯერადროგორც სამყაროს, ბუნების მშვენიერი ნაწილი... უმთავრესი — უნდობლობის გამოხატვა ირგვლივ გამეფებული საეჭვო ბრძოლებისადმი, რომელიც, მისი

აზრით, „ძმათა სისხლის დასანთხევად“ მძვინვარებდა და სასიკეთოს არაფერს მოასწავებდა... **„როცა მეხი ძირს დაეშვა / ქვეყნის ბოძის შესარყევად, / ხმალმა ხმალი გადააჰკოცნა / ძმათა სისხლის დასანთხევად, / როცა სისხლი მიაფერთხა / ამ ქვეყანამ იმ ქვეყანას / და ნამგალი ჩაეხვია / ნორჩ სიცოცხლით სავსე ყანას!“** („სისხლის ლაქა“, 1916). ის სულიერად განზე დგას და კვლავ მზეს მიმართავს, როგორც ხსნის, ნათლის სიმბოლოს, მაგრამ სიმშვიდე არსად არის: „მიწას გავექეც, ცამ არ მიმიღო...“ მზის წიაღიც დახშულია, მზე — ჩამქრალი, სული — განწირული.

ამავე განწყობას გამოხატავს „სულის შემოდგომა“ (1916), რომელშიც წარსულიც უნაყოფო მოჩანს (იგულისხმება მიმდინარე ბრძოლების ახლო წარსული), აღარც აწმყოა და აღარც მომავალი. **„ნეტავ არასდროს არ მენახა ზეცა მზიანი! / არავინ მექო და არ მეთქვა არც სამდურავი“**... მისი თქმით, სხვა იყო ის სევდა და სამდურავი, „სევდა მზიანი, იმედგახსნილი“, როცა მხნე და ამაყი ბედს ებრძოდა.

პოეტი შემზარავად აღიქვამს ყოველივე იმას, რასაც ქვეყანაში ხედავს — რომ გარს უვლიან და „ამშვენებენ“ რაღაც კოშკს („მოჩვენება“, 1916), ზღვასა და ხმელეთს საეჭვო ყვავილებით აფერადებენ, მეტაფორულად გამოხატავს თავის სათქმელს და ავისმომასწავებლად აღიქვამს „საქვეყნო ფუსფუსს“, რომელიც ათქმევინებს: **„მაგრამ ვერ ვარჩევ: ტახტს თუ კუბოს, რას ამშვენებენ“**. აქ აშკარად ჩანს, რომ მისთვის გაურკვეველი, მიუღებელი ხდება ის, რაც ერთ დროს იმედად ესახებოდა — რევოლუციური ქარტეხილების არსი: **„ჭრელ მოჩვენებად მელადება მე ეგ სოფელი / და ჩემს არსებას იპყრობს შიში შეუცნობელი“** („მოჩვენება“, 1916.X.). შეიძლება ითქვას, ეს იყო პროვიდენციული ხედვა, ინტუიციით ნაგრძნობი რეალობა, ან სულაც — ლოგიკური დასკვნა ყოველივე იმაზე, რაც ხდებოდა. „შეუცნობელი შიში“ თან სდევს პოეტის მომავალ ლექსებსაც. მის ტექსტებში ჩნდება სიმბოლისტური მიმართულებისთვის ნიშანდობლივი სახეები: უფსკრული, კუბო, სასაფლაო, სიკვდილის აჩრდილი, მაგრამ ეს განსაკუთრებულ სიტუაციაში, უკიდურესი სულიერი მდგომარეობის დროს... როცა „ბურუსით მოცულია აქ ყველაფერი“ („უკანასკნელ კარებთან“, 1916):

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ სურათი უნუგეშო სასაფლაოსი,
უსიზმრო ძილით შემოსილი უტყვი ქაოსი
და ბნელი სივრცე, ოთხივ კუთხით განუზომელი...
.....
საუკუნენი ფოთლებივით სცვივა სამყაროს, —
და ჩემი სული დაჭკნობისგან რომ დაიკარგოს,
თუ ოდნავ მაინც შავი კარი ველარ შევაღე?..

ასეთი განწყობის მიზეზია ქვეყნის მდგომარეობა, ის, რომ „ქვეყნის წარსულმა ცეცხლი ჰპოვა დაუცხრომელი, და მომავალიც დასაწვავად კიდევ წინ არი". ლექსი „მიწა ატირდა" ასევე მძაფრად გამოხატავს მშობელი მიწის სატკივარს, ლირიკული გმირის წუხილს: **„მიწა ატირდა სისხლდანთხეული, / ცეცხლმა დაჰხაზა ძუძუ მშობლისა, / შურმა ჩააქრო სხივი სოფლისა, / სული გაიხრწნა, დალპა სხეული"**.

XX საუკუნის 10-იანი წლების პოეზიაში გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს ალ. აბაშელის სონეტები, რომელთა მრავალი სახეობა გვხვდება კრებულში „ანთებული ხეივანი". „20-იანი წლების ქართულ პოეზიაში არცერთ სხვა პოეტს არ შეუქმნია იმდენი სახეშეცვლილი სონეტი, რამდენიც ალ. აბაშელმა დაწერა. მის პოეტურ ხელოვნებას სათანადოდ აფასებდნენ თანამედროვენიც" (ბარბაქაძე 2008: 95).

„გაბზარული სარკე" (1916-1929) ოცდაცხრამეტი ლექსისგან შედგება. ახალ წიგნში უფრო კონკრეტულად გამოიკვეთა პოეტის უმთავრესი სათქმელი, განსაკუთრებით — საქართველოს გასაბჭოებით გამოწვეული შფოთვა, წუხილი. შეიძლება დაზუსტებით ითქვას, ამ შეუნიღბავ, საშინელი დროის მამხილებელ პოეტურ სიტყვას 20-იანი წლების მეორე ნახევრამდე ჰქონდა თავისუფლება. მიზეზი ამისა იყო ის, რომ ხელისუფლება 1921-1925 წლებში იარაღით ებრძოდა ოპოზიციურად განწყობილებს, ამბოხებულებს, აჯანყებულებს (1924 წლის ტრაგედია), მისთვის საეჭვო რიგით მოქალაქეებსა თუ სასულიერო პირებს... ასეთ ვითარებაში ვერ(არ) აკონტროლებდა ცენზურა პოეზიას. 1926 წლიდან იწყება მკაცრი, გამანადგურებელი ზეწოლა ბოლშევიკური იდეოლოგიისა თავისუფალ სიტყვაზე, კონკრეტულად, მწერლობაზე. შეიძლება ითქვას,

განსაკუთრებით პოეზიაზე, რადგან სწორედ ის გამოხატავდა მძაფრად არსებულ ვითარებას.

1927 წლის დეკემბერში, ჟურნალ „ხომალდის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა ალ. აბაშელის ლირიკული ციკლი „შორეული ნაპირი“ (შედგება 8 ნაწილისგან), რომელშიც ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა პოეტის მსოფლხედვა, „საშიში ეპოქის“ შეფასება: ლექსების ციკლი გამორჩეულია როგორც კონცეპტუალურად, ასევე მხატვრული ეფექტებით. თავის განწყობას და რეალობის სურათს პოეტი მეტაფორულად გადმოგცემს, რომლებშიც მკვეთრად ჩანს კონკრეტული ეპოქისა და ამ ეპოქით შეძრწუნებული ლირიკული პერსონაჟის სულიერი დრამატიზმი, ტრაგიზმის წინათგრძნობით: **„ციდან დაეშვა ცეცხლის ზეწარი“; „მოვარდა ქარი ცეცხლის ფაფარით“; „გარდაიცვალა ძველი ზღაპარი და გადაფრინდნენ სერაფიტები“; „სივრცე დაეთმო შავ-ფრთიან გველებს“** და სხვ. **„საზღვარწაშლილ ვნების ქაოსში“** იძირება სამყარო. ჩამქრალ მთვარეზე წითელ დროშებად ჰკიდია მზის ნაფლეთები, იმსხვრევა ძველი ორბიტის რგოლი და სხვ.

დაჰკრავს საათი კერპთა დასეტყვის.
მიწას მოელის ცეცხლის მოდება.
და ძველ ქვეყანას რექვიემს ეტყვის
ჩემი ნაღვლიან სულის გოდება.
ოხ, ჩემთვის ძნელი მისაღებია
შურისძიება ახალ მეტოქის.
ცეცხლის ეკრანზე ისახებიან
ძვირფასი ჩრდილნი წარსულ ეპოქის.
ცეცხლში უეცრად გადასხვაფერდა
ძველი ფიქრები და იმედები,
და ილეწება ბორკილთან ერთად
წარსულ დიდების თეთრი სვეტები...
და ერის ტანჯვის გამომხატველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი
ერთი ნაღველის ორი სახელი:
კრწანისის ველი და თებერვალი...

ამ ლექსის ბოლო სტროფი დაიბეჭდა მხოლოდ ერთხელ, ზემოთ აღნიშნულ ჟურნალში. სხვა გამოცემებში აღარ განმეორებულა (ამჟამად მთლიანი სახით დაიბეჭდა პოეტის კრებულში „100 ლექსი")... უკიდურესობამდე მისული უსასოობა ჩანს, ასევე, ციკლად შეკრულ „ტანჯვის ბარძიმში" (1922). მიზეზი იგივეა:

მტკიცე ბრძოლითაც ბედისწერა არ გამოკეთდა.
ვარ ცისქვეშ მარტო და ვდარაჯობ ჩემსავე საკანს.
ო, ეს ქვეყანა ყოველ მხრიდან ვინ გამოკეტა!
დაბმული სული ვერ პოულობს ვერსად გასაქანს.

ვდარაჯობ კუბოს და მიცქერის ძვირფასი მკვდარი.
დალეწილ ფრთებით გაიქროლებს ოცნება მძიმე,
ბნელ გოლგოთაზე გაბრწყინდება იესოს ჯვარი.
და მთვარესავით აენთება ტანჯვის ბარძიმი.

კიდევ უფრო ტრაგიკულია პოეტის განცდა მეათე ლექსში. მთლად სამყარო მოუცავს საშინელ განცდებს. იგი, ერთი მხრივ, თითქოს ეფერება დედამიწას, მეორე მხრივ, მას სასიკვდილოდ განწირულს ხედავს. უღმერთოდ, უნუგეშოდ დარჩენილ ქვეყანაში გამოსავალი სიკვდილია:

რა პატარაა დედამიწა: სულ მცირე ბაღი,
დაუსრულებელ სამყაროში მოხეტიალე.
ყველა ფოთოლზე დასმულია სიკვდილის დაღი.
ერთია ცეცხლი: უმიზნობის უშრეტი ალი.

ასეთივე განწყობისაა ლექსების ციკლი (შვიდი ლექსი) „უძილო ღამე" (1924), „თეთრი გვირგვინი" (1926) და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ცამეტი ქვეთავისგან შემდგარი ლირიკული ციკლი „მეოცნების დღიური" (1925), რომელშიც ჩანს, როგორი უნდობლობით, ეჭვით ეკიდება პოეტი იმას, რასაც, თითქოს, ახალი, დიადი ცხოვრებისთვის უნდა დაედო სათავე: „უიმედობა, მუდამ ეჭვი და სინანული ჩრდილივით ახლავს ჩემი ფიქრის ყოველ ანთებას", — წერს იგი, რადგან გაურკვეველი იყო, რას მოიტანდა

ყოველივე ეს საბოლოოდ, როგორი იქნებოდა ხვალინდელი დღე, ელირებოდა კი ეს მონაპოვარი ამ დაღვრილი სისხლის და ნგრევის ფასად, როგორი იქნებოდა შედეგი ძველსა და ახალ სამყაროს შორის მწვავე ბრძოლისა: **„რას მოგვცემს ეს დრო, სისხლითა და ძვლებით ნათესი: / იქროლებს რაში, შორს დარჩება ყორნის ჩხავილი, / და ავარდება მიუწვდომელ მზის სინათლეზე / მოულოდნელად ამოვარდნილ ქარიშხალივით“**.

„მეოცნების დღიური“ მოცულობით შეიძლება მივიჩნიოთ ლირიკულ პოემად. მთელი ტექსტი არსებული ვითარების დაუნდობელი, სარკასტული მხილებაა და ბოლო, მეცხრამეტე მონაკვეთში სრულიად მოულოდნელი ტექსტი ჩნდება:

დროა გათავდეს ჭაბუკური სისხლის თამაში,
ნიღაბთან ბრძოლით და ნაღველით სულის გართობა.
რომ ჩაესვენოს მდუმარების ცივ აკლდამაში
ჩემი სიცოცხლის ორმოცი წლის უკუღმართობა.

უნდა ვსვა სიბრძნე საუკუნის ახალ თასიდან,
რომ მკაცრ ლითონის სიმძიმითა და გამძაფრებით
ავმართო ცეცხლით დატვირთული რკინის აფრები
სულის ტკივილის სხვა ნაპირზე გადასაზიდად.

1925.

ეს სწორედ ის დროა, როცა კრიტიკა დეკადენტური პოეზიის ბურუსიდან ჯერ კიდევ გაუკრველ ავტორად მოიხსენიებს ალექსანდრე აბაშელს, რომელსაც „ვერ გაეგო“ ის ახალი იდეურ-შემოქმედებითი გზები, რომელიც გამარჯვებულმა რევოლუციამ გადაუშალა პოეტურ შემოქმედებას. „საუკუნის ახალი თასიდან“ სიბრძნის ზიარების სურვილი, რა თქმა უნდა, იმ საყოველთაო ზეწოლის შედეგი იყო, რომელიც უკვე თავს იჩენდა. თუმცა, მაინც, იქნებ შემთხვევითი არ იყოს ლექსის დასასრულს ქვეყნის შედარება „აკივლებულ ქარიშხალთან“...

ალ. აბაშელის „ლირიკის მწვერვალია“ (ასათიანი 1983: 92) ნოე ჩხიკვაძისადმი მიძღვნილი ლექსი („წერილი ნოე ჩხიკვაძეს“, 1926). ის მისი სიძე იყო. იცოდა ამ ადამიანის ყოველდღიური ავ-კარგი,

მისი საშინელი აღსასრულის თვითმხილველიც გახლდათ („რვიანის საწოლის ჯვარზე გაკრული“ — მეტაფორად შეიძლება მივიღოთ და პირდაპირი მნიშვნელობითაც, რადგან ტკივილისგან გატანჯული და სიცხიანი, მომაკვდავი, ის სწორედ ამ მდგომარეობაში ყოფილა), და, რაც მთავარია, სულიერი ნათესავი, რომელიც იმ ტკივილებით ცხოვრობდა და იტანჯებოდა, როგორითაც და როგორც პოეტი ნოე ჩხიკვაძე. მიმართვის ფორმით სათქმელის გამოხატვა ძალზე ემოციურს ხდის ლექსის დინამიკას, ავტორის დამოკიდებულებას ტექსტის ადრესატისადმი. თითქოს აქ იხსნის პირს ეპოქისგან მიყენებული ყველა იარა და ყველა ჭრილობა, რომლებიც ერთნაირად აჩნდათ ლექსის მთქმელსაც და „გაყალბებული დროის“ მსხვერპლ პოეტს. ალექსანდრე აბაშელს სულს უფორიაქებდა, ერთი მხრივ, ნოე ჩხიკვაძის ორი პატარა ობოლი და, მეორე მხრივ, უპატრონოდ დარჩენილი მისი ლექსები. **„ქვესკნელს დასთხრიდნენ შენი ფესვები, / მიწას პოეტად რომ არ ეშობე. / საქართველოში შენი ლექსები / მშიერ მგლებივით დათარეშობენ“**.

სხვისი თანაგრძნობისა და ტრაგიზმის ამგვარად წარმოსახვას აძლიერებს ის, რომ პოეტს არა მარტო ძვირფასი ადამიანი გამოეცალა ხელიდან, არამედ, ზოგადად, პოეზიას ედგა შავი დღე. მისთვის შემაძრწუნებელია ის, რომ პატივაყრილია „ძველი შაირი“ (აბაშელი ეთაყვანებოდა XIX საუკუნის პოეზიას) და არც ახალი ლექსი იყო უკეთეს მდგომარეობაში. სწორედ აქ, ლექსის ფინალში იყრის თავს მთავარი სათქმელი — გამოტირება ძვირფასი ადამიანისა და პოეტური თავისუფლებისა. შეიძლება ითქვას, ეს იყო უკანასკნელი პირუთვნელი დასკვნა პოეტისა, რომელიც კარგად ხედავდა, რაც ხდებოდა ქართულ მწერლობაში, კარგად ხვდებოდა, რას იქადებოდა მომავალი:

არ გვაწევს ტვირთი სხვა იმედების,
შენ უკეთ იცი, პოეტო ძმაო, —
ჩვენთვის გარეშე შემოქმედების
რომ ყველაფერი არის ამაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი, —
დაეცა ლოცვა და პოეზია.
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი
და ახალს ჩრდილი შემოესია.
გაგიკვირდება, ლექსს რათ არ შველის, —
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად, —
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა!
ახლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან,
ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა,
ამონაწერმა გაზეთებიდან.
1926.

ახალმა დროებამ, „სისხლითა და ძვლებით ნათესმა“, ალექსანდრე აბაშელიც საბჭოთა სინამდვილის სამსახურში ჩააყენა და „სავალდებულო შაირების“ მწერლად აქცია. მისი თანამედროვენი (გამომცემლობის მუშაკები) იხსენებდნენ: თანამედროვეობის თემაზე შექმნილი ლექსები რომ გავაერთიანეთ და ვაჩვენეთ, ნირწამხდარმა თქვა, ამდენი დამიწერიაო; საბჭოთა პატრიოტიზმი, ისტორიულ გმირთა სახეები, ჰუმანიზმი, საბჭოთა ადამიანის შრომისა და გმირობის თემები გახდა უმთავრესი ალექსანდრე აბაშელის პოეზიისთვის, ისევე როგორც, ზოგადად, საბჭოთა პოეზიისათვის... მრავალი ლექსი მიუძღვნა მეორე მსოფლიო ომში მებრძოლ თანამემამულეებს, მშვიდობას, ფაშიზმზე გამარჯვების თარიღს. **„სულ სხვა სინათლე და სხვა იერი / ახლავს ჩვენს ლაჟვარდს, წვიმას და ქარსაც, / ჰყვაოდეს მიწა სვებედნიერი — / სხვა საქართველო არ არის არსად“**.

თანამედროვე საქართველოსადმი მიძღვნილ ლექსში „ახალ საქართველოს“ პოეტმა, მიუხედავად კონიუნქტურული ფინალისა, მაინც დიდებულად შეძლო მოფერებოდა თავისი ქვეყნის სილამაზეს; მყინვარწვერის თოვლის თეთრ თაველს... გაზაფხულის ოქროვან წვიმებს... აკაკის ხმაწკრიალა ჩონგურს... საქართველოს „ერთი ხელის დადება“ მიწას... **„გაზაფხულის ცეცხლის შემოკიდებავ / და საღამოს მთვარევ, ჯიხვის რქიანო! / აღმართ-აღმართ აღმავალო დიდებავ, — / შენ ახალი საქართველო გქვიანო“.**

ალექსანდრე აბაშელი ავტორია რომანისა „ქალი სარკეში“, მოთხრობისა „ატმის ყვავილი“ და რამდენიმე ლიტერატურული წერილისა. სიცოცხლის მიწურულს დაწერილ ლექსში „თედო სახოკიას“ პოეტი წერდა: **„ხვალინდელ დღესაც ხელი შევახოთ და მერე... წყნარად დავკეცოთ ფრთები“**. ბედის ირონიას ჰგავდა ალექსანდრე აბაშელის ცხოვრების და შემოქმედების შეფასება მისი გარდაცვალების შემდეგ, როცა ითქვა: გაუტეხელი და დაუბერებელი სულიერი ცხოვრებით, ასეთი უჩრდილო და უნაღვლო სიმღერებით წავიდა ჩვენგან ალექსანდრე აბაშელი, რადგან მშობლიური ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი, გრძნობდა, რომ წარუშლელი კვალი დატოვა... სწორედ ეს „ვალმოხდილობა“ იყო ის, რამაც მძიმე სულიერი დაღი დაამჩნია XX საუკუნის საბჭოთა პერიოდის ქართულ ლირიკას, დააკარგვინა მას ჭეშმარიტი პოეზიის „გემოწმინდა“ (გ. ლეონიძე). ალექსანდრე აბაშელი ერთი მათგანია, ვისაც ეს აწუხებდა, ვისაც ნაადრევად დააკეცვინა შემოქმედებითი ფრთები სოციალისტური რეალიზმის დამთრგუნველმა და მკაცრმა ცენზურამ.

დამოწმებანი:

აბაშელი 1913: აბაშელი ა. „მზის სიცილი“. მოკლე ბიოგრაფიული ცნობარი. „თემის გამოცემა“. - თბ., 1913.

ავალიანი 2005: ავალიანი ლ. „გიჟი დროის“ ქართული მწერლობა. ქართული მწერლობის სინდისი — ალექსანდრე აბაშელი. - თბ., „თეთრი გიორგი“, 2005.

ასათიანი 1983: ასათიანი გ. ალექსანდრე აბაშელი. „თანამდევი სულები“. - თბ., „მერანი“, 1983.

ბარბაქაძე 2008: ბარბაქაძე თ. ალექსანდრე აბაშელის სონეტები. // სონეტი საქართველოში. - თბ., „უნივერსალი“, 2008.

გამსახურდია 1963: გამსახურდია კ. რჩეული თხზულებაში. ტ. IV. - თბ., 1963.

რობაქიძე 1996: რობაქიძე გრ. ფოთლები. // გრ. რობაქიძე, „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“. - თბ., 1996.

ტაბიძე 2000: ტაბიძე ტ. ახალი ქართული ლიტერატურა. მოკლე ნარკვევი. - თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000.

უზნაძე 1984: უზნაძე დ. აბაშელის პოეზია. ფილოსოფიური შრომები. - თბ., თსუ გამომცემლობა, 1984.

ჩიქოვანი 1963: ჩიქოვანი ს. რჩეული წერილები. - თბ., 1963.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაგდარი

◊

ლევან მენაბდე 90

◊

ჩემი თაობის სტუდენტობამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ უპირობო პატივისცემისა და დიდი მოლოდინის კვალობაზე, იმთავითვე იწვნია იმედგაცრუებაც სასწავლო პროცესის პოლიტიზაციისა თუ პროფესორ-მასწავლებელთა ერთობ ჭრელი და, არცთუ იშვიათად, შეუსაბამო კონტინგენტის გამო. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „სელექცია“ არ გაგვჭირვებია: სტუდენტი ხომ იშვიათად ცდება. მცირე ხნის დაბნეულობის შემდეგ, უკვე ვიცოდით, ვინ ვინ იყო. თანაბარი ინტერესით ვუსმენდით სასიქადუ-

ლო ხანდაზმულ მეცნიერებს თუ სრულიად ახალგაზრდა, ნიჭიერ ლექტორებს (მაშინ ასაკობრივი „ცენზი“ არ არსებობდა).

60-იანი წლების დამდეგს, საბედნიეროდ, „წითელი“ თუ „მოწითალო“ პროფესურის გავლენა უკვე საკმაოდ იყო შესუსტებული; მრავალი რეგალიით, პარტიული თანამდებობებით თუ მედროვის გუმანით აღჭურვილთ, ალბათ ისიც ჰქონდათ შეგნებული, რომ მათი მატარებელი მალე ჩაივლიდა, ამიტომ გულგრილად ეკიდებოდნენ სასწავლო პროცესს, მით უმეტეს, რომ პედაგოგის ნიჭითაც ვერ დაიკვეხნიდნენ.

სავსებით ვიზიარებ ძველ რომაულ შეგონებას — გარდასულებზე ან კარგი იუბნე, ან ნურას იტყვიო; მაგრამ იმდროინდელი კოლორიტის აღსადგენად პარტისტორიის ერთი მკაცრი ლექტორის „შეგონებას“ მაინც გავიხსენებ: სიცოცხლით სავსე და ხალისიან პირველკურსელებს გვმოძღვრავდა, — რას გავხართ, სახეზე უნდა გეტყობოდეთ, რომ მთელი ღამე პარტისტორიის სწავლაში გაატარეთო!

იმ ლექტორთა შორის, მალევე რომ გამოვარჩიეთ, გახლდათ ბატონი ლეო მენაბდე. მას ახალგაზრდა ეთქმოდა, მაგრამ ჩვენ „დიდ კაცად“ მიგვაჩნდა. მისდამი პიეტეტს თავი ვერ დავაღწიე მრავალი წლის შემდეგაც, როცა კოლეგიალობის გარდა, მჭიდრო თანამშრომლობაც გვაკავშირებდა ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში. ერთხელ დამტუქსა კიდეც, ჩემი ხნის მავან პროფესორს „შენობით“ რომ ელაპარაკები, მე რა დავაშავეო; არადა, რომ მოგეკალით, ასე ვერ მივმართავდი.

სხვათა შორის, შესანიშნავი მეცნიერის და ყველასათვის უსაყვარლესი პიროვნების ლექსო ჭინჭარაულისთვისაც არასდროს მიმიმართავს ასე, თუმცა ჩემზე უმცროსებსაც კი არ უშლიდა ფამილარობას, თავადაც მხოლოდ „შენობით“ მელაპარაკებოდა.

* * *

ბატონ ლეოს საკანდიდატო დისერტაცია — „ასურელ მამათა საკითხისათვის“ — 26 წლის ასაკში დაუცავს, 1950 წელს, რაც მაშინ დიდი იშვიათობა იყო, მით უმეტეს, თუ თემატიკას გავითვალისწინებთ.

დღევანდელი თვალსაწიერიდან კიდევ უფრო თვალნათლივ ინაკვთება ე. წ. „საბჭოთა მეცნიერების“ (რომელთა ერთ ტაფაში მოქცევა, რაც ხშირად ხდება, — უზნეობაა) უდიდესი ძალისხმევა ქართული სულიერების შენარჩუნებისათვის. ახლა, როცა ბიბლია და ახალი აღთქმა ყველასათვის ხელმისაწვდომია, ხოლო ეკლესია-მონასტრების შენება-აღორძინება, ღვთის შეწევნითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით — ჩვენი თანამედროვეობის უდიდესი მონაპოვარი, ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ დროს სწავლულები და გამომცემლები იძულებით „ინიღბებოდნენ“, რათა ნეიტრალური სათაურები გამოენახათ სასულიერო თემატიკისა და ბიბლიური ტექსტებისათვის („მცხეთური ხელნაწერი“, „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია“ და მისთანანი).

სწორედ ასეთ გამოკვლევათა რიცხვს განეკუთვნება ლევან მენაბდის ფუნდამენტური ნაშრომი „ძველი ქართული მწერლობის კერები“ (1962-1980).

აღნიშნული გამოკვლევა ეკლესია-მონასტრების „ფიზიკური“ თუ სულიერი ისტორიაც გახლავთ: იგი შეიცავს უნიკალურ ცნობებს მრავალრიცხოვანი ქართული წმინდა ადგილების (ისტორიულ საქართველოშიც და საზღვარგარეთაც — სირია-პალესტინაში, ბიზანტიაში, კვიპროსზე, ბულგარეთში და ა. შ.) ისტორიულ-გეოგრაფიულ რეალიებსა და სასულიერო, მწიგნობრულ თუ საგანმანათლებლო მისიაზე. დღემდე აქტუალურია აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სიტყვები: „შესრულებულია შრომა, რომელიც ავსებს ერთ-ერთ ხარვეზს ჩვენი ლიტერატურის ისტორიისა და რომელიც არასოდეს არ დაკარგავს მნიშვნელობას...“

სწორედ ამ თემას მიეძღვნა ლევან მენაბდის სადოქტორო დისერტაცია (1963). ისტორიკოსმა, აკადემიკოსმა შოთა მესხიამ, რომელიც ერთ-ერთი ოპონენტი გახლდათ, უპრეცედენტო რამ განაცხადა: შესაძლებელი რომ იყოს, დისერტანტისათვის არა მხოლოდ ფილოლოგიის, არამედ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭებასაც მოვითხოვდიო.

1950 წლიდან ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ჯგუფ-ედრის დამფუძნებლის კორნელი კეკელიძის ღირსეული მოსწავლე ლევან მენაბდე კათედრის უცვლელი თანამშრომელი გახლდათ.

უაღრესად ნაყოფიერი მეცნიერი (500-მდე ნაშრომის, მათ შორის, 15 წიგნის ავტორი), ბევრი სამეცნიეროკრებულის ხელმძღვანელი და რედაქტორიც იყო. ამასთან, ძველი ქართული მწერლობის მკვლევართა თაობების აღმზრდელიც: 1966-1999 წლებში ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. იყო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის პრეზიდენტი, სამეცნიერო წიგნებისა და გამოცემების, აგრეთვე მწიგნობართა ასოციაციის ალმანახ „მწიგნობრის“ მთავარი რედაქტორი... სიცოცხლის ბოლო წლებშიც აქტიურად და ნაყოფიერად იღვწოდა. თუმცა წიგნის გამოცემა მაშინ უსაშველოდ იყო გაძნელებული, მისი სტატიები მაინც სისტემატურად ქვეყნდებოდა.

სწორედ ამ დროს გამოსცა მან საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის „შრომების“ ორი სოლიდური კრებული (1997-1999).

გარდა „ძველი ქართული მწერლობის კერების“ ტომეულებისა, რომელიც დღემდე შეუცვლელი გამოკვლევაა ლიტერატურის ქართველ თუ უცხოელ მკვლევართათვის, ე. წ. სამაგიდო წიგნთა რიცხვს მიეკუთვნება ლევან მენაბდის „სულხან-საბა ორბელიანი“ (1953, 1989), „ვახტანგ VI“ (1966), „ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი“ (1967), „XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა“ (1973), „რუსთაველი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში“ (1990), „XVII-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა“ (1997) და სხვ.

გამორჩეული იყო ლევან მენაბდის პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი არა მხოლოდ გადმოცემის ჩინებული უნარით და ფართო თვალსაწიერით იმსახურებდა სტუდენტთა ყურადღებას, არამედ პიროვნული თვისებებითაც. კომუნიკაბელური, მზრუნველი და, ამასთან, საოცრად

ტოლერანტული გახლდათ მოწაფეთა მიმართ. არ მახსოვს მისგან გაკიცხული ან დასჯილი სტუდენტი, ამიტომაც საყოველთაო სიყვარულს იმსახურებდა. თუმცა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულებს, რასაკვირველია, იმთავითვე გამოარჩევდა და ამიტომაც აღზარდა ჩინებულ ლიტერატორთა მრავალი თაობა.

ბატონი ლეო, რომელიც იშვიათი პუნქტუალურობით, შრომისმოყვარეობით, ორგანიზატორის ნიჭითა და უნარითაც იყო დაჯილდოებული, დაუზარლად და უანგაროდ მონაწილეობდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საქმიანობაში.

1976-86 წლებში მისი თაოსნობით გაიმართა ერთობლივი კონფერენციები სანქტ-პეტერბურგის პუშკინის სახლსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სახელწოდებით — „ძველი ქართული მწერლობის სამი დღე“, პეტერბურგში 1976, 1986 და „ძველი რუსული მწერლობის სამი დღე“, 1977 — თბილისში). ამგვარი ლიტერატურული ურთიერთობების ხელშესახები მაგალითია ქართველ და რუს მკვლევართა მიერ გამოცემული სამეცნიერო კრებულები. ლევან მენაბდის მიერ შედგენილმა „ძველი ქართული მწერლობის ქრესტომათიამ“ რუსულ ენაზე, აკადემიკოს დიმიტრი ლიხაჩოვის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ბატონი ლეო დაუცხრომელი მოგზაური გახლდათ: შემოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო; 1971 წელს იმოგზაურა ბულგარეთში და პირველად მიეცა საშუალება პეტრიწონის მონასტრის ნახვისა. სასიხარულოა, რომ 1993 წელს მიიწვიეს იერუსალიმში, საერთაშორისო კონფერენციაზე; ჯვრის მონასტერიც მაშინ მოინახულა. სამწუხაროდ, მას აღარ დასცალდა ტაო-კლარჯეთში, ათონის მთასა თუ ქართველთა სხვა საზღვარგარეთული სულიერი სავანეების ხილვა.

ლევან მენაბდე იყო მრავალი სამეცნიერო კრებულის, აგრეთვე, „ჩვენი საუნჯის“ მეოთხე და მეხუთე ტომების (ალექსანდრე გვახარიასთან ერთად) შემდგენელ-რედაქტორი.

მან უდიდესი ამაგი დასდო „ქართული ენციკლოპედიის“ თერთმეტტომეულის გამოცემას, როგორც უაღრესად ნაყოფიერმა ავტორმა, ქართული ლიტერატურის სამეცნიერო საბჭოს უცვლელმა

წევრმა და შემდეგში, ამავე საბჭოს თავმჯდომარემ. ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის „რუსთაველის ენციკლოპედიის“ სიტყვანის მომზადების საოცრად რთულ, შრომატევად საქმეში, აგრეთვე, ენციკლოპედია „თბილისის“ პირველი ვარიანტის მომზადებაში.

ლევან მენაბდეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ძველი ქართული მწერლობის შესწავლის უდიდესი როლი ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში, მისი ეროვნული თუ საკაცობრიო მნიშვნელობის წარმომჩენ მეცნიერებს კი უდიდეს პატივს მიაგებდა. 1993-1999 წლებში გამოქვეყნებული წერილები დაედო საფუძვლად მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ წიგნს „ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა“ (2005, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და საძიებლები დაურთო დარეჯან მენაბდემ, რედაქტორი ელგუჯა ხინთიბიძე).

ავტორი ერთგან წერდა: „დროა დაიწეროს სპეციალური წიგნი — „ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორია“ — მონოგრაფია, რომელიც სრულად წარმოაჩენს ქართველოლოგთა დამსახურებას ეროვნული კულტურისა და მეცნიერების წინაშე“.

იმედი ვიქონიოთ, რომ მეცნიერთა ახალი თაობა გაითვალისწინებს ამ მოსაზრებას და ჯეროვან პატივს მიაგებს წინამორბედებს, რომელთა შორის უთუოდ აღინიშნება მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლევან მენაბდის განსაკუთრებული ღვაწლი ძველი ქართული მწერლობის კვლევის საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამ გაჩეჩილაძე

მაღალი რანგის შემოქმედი

მხატვარი-გრაფიკოსი ჯემალ ლოლუა ქართულ სახვით ხელოვნებაში 1950-ანი წლების მეორე ნახევრიდან შემოდის. თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის წლებშივე (1952-1958), იგი აქტიურად ებმება ქართული გრაფიკული ხელოვნების განვითარების საქმეში. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, 1954 წლიდან, თანამშრომლობს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებთან და აკადემიის დამთავრებისთანავე ჩამოყალიბებულ წამყვან გრაფიკოსად გვევლინება. მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე თანმიმდევრულად მუშაობს და ანვითარებს გრაფიკის სხვადასხვა სახეობებს: წიგნის გრაფიკას, პლაკატს, კარიკატურულ ნახატს, ექსლიბრისის ხელოვნებას.

1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართულ სახვით ხელოვნებაში ნაციონალური ტენდენციების ათვისების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ძვრები იწყება, რაც უფრო ღრმადაა შესწავლილი ფერმწერ მხატვართა შემოქმედებაში, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ტენდენციების გრაფიკის დარგში გამოვ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. გარეკანი.

2. ტიტული.

3. წიგნის ფურცელი.



4. წიგნის ფურცელი.

თამარ ჩხაიძე, ხატულა.

ლენა, რადგან სხვადასხვა მიმართულებით გაშლილი სიახლეთა ძიებები ამ დარგის ყველა სახეობაში შეინიშნება (დაზგური და წიგნის ხელოვნება, პლაკატი, საჟურნალო-საგაზეთო მხატვრობა, კარიკატურული ნახატი, ექსლიბრისი). იხვეწება და მკვიდრდება გრაფიკის სხვადასხვა ტექნიკები (ოფორტი, ლინოგრავიურა), რომელიც ფართოდ გამოიყენება როგორც დაზგურ გრაფიკაში, ასევე წიგნის ილუსტრირებაში და პლაკატში. დაზგურ და წიგნის გრაფიკის ნიმუშების შინაარსობრივ გადაწყვეტაში მატულობს მისწრაფება რომანტიზმისკენ, ხდება ბუნების სიღრმისეული გაგება, „ხალხურობის“ ელემენტების შემოტანა. ახლებურად და უფრო ფართოდაა გაგებული წიგნის გაფორმების პრობლემებიც. მხატვარ-ილუსტრატორი უფრო და უფრო ხშირად გვევლინება როგორც წიგნის მთლიანი ორგანიზმის შემქმნელი.

იმავე გზას მიჰყვება ჯემალ ლოლუაც. იგი, ძირითადად, განსაკუთრებით კი საბავშვო ნაწარმოებების გაფორმებისას, წიგნს ერთიან „კომპოზიციად“ აყალიბებს. ამის მაგალითია ერთ-ერთი პირველი ნამუშევარი, თამარ ჩხაიძის „ხატულა“[1] (ილ. 1, 2, 3, 4), რომელზეც მან მხატვარ ნოდარ მალაზონიასთან ერთად იმუშავა. ეს მთლიანად დასურათებული საბავშვო წიგნი დიდსაც და პატარასაც ხიბლავს ცოცხალი, ნათელი ნახატით, მკაფიოდ გამოხატული სიუჟეტებით, ტექსტთან ორგანულად შერწყმული ილუსტრირებული თხრობით. წიგნის გარეკანიდანვე „შემოგვანათებს“ მხიარულად მომღიმარი თოჯინა-გოგონას სახე დიდი თვალებითა და ბავშვური, წითლად შეფაკლული ღაწვებით. სასათაურო შრიფტიცა და ნახატიც მარტივი და ნათლად აღსაქმელია. ტიტული გარეკანის გაგრძელებას წარმოადგენს. წიგნის თითოეული ფურცელი მძივივითაა ასხმული ერთმანეთზე, თხრობას მიჰყვება და ნახატით გადმოცემული შინაარსიც ტექსტთან ერთად იკითხება. მხატვრებს გააზრებული აქვთ ყველა დეტალი: გადაშლილი ფურცლების ურთიერთკავშირი, შემდგომი გვერდის ტექსტისა და ნახატის თან-

---

1. თ. ჩხაიძე. ხატულა. - თბ., „ნაკადული“, 1960; ეს წიგნი მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე ვერცხლის მედლით აღინიშნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



5. ტიტული.

6. ილუსტრაცია.

7. ილუსტრაცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8. ილუსტრაცია.



9. ფორზაცი.

თამაზ ბიბილური, წელიწადის დრონი.

მიმდევრული განვითარება. ნახატი რეალისტურია, მაგრამ არა ნატურალისტური, მოქმედ გმირთა სახეები ძალზე მეტყველია. ეს ეხება როგორც ადამიანთა ფიგურებს, ასევე თოჯინებსაც. როგორც ტექსტში, ნახატებშიც თოჯინები „ამოძრავებულია“, „ამეტყველებული“. ფიგურები მარტივია, მოცულობითი ფორმები კონტურით გარშემოიწერება, რითაც გრაფიკულობის მომენტია ხაზგასმული. ზღაპრის გმირები ტექსტთან ერთად ვიზუალურადაც „ცხოვრობენ წიგნში“, აცოცხლებენ, ამეტყველებენ და ახმოვანებენ ტექსტს. ყოველივე ამით კი წიგნი ერთიანად მომხიბვლელი ხდება როგორც პატარებისათვის, ასევე ასაკოვანი ადამიანებისთვისაც.

მხატვარს განსაკუთრებით იზიდავს მახვილი იუმორით გაჯერებული ნაწარმოებების გაფორმება. ეს მის მიერ სამხატვრო აკადემიის დამამთავრებელი სადიპლომო ნამუშევრის შერჩევიდანაც ჩანს: იგი ი. ილფისა და ე. პეტროვის „ოქროს ხბოს“ ილუსტრაციებს ქმნის. ნაწარმოების იუმორისტული, მახვილგონივრული გახსნით ხასიათდება შესრულებული ყველა ილუსტრაცია. უკვე ამ ადრეულ ნამუშევრებშიც მხატვრის ჩამოყალიბებული, ინდივიდუალური ხელწერაა გამოვლენილი. სადიპლომო ნამუშევარში მხატვარმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და იმთავითვე იქნა შემჩნეული და აღიარებული თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამო.

სხვა მრავალ წიგნთა მსგავსად იუმორისტული ხასიათის გადაწყვეტა აქვს მ. დარბინიანის მოთხრობა „სულდი და ბულდის“ (1962წ.) ილუსტრაციებსაც. ნაწარმოების სახასიათო გმირთა გაშარჟებული გამოსახვა მათი დამახასიათებელი ნიშნების წინ წამოწევით არის მიღწეული. გადმოცემულია ორი მარცხიანი ბრიყვის მოქმედება მძაფრ, კომიკურ სიტუაციებში. ბულდი გაბერილი, მსუქანი კაცის სახითაა წარმოდგენილი, სულდი კი წვრილი, დალეული, „უდღეური გარეგნობისაა“. გამოყენებულია მკაფიო ხალხური ტიპაჟი, სოფლის ცხოვრების სცენები.

ჯემალ ლოლუა აფორმებს ა. ჩეხოვის ნაწარმოებთა სამტომეულს. ამ შემთხვევაშიც იგი ირჩევს ისეთ მოთხრობათა ილუსტრირებას, რომლებშიც მეტი გამომსახველი, იუმორისტული და მძაფრი სიუჟეტებია. იგი ქმნის მეტად სახასიათო და განუმეორე-

10. ყდა .

11. ილუსტრაცია.

მარკ ტვენი. ტომ სეიერის თავგადასავალი.

12. ყდა.



13. ილუსტრაცია.

შარლ პერო. „ზღაპრები“.

ბელ ტიპაჟებს. ერთმანეთს ცვლიან მსუქანი და სულელი ქალბატონი, ლის, მოტყუებული პარიკმახერის, შეშინებული ფორტეპიანოს ამწყობის და სხვათა სახეები.

მხატვრის მიერ გაფორმებული მრავალრიცხოვანი წიგნებიდან მეტად მნიშვნელოვანია ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებთა ილუსტრაციები. მხატვრის „თხრობა“ შეიცავს მათში არსებული იუმორისტული სიტუაციების პარალელურად განვითარებული მოქმედების ლირიკულ, პოეტურ ასახვას. იგი ახერხებს მეტად ფაქიზად და ღრმად ჩაწვდეს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებთა ხასიათს, მათს ეროვნულ და ამავე დროს საკაცობრიო მნიშვნელობას, განმსჭვალულს ადამიანური სითბოთი.

საოცარი სითბოთია გაჯერებული ბევრი სხვა ნაწარმოების ილუსტრაციები, განსაკუთრებული სიყვარულით კი ეს საბავშვო ლიტერატურის გაფორმებაშია გამოვლენილი, რაც თუნდაც ზემოთ აღწერილ თამარ ჩხაიძის „ხატულაში“ დავინახეთ. პოეტურ-ლირიკული ხასიათისაა ნ. დუმბაძის „მანანას წერილი“ (1959), მ. ბერძენიშვილის „საქმიანი ადამიანი“ (1960), მ. მრევლიშვილის „ჭანჭიკელა“ (1960), ლ. სულხანიშვილის „თოჯინა“ (1962) და სხვა მრავალი. ამ ნაწარმოებთა ილუსტრაციები გამოირჩევა ნათელი, უბრალო და მკაფიო ფერადოვანი გადაწყვეტით, ხდება ნახატისა და ტექსტის ურთიერთშერწყმა, ხშირად კომპოზიციებში ერთვება ჟანრული სცენები. მხატვარი ისეთი დიდი ოსტატობით გამოსახავს ცხოველთა ფიგურებს, თითქოს აცოცხლებს, ამეტყველებს მათ.

რამდენადმე სხვაგვარი მიდგომით გამოირჩევა 1969 წელს გაფორმებული საბავშვო წიგნი — ოვანეს თუმანიანის „გიქორი“, რომელსაც მთლიანად აფორმებს მხატვარი, ანუ ქმნის მთელ ორგანიზმს. მოთხრობის შინაარსი მეტად ტრაგიკულ ისტორიას გვიყვება, ამდენად გაფორმებაც ძალზე თავშეკავებული და პირქუშია, ფერადოვნადაც მონოქრომული, მოყავისფრო ტონალობის ფერებია გამოყენებული. ნახატი მარტივია, რეალისტური. ფიგურათა მოძრაობები ზოგჯერ რამდენადმე მექანიკურია, ხისტი. კომპოზიციური განაწილების თვალსაზრისით წიგნის ყველა ელემენტი ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს. შესრულებულია ოთხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. ნაცარქექია.

15. წიქარა.

16. აფიშა ფილმისათვის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

ილუსტრაცია და გარეკანზე გამოსახული ნახატი. ილუსტრაციების გარდა, ტექსტის გასაფორმებელი ელემენტები, ქვეთავების გამყოფი ტექსტის დასაწყისში გაზრდილი ზომის საზედაო ასო-ნიშნებია, რომელთა მოხაზულობა მარტივია, მაგრამ გრაფიკოსს მხატვრული აქცენტები შემოაქვს და ცოტათი მაინც „ახალისებს“ წიგნის მძიმე შინაარსს. ნახატები ცალ-ცალკე ფურცლებზეა განთავსებული, გადაშლილი წიგნის მარჯვენა გვერდზე. ერთზე გამოსახულნი არიან ქალაქისკენ მიმავალი გიქორი და მისი მამა. უსახური, მთიანი პეიზაჟის ფონზე პატარა ბიჭი თითქოს აჩქარებული ნაბიჯით, ძალით მიჰყავს მამას. ფიგურათა მარჯვნივ მიმართვა უნებურად იწვევს წიგნის გადაშლის სურვილს.

შემდეგ ილუსტრაციაზე გამხეცებული ვეებერთელა კაცია გამოსახული, რომელსაც მუშტშეკრული მარჯვენა ხელი ზევით აღუმართავს. მამაკაცის მარჯვნივ მიმართული სხეული ისევ სიღრმისკენ წარმართავს „ფურცლის სვლას“. მომდევნო ილუსტრაციაზე საბრალო გიქორია გამოსახული დუქნის შესასვლელთან, მუშტრების მოხმობის მომენტში. ბავშვის სხეულის რობოტისებურ, მექანიკურ მოძრაობაში წარმოდგენა მის ტრაგიკულ ბედზე მეტყველებს. მარჯვნივ გაშლილი ხელები კი ისევ წიგნის გადაფურცვლისკენ „გვიბიძგებს“.

ბოლო ილუსტრაციაზე ღარიბულ საწოლზე მომაკვდავი ბიჭი წევს, რომელსაც მამა ადგას თავზე. ამ კომპოზიციას მამაკაცის მობრუნებული სხეული კეტავს მარჯვენა მხარეს და წიგნის დასასრულზე მიგვანიშნებს. ტექსტს ილუსტრირებული ბოლოსართი ასრულებს, რომელიც სწრაფი ჩანახატის სახითაა წარმოდგენილი. გამოსახულია წვიმაში მიმავალი ხურჯინგადაკიდებული კაცი, გარდაცვლილი გიქორის მამა, რომელიც მარტო ბრუნდება სახლში. მამაკაცის დახრილი თავი, ჩამოყრილი მხრები, „ნელი ნაბიჯები“ მის მძიმე ფიქრებზე მეტყველებენ. ფიგურაც და გარშემო არსებული „უსახური გარემოც“ სევდითაა სავსე. წიგნის გაფორმებისთვის გამოყენებული ყველა ელემენტი შინაარსის ღრმად გახსნას ემსახურება, ნახატიც და ფერიც „ჩამქრალია და მოწყენილი“.

არსებული გარემოსა და ბუნების შეცნობის ამოცანა, ცხოვრებისეული ცოცხალი სცენებით გაჯერება, განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს ჯ. ლოლუას მიერ გაფორმებულ თამაზ ბიბილურის წიგნში „წელიწადის დრონი“ (თბ., „ნაკადული“, 1989). იგი ბავშვებისთვისაა განკუთვნილი და ავტორი მათ ქართული სოფლის ყოფის შესახებ მოუთხრობს. წელიწადის სხვადასხვა დროზე დაკვირვებით, თანმიმდევრული შინაარსითაა წარმოდგენილი ესა თუ ის ბუნებრივი მოვლენა და ადამიანთა შესაბამისი ყოფა გაზაფხულიდან ზამთრამდე (ილ. 5, 6, 7, 8, 9).

ამ წიგნის უბრალო, „ზერელე“ გადათვალიერებითაც კი ჩანს, რომ მწერლისა და მხატვრის ნამდვილ თანაავტორობასთან გვაქვს საქმე.

მხატვარი ამ შემთხვევაშიც წიგნის მთელ ორგანიზმს ქმნის: ყდას ყუასთან ერთად, ფორზაცს, ტიტულ-კონტრტიტულს, თავსართ-ბოლოსართებს, შმუცტიტულებს, ტექსტთან შერწყმულ ილუსტრაციებს.

წიგნის გარეკანი ნათელი ოქრისფერია. ყდის მთელ არეს შემოსაზღვრავს ვენახის „ტანის“ გრეხილი წნული, შიგ ჩართული ყვავილებით, ფოთლებითა და ყურძნის მტევნებით. კომპოზიციის საფუძველს ვაზის წნულზე ნებიერად მიწოლილი ყმაწვილი ქმნის, რომელსაც თავზე კახური ქუდი ხურავს, ფეხებზე ქალამნები აცვია. ბიჭი სალამურზე უკრავს. იქვე კი „მიყუდებულია“ ცელი, ორშიმო, თავთავის კონა, ნამგალი, აწყვია დოქები. ყდის ძირითადი სიბრტყე წარწერით არის შევსებული — წიგნის ავტორის გვარი და სახელია მოცემული. ბიჭსა და წარწერას შორის დარჩენილ თავისუფალ ფონზე კი, ფრთაგაშლილი, ბიჭისკენ მიმართული მფრინავი ჩიტია გამოსახული, რომელიც გახსნილი ნისკარტით თითქოს სალამურის ხმაზე ჭიკჭიკებს. ოქრისფერზე ნახატისა და შრიფტის გამოსაყვანად გამოყენებულია: შავი, თეთრი, წითელი და ცისფერი ფერები და ცოცხალი, ამეტყველებული კომპოზიციაა შექმნილი. წიგნის გარეკანიდანვე შეიცნობა მისი „შინაარსი“, რომელიც ქართული ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველია.

მხატვარს ფორზაციც მახვილგონივრულად აქვს გააზრებული. იგი ოთხი ნაწილისგან შედგება და წლის ოთხი დროის განმსაზღვრელია. ნახატიც შესაფერისი მინიშნებით არის შედგენილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17. პროფ. ინგა კალაძის ექსლიბრისი.

18. ნოდარ დუმბაძის ექსლიბრისი.



19. ექსიბრისის ანონიმი დეტერქტივისათვის.

თითოეული ვერტიკალი სამ-სამ არედაა დანაწილებული და ზედ სიმეტრიულადაა განთავსებული გამოსახულება. პირველზე – გაზაფხულის ამსახველი ნახატი – აყვავებული ხეები და ჩიტებია, მეორეზე — ზაფხული – თივის ზვინებია, მესამეზე — შემოდგომა – ქვევრები, დოქები, ყურძენი და ჩურჩხელებია, მეოთხეზე დათოვლილი ხეები, სახლები და ზამთრის ფრინველებია ასახული.

ტიტულზე მცენარეთა ფოთლების, ყვავილების, ღეროებისა და ყურძნის მტევნების ასხმულა და შრიფტია განაწილებული. კონტრტიტულზე კი გრაფიკული ნახატია: პატარა ბიჭი ყვავილების გვირგვინით, რომელსაც დახვეწილი გარეგნობის, ინტელიგენტური ჩაცმულობის მამაკაცი კალამსა და ფურცელს აწვდის, თითქოსდა ბუნების მშვენების აღსაწერად.

მარტივი თავსართ-ბოლოსართით გაფორმებული შესავლის შემდეგ უშუალოდ წიგნის ტექსტი იწყება და პირველი – გაზაფხულის შმუცტიტულია, შესაბამისი ნახატით – აყვავებული ალუბლის რტო და მის ზევით განთავსებული შრიფტი, რომელიც თითქოს კვირტგაღიებული რტოებისგანაა შექმნილი. შრიფტის ზემოთ კი აფრენილი მერცხლების გუნდია. შმუცტიტულის უკანა მხარეს – უშუალოდ ტექსტის ხელმარცხნივ, ილუსტრაციაა სოფლის ხედით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



20. საქართველოს
საპატრიარქო ბიბლიოთეკის
ექსლიბრისი.

21. ვახუშტი
კოტეტიშვილის
ექსიბრისი.

ამ ილუსტრაციაში ასახული აფრენილი მერცხლების გუნდი, თითქოს შემდეგ, თხრობასთან შეხამებითაა ჩართული წიგნის ფურცლებში. ტექსტთან შერწყმული ნახატებით არის გაფორმებული მთელი მაკეტი: ზოგჯერ ილუსტრაცია მთელ ფურცელს იკავებს, ხან ტექსტში ნაწილდება, ხან გაშლილ წიგნზე აღსაქმელად ლაგდება ნახატი, ხან ტექსტის შუაში ექცევა, ხან ფურცლის ზედა ან ქვედა ნაწილში განთავსდება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ტექსტთან ერთად „თხრობის ფერხულშია“ ჩაბმული. „ზაფხულის“, „შემოდგომის“ და „ზამთრის“ შმუცტიტულებიც და ილუსტრაციებიც შესაბამისი „შინაარსის“ ნახატებით სრულდება. ერთმანეთს ცვლიან სხვადასხვა სცენები, სიუჟეტური თუ პეიზაჟური კომპოზიციები, ნატურმორტის სახით განთავსებული ეთნოგრაფიული ნივთები, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებები. მთელი წიგნი „ერთი უწყვეტი ჯაჭვია“; ილუსტრაციები შავ-თეთრია, კალმით შესრულებული ჩანახატის სახით და მხატვრის თავისუფალი ხელწერით, თამამი შტრიხითა და დეტალთა სიზუსტით მეტად დახვეწილი და გამომსახველი.

როგორც განხილულმა მასალამაც გვიჩვენა, ჯემალ ლოლუას შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საბავშ-

ვო-საყმაწვილო ნაწარმოებებისა და ზრაპრების გაფორმებას. მხატვარი მრავალი წლის მანძილზე ამშვენიერებდა სხვადასხვა ქვეყნების ცნობილ ავტორთა ნაწარმოებებს (მარკ ტვენი: „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“) (ილ. 10, 11) და ზღაპრებს (შარლ პერო: „მძინარე მზეთუნახავი“, „ცეროდენა ბიჭი“, „წითელქუდა“ (ილ. 12, 13); ძმები გრიმები; ჰანს-ქრისტიან ანდერსენი „ზღაპრები“; ალექსანდრე კუპრინი „თეთრი ცუგა“; პ. ერშოვი „კუზიანი კვიცი“); ასევე ქართველი ავტორების საბავშვო ნაწარმოებებს (ი. გრიშაშვილის „ბაბაჯანას ქოშები“; ა. სულაკაურის „სალამურას თავგადასავალი“; ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს!“); აფორმებდა უცხოურ („ეშმაკის კოშკი“, „სიმართლის მთქმელი ჩიტი“, „ორი ბებერი ჯარისკაცი“, „მგელი და მელა“, „ხელმწიფე ყორანი“) და ქართულ ხალხური ზღაპრებს („კომბლე“, „წიქარა“, „ნაცარქექია“, „უხეირო“) (ილ. 14, 15). მის მიერ გაფორმებული წიგნები მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანი. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ამ მცირედის განხილვით შემოვიფარგლებით და რამდენიმე სიტყვით შევეხებით მის იუმორისტულ ნახატს.

1954 წლიდან მოყოლებული მხატვრის იუმორისტული ნახატები ჟურნალ „ნიანგის“ ფურცლებზე მუდმივად იბეჭდებოდა. კარიკატურების ნახატი ლაკონური, ადვილად გასაგები და აღსაქმელია. როგორც ვ. ბერიძე აღნიშნავდა, ჯ. ლოლუას აქვს იშვიათი იუმორის გრძნობა, შეუძლია გამოკვეთოს და გამოარჩიოს სასაცილო-ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული სიტუაციებიდან პოზები, ჟესტები, ადამიანის სახეთა მიმიკები, არ გამოდის რეალური ცხოვრებისეული სიტუაციების, კონკრეტული რეალური სახეების საზღვრებიდან. მისი კარიკატურები გამსჭვალულია დახვეწილი, განუმეორებელი, ნაციონალური იუმორით.[1]

მის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი კინოაფიშასა და პლაკატსაც უჭირავს. 1960-იან წლებში იგი აფორმებს აფიშებს კინოფილმებისთვის: „ერთი ცის ქვეშ“ (1961 წ.) და „მე, ბებია, ილიკო და ილარი-

1 В. Беридзе, Н. Езерская, Искусство Советской Грузии. - М., 1975, gv. 115

ონი“ (1963 წ.) (ილ. 16), „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ (1965 წ.). ქმნის სხვადასხვა თარიღის აღმნიშვნელი ინფორმაციული შინაარსისა და სააგიტაციო პლაკატებსაც: „ჩემი მილიცია მე მიცავს!“ (1967 წ.), „გონს მოდით!“ (1967 წ.). „1 სექტემბერი“ (1970 წ.).

მხატვარმა გააფორმა ასევე რამდენიმე მულტიპლიკაციური ფილმი: „ნაცარქექია“, რეჟისორი: ბორის სტარიკოვსკი (1970 წ.); „კოჯრის ტყის სიზმრები“ (1978 წ. თ. მირზაშვილთან და ზ. ნიჟარაძესთან ერთად), რეჟისორი: რ. გაბრიაძე; „უცხოელი სტუმარი“ და „ლოკოკინა“ (1986), რეჟისორი: ოთარ ანდრონიკაშვილი. 1981 წელს შესრულებული აქვს ესკიზები ფილმისათვის „მონანიება“.

სიცოცხლის ბოლო წლებში (2000-2001 წ.წ.) გატაცებით იწყებს მუშაობას გრაფიკული ხელოვნების კამერულ სფეროში, ექსლიბრისში. მან ათი საუკეთესო ექსლიბრისის ნიმუში დაგვიტოვა, რომლებიც განკუთვნილია მისი ახლობელი ადამიანებისთვის, ინტელიგენციის წარმომადგენლებისთვის. მხატვარი ცდილობს ამ მინიატურულ ლაკონიურ კომპოზიციებში სახასიათო ელემენტების ჩართვით წარმოადგინოს წიგნის ნიშნის მფლობელთა „სამყარო“. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევეხებით.

პროფესორ ინგა კალაძის ექსლიბრისს მხატვარი სიმაღლეში განვითარებულ ოვალურ ფორმას ანიჭებს, რომლის ცენტრშიც აღმოსავლურ სამოსში ჩაცმული, ხალიჩაზე ფეხმორთხმული ქალბატონია გამოსახული. უწვრილესი, ფაქიზი დეკორით იქმნება ქალის სამოსი და თავსაბური. ნახატი სტილიზებული, დეკორატიული ხასიათისაა და სითბოთი გაჯერებული იუმორისტული მიდგომით გამოირჩევა. უმცირესი დეტალიც კი უმშვენიერეს დეკორაციულ ნიმუშადაა ჩართული და ერთიანობაში სიფაქიზისა და სინაზის, უსაზღვრო სითბოს შთაბეჭდილებას ტოვებს (ილ. 17).

მწერალ ნოდარ დუმბაძის ექსლიბრისისათვის მხატვარი, ადრეულ წლებში გაფორმებული ნაწარმოების „მე ვხადავ მზისათვის“ (1966 წ.) შექმნილი ილუსტრაციის კომპოზიციას იყენებს. ქართული შრიფტით არის შესრულებული ექსლიბრისის მფლობელის გვარი, სახელი და სიტყვა „წიგნებიდან“, რომლის ქვევითაც ლათ-

ინური შრიფტის მიჯრილი ასოების შავი ფერით კავშირი იქმნება კომპოზიციის შავ ფონთან, წონასწორდება და დასრულებულობას იძენს (ილ. 18).

ექსლიბრისზე ანონიმი დეტექტივისათვის გადაშლილი, „ფეხზე დაყენებული“ წიგნია მოცემული, რომლიდანაც თითქოსდა ცილინდრიანი მამაკაცი იხედება. მამაკაცს პირში ჩიბუხი აქვს, მარჯვენა ხელის თითებით წიგნის ყდას „ხსნის“. იგი შერლოკ ჰოლმსთან ასოცირდება და მნახველის გონებაში ერთგვარად გამომძიებლის განზოგადებულ სახედაც წარმოსდგება. ექსლიბრისის შავ-თეთრის მკვეთრი დაპირისპირება დეტექტივის პროფესიული საქმიანობის ასოცირებასაც უკავშირდება. კომპოზიცია მარტივია და ეფექტური, მხატვრის ჩანაფიქრი მეტად ლაკონიური და დახვეწილია (ილ. 19).

საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილი ექსლიბრისი კონტურული ნახატით სრულდება: თეთრ ფონზე გამოსახულია წმინდა ნინოს ჯვრის ფორმის (დახრილმკავებიანი) დეკორაციული ჯვარი. ჯვრის მკლავებს შორის გადაშლილი წიგნია ზედ განთავსებული ასომთავრული წარწერით. ჯვარი თითქოსდა კომპოზიციის მარცხენა მხრიდან შემოფრენილ ანგელოზს უჭირავს. ექსლიბრისი სიმბოლური შინაარსის მატარებელია (ილ. 20).

აკადემიკოს ვახუშტი კოტეტიშვილის ექსლიბრისი აღმოსავლურ სტილშია შესრულებული, რითაც მხატვარი ხაზს უსვამს ექსლიბრისის მფლობელის პროფესიულ საქმიანობას (ილ. 21).

ასეთივე ღრმა შინაარსითაა გამსჭვალული ყველა სხვა წიგნის ნიშანიც: აკადემიკოს ე. ტარლეს, პროფესორ ვახტანგ ალხაზიშვილის, პროფესორ ლია ჩლაიძის; მხატვარი ზოგჯერ აქაც იყენებს მეტყველ, ნათელ იუმორს: შვიდი წლის ლუკა კოკაიასა და რებეკა სპირინას ექსლიბრისი.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ექსლიბრისები ჯემალ ლოლუას სიცოცხლის ბოლოს აქვს შექმნილი. ამ მინიატურულ კომპოზიციებში თითქოს ერთ ფოკუსში იყრის თავს გრაფიკოსი მხატვრის მაღალმხატვრული დახვეწილი ოსტატობა, ხდება ნახატისა და იდეური ჩანაფიქრის აბსოლუტური თანხვედრა, ადამიანის პიროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსებების მაქსიმალური გამოვლენა. ადამიანურობა, ჰუმანურობა, მაღალი ზნეობა — ეს ხომ მისი პიროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებებია და ალბათ ესეც სიმბოლურია, რომ მხატვარმა ყოველივე ამას ბოლო მინიატურულ ნამუშევრებში ერთიანად მოუყარა თავი.

***

დასასრულისთვის მინდა გავიხსენო ჩემი შეხვედრა ბატონ ჯემალთან, რომელიც 1988 წლის მიწურულს შედგა მის სახელოსნოში. იმ წელს მიანიჭეს მას საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება და მხატვართა კავშირიდან დამევალა სტატიის მომზადება გაზეთისთვის. თუმცა სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს სტატია არ დაიწერა, მაგრამ შემომრჩა ამ ვიზიტის ჩანაწერი, რაც წლების შემდეგ დამეხმარა გამეხსენებინა ეს დაუვიწყარი სტუმრობა.

***

იმავე პერიოდში (1980-იანი წლების ბოლოს) საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოებასთან[1] თანამშრომლობით გამოსაცემად ვამზადებდი წიგნს ქართული ექსლიბრისის შესახებ, მსურდა, ბატონი ჯემალის ექსლიბრისებიც შემეტანა. ვიცოდი, რომ რამდენიმე წიგნის ნიშნის ავტორი იყო და ვთხოვე, ეჩვენებინა ისინი. მითხრა, რომ არც კი იცოდა სად ჰქონდა შენახული. დასძინა, რომ რატომღაც სერიოზულად არ მოჰკიდებია გრაფიკის ამ მინიატურულ ფორმას, თუმცა კი ძალიან აფასებდა მას[2]. ზოგადად განვიხილეთ პრობლემები ექსლიბრი-

---

1 ამჟამინდელი საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია.

2 2001 წელს, გამომცემლობა „აზრისა“ და ხელოვნებათმცოდნე ნინო ზაალიშვილის ინიციატივით მოეწყო ექსლიბრისის გამოფენა და გამოიცა კატალოგი (იხ. საგამოფენო კატალოგი: 37 ქართველი მხატვრის ექსლიბრისი, ავტორ-შემდგენელი ნ. ზაალიშვილი. თბილისი, „აზრი“, 2001), რომელიც მომზადდა თბილისის წიგნის საერთაშორისო ბაზრობისათვის (2001 წლის 14-17 ივნისი). ბატონი ჯემალი განსაკუთრებული ინტერესით ჩაერთო ღონისძიებაში და სპეციალურად ამ გამოფენისთვის შექმნა ჩვენ მიერ ზევით მიმოხილული წიგნის ნიშნები. მხატვრის გარდაცვალების შემდგომ კი, 2002 წელს, ისინი ჩავრთე თანამედროვე ქართული ექსლიბრისის გამოფენის ექსპოზიციაში, რომელიც მწიგნობართა ასოციაციის საგამოფენო დარბაზში გაიმართა (იხ. საგამოფენო კატალოგი: თანამედროვე ქართული ექსლიბრის-2002, ავტორ-შემდგენელი მ. გაჩეჩილაძე. — თბილისი, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია, 2002).

სის შესახებ. ბატონი ჯემალი შესანიშნავი მოსაუბრე აღმოჩნდა. საკითხის განხილვამ ნამდვილი საქმიანი, ურთიერთშემავსებელი ხასიათი მიიღო. კითხვები თავისთავად მოდიოდა და პასუხებიც დაუძალებელი და უშუალო იყო. იგი გრაფიკის ამ სახობის მძიმედ განვითარების მიზეზად გრაფიკული ტექნიკების, კერძოდ კი, ქსილოგრაფიის, არცოდნას მიიჩნევდა, რადგან არც ერთი მხატვარი უკვე ამ რთულ ტექნიკას არ მიმართავდა. გაიხსენა ლადო გრიგოლია... მისი ექსლიბრისი ძალიან მოსწონდა...აღნიშნა, რომ ადრე უფრო მიმართავდნენ ამ სახეობას ქართველი მხატვრები, ახლა კი საერთოდ დაიკარგა... მხატვართა კავშირში მდივნად მუშაობის დროს (1973-74 წ.წ.), მასთან მისულა ბორის პოლიაკი[1] და მიუმართავს თხოვნით, მოეწყოთ ექსლიბრისების გამოფენა. ექსპოზიცია ე. წ. „გოქსი"-ს შენობაში გაუმართავთ, რომელიც მართლაც კარგი გამოსულა. თუ ვინმეს რაიმე ნიმუში ჰქონდა, ყველას მიუტანია, იმედოვნებდნენ, რომ ეს გამოფენა სტიმულს მისცემდა მხატვრებს და განავითარებდა გრაფიკის ამ უნიკალურ სახეობას, მაგრამ რატომღაც ასე არ მოხდა...

საუბრისას მხატვარ ლადო გრიგოლიას გახსენებაც ვთხოვე, რადგან ვიცოდი, რომ მან უკვე რამდენიმე წერილი მიუძღვნა ლ. გრიგოლიას და მის მოსწავლედ თვლიდა თავს. ამ საუბარში ჩემთვის მეტად მოულოდნელი რამ გამოიკვეთა. ბატონმა ჯემალმა აღნიშნა — ლადო გრიგოლია, რა თქმა უნდა შესანიშნავი პედაგოგი იყო და სტუდენტებს დიდად უყვარდათ და აფასებდნენ, მაგრამ მისი ფასი, მისი სწავლების ფასი მან ძალიან გვიან გაიგო, არა როგორც სტუდენტმა და ახალგაზრდა შემოქმედმა, არამედ უფრო ასაკოვანმა. და ასეც მომხდარა ბატონი ჯემალის მხატვართა კავშირის მდივნად ყოფნის დროს: როდესაც ემზადებოდნენ ლ. გრიგოლიასთვის შოთა რუსთაველის პრემიის მისანიჭებლად, უნდოდათ, მისი ნამუშევრები შეეგროვებინათ, მაგრამ მხატვარი თავის ნამუშევრებს არავის ანახებდა.. ორგანიზატორები დიდ გასაჭირში ჩავარდნილან. შემ-

1 ექსლიბრისის ერთ-ერთი მსხვილი კოლექციონერი საქართველოში, რომელიც ფლობდა ქართული ექსლიბრისის უნიკალურ კოლექციას. 1990-იან წლებში საცხოვრებლად გადავიდა ისრაელში, კოლექციაც თან წაიღო.

დეგ, როგორც იქნა, ფარულად ინა დივნოგორცევას „მოუპარვის“ ქმრისათვის ნამუშევრები (უმრავლესობა მაინც ფოტო-ასლები ყოფილა) და მიუტანია მხატვართა კავშირში. — ეს ნამუშევრები რომ ვნახე, მითხრა ბატონმა ჯემალმა, მაშინ პირველად მივხვდი ვინ იყო ლადო გრიგოლია... ამიტომ მოუთმენლად ელოდებოდა გამოჩენილი მხატვრის ნამუშევრების ორტომეულის გამოსვლას, რადგან მიაჩნდა, რომ ეს იქნებოდა მომავალი თაობისა და საერთოდ, ყველა გრაფიკოსის სახელმძღვანელო. მე სინანული გამოვთქვი, რომ ბატონი ლადოს ასეთი თავმდაბლობის გამო ამდენი დანაკლისი მივიღეთ; მაგრამ ჩემდა გასაოცრად ბატონმა ჯემალმა საწინააღმდეგო აზრი გამოხატა, რომ ეს არ იყო მარტო თავმდაბლობა და მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივსა სცემდა და აფასებდა მას, როგორც პედაგოგს, ეს საქციელი გაუმართლებლად მიაჩნდა, რადგან პედაგოგმა არ შეიძლება მოსწავლეს არ აჩვენოს თავისი ნამუშევრები და მერე როგორი ნამუშევრები!, რომელიც მისთვის ყველა წაკითხულზე და გაგონილზე მეტის მიმცემია. იქვე აღნიშნა, რომ ლადო გრიგოლიას საკმაოდ რთული მეტყველება ჰქონდა და მისი საუბარი რთული გასაგები იყო სტუდენტებისთვის. მას რომ პარალელურად ეჩვენებინა თავისი პრაქტიკული შედეგები, რასაც თეორიულად გადასცემდა, ალბათ გაცილებით მეტ ცოდნას შესძენდა თითოეულ მათგანს.

ბატონი ჯემალი იმჟამად ძმები გრიმების ორტომეულის გაფორმებითა და ილუსტრირებით იყო დაკავებული, რომელიც „მერანს“ უნდა გამოეცა. მხატვარი დიდი გატაცებით მუშაობდა. მითხრა — როცა რამე წიგნს ვიღებ გასაფორმებლად, ვიძიებ ავტორის დროინდელ ისტორიას, ვსწავლობ იმდროინდელი ადამიანის ჩაცმულობას, ხასიათს, გატაცებებს; წიგნში მოცემული ტიპაჟის ძებნასაც ძალიან დიდ დროს ვანდომებ და ასობით ესკიზიდან ბოლოს ერთი გამოიკვეთება ხოლმე საბოლოოდ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ესკიზი უფრო ცოცხალია, უშუალო და საბოლოო ილუსტრაციის შექმნის დროს უფრო ვიბოჭები და ნაკლებ სიცოცხლისუნარიანი გამომდისო.

მე მაშინვე შევეკამათე და ვუთხარი, რომ არაფერი მსგავსი მისი ილუსტრაციებს არ ეტყობოდა და ასე მხოლოდ საკუთარი თავისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გამო ეგონა. და ახლაც ვთვლი, რომ ეს მართლაც ასეა..

დასძინა, რომ მისთვის, რამდენადმე გაურკვეველი იყო ასეთი დიდი ინტერესის გამოჩენა გრიმების ზღაპრებისადმი, რადგან საკუთარი ზღაპრები გვქონდა მისახედი, მაგრამ მაინც ალბათ საჭირო იყო და, პირადად, ეს სამუშაო ძალიან მოსწონდა. მითხრა, რომ მას უკვე ჰქონდა გრიმების ზღაპრებზე მუშაობის გამოცდილება და რომ დასაბეჭდად გადაცემული იყო მის მიერ შესრულებილი ოცი ზღაპრის ილუსტრაცია, რომელიც მალე უნდა გამოსულიყო და რომლის ფერადი კლიშეებიც რუსეთში დამზადდა.

ვისაუბრეთ პოლიგრაფიის არასახარბიელო დონეზე და იმის შესახებ, თუ რა დღეში არიან მხატვრები ამის გამო.

შედარებით ნაკლებად უმუშავია პლაკატის სფეროში. მანახა რამდენიმე პლაკატი: „პირველი მაისი", „1 სექტემბრი"; ასევე ილია ჭავჭავაძის საიუბილეო პლაკატი, რომლის ორიგინალიც შავ-თეთრია და მაღალი ხარისხის, ამონაბეჭდი კი ღია ოქრითაა შესრულებული და მთლიანადაა დაკარგული ორიგინალის მკაფიოება. ვნახე ასევე რამდენიმე ადრეული პლაკატი ფილმებისთვის: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" და ლანა ღოღობერიძის „ერთი ცის ქვეშ".

გავეცანი მის დაზგურ ნამუშევრებს. ერთმანეთზე უკეთესი გრაფიკული ფურცლები, კარგად მოვლილი, პასპარტუებში იყო ჩასმული. იქვე იყო ილუსტრაციები უ. შექსპირის პიესებისათვის.

გამაცნო კინოფილმ „მონანიებისათვის" შექმნილი ესკიზებიც. თენგიზ აბულაძეს თავდაპირველად იგი მიუწვევია ფილმის მხატვრად, მაგრამ ვინაიდან გადაღებები ძირითადად ბათუმში უნდა ყოფილიყო, ბატონი ჯემალი ვერ წასულა, რადგან ქალიშვილი, თამუნა, ძალიან პატარა ყოფილა და ცოლ-შვილი მარტო ვერ დაუტოვებია. ესკიზები კი დარჩა და ძალიან კარგი ესკიზებიც — ღრმად გააზრებული და მაღალ დონეზე შესრულებული.

ერთმანეთს ცვლიდა ილუსტრაციები: ალ. დიუმას „სამი მუშკეტერი", მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი"; იმჟამად

ასრულებდა „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალს“. ასევე გადავათარგმნე ვალიერე ლადო ასათიანის ლექსების კრებულის გაფორმებისთვის შესრულებული ორიგინალები, „ნიანგისათვის“ შექმნილი უამრავი ნახატი. როდესაც ვკითხე, აგრძელებს თუ არა „ნიანგში“ მუშაობას და, საერთოდ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ამ ჟურნალისადმი, მითხრა, რომ რამდენიმე წლის წინ ამ ჟურნალში დაბეჭდილა კარიკატურა – ნიანგს დაღებული აქვს პირი და შიგ სხედან ჩიტები, „ნიანგის მხატვრები“, რომლებიც მის კბილებში ნაშოვნი საჭმლით იკვებებიან. მეტად მოსწრებული ხუმრობააო – მითხრა, რადგან ეს მართლაც დიდად გვეხმარება მატერიალურად ამ ჟურნალში მომუშავე მხატვრებს ყოველდღიური ცხოვრებისთვისო, გარდა ამისა, ისედაც მიყვარსო ეს სამუშაო.

შტატით არსად უმუშავია, თუ არ ჩავთვლით მხატვართა კავშირის მდივნად ყოფნის ორ წელიწადს.

სამხატვრო აკადემიასთან კონტაქტი არ ჰქონია, რადგან სწავლება ძალიან რთული საქმედ მიაჩნდა. თუმცა არც არავის მიუწვევია იქ. მხოლოდ სერგო ქობულაძეს მიუმართავს ერთხელ, მაგრამ არ დათანხმებულა, რადგან — ნატურიდან ხატვა მე ნაკლებად მეხერხება, ნატურა მბოჭავსო. ეს ძალიან პირადულია, ფიგურას ზეპირად უფრო ვხატავ, ვინემ ნატურიდან. და სწორედ ამის გამო არ დავთანხმდიო ხატვის პედაგოგობას. რაიმე სხვა სახის მიწვევა რომ მიმელო: კომპოზიციის მასწავლებლად ან წიგნის ილუსტრირებაზე, ალბათ დავთანხმდებოდი, მაგრამ ესეცაა, სამსახური მხატვრისგან იმდენ დროს ითხოვს, რომ მირჩევნია ასეთი სახით ვიმუშაო სახელოსნოში, უფრო კარგ შედეგს იძლევაო[1].

დიდი მადლობა გადავუხადე, რომ ამდენი დრო დამითმო და ბოდიში მოვუხადე გაცდენისათვის. მით უფრო, რომ საუბარში გამოჩნდა, შრიფტის პრობლემებზე რომელიღაც კონკურსზე თუ კომისიაზე ყოფილა მიწვეული და ჩემ გამო არ წასულა. მე მეტად შევწუხდი მან ძალიან რბილად მომიხსნა ეს წუხილი: არა, მე მაინც ჩავთვალე, რომ იმდენად კომპეტენტური მსაჯული ვერ

---

1 მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წლებში გრაფიკის ფაკულტეტზე მიიწვია პედაგოგად თბილისის სამხატვრო აკადემიის მაშინდელმა რექტორმა სოსო ქოიავამ.

ვიქნებოდი ამ დარგში და თან თქვენიც მომერიდა, რომ უარი მეთქვა მასპინძლობაზეო.

როდესაც კიდევ ერთხელ გადავუხადე მადლობა იმ დიდი შთაბეჭდილებისთვის, რაც მისი, ასეთი მაღალი პროფესიონალი მხატვრის, შემოქმედების გაცნობით მივიღე, სიტყვა – პროფესიონალმა, ცოტა არ იყოს, მე მგონი, გააღიზიანა.

— ყოველი ადამიანი, ეს იქნება ხელოვანი თუ სხვა ვინმე, თავისი საქმის პროფესიონალი უნდა იყოს და ეს არ უნდა იყოს გასაკვირი. გაიხსენა, ბატონი სერგო როგორ უნერგავდა სტუდენტებს, რომ პირველ რიგში უნდა ყოფილიყვნენ კარგი ოსტატები, თავისი საქმის მაღალ დონეზე შემსრულებლები. ზოგი იმდენად დიდ ყურადღებას არ აქცევს ჩანახატებს. დღეში ზოგჯერ ას, ას ოც ჩანახატს ვაკეთებდი და ამით ისე გამომიმუშავდა და დამეხვეწა ხელის მოძრაობა, რომ ზეპირი ნახატი ჩემთვის უადვილესი გახდა, ამიტომ ცდებიან მხატვრები, როდესაც ჩანახატის მნიშვნელობას იმდენად არ სცნობენო.

***

საჭიროდ ჩავთვალე მკითხველისთვის გამეზიარებინა მოგონებების ეს მცირედი ნაწილი, რადგან ვთვლი, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნებათ ბატონ ჯემალზე, როგორც ხელოვანზე, მის დამოკიდებულებაზე საქმისადმი, კოლეგებისადმი, უფროსი და უმცროსი თაობის მხატვრებისადმი. ძალზე ნიშანდობრივია ისიც, რომ იგი თავისი ქვეყნის ტკივილს ისე მძაფრად აღიქვამდა, როგორც სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ჭეშმარიტ მოქალაქეს შეეფერება. მხატვრის არქივში შემონახულია მისი ჩანაწერები, წერილები, რომელიც ეხმინება XX საუკუნის ბოლოს საქართველოს ისტორიაში განვითარებულ უმწვავეს მოვლენებს: აფხაზეთს ტრაგედიისა და მძიმე სოციალური ყოფის შესახებ წერს მწვავე საგაზეთო წერილებს; განსაკუთრებული სიმკაცრითა და ობიექტურობითაა გამორჩეული 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის გამო დაწერილი განმარტებითი წერილები, რომლითაც იგი ცდილობდა გაერღვია ის ცილისმწამებლური საინფორმაციო სივრცე, რასაც რუსეთის პარტიული ხელმძღვანელობა და სამხე-

დრო გენერალიტეტი ამკვიდრებდა. წერილების ადრესატები არიან პოდპოლკოვნიკი პ. ფლიაგინი, ჟურნალ „ოგონიოკის“ მთავარი რედაქტორი ვ. კოროტიჩი, ჟურნალ „სმენას“ რედკოლეგიის წევრი რ. როჟდესტვენსკი და სხვა მაღალი ჩინისა თუ თანამდებობის პირები. თუ გავიაზრებთ დროს, როდესაც ეს წერილები იწერებოდა, შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ ის საშიშროება, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ მართალ სიტყვებს.

ჯემალ (მამია) გიორგის ძე ლოლუა (1932 - 2001)

მხატვარი-გრაფიკოსი, 1962 წლიდან სსრკ და საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის წევრი. საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი (1967), საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი (1988), დაჯილდოვებულია: საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელით (1973); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო ნიშნის ორდენით (1986); ღირსების ორდენით (1998). სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტის პროფესორი; წიგნის ილუსტრატორი, პლაკატისტი, დაზგური გრაფიკული სერიების, ასობით კარიკატურისა და ათი ექსლიბრისის ავტორი.

დაიბადა 1932. 27. I, ქ. თბილისში.

1939–1947 წ.წ. სწავლობდა თბილისის ვაჟთა I საშუალო სკოლაში. 1945 წელს შევიდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხატვის წრეში. 1947–1952 წ.წ. სწავლობდა თბილისის ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. აქ მისი პედაგოგები იყვნენ: კ. კიკნაძე, ნ. თაბუკაშვილი, დ. ურუშაძე, ვ. შერპილოვი. 1952-1958 წლებში სწავლობს თბილისის სამხატვრო აკადემიაში. მისი მასწავლებლები იყვნენ: ი. შარლემანი, ვ. შუხაევი, ვ. გრიგოლია, ს. ქობულაძე (სადიპლომო ნამუშევარი: ი. ილფისა და ე. პეტროვის „ოქროს ხბოს“ ილუსტრაციები).

1954 წელს, ჟურნალ „ნიანგში“ პირველად გამოქვეყნდა მისი ნამუშევრები. თანამშრომლობდა ჟურნალებში: „ნიანგში“ — 1954 წლიდან, „დილაში“, „პიონერში“, „ცისკარში“ — 1957 წლიდან; „დროშაში“ -- 1956 წლიდან; „ხომლში“ — 1970-იანი წლები;

1954 წლიდან მხატვრის გარდაცვალებამდე (2001 წ.) არ გამოსულა ჟურნალ „ნიანგის“ არც ერთი ნომერი, მისი ნამუშევრებით რომ არ ყოფილიყო დასურათებული. ამავე დროს მხატვარი წლების მანძილზე იყო ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. 1956-1957 წ.წ. მუშაობდა მხატვრად ჟურნალ „ცისკარში“.

1958 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემია. გააფორმა ნოდარ დუმბაძის „მანანას წერილები“. ამის შემდგომ მუდმივად აფორმებს წიგნებს, მონაწილეობს რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში. ამავე წელს მონაწილეობს მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნების დეკადის გამოფენებში. 1959 წელს მოსკოვში, სატირისა და იუმორის საკავშირო კონფერენციაზე მისი ნახატები საუკეთესო და სამაგალითო ნიმუშებად იქნა აღიარებული. 1960 წელს ნოდარ მალაზონიასთან თანაავტორობით გაფორმებული საბავშვო წიგნი – თამარ ჩხაიძის „ხატულა“ (თბილისი, „ნაკადული“, 1960), მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე ვერცხლის მედლით აღინიშნა.

1970 წელს გამომცემლობა „მერნის“ თაოსნობით მოეწყო მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა.

1973 – 1974 წლებში იყო საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი. სხვადასხვა წლებში — მსხვილი გამომცემლობების („საბჭოთა საქართველო“, „ნაკადული“) სამხატვრო საბჭოს წევრი. 1989 წელს – ჟურნალ „ნიანგის“ მხატვარი-რედაქტორი. 1999 – 2001 წ.წ. თანამშრომლობდა ჟურნალ „ომეგასთან“.

1989 წელს ქართული ხალხური და ძმები გრიმების ზღაპრების ილუსტრირებისთვის დაჯილდოვდა საკავშირო სამხატვრო აკადემიის დიპლომით.

1997 წელს სტამბოლის სტანდარტიზაციის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კარიკატურის კონკურსზე მიენიჭა მესამე პრემია.

1998 წელს საქართველოს პრეზიდენტთან არსებულმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო კომიტეტმა მიანიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება და დააჯილდოვა ვერცხლის მედლით — „ფრანგული ზღაპრების“ დასურათებისა და მთელი შემოქმედებისათვის წიგნის გრაფიკის დარგში.

გააფორმა მულტიპლიკაციური ფილმები: „ნაცარქექია“, რეჟისორი: ბორის სტარიკოვსკი (1970); „უცხოელი სტუმარი“ და „ლოკოკინა“ (1986), რეჟისორი: ოთარ ანდრონიკაშვილი.

2002 წელს (27.01.02), საქართველოს დიზაინერთა საერთო ეროვნული შემოქმედებითი კავშირის საგამოფენო დარბაზში მოეწყო დაბადებიდან 70 წლისთავის აღსანიშნავი მხატვრის პერსონალური გამოფენა (გრაფიკა). მხატვრის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართა „ომეგა ჯგუფის“ თაოსნობით. გამოიფინა 1999 – 2001 წ.წ. შესრულებული ნამუშევრები, რომლებიც წარმოადგენს მათსავე საკუთრებას.

ჯემალ ლოლუას ნამუშევრები ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს სურათების გალერეაში, ძირითადი ნაწილი კი — მხატვრის ოჯახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბონდო არველაძე

საყურადღებო პოეტური კრებული



ახლახან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **ბორის დარჩიამ** გამოსცა XVII საუკუნის საეკლესიო მოღვაწის, შემოქმედის (ოზურგეთის რაიონი) მიტროპოლიტისა და სასულიერო მწერლის **იაკობ შემოქმედელის**, გვარად **დუმბაძის**, *„პოეტურ თხზულებათა სრული კრებული“* (თბ., 2014, გამომცემლობა „ივერიონი“, 397 გვ.), რედაქტორი — **მურმან თავდიშვილი**. მანამდე მისი ნაწარმოებების მცირე ნაწილი მხოლოდ სამეცნიერო გამოკვლევებში იყო დამოწმებული და აქედან ცნობილი. ახლა ხელთა გვაქვს თავისი დროის ამ სახელგანთქმული პოეტის ნაშრომთა პირველი, სრული გამოცემა, რომელიც სათანადო სამეცნიერო აპარატითაა წარმოდგენილი და, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, იაკობის სახელით პირველად იბეჭდება მოზრდილი სახოტბო ნაწარმოები *„ქება მეფისა არჩილისა“*, რომელიც თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში XII-XIII საუკუნეთა მიჯნის სასულიერო მოღვაწის შავთელის „აბდულმესიანად“ იყო მიჩნეული.

2009 წელს ბორის დარჩიამ გამოაქვეყნა სქელტანიანი წიგნი *„იაკობ შემოქმედელი“* (575 გვ.), სადაც მრავალი მონაცემის მოხ-

მობით აჩვენა: „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში ნახსენები შავთელის „აბდულმესია“ დაკარგულია. ის ტექსტი, რომელიც დავით რექტორმა 1822 წელს იოანე შავთელის „აბდულმესიანად“ მიიჩნია და ასე შეიტანა ქართული ლიტერატურის თავისსავე ანთოლოგიაში, მერე კი ამგვარადვე გავრცელდა და დამკვიდრდა მეცნიერებაში, სინამდვილეში არის იაკობ შემოქმედელის „ქება მეფისა არჩილისა“, როგორც მანამდე რამდენიმე ხელნაწერში იყო სახელდებული. მასში შექებულია არა დავით სოსლანი (ან რომელიმე დავით მეფე) და თამარი, როგორც თვლიდნენ, არამედ მეფე-პოეტი არჩილ მეორე და ქრისტიანობისათვის თავდადებული მეფეები. ეს ნაწარმოები იაკობმა დაწერა ჩახრუხაძის „თამარიანის“ მიბაძვით, მის თემატიკურ და ვერსიფიკაციულ თავისებურებათა განახლებისა და ქართულ მწერლობაში დამკვიდრების მიზნით.

დავით რექტორის ვარაუდის შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში იაკობი პლაგიატორის სახელით შევიდა. დაბეჯითებით მიიჩნევდნენ, რომ ამ ღვთისა და ერის მსახურმა კაცმა, იოანე შავთელის „აბდულმესია“ მიიტაცა, ამოყარა იქიდან დავითისა და თამარის სახელები, მათ ნაცვლად ჩაწერა არჩილი და ამგვარად გადაკეთებული, როგორც საკუთარი ქმნილება, თავის პატრონს მეფე-პოეტ არჩილ მეორეს მიართვა. უფრო გასაოცარი და დაუჯერებელი: იაკობმა მოსპო ძველი ნუსხები, ხოლო არჩილმა ეს ძღვენი უყოყმანოდ მიიღო. ასე რომ, იაკობ შემოქმედელთან ერთად გალანძღული არჩილ მეფეც აღმოჩნდა.

ბორის დარჩიას თვალსაზრისი იმდენად მოულოდნელი იყო, ბევრმა იმდენად საეჭვოდ და დაუჯერებელად მიიღო, მისი შესწავლა და განხილვა კი არა, მასზე დაფიქრება და გამოხმაურება ზედმეტად ჩათვალა. ერთადერთმა მკვლევარმა მურმან თავდიშვილმა იგი მთლიანად გაიზიარა, მას „სენსაციური აღმოჩენა“ უწოდა და მისი უეჭველობის დასამტკიცებლად სხვა მონაცემებიც მოიპოვა.

ბ. დარჩიას წიგნმა „იაკობ შემოქმედელი“ 2011 წელს სრულიად საქართველოს *დავით აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემია* დაიმსახურა.

იაკობის თხზულებათა გამოცემაში შესულია ჯერ მცირე ფორმის ლექსები: არჩილის ერთსტროფიანი ქება, იაკობ შემოქმედელისა და იოსებ თბილელის გაბაასება, სამსტროფიანი მაჯამა, წაღმა-უკუღ-

მა საკითხავი სტროფი და ერთი პროზაული ჩანაწერი. განხილულია მათი ტექსტოლოგიური საკითხები. მერე წარმოდგენილია ვრცელი პოეტური ნაწარმოებები: *„უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთა გაბაასება“* (289 სტროფი). ეს არის გალექსილი ვერსია XVI საუკუნის პირველი ნახევრის მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის **ბაგრატ ბატონიშვილის (მუხრანბატონის)** ანტიმაჰმადიანური პოლემიკური ნაშრომისა: *„მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა თათრისათა, გამოკრებილი და სიტყვის-გება ქრისტიანეთა მიერ“*. როგორც შესავალში მიტროპოლიტი თავად იუწყება, ამის გალექსვა მისთვის მეფე გიორგი მეთერთმეტეს დაუვალებია, რომლისთვისაც ბაგრატი პაპის პაპა იყო. ბ. დარჩიამ ბაგრატის ცხოვრება და მოღვაწეობაც შეისწავლა და მის თხზულებასთან ერთად 2011 წელს ცალკე წიგნად გამოსცა. მკვლევარმა ეს დედანი აქაც გაიმეორა — იაკობის ტექსტს სტროფთა მითითებითურთ სქოლიოში დაურთო. ახლა ხელისგულზეა მოცემული, თუ პოეტი დედანს როგორ ამუშავებს, რას უმატებს და რას აკლებს მას.

წიგნში ამ „გაბაასებას“ ერთვის ვრცელი გამოკვლევა. შესწავლილია მისი შემცველი ნუსხები (12 ერთეული) და დადგენილია მათი ურთიერთმიმართება. ერთვის ლექსიკონი და საკუთარ და ეთნიკურ სახელთა საძიებელი.

ე. წ. აბდულმესიანი, ანუ „ქება მეფისა არჩილისა“, ბევრჯერაა გამოქვეყნებული, ოღონდ ყველგან იოანე შავთელის სახელით. იაკობის წიგნში იგი ბ. დარჩიას შეამოაქვს ივანე ლოლაშვილის მიერ მომზადებული გამოცემის მიხედვით (1964). იმეორებს ყველაფერს, რაც კი ბატონი ივანეს მიერ მოპოვებული და დადგენილი გაუზიარებია — ტექსტის ძირითადი ნაწილი, ლექსიკონი, პირთა და ეთნიკურ სახელთა საძიებელი და მათი განმარტებანი. რაც სხვაგვარად მიუჩნევია (მაგალითად, ტექსტის ზოგიერთი ადგილის გაგება, პერსონაჟები და სხვა), სათანადოდ აღნიშნავს.

ზედა ყდაზე მოთავსებულია მოქანდაკე ვასილ მჟავანაძის მიერ შესრულებული იაკობის ძეგლის მაკეტის, ქვედა ყდაზე — შემოქმედის ეკლესიათა სურათები.

იაკობ შემოქმედელის თემა უაღრესად საყურადღებო და აქტუალურია. გარდა იმისა, რომ ის უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“

ეპილოგში ნახსენებ „აბდულმესიასა“ და XII-XIII საუკუნის მოღვაწე იოანე შავთელის სახელს, თავისთავად იაკობის საეკლესიო მოღვაწეობა და პოეტური შემოქმედება, მისი თავგამოდება ქრისტიანული სარწმუნოების დასაცავად, რაც ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ტოლფასია, მისი სიახლოვე ქართლის სამეფო სახლთან და მაშინდელ ლიტერატურულ პროცესებში მონაწილეობა, ქართული პოეზიის თემატიკური და ვერსიფიკაციული ძიებანი, მაღალი შეფასებანი, რომელსაც მას აძლევენ არჩილ მეორე, გიორგი მეთერთმეტე, იოსებ თბილელი, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი, ანტონ კათალიკოსი, იოანე ბატონიშვილი, — ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ იაკობ შემოქმედელი ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიის, რელიგიის, ქართული ლიტერატურის ღირსეული წარმომადგენელია, ამ დარგებში შესაბამისი ადგილი ეკუთვნის და კიდევაც უნდა დაიკავოს.

დიდი გაუგებრობა და დანაშაული იყო, რომ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, სადაც ბ. დარჩია ათეული წლები მუშაობდა, იაკობ შემოქმედელზე გამოქვეყნებულ მის სტატიებს მდუმარედ შეხვდა. უფრო მეტიც, გარდა იმისა, რომ მას უამრავი სხვა ნაშრომიც ჰქონდა, 2006 წელს განათლებისა და მეცნიერების რეფორმის დროს ეს სტატიებიც არარაობად მიიჩნიეს და იგი სამსახურიდან დაითხოვეს. ბ. დარჩიას წიგნებიდან ვიცით, ამ უსამართლობაში ლომის წილი აკადემიკოს ელგუჯა ხინთიბიძეს მიუძღვის. ბ. დარჩიამ და მურმან თავდიშვილმა აჩვენეს, რომ აბდულმესიანის საკითხში ბატონი ელგუჯა კვლავ ძველ შეხედულებაზე დგას და მოუწოდეს მას, არსებული არგუმენტაცია დაარღვიოს და საპირისპირო წარმოადგინოს.

„აბდულმესიანის“ რაობის პრობლემა იმდენად კარდინალურია, მასზე იმდენ გამოჩენილ მეცნიერს უმუშავია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასში შემავალი რუსთაველის (სახელობის ქართული) ლიტერატურის ინსტიტუტი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ვალდებული არიან, ეს პრობლემა თითო-ოროლა მკვლევრის ამარა არ დატოვონ და საბოლოო ავტორიტეტიანი სიტყვა თქვან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისევ ქართული ენა...

„ერი დედაა ენისა, ენა კი ხალხის გონებრივი და ზნეობრივი საუნჯის გასაღებია, იგი არის უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა, რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, ამიტომ ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალყურის დევნება ენას... ქართული ქართველთ რწმენაა, ჰოდა კრულია მისი ხსენება, ვინც დაგმობს დედაენასა — ეს ცნობილი გამონათქვამები კვლავ ლაიტმოტივად გასდევს პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის წიგნებს „ქართული სალიტერატურო ენა (ნარკვევები)“ და „ქართული — ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“.

მიუხედავად სამსჯავროზე მრავალჯერ გამოტანილი ქართული სალიტერატურო ენის აქტუალური პრობლემებისა, მათი მოგვარება ძალიან რთულია.

2009 წელს გამოცემულ წიგნში „ბედი ქართული ენისა“ ბატონი გიორგი წერს: „აქვსენტი ცაგარელი ამბობდა თურმე იაკობ გოგებაშვილზე: ქართველებს და ქართულ ენას ისეთი ასარბასარა დარაჯი ჰყავს, რომ მას ვერავინ ვერაფერს დააკლებსო. ავტორი იქვე დასძენს: „ვაი, როგორ სჭირდება დღეს ქართველებსა და ქართულ ენას ასეთი ასარბასარა დარაჯი“.

ბატონი გიორგის მოღვაწეობა ნათელი დასტურია იმისა, როგორი „ასარბასარა დარაჯი“ ჰყავთ ჩვენს დროში ქართულ ენასა და ქართველებს.

წიგნების პირველივე გადაკითხვისას უნებურად გაიფიქრებს კაცი: ღვთის წყალობაა, შეგეძლოს ემსახურო ქართულ ენასა და მუდმივად მის სადარაჯოზე იდგე, ყველაზე და ყველაფერზე წინ ქართული ენის პრობლემები დააყენო და ჩაძინებული საზოგადოება გამოაფხიზლო, დაანახო ნამდვილი სურათი და პრობლემათა გადაჭრის გზებიც დაუსახო.

პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის წიგნი „ქართული სალიტერატურო ენა (ნარკვევები)“ , რომელიც თსუ გამომცემლობამ 2013 წელს დასტამბა (რედაქტორი გიორგი ცოცანიძე, რეცენზენტები: ციცინო

კვანტალიანი, რუსუდან ლანდია), ორგანული გაგრძელება გახლავთ სერიისა, რომელსაც პირობითად შეიძლება სალიტერატურო ენის თავგადასავალი ვუწოდოთ. ეს შრომა არის გაგრძელება წიგნებისა: „ფიქრები დედაენაზე“, „ერთხელ საქართველოში“, „მარადიულნი თანამედროვენი“, „დედაენა — წიგნთა წიგნი“, „ქართული — ენაი შემკული და კურთხეული“, „ბედი ქართული ენისა ათასწლეულის კარიბჭესთან“, „ქართული სალიტერატურო ენა — ისტორია და თანამედროვეობა“, „დედაენა — ძეგლი სამარადისო“ და სხვა.

დასაწყისშივე მითითებული — „წიგნი განკუთვნილია ფილოლოგებისათვის, კერძოდ, და ქართული ენისა და მწერლობის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის... და არა მხოლოდ მათთვის“ — მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბატონ გიორგის არც ამჯერად უღალატია ჩვეული სტილისათვის და მარტივი, ყველასათვის გასაგები ენით აქვს გადმოცემული საკმაოდ რთული მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები.

ქართული საქართველოს სახელმწიფო ენაა, ამიტომ ავტორი ეხება ყველა იმ პრობლემას, რომელსაც წარმოშობს ეს „ფუფუნება”, მაგრამ მხოლოდ ამით არ იფარგლება: „რა არის ენა მწერლისათვის და მწერალი ენისათვის — შეძლებისდაგვარად ამ კითხვებზე პასუხის გაცემაც ვცადეთ“ — აღნიშნავს ავტორი. წიგნი ორ ნაწილად იყოფა, მთლიანობა შესანიშნავად არის დაცული და ორგანულადაა მწერლის ენის საკითხები დაკავშირებული სახელმწიფო ენის პრობლემატიკასთან.

პირველ ნაწილში მოცემულია მსჯელობა სალიტერატურო ენის, მისი პერიოდიზაციის, ნორმირების ისტორიის, სამეცნიერო ლიტერატურის ენისა და საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის გაქართულების პრობლემებზე, რომლებიც უშუალო კავშირშია ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების საკითხთან. ავტორი მოგვითხრობს სახელმწიფო ენის თავგადასავალს ფარნავაზის დროიდან მოყოლებული დღემდე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ისტორიულ კატაკლიზმათა პერიოდების სახელმწიფო ენის მდგომარეობებზე, პრობლემათა დაძლევის გზებსა და საშუალებებზე, დადგენილებებსა და კანონმდებლობებზე, რომლებიც ხან ქართული სახელმწიფო ენის სტა-

ტუსის გაძლიერებისკენ იყო მიმართული, ზოგჯერ კი — პირიქით. ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციისა და ნორმირების საკითხების გაშუქებისას, ავტორი მრავალ შეხედულებასა და თვალსაზრისს გვიზიარებს. ცალკე გამოყოფს ანტონ პირველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა ღვაწლს ამ მიმართულებით. განსაკუთრებით ვრცლად აქვს მიმოხილული ამ მხრივ იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობა, რადგან ავტორი თვლის, რომ გოგებაშვილის მნიშვნელობა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში არაა სრულყოფილად შეფასებული. საკმაოდ სრული მიმოხილვაა მეოცე საუკუნის ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა ძალისხმევაზე სამეცნიერო ენის აღდგენა-აღორძინების საქმეში.

ძალზე საინტერესო და საყურადღებოა ის სტატიები და რეკომენდაციები, რომელსაც გვთავაზობს ავტორი ენობრივ ნორმებთან დაკავშირებით (ენობრივი ნორმა — მუდმივი თუ ცვალებადი? -ავ და -ამ თემისნიშნიან ორპირიან გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის ფორმათა შესახებ, სტატიკურ ზმნათა აწმყოს პირველი და მეორე პირის მეშველიან ფორმათა შესახებ, ვნებითი გვარის ზმნათა მეორე კავშირებითის პარალელურ ფორმათა შესახებ (იქნეს თუ იქნას), მრავალსიტყვიან უცხოურ სახელწოდებათა ქართულად დაწერილობის გამო, აქვეა მსჯელობა რამდენიმე სიტყვის მართლწერის შესახებაც).

მეტად საინტერესოა ნაშრომის მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ი. აქ განხილული და გაანალიზებულია დ. კლდიაშვილის, ო. ჩხეიძის, ა. კალანდაძის, მ. მაჭავარიანის, გ. ჩოხელის, გ. დოჩანაშვილის დამოკიდებულება ქართულ ენასთან. „ერთია მწერლის ენა (რა თავისებურებები ახასიათებს მწერლის ენობრივ სტილს) და მეორე — მწერლის დამოკიდებულება ენისადმი“ — სწორედ ამ ნიშნით გვაცნობს ავტორი აღნიშნულ მწერლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოდასახელებული მწერლები ძალიან ახლობლები და საყვარლები, გამორჩეული წარმომადგენლები არიან მკითხველთა ფართო წრისათვის, დამერწმუნეთ, გიორგი გოგოლაშვილისეული დაკვირვებებს ახალ, თითქმის უცხო გარემოში შევყავართ და მათი შემოქმედების მნიშვნელოვან შტრიხებს

გვაცნობს. შეიძლება ითქვას, რომ ბევრი რამის ახლებური თვალით გადაკითხვა მოგიწევთ.

„ვწერდი როგორც იწერებოდა, არ გავრუსდები, ენა — პიროვნების მახასიათებელი, ლექცია ქართულ ენაზე, შემოწკეპილი სახელ-გვარები, ლაპარაკობს კლდიაშვილის პერსონაჟები“ — ამ მინიშნებებით შევყავართ ავტორს დავით კლდიაშვილის ენობრივი მსოფლმხედველობის სამყაროში.

„ოთარ ჩხეიძის ენობრივი სამყარო საწიგნე თემაა“ — ამბობს ბატონი გიორგი, მოჰყავს მაგალითები კრიტიკული წერილებიდან და შემდეგ ენათმეცნიერის დაკვირვებული თვალით გვაჩვენებს ო. ჩხეიძის ნამდვილ დამოკიდებულებას ქართულ ენასთან.

„მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას შემდეგ იმდენი არავის უფიქრია, უსაუბრია ქარული ენის შესახებ, რამდენიც ქალბატონ ანას“. —აქ ავტორი გარდა პოეტის შემოქმედებაში გაფანტული მინიშნებებისა, ინტერვიუებიდან და პირადი საუბრებიდან მოტანილ ბევრ უცნობ დეტალს გვაცნობს ქალბატონი ანასა და ქართული ენის დამოკიდებულების შესახებ.

„არის სათქმელი, რომელიც აუცილებლად უნდა ითქვას; აუცილებლად უნდა დაიწეროს. ასეთია ჩემი ღრმა რწმენით, თემა — მუხრან მაჭავარიანი და ქართული ენა“ — და კვლავ ჩვეული დამაჯერებლობით, ნამდვილი მეცნიერისათვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებით გვიჩვენებს მუხრანის ქართულ ენასთან დამოკიდებულებას.

„ქართულ ენაზე ფიქრი სდევდა მუდამ გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას“ — ამიტომ არის განსაკუთრებული ბატონი გიორგისათვის მწერლის ამ კუთხით წარმოჩენა.

მწერლის ენობრივი თავისუფლება და სალიტერატურო ენის ნორმა — ასე ეწოდება წიგნის ბოლო ნაწილს, რომელიც შრომის მთლიანობის შემკვრელია: ორი გურამ დოჩანაშვილი, სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირთა გამოხატვა ზმნაში, სასვენი ნიშნები და მათთან დაკავშირებული პრობლემები — ეს ის საკითხებია, რომლებიც ჩვენი საყვარელი და ცნობილი მწერლების სტილის ერთ-ერთი ორიგინალური ნაწილია.

ანალოგიურ პრობლემურ საკითხებს ეხება გიორგი გოგოლაშვილის წიგნი **„ქართული — ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“**, რომელიც 2013 წელს გამოსცა გამომცემლობა “მერიდიანმა” (რედაქტორი — იოსებ ჭუმბურიძე) და ამით კიდევ ერთი შესანიშნავი ნაშრომი შეემატა ენათმეცნიერებას, და არა მხოლოდ ენათმეცნიერებას. წიგნი მოგვითხრობს ქართული ენის თავგადასავალს, განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის, რომლებიც ქართული ენის ბედით და მისი მომავლით არიან დაინტერესებულნი. „თუ მთლიანობაში გავიაზრებთ, რა ხდება ჩვენი დედაენის თავს, მშვიდად ვერ უნდა იყოს ქართველი კაცი“ — წერს ავტორი, რომლისთვის ქართული ენა არის მუდმივი ფიქრისა და ზრუნვის საგანი.

„რა არის ქართული ენა? — ენათმეცნიერის პასუხი ამ კითხვაზე ვერ იქნება ლაკონური და შთამბეჭდავი, ლაკონურად და შთამბეჭდავად თქმა პოეტს შეუძლია“ — ამბობს ბატონი გიორგი წინათქმაში და შემდგომ მთელი ნაშრომი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ შთამბეჭდავად და პოეტურად შეუძლია ენათმეცნიერს, ფაქტებსა და წყაროებზე დაყრდნობით გასცეს ამ კითხვას პასუხი.

სწორედ ასე იწყება ქართული ენის თავგადასავლის თხრობა, სადაც პოეტური შთაგონებითა და ენათმეცნიერის სიზუსტითაა გადმოცემული ქართულ ენასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების წყება.

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ...“ — ასე ეწოდება ნაკვეთს, რომელშიც ერისა და ენის ურთიერთკავშირზეა მსჯელობა. სხვადასხვა წყაროთა მიხედვითაა განხილული ქართველთა ეთნოგენეზისი, რომელიც, თავის მხრივ, გადაჯაჭვულია ქართული ენის წარმოშობის საკითხთან: „ქართველთა წინაპრების თავდაპირველი სამშობლო სამხრეთ კავკასიაა, ქართველთა წინაპრები საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ამ ორი-სამი ათასეული წლის წინათ ცხოვრობდნენ... და აქ, საქართველოში იშვა ქართული ენა. სწორედ ამას გულისხმობდა პოეტი, როცა ქართულ ენას ასე ამკობდა: „საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ“ — დასძენს ავტორი ნაკვეთის დასასრულს.

„ქართული ქართველთ რწმენაა“ -- ასე ეწოდება პირველი ნაწილის ორგანულ გაგრძელებას, რომელშიც მოთხრობილია ათასგვარ გაჭირვებასთან მებრძოლი ქართველი ერისა და ენის მრავალსაუკუნოვანი სიცოცხლის საიდუმლოება. „ვერ ნახავთ ქართველს ქართული არ იცოდეს და ქართველი იყოს! სწორედ, ქართველი კაცის უნიკალური დამოკიდებულება დედაენისადმი იყო საფუძველი იმისა, რომ ქართველმა ხალხმა გაუძლო უამრავ უბედურებას და ქართველმა ერმა შეინარჩუნა ქართული ენა“ — ასკვნის ავტორი.

დამაჯერებელი მსჯელობა გვხვდება წიგნში სამი ღვთაებრივი საუნჯის - მამული, ენა, სარწმუნოება — იაკობ გოგებაშვილის მიერ „ბურჯი ეროვნებისად“ გამოცხადების შესახებ, რომელსაც მან მეოთხე კომპონენტი —ეროვნული სკოლა დაუმატა. ძველი ქართულის ძეგლებიდან დაწყებული, დღევანდელობით დამთავრებული, კიდევ ერთხელ ხაზგასმითაა ნაჩვენები, თუ რატომ “ სჭარბობდა ქართულ ენაში მუდმივი ცვლადს“.

და ამ ხაზით, ამ სტრუქტურით, მეცნიერული სიზუსტითა და მწერლური შთამბეჭდაობით გრძელდება წიგნში ჩვენს დედაენაზე — ქართულ ენაზე — როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შემავალ ენაზე, როგორც ქართველურ ენაზე, როგორც სამწერლობო და სახელმწიფო ენაზე, ქართული ენის ნაირსახეობებზე, მათ წინაშე მდგარ პრობლემებზე მსჯელობა, მათი გაანალიზება. ავტორს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დამოწმებული აქვს თითქმის ყველა თეორია, ჰიპოთეზა თუ მოსაზრება, რომლებიც ქართული ენის არსებობის გრძელ გზაზე გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებსა თუ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს გამოუთქვამთ.

ავტორი კონსტანტინე გამსახურდიას ესესხება „ქართული ენის სიწმინდის დაცვა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოისა“.

ნაშრომი მკითხველს მრავალ საფიქრალს აღუძრავს, მოქმედების სურვილსაც გაუჩენს და ალბათ, სწორედ ამიტომ, ბატონი გიორგი თავისი პატარა ქართველების — იოანე და გიორგი გოგოლაშვილების თაობას უძღვნის ამ წიგნს, იმედითა და რწმენით.

დიდი მადლობა და დაფასება ბატონ გიორგის ასეთი ზრუნვისათვის მშობლიური ენის მიმართ!

2014 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი წერეთელი

ქართული წიგნის ხელოვნების სადიდებელი

ახლახან გამოვიდა ქართული ანბანისა და ქართული წიგნის ხელოვნების სადიდებელი წიგნი, სახელწოდებით „ქართული წიგნის ხელოვნება“. შემდგენელი და გამომცემელია მხატვარი ნინო ჯიშკარიანი, გამოჩენილი მხატვარ-გრაფიკოსის, ბატონი ოთარ ჯიშკარიანის ქალიშვილი. ნინომ ეს შესანიშნავი გამოცემა მიუძღვნა მამის ნათელ ხსოვნას, რაც მეტად დასაფასებელია. მან, როგორც პროექტის ავტორ-შემდგენელმა, დიდი შრომა და ენერგია ჩააქსოვა საჭირო ნიმუშების მოგროვებას. იგი გულმოდგინედ ეძებდა წიგნში წარმოდგენილი მხატვრების მასალებს როგორც ოჯახებში, ისე ბიბლიოთეკებში და ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა მათი ნამუშევრების ნახვა და გადაღება.

შესაშური უბრალოებითა და პროფესიონალიზმით არის დაწერილი და დიდი ინტერესით იკითხება პროექტის ავტორის შესავალი წერილი, ხოლო ძირითადი ტექსტის დაწერა სთხოვა ცნობილ ხელოვნებათმცოდნეს, ბატონ დავით ანდრიაძეს, რომელმაც დიდი გულმოდგინებითა და ნიჭიერებით შეასრულა ეს საქმე და ქართულ საზოგადოებას წარუდგინა შინაგანი სულიერი კულტურით საოცრად ნაგრძნობი, პროფესიულად ამაღლებული და სრულყოფილი, მართლაც რომ შესანიშნავი ნამუშევარი.

ჩვენი საზოგადოება და განსაკუთრებით ხელოვნების მოყვარულები, დიდად არ არიან განებივრებულნი ასეთი წიგნებით. აღნიშნული ნაშრომი თითქმის ერთ-ერთ პირველ და, მთელი სერიოზულობით შეიძლება ითქვას, ქართული წიგნის გრაფიკის პოპულარიზაციის წარმატებულ ცდას წარმოადგენს. წიგნის დიზაინი მაღალპროფესიულად განახორციელა ახალგაზრდა მხატვარმა სანდრო ჩხაიძემ.

გამოცემა შესრულებულია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე, რისთვისაც დიდი მადლობა ეკუთვნით გამომცემლობა „მერიდიანსა“ და სტამბის მესვეურებს. მასში განხილულია ჩვენი სახელოვანი დიდოსტატების: გრიგოლ ტატიშვილის, ლადო გრიგოლიას, ლადო ქუთათელაძის, დავით (დუდა) გაბაშვილის, იოსებ გაბაშვილის, ევგენი ლანსერეს, იოსებ შარლემანისა და ბენო გორდეზიანის გრაფიკული ნამუშევრები; იქვე წარმოდგენილია მომდევნო თაობების გამოჩენილი ოსტატების -- ოთარ ჯიშკარიანის, დავით დონდუას, ჯემალ ლოლუას, თენგიზ მირზაშვილის, გულდა კალაძის, რომან მახარაძის, თენგიზ სამსონაძის, ზურაბ ნიჟარაძის, გოგი ოჩიაურის, ელგუჯა ამაშუკელის, ლეონარდო შენგელიას, ნათელა იანქოშვილის, მარგარიტა თუშმალიშვილის, თეიმურაზ ყუბანეიშვილის, გიორგი გორდელაძის, შურა ბანძელაძის, შოთა ნიორაძის, ლევან ცუცქირიძის, დიმიტრი ერისთავის, სპარტაკ ცინცაძის, სამეულის (ოლეგ ქოჩაკიძის, ალექსანდრე სლოვინსკის, იური ჩიკვაიძის), მამია მალაზონიას, გიორგი ავსაჯანიშვილის, ემირ ბურჯანაძის, კარლო ფაჩულიას, ლორეტა შენგელია-აბაშიძის, მედეა ჯაბუას, ნოდარ სუმბაძის, ნანა ჭურლულიას, ირაკლი ფარჯიანის ილუსტრაციები, ორნამენტებისა და შრიფტის ნიმუშები.

წიგნი-ალბომი „ქართული წიგნის ხელოვნება“, ალბათ, დიდი ხნით ადრეც უნდა გამოცემულიყო, თუნდაც იმიტომ, რომ ქართული ანბანი მსოფლიოს თოთხმეტ ანბანს შორის თავისთავადობითა და ინდივიდუალობით მეტად გამორჩეულია და თვითნაბადი, რომ აღარაფერი ვთქვათ ასომთავრულსა და ნუსხურზე. ერს, რომელსაც უკვე ოც საუკუნეზე გაცილებით მეტია, გააჩნია ანბანი, შემქმნელია საოცარად დახვეწილი ხელნაწერი წიგნებისა, უდავოდ აქვს საამაყო.

ეს გამოცემა დღეს ძალიან სჭირდება ჩვენს ახალგაზრდა თაობას იმისთვის, რომ კარგად დააკვირდნენ, დაფიქრდნენ და გააცნობიერონ, საიდან მოდიან და რა სიმდიდრეს ფლობენ, როგორ უნდა იცხოვრონ და როგორ უნდა განავითარონ ქართული შრიფტი და ქართული წიგნის ხელოვნება.

დასასრულ დიდი მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც დაეხმარა ჩვენს ენთუზიასტ ხელოვანს ამ მნიშვნელოვანი ნაშრომის გამოცემაში.

საყურადღებოა, რომ ნინო ჯიშკარიანი, როგორც შემდგენელი, ახლა უკვე მუშაობს მეორე წიგნზე. და მინდა ვუსურვო მხნეობა, ენერგია და მონდომება, რათა წარმატებით დააგვირგვინოს დაწყებული საქმე და გაახაროს ქართველ წიგნის მოყვარულთა გულები.

***

სამსონ ლეჟავა

„ქართული წიგნის ხელოვნება“ — წიგნი წიგნის შესახებ

2013 წელს გამომცემლობა „მერიდიანმა“ მკითხველსა და ამ შემთხვევაში, დამთვალიერებელსაც, შესთავაზა ახალი „კრებული“, წიგნი, რომელშიც თავი მოიყარა დიდძალმა ვიზუალურმა მასალამ საქართველოში წიგნის გრაფიკისა და შრიფტის ხელოვნებაზე, კერძოდ, XIX საუკუნის მიწურულიდან XXI საუკუნის დასაწყისის ჩათვლით. იდეის ავტორი იყო და პროექტს წარუძღვა ნინო ჯიშკარიანი. მან დიდი შრომა გასწია და დაუოკებელი ენთუზიაზმიც გამოავლინა ამ საქმის დასაგვიგვინებლად.

ზემოაღნიშნული წიგნი I, ოთარ ჯიშკარიანის, ცნობილი გრაფიკოსის და ქართული წიგნის მოამაგის ხსოვნას მიეძღვნა, დანარჩენს თავად გაეცნობით, როცა იხილავთ ამ ფართოფორმატიან, სადა იერით გამორჩეულ გამოცემას. მის თვალიერებისას ძალაუნებურად ჩვენი კულტურის საზრისზე დაფიქრდება ადამიანი, რომლისთვისაც მწიგნობრობა ეროვნული შესაქმის უმთავრესთაგანი გამოხატულება იყო ოდითგანვე და არა მხოლოდ ფარნავაზის დროიდან (აქ გვახსენდება ძველკოლხური კირბები და გია კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოს ამოკითხვის თავგადასავალი, რაც დანამდვილებით მეტყველებს ამ ტრადიციის მომდინარეობაზე).

ფილოსოფოსი ჯანრი კაშია ქართველთათვის სამი მთავარი წიგნის — ბიბლიის, ქართლის ცხოვრებისა და ვეფხისტყაოსნის მუდმივ მეგზურობას გამოჰკვეთდა წუთისოფლის მღვრიე მდი-

ნარებაში. ისინი მარტოსულად არ აგრძნობინებინებდნენ თავს სამშობლოს მონატრებულ, დევნილ ბაგრატიონებსაც და თავად დავით გურამიშვილსაც, ვისი უბადლო „დავითიანის“ გადარჩენაც შთამომავლობისათვის ერთმა თავგანწირულმა მხედარმა შეძლო, როცა ღვთის წყალობით გამოსტაცა იგი მდინარის ყოვლისჩანმთქმელ ნაკადს საქართველოში დაბრუნებისას!

ვინ იცის, იქნებ ვეფხისტყაოსნის დარი წიგნებიც კი წაუღია თან გაუთავებლად მარბიელ მომხდურს, თუმცა ისიც, რაც გადარჩა, კოლოსალური საგანძურია, რომელიც ლამის ამნეზიას მინებებული საზოგადოების ნაწილისათვის არააქტუალურად იქცა! შეხედეთ, გულისხმიერებით შეგროვილი ბიბლიოთეკები როგორ ნიავდება მატერიალური თუ სულიერი სიდუხჭირის ან სხვა რამ მიზეზის გამო, თუმცა ერთთა მიერ მივიწყებულ ფოლიანტებს მეორენი გამოუჩნდებიან გულშემატკივრებად, ხოლო მავანის მიერ ქუჩაში გამოტანილი ვაჟას გამაოგნებელი პოეზიის წიგნი ახლა რომელსამე სხვას აუნთებს გულს და ახალ მეპატრონესთან ჰპოვებს ნავთსაყუდელს...

შუა საუკუნეთა „კოდექსების“ მქმნელ-შემნახავი ეკლესია ჯერ „მართლმადიდებელ” იმპერიალისტთაგან შევიწროებული და მერე კი კომუნისტთა მიერ დარბეული, ისერიგად ველარ იცავდა წმინდა წიგნებს, თუმცა არც საერო სივრცეს ადგა კარგი დღე. XIX საუკუნის დამდეგიდან ჩვენში, იმ რთულ დროში, უსახელმწიფო ერის მწიგნობრობის დაცვა ილიას დარმა თავდადებულებმა იტვირთეს, რომელთათვისაც არცოდნა სწორედაც რომ ცოდვად აღიქმებოდა! გაიხსენეთ „გლახის ნაამბობი“ — გაბრიელის ნათელი ცხოვრების ხანა ხომ, პირველყოვლისა, წიგნთან მის დამოყვრებას დაუკავშირდა... უთუოდ ილიას თანამებრძოლი იყო გრიგოლ ტატიშვილი, რომლის ნაღვაწის წარმოჩენით იწყება განსახილველი წიგნი. გრიგოლმა იზრუნა როგორც ქართველთა, ისე მოძმე სომეხთა შრიფტისა და ორნამენტის ერთობლივ აღორძინებაზე. აქ, მართლაც, ჩანს არა მხოლოდ ჩვენი ტრადიციული მწიგნობრობის, საეკლესიო დეკორის და ხალხური ხელოვნების მორთულობით სისტემათა განმაახლებელი დამოწაფება, არამედ თავისებური „კვანძის“ შექმნაც ძველი და ახალი „დროების“ დასაკავშირებლად.

„ქართული წიგნის ხელოვნებას“ ძალაუნებურად საათობით ათვალიერებ, ვინაიდან უაღრესად ტევადია მასში „ჩაწნეხილი“ ინ-ფორმაცია. აქ ვხვდებით წიგნის გრაფიკის გამორჩეულ მოამაგეებს: დიდ მაესტროს — ევგენი ლანსერეს, უმაღლესი განსწავლულობის მხატვარ იოსებ შარლემანს. მერე კი უნიჭიერესი მხატვრისა და მკვლევრის, ბენო გორდეზიანის „H_2 SO_4“-ის ყდა გვხვდება თვალში; იგი ქართული ავანგარდის გამორჩეული ფიგურა ბრძანდებოდა, ამიტომაც დავით კაკაბაძის მსგავსად დათრგუნეს ბოლშევიკებმა, თუმცა სამეცნიერო ღვაწლი ბოლომდე მაინც ვერ ჩაუხშეს. უპრიანი იქნებოდა ილია ზდანევიჩის რომელიმე წიგნიც მოხვედრილიყო ჩვენს გამოცემაში — გარდა იმისა, რომ ის საერთაშორისო რანგის არტისტია, ქართული სივრცე მისთვისაც ხომ მშობლიური იყო! აქვეა ლადო გუდიაშვილის მიერ გაფორმებული „ქართული ხალხური ზღაპრები“, რომელთა პერსონაჟები თითქოს ამ ზღაპართა სამყაროდან გადმოსახლებულან. ახლა, როცა გამოჩენილი ლადო ქუთათელაძის ბწყინვალე, ფილიგრანულ მორთულობას დააკვირდებით, გაიფიქრებთ, რომ თვით შოთა რუსთველიც მოიწონებდა პოემის ამაღლებულ მშვენიერებაში ღრმად ჩამწვდომ ამ დეკორიუმს! და ისევ — შთამბეჭდავი შეზიარება ლადო გრიგოლიას უმნიშვნელოვანეს ნაღვაწთან, რომლის დანატოვარი განსაკუთრებულია ქართული წიგნის გრაფიკისათვის! მან მთელი ეპოქა შექმნა, როგორც ტრადიციული წიგნის თანამედროვე ენაზე „მთარგმანებელმა“(ვახტანგ ბერიძე).

აღმაფრთოვანებელია იოსებ გრიშაშვილის „ნაცარქექიას“ გაფორმება. წარმოუდგენელი, ძნელად დასაჯერებელი ოსტატობაა, ყველაზე ძლიერ ორიენტალურ მონაპოვართან ვიზუალურ ხელოვნებაში ისეთივე თავისუფალ დიალოგში შესული, როგორც გურულთა გამაოგნებელი პოლიფონია — ბაროკოს უმაღლეს ვირტუოზულობასთან, ამჯერად, მუსიკაში!

გოგი გორდელაძის გულისყურით გაფორმებულ ნიმუშთა შემდგომ (იგი მწიგნობრის განსახიერება იყო) ცნობილ ინტელექტუალს, უაღრესად დახვეწილ გრაფიკოსს, დავით გაბაშვილს ვიხსენებთ,

რომელიც მეგზურობას გვიწევს ძველი საქართველოს სახელოვნებო კულტურის სახილველში, რის წარმოჩენაც მას ყველაზე უკეთ ძალუძდა. ნათელა იანქოშვილის რომანტიკული განწყობით ყურადღებამისაპყრობ გარეყდას, წინამდებარე წიგნში მარგარიტა თუშმალიშვილის სადა გრაფიკა ენაცვლება (ფერწერაში იგი უფრო სპონტანური იყო). ამას მოსდევს რომან მახარაძის თავდაჭერილი გაფორმების მრავალი ნიმუში (სულ ახლახანს მის შემოქმედებას კარგად დასტამბული გამოცემა მიეძღვნა). „მკითხველ-დამთვალიერებელი" შემდგომში შოთა ნიორაძის როინ მეტრეველისეული „მეფე თამარის" საზეიმოდ ლაკონურ ყდას გამოარჩევს...

ვაჟას დიადი სამყაროს წარმოჩენა კი თეიმურაზ ყუბანეიშვილის „ლაპიდალური" ექსპრესიის მქონე ილუსტრაციებში ვლინდება. თვალიერებისას სიხარულს განიცდით ბავშვობის ასაკიდან მიმზიდველი „მაუგლის" ილუსტრაციების ხილვისას, რომელშიც უმაღლესი რანგის ოსტატობა ცხადყო ალექსანდრე ბანძელაძემ, ნიკო ფიროსმანაშვილის შემდგომ უძლიერესმა ქართველმა ანიმალისტმა, ხოლო დ. კაკაბაძის შემდეგ აბსტრაქციონიზმის მეტრმაც ჩვენს ხელოვნებაში. წიგნის ფურცლებზე მასთან მეზობლობს ლევან ცუცქირიძე — თავისი „ასკეტურად" მკაცრად მეტყველი, „წმინდა" გრაფიკის მაძიებელი, ერთგვარი ფიგურატივისტული „პურიზმით".

გიორგი ოჩიაურის „გრაფიკული მწიგნობრობის" ჩინებულ მაგალითთა თვალიერებისას გამიჩნდა სურვილი, მეხილა „კაი ყმის" კრებული, და კიდევ გურამ რჩეულიშვილის ცნობილ ერთტომეულში შეტანილი, გურამისავე არაჩვეულებრივად ძლიერ პროზასთან ღრმად შერწყმული, მისი მხატვრული სახეც. მოქანდაკეთა გრაფიკის „რანგს" ადასტურებს შიო მღვიმელის თხზულებათა ელგუჯა ამაშუკელისეული „აჟურული", მოხდენილი გაფორმებაც. მისდამი კონტრასტულია ზურაბ ნიჟარაძის ცხოველმყოფელი, ხალისიანი „გარგანტუასა და პანტაგრუელის" გრაფიკული „ხილვა".

რაც შეეხება თენგიზ სამსონაძის ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებულ წიგნის გრაფიკას: მასში „კორექტულად სავსე" ფერადოვნებით გამორჩეული ფურცლები ასოციაციურად ძველი ტექსტილის შემხსენებელიც არის, რაც აშკარად უხდება ამ გამოცემას.

ქართული პოეზიის კლასიკასთან დაკავშირებული და პროფეს-
სიონალიზმით ღირშესანიშნავი დავით დუნდუას გრაფიკის შემდგომ
საგანგებოდ ვეცნობით ოთარ ჯიშკარიანის „ანბანთქებას“, რამაც
აღაფრთოვანა „ქართული ასომთავრულის“ ავტორი რამაზ პატა-
რიძე. ეს არის ჩვენი „ასოთამეტყველების“ ხოტბა-შესხმა, თანაც
სრულიად განსხვავებული იმ ფანტასტიკური მონაპოვრისაგან, რაც
დაგვიტოვეს ლ. ქუთათელაძემ და ლ. გრიგოლიამ; ეს არის თითქოს-
და ახალი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“... შთამბეჭდავია და
საზეიმოც აქტიური წითლისა და მჟღერი ოქროსფერის მიმართება
რომანტიულ შავსა და თეთრთან „მიახლოვებულ“ რუხთან...

მონუმენტალისტ ლეონარდო შენგელიას ხედვის სპეციფიკა მისი
წიგნის გრაფიკაშიც თვალნათელია, ხოლო დიმიტრი ერისთავის კო-
რნელი ჩუკოვსკისეულ ნაწარმოებთა გაფორმება ახალი წახნაგით
წარმოგვიჩენს ამ გამოჩენილ ურბანისტ მხატვარს.

გამორჩეულია გულდა კალაძის „საბრალო დედაბრისასა...“
მასში იგრძნობა ფოლკლორის „არომატი“; პლასტიკურობა და სტი-
ლიზაცია ორგანულად არის ურთიერთშემსჭვალული; ჩანს კავშირი
ტრადიციული კერამიკის მონაპოვრებთან; ცოცხალი და მოძრავია
მთელი გაფორმება. ვფიქრობ, დიდი ადგილი სამართლიანად დაეთმო
ჯემალ ლოლუას. ესაა უმაღლესი რანგის ოსტატი, გამორჩეული
მტკიცე ხელით, „ზოგან ხისტად“ პირობითი, სარწმუნო, რიტმულად
მდიდარი ხელწერით. პერსონაჟთა დახასიათებისას ის საკუთარი,
მიზანმიმართული ხერხების ეფექტურობით ძალიან ბევრს აღწერს...

განსაკუთრებულია თენგიზ მირზაშვილის დანატოვარი — უზა-
დო გემოვნებით, ფაქიზი კულტურის უტყუარობით, ვიზუალური
ფოლკლორის აღმაფრთოვანებელ უბრალოებასთან ეჭვმიუტა-
ნელი, უღრმესი წილნაყარობით!

სპარტაკ ცინცაძის ფერადოვნად „აწეული“ ყდების შემდგომ
ვჩერდებით სახელმოხვეჭილი სამეულის ნაწარმოებებთან. ბევრი
რამ არის საერთო მათ სათეატრო მხატვრობასა და წიგნის გრაფი-
კაში — საკუთრივ, ზღაპრების გაფორმებასთან. აქ თვალსაჩინოა
ორგანული, სახიერი დეკორატიულობაც, ფანტაზიის სიმდიდრეც...

მამია მალაზონიას ქმნილებათა აღქმისას კვლავაც ცხადი ხდება მისი ხედვის მკაფიო ორიგინალურობა, საკუთარი, უჩვეულო გზის ბოლომდის მატარებლობა, „მედიტაციური“ იგივურობა...

გიორგი ავსაჯანიშვილის მიერ გაფორმებულ წიგნებში გამოირჩევა ხალხური არქიტექტურის წარმომჩენი ნიმუშები, მათი სპეციფიკა.

ემირ ბურჯანაძის მიერ საგულდაგულოდ დამუშავებული გრაფიკული ფურცლები მას ქართულ ორნამენტთა რთულ „ხლართებთან“ მოუბარ და მათ ერთგულ მესაიდუმლედ წარმოგვიჩენს. თავის მხრივ, კარლო ფაჩულიასთან სულ სხვა რასმე ვხედავთ — სიმსუბუქეს, ჰაეროვნებას, სხარტ, ცინცხალ გრაფიკულ გამომხატველობას...

ლორეტა შენგელიას ანა კალანდაძის პოეზიასთან „შეხმიანებულ“, თითქოსდა „მართალსივრცულ“ გრაფიკულ იმპროვიზაციას ენაცვლება დეა ჯაბუას მიერ სხვადასხვა ნაწარმოებთა გაფორმებული ტიტულები, ყდები და შმუცტიტულები. ამათგან გამოირჩევა რობინ ჰუდის შესახებ მოთხრობათა „არქაულ-ევროპეიზებული“, დინამიკურად მოხაზული, ენერგიული კონფიგურაციის მატარებელი შრიფტი, და ასევე მ. ქვლივიძის ლექსების წიგნის „კუთვნილი“ ლირიკულად მგრძნობიარე ჩანართები.

გოგი წერეთლის მრავლისმეტყველი „გრაფიკული პოეზია“ საუკეთესოდ შეესატყვისება ტერენტი გრანელის „მღელვარე მელანქოლიის“ მატარებელ სტრიქონებს.

ნოდარ სუმბაძის „ტექტონიკურად მოძრავ“ სასათაურო შრიფტებთან მიმართებით კონტრასტულად გამოიყურება ნანა ჭურღულიას „პატარა ქალაქის ზღაპრების“ გამჭვირვალე ფანტასმაგორიულობა, სრულებით განსაკუთრებული, „ფეერიული“ სილამაზე.

და შემდგომ, ფინალი — ირაკლი ფარჯიანის გვერდი. მასთან დიდწილად აღორძინებულია საკრალიზებული დამოკიდებულება წმინდა წიგნის, როგორც სათუთად მოსაფრთხილებელი, უზენაესთან მიმაახლებელი, საღვთოსა და ადამიანურის სინერგიულობის მატარებელი უდიდესი ფასეულობის მოვლენისადმი. აქ სულ სხვა განზომილების დიდი სულიერებაა, თანაც ჩანს, რომ მსგავსი წიგნების გამაერთიანებლობა გადამწყვეტია — ისინი თაობათა სიღრმისეულად მაკაშირე-

ბელია; ასეთი გაერთიანებული ძალა აქვს ქართულ გალობას, ძველი კედლის მხატვრობას და თვით ჩვენს ანბანს...

მთელი ამ თხრობის მერე გასაკვირი როდია ამ გამოცემისგან მიღებული ინტენსიური შთაბეჭდილება. მთავარია, რომ კარგად ჩანს ერთი გადამწყვეტი რამ: ჩვენში ხომ, განსაკუთრებით საბჭოური იდეოლოგიის ზეობის პირობებში, ქართულმა წიგნმა თავის მთლიანობაში და მისმა მხატვრობამაც, როგორც ამ წიგნების სისხლხორცეულმა შემადგენელმა, გამოატარა ქართველი მკითხველი იმ არაადამიანური, ყოვლად დამთრგუნველი იდეოლოგიის ზეწოლის პირობებში, სწორედ რომ მაღალ კულტურულ მონაპოვართან, სივრცესთან მაზიარებლობის გზით. მეტიც ითქმის: წიგნი საბჭოთა საქართველოში, თეატრმცოდნე მერაბ გეგიას თქმით, ეს იყო თავისებური „ოპუსი". ის ერთგვარი შემნახველ-მააკუმულირებელიც აღმოჩნდა კულტურისა. რასაკვირველია, იგი ისევე სიხარულის მომტანი იყო ასოთამწყობთა ამქრისათვისაც..., ბავშვებისთვისაც, რომლებიც წიგნის საუფლოში ზღაპართა მეშვეობით იწყებდნენ მოგზაურობას ყოფიერების მარადმიმზიდავ სამყაროში — ზოგან აღმაფრთოვანებულად „ხიფათმრავალი", ოღონდ სიკეთეს მაზიარებელი გზებით (შეცვლის კი ამ საკვირველად ტევად საუფლოს მათთვის ბანალურზე ბანალურ, უსულგულო მულტფილმთა მოძალება?!).

წიგნის მოტრფიალე მრევლისათვის გზისგამკვალავი, მწერლის გარდა, მხატვარიც იყო ოდითგანვე, და ასე აღმოჩნდა ჩვენშიც. საქართველოში ახალი დროის მხატვართა ნიჭიერების ძალა ამ თვალსაზრისით შთამბეჭდავად მესახება. ისინი ხომ მართლაც „დაუმეგობრდნენ" უდიდეს, თუ უფრო მოკრძალებულ, მაგრამ გულმისაპყრობ მწერლებს მთელს მსოფლიოში. ეს იყო არა ზერელე, „კოკა-კოლური" ფსევდოგლობალიზმი, არამედ სიღრმისეული დიალოგი „დროებთან", „სივრცეებთან", ადამიანებთან... მხატვრობაში ამის სერიოზული მაგალითია სერგო ქობულაძე — „შექსპირიანის" ღრმად ჩამწვდომობა. არანაკლებ საგულისხმოა მთელ ევროპულ თუ აღმოსავლურ კულტურებთან ის უკომპლექსო დიალოგი, რაც შთაგონებული შრომით გამორჩეულ ჩვენს მთარგმნელებთან ერთად, ცხადყვეს ჩვენმა მხატვრებმა: მათი

ინტელექტი, აზროვნების დიაპაზონი, ერუდიცია თუ სამწიგნობრო ხატოვანება თვალსაჩინო მაგალითი მგონია ქართული კულტურის გახსნილობისა. რაც შეეხება ქართულ მწერლობას — ძველსა თუ ახალს, აქაც ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი მხატვრობა მისი თანამდგომიც იყო, ინტერპრეტატორიც და ზოგჯერ, იქნებ „გამაძლიერებელიც“ კი...

ყოველ ამ არსებით საკითხზე თუ საკითხავზე გვაფიქრებს ეს მნიშვნელოვანი გამოცემა, რომელმაც აშკარად გაგვიცოცხლა, წინ წამოსწია ბევრისთვის მივიწყებული დიდი სამყარო მწიგნობრობისა. რადგან ეს გულწრფელად მისასალმებელი ინიციატივა სასიკეთოდ „დაიძრა“, მეიმედება, რომ ღირსეულად გაგრძელდება კიდევ. ვფიქრობ, შემდგომ ტომებში თავისი კუთვნილი ადგილი მიეჩინება არა მხოლოდ თამარ აბაკელიას, ირაკლი თოიძეს, ელენე ახვლედიანს (ილო მოსაშვილისეული „როზგა ჩაფრის“ მხატვრული გაფორმება რად ღირს!), ნიკოლოზ იგნატოვს, ბელა ბერძენიშვილს და კიდევ სამწუხაროდ მივიწყებულთ — ზურაბ ფორჩხიძეს, ზურაბ კაპანაძეს და ა.შ. არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეულწილად, სამომავლოდ გადასახედი აღმოჩნდეს დოზირება-შერჩევის პრინციპებიც. თუმცაღა სამართლიანობა მოითხოვს, ვაღიაროთ: როცა ამხელა შრომა ჩაიდო საქმეში და უკვე ხელში გვიპყრია ეს გამოცემა, სადღაც თითქოს იოლი ხდება კრიტიკული აზრის გამოთქმა. აი, სწორედ ამ დროს ცოცხლად უნდა წარმოიდგინოთ, რამდენი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ ნინო ჯიშკარიანსაც და თითოეულ მის თანამდგომსაც (რომელთაც გაეცნობით წიგნთან შეხებისას). ტექსტის ავტორი დავით ანდრიაძე ბევრ საგულისხმო დაკვირვებას გვთავაზობს — ის ომახიან „სტალკერად“ მოჩანს. მგონია, თავადვე დამეთანხმება, რომ ზოგჯერ ჭარბია წილი მასთან „ეზოთერულობისა“, რასაც ძნელად თუ დაძლევს ზოგი, წიგნთან დღეს აწ დაშორებული, მკითხველი, თუმცა ავტორი ტექსტისა უთუოდ მომიგებს: ნუღარ იმცონარებენ, ფიქრი გააააქტიურონ, ბოლოს და ბოლოს, სადამდის ველოდოო....

დაბოლოს: წიგნი „მრავალრეალობიანია“. ერთ-ერთი მისი არსებითაგანი მხარე — მისივე ხატოვანი „ინტერიერია“. კულტურას, ამ დიდ გამოხატულებას, ავტორის თქმისა არ იყოს, მართლაც

ბევრი რამ აკავშირებს (თუნდაც ვიქტორ ჰიუგო გავიხსენოთ) არქიტექტურასთან, რომელიც პირველყოვლისა, შიგნიდან იგება, თუ „იზრდება“. ამასთან, წიგნი „ხელსაპყრობი“ სხეულიც არის, რომელსაც კომპიუტერის ცივი ეკრანი ვერასოდეს ჩაანაცვლებს. როცა წიგნს ეხები, მასთან, როგორც ცოცხალ არსებასთან, ურთიერთობ, იმავდროულად ისე ხდება, რომ შემყვარებელნი მისსავ სრულებით ამოუწურავ სამყაროში ხდებიან პარადოქსულად „აბსტრაქტულ-კონკრეტული“ გრაფემები, ეს უცნაური „ინდივიდები“, რომელთაც ხოტბა შეასხა ჯერ უნიჭიერესმა კონსტანტინე გამსახურდიამ, ხოლო შემდგომ — რამაზ პატარიძემ , რომელმაც ნათელყო ასომთავრულის „კოსმოგრამულობა“ .

ქართული ანბანიც კეთილაღნაგი, თუ გნებავთ, „ბგერათ-გრაფიკული“ წერითი სისტემაა (წერა რომ კოსმოგონურია, ეს ირაკლი სურგულაძემ ნათელყო ჩვენში). ისიც აღსაღიარებელია, რომ ანბანი საზეოს, მიუწვდომლის „ხილვადი“ სიგნალია და ორნამენტის დარად, მიგვმართავს იმავ საზეოსაკენ. გამოუთქმელი „პოლიფონიურობა-პოლირიტმულობა“ ჰკრავს დიდ ერთობად ანბანურ- ორნამენტულ „მწყობრს“. ეს ერთობა წიგნის მთელი არქიტექტონიკის შემკვრელი და განმამტკიცებელია. ისვეა მიმყვანებელი როგორც წუთისოფლის, ისე გრძელი სოფლის სივრცეებთან, და მათი მაკავშირებელიც... ამ რიგის საფიქრალს იმის გამო შევეხე, რომ ჩვენს მიერ მიმოხილულ წიგნში ბევრგან შეიგრძნობთ პიეტეტს ქართული ალფაბეტისადმიც და ჩვენებური გრაფიკული მორთულობითი სისტემებისადმიც. ისინი კარგ წიგნში ისევე ბუნებრივად და დიდი სიყვარულით აღძრულად „ღვივდება“, როგორც ჩვენებურ ტაძრებში დარჩენილი ასომთავრული წარწერებისა და ჩუქურთმის კვლავ და კვლავ ერთსულოვანი მტკიცე მდინარება — არსისმიერსაც და ნაკადისეულსაც , მდგრადსაც და დენადსაც, მარადიულსაც და „მიმსწრაფველსაც“. დაბოლოს, ღვთიურსაც და მიწიერსაც თავისი წილი ეკუთვნის, რაც იქნებ ყველაზე უკეთ სულხან-საბა ორბელიანსაც ესმოდა, როცა თავის დღემდე აღუმატებელ ლექსიკონს ჩაუღრმავდა...

ტექსტი უნდა დავასრულო ერთი აზრით: ქართული წიგნი ჩვენი ქვეყნის წარმოუდგენლად ურთულეს თავგადასავალში, მათ შორის, უახლესი ისტორიის მანძილზეც, უაღრესად ძლიერი, უაღრესად მტკიცე, უაღრესაც საიმედო სულიერი თავშესაფარი აღმოჩნდა, სახარებისეულად თავისუფლებისა და ჭეშმარიტების მცველი თავის განუყოფელობაში. ღმერთმა ქნას, არ დავივიწყოთ, რომ ამის გაცნობიერება დღეს კიდევ უფრო არსებითია ჩვენთვის...

2014 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიგნობართა ასოციაცია: ფაქტები, მოვლენები, ღონისძიებები...

2014 წელს მწიგნობართა ასოციაციამ ჩაატარა შემდეგი ღონისძიებები:

30 აპრილი

პროფესორ ოთარ ჯანელიძის წიგნის — „ნარკვევები საქართველო — რუსეთის ურთიერთობების ისტორიიდან“ წარდგინება-განხილვა.

წარადგინა ავტორმა.

განხილვაში მონაწილეობდნენ პროფესორები: ვაჟა კეშელავა, ზაზა აბზიანიძე, პაატა სურგულაძე, ელდარ ნადირაძე, ოთარ ჟორდანია, გელა საითიძე, მერაბ ვაჩნაძე, რაფიელ ჩიქოვანი, ოლივერ რაისნერი.

4 ივნისი

თემატური საღამო — „სამართლიანობის აღდგენის პროცესი საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები“.

ღონისძიებას უძღვებოდა პროფესორი რევაზ ბალანჩივაძე.

მომხსენებელი საქართველოს ექსგენერალური პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გია მეფარიშვილი.

კამათში მონაწილეობდნენ პროფესორი რაფიელ ჩიქოვანი, პოეტი ერეკლე საღლიანი, ჟურნალისტი თამარ მიროტაძე, მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე მერი ჭიჭინაძე.

25 ივნისი

არქიმანდრიტ ადამის (ვახტანგ ახალაძის) ლექსების ახალი კრებულის წარდგინება.

ღონისძიებას უძღვებოდა პროფესორი რევაზ ბალანჩივაძე.

წიგნი წარადგინა და თავისი მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა ავტორმა. მანვე წაიკითხა ლექსები იმავე კრებულიდან.

საინტერესო შეხვედრების კლუბმა (ხელმძღვანელი ნელი გურგენიძე, ორგანიზატორი ლია ლომიძე) ჩაატარა შემდეგი ღონისძიებები:

7 აპრილი

პოეტ შოთა ნიშნიანიძის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო-გახსენება. მომხსენებელი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, პოეტი შარლოტა კვანტალიანი.

31 ოქტომბერი

მწერლისა და კინორეჟისორ გოდერძი ჩოხელის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო-გახსენება — „გოდერძი ჩოხელის ცხოვრება და შემოქმედება".

საღამოს უძღვებოდნენ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ფოლკლორის კვლევის ცენტრის წამყვანი სპეციალისტი, პროფესორი ამირან არაბული და მისი მეუღლე, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ზეპირსიტყვიერების ხელმძღვანელი, პოეტი-მეცნიერი ეთერ თათარაიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

დიმიტრი ყიფიანი — 200

თამაზ ჯოლოგუა, დიმიტრი ყიფიანი — შტრიხები პორტრეტისათვის 3
მარინე სხირტლაძე, „იგი იყო კაცი ხასიათისა“ 25

რაფიელ ერისთავი — 190

თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი, დიდი მწიგნობარი და მოღვაწე 45

წიგნი და ცხოვრება

გიორგი გოგოლაშვილი, „დედაენა“ — ანბანის სწავლების იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი — ეროვნული მნიშვნელობის არამატერიალურიკულტურული მემკვიდრეობის ძეგლი 54
ლადო მინაშვილი, იაკობ გოგებაშვილი როგორც საბავშვო მწერალი 65

წიგნის მოამაგენი

ელენე გუსევა, გიორგი ლეონიძე რედაქტორ - გამომცემელი 83

დრო და ადამიანები

მარინე სხირტლაძე, თანამედროვეთა გულის მესაიდუმლე 93

წარსულის ფურცლები

მიხეილ ქავთარია, ანტონ პირველის „ქართველ მეფეთა შთამომავლობა“... 101
რაულ ჩაგუნავა, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო შინაარსის პირველი ნაბეჭდი ნაშრომი ქართულ ენაზე 110
დალი მაჩაიძე, ძველნაბეჭდი ქართული სასწავლო გამოცემები (XVII - XVIII ს.ს.) 125
მიხეილ ქავთარია, თამარ მესხი: სინა და საქართველო. ახალი ფურცლები მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის. 136
ბორის დარჩია, რუსთველოლოგიის ისტორიის საკითხები..... 144

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჭდური წიგნის ისტორია

ნინო ხვედელიძე, ელზევირების საგამომცემლო სახლი 148
მანანა სამაშვილი, ვერგილიუსის პოემების უძველესი
აკადემიური გამოცემა 169

საბიბლიოთეკო საქმე

ალექსანდრე ლორია, ბიბლიოთეკათმცოდნეობის სათავეებთან 178

ჩვენი იუბილარები

ზოია ცხადაია, ქართული ლექსის რეფორმატორი და ვირტუოზი..... 201
ლალი ავალიანი, ამაგდარი 219

ყალმით და ფუნჯით

მარიამ გაჩეჩილაძე, მაღალი რანგის შემოქმედი 225

წიგნის თაროდან

ბონდო არველაძე, საყურადღებო პოეტური კრებული 249
თამარ ლომთაძე, და ისევ ქართული ენა..... 253
ნინო ჯიშკარიანის „ქართული წიგნის ხელოვნება":
გიორგი წერეთელი, ქართული წიგნის ხელოვნების სადიდებელი 259
სამსონ ლეჟავა, „ქართული წიგნის ხელოვნება" — წიგნი წიგნის შესახებ 261

ქრონიკა

მწიგნობართა ასოციაცია: ფაქტები, მოვლენები, ღონისძიებები... 271

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საგამომცემლო განყოფილების
ხელმძღვანელი შოთა კობიაშვილი
უფროსი რედაქტორი სოფიო კობიაშვილი
რედაქტორი რუსუდან ბულისკერია
ტექსტი ააწყო სოფიო კობიაშვილმა
დააკაბადონა თამარ ტყაბლაძემ
დაიბეჭდა და აიკინძა შპს „მწიგნობარში“

რედაქციის ნებართვის გარეშე ალმანახის
მასალების გამოქვეყნება არ შეიძლება.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
მწიგნობართა ასოციაცია
თბილისი, შოთა რუსთაველის გამზირი, 40/1.

ე 160/19

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელ.: 293 29 12, 293 31 79

MTSIGNOBARI

2014

An annual Almanac of Bibliophiles has been issued since 1980 year, gt pcovides articles on book's authors, libraries and bibliophiles, researches in the world of books, old books and on book-lovers of different countries and sides.

Editor-in-chief NODAR TABIDZE

Executive secretary SHOTA KOBIASHVILI

Ilia Chavchavadze Georgian Association of Book-Lovers
40/1 Shota Rustaveli Avenue, Tbilisi, Georgia
Tel.: 293 31 79

34.045